

ჰერმან ჰესე ტრამალის მგელი

რომანი

გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

შენიშვნები – რეზო ყარალაშვილის

სერია «მსოფლიო კლასიკა»

ქართული გამოცემა © «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა», 2010

Hermann Hesse

Der Steppenwolf

გამომცემლის წინათქმა

ეს წიგნი იმ კაცის ჩანაწერებს შეიცავს, რომელიც საკუთარ თავს „ტრამალის მგელს“ უწოდებდა ხოლმე და ჩვენც მისი წამხედურობით ამ სახელითვე მოვნათლეთ. ძნელი სათქმელია, სჭირდება კი მის ხელნაწერს წინათქმა! ასეა თუ ისე, მინდა ტრამალის მგლის ხელით დაწერილ გვერდებს ერთი-ორი ჩემიც მივუმატო და ვთქვა, რაც ამ კაცზე მოგონებამ შემოინახა. ტრამალის მგელზე, საერთოდ, ძალიან ცოტა რამ მსმენია, ხოლო მისი წარმომავლობა და მით უფრო წარსული ხომ უცნობი და უცნობია ჩემთვის! მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ამ კაცზე მაინც ძალიან სასიამოვნო მოგონებები შემომრჩა.

ტრამალის მგელი ასე, ორმოცდაათიოდე წლის კაცი იქნებოდა. უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან პირველად გადმოაბიჯა დეიდაჩემის სახლის ზღურბლს; როგორც შემდგომ გაირკვა, უცნობი თურმე ბინას ეძებდა. მანსარდა და მომიჯნავე საძინებელი ოთახი რომ იქირავა, ერთ-ორ დღეში ისევ მოვიდა; ამჯერად ჩემოდანი და წიგნებით გატენილი ყუთი მოიტანა. იმ დღიდან მოყოლებული ცხრა თუ ათ თვეს დარჩა ჩვენთან; ერთობ წყნარად და კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ჩვენი საძინებელი ოთახები გვერდიგვერდ იყო, ამიტომ კიბესა და დერეფანში ძალაუვნებურად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ეს რომ არა, ასე მგონია, მის გაცნობას ვერც მოვახერხებდი-მეთქი. დიახ, დასაახლოებლად მაინცდამაინც ადვილად ვერ მიუდგებოდით. ჩემს ცხოვრებაში იშვიათად თუ შემხვედრია მასავით გულჩათხრობილი ადამიანი. ნამდვილად ჰგავდა ტრამალის მგელს და ზოგჯერ თვითონაც ასე უწოდებდა ხოლმე საკუთარ თავს! ერთი ეული, ველური დ თან მფრთხალი კაცი იყო. დიახ, დიახ, უცნაურად მფრთხალი; მის სამყაროს აბა, რა საერთო უნდა ჰქონოდა ჩემისთანა კაცის ცხოვრებასთან! მხოლოდ ახლა, როცა მის ჩანაწერებს გავეცანი, მივხვდი, თუ რა უსაზღვრო მარტოობას იყო ნაზიარები საკუთარი იღბლისა თუ მიდრეკილებების წყალობით და თვითშთაგონებით როგორ ცდილობდა ამ სიმარტოვეში განგების ძალა დაენახა. თუმცა, ხანმოკლე შეხვედრებსა

და საუბრებში ჯერ კიდევ ჩანაწერების წაკითხვამდე შევიცანი ამ კაცის ბუნება და ასე მგონია, ამ ჩანაწერების წყალობით ჩემს ცნობიერებაში ასხლეტილი მისი ხატება ძირითადად მაინც ემთხვევა-მეთქი იმ, რა თქმა უნდა, მკრთალსა და ბუნდოვან სურათს, ჩვენმა პირადმა ნაცნობობამ რომ დამიტოვა.

სრულიად შემთხვევით გავხდი იმ ამბის მომსწრე, თუ როგორ გადმოაბიჯა ტრამალის მგელმა პირველად ჩვენი სახლის ზღურბლს და დეიდაჩემთან იქირავა ბინა. სადილობის დრო იყო. მაგიდაზე ჯერ ისევ ეწყო აულაგებელი ჭურჭელი, მე კი სამსახურში წასვლამდე კიდევ ნახევარი საათი დრო მქონდა. ახლაც არ მავიწყდება ის უცნაური და ორჭოფული შთაბეჭდილება, ტრამალის მგელმა ერთი ნახვით რომ დატოვა ჩემზე. ჯერ ზარი დარეკა და მერეღა შემოაღო შემინული კარი. ახალმოსულს დეიდაჩემმა ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანშივე ჰკითხა, რა გნებავთო, ხოლო მან, ტრამალის მგელმა, პატარა, მოკლედ შეკრეჭილი თავი შემართა, მერე მთრთოლვარე ნესტოებით თითქოს ჰაერი შეიყნოსა და, სანამ თავის ვინაობას ან მოსვლის მიზეზს გაგვიმხელდა, თქვა:

– ო, რა საამო სუნი დგას თქვენთან!

მერე გაიღიმა და გულკეთილმა დეიდაჩემმაც საპასუხო ღიმილი შეაგება. მე კი ასეთი მისალმება რატომღაც სასაცილოდ მომეჩვენა და ამ კაცის მიმართ არცთუ მაინცდამაინც კეთილად განვეწყვე.

– დიახ, იმ ოთახის თაობაზე გეახელით, გაქირავებას რომ აპირებთ, – თქვა მან ბოლოს.

სამივენი მანსარდის კიბეს ავუყევით. ახლავა შევძელი უცნობის უკეთ შეთვალეობა. ტანად ძალიან მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ სიარულიცა და მიხრამოხრაც ახოვანი კაცისა ჰქონდა. მოდაზე შეკერილი და ტანზე მშვენივრად მორგებული ზამთრის პალტო ეცვა; კაცმა რომ თქვას, საკმაოდ კარგად ჩაცმული იყო, ეს კია, ცოტა დაუდევრობა ემჩნეოდა. პირი სუფთად ჰქონდა გაპარსული, ხოლო მეტისმეტად მოკლედ შეკრეჭილ თმაში ალაგ-ალაგ ჭაღარა გამორეოდა. თავდაპირველად მისი სიარული არ მომეწონა, რაღაც დაძაბულად და გაუბედავად ადგამდა ფეხს; ეს კი სულაც არ ეხამებოდა არც მის წამახულ, გამოკვეთილ პროფილს და არც საუბრის ტემპერამენტსა თუ კილოს. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ავად იყო და სიარული უჭირდა. მისთვის ჩვეული უცნაური ღიმილით ათვალეობდა კიბეს, კედლებს, ფანჯრებსა და კიბის თავში ჩამწკრივებულ ძველ მაღალ კარადებს. იმ წუთში მისმა ღიმილმაც უარყოფითად იმოქმედა ჩემზე: მაშინვე იმას იფიქრებდით, მთელი ეს გარემო კიდევ მოსწონს და თან სასაცილოდაც არ ჰყოფნისო; იტყოდით, ეს კაცი სულ სხვა სამყაროდან, სადღაც ცხრა მთის იქიდან მოსულა და მართალია, ჩვენებური ყველაფერი თვალში მოსდის, მაგრამ ამავე დროს ცოტა უცნაურადაც ეჩვენებაო. ისე, აუგს ვერ ვიტყვი, თავი ძალიან თავაზიანად ეჭირა. თქვენ წარმოიდგინეთ, ცდილობდა გულისხმიერიც კი ყოფილიყო. მაშინვე მოიწონა სახლიცა და ოთახიც, უყოყმანოდ დათანხმდა ბინის ქირას, გამოიკითხა საუზმის ამბავი და სხვა მისთანები, მაგრამ მთელ მის არსებაში მაინც გამოსჭვიოდა რაღაც უცხო და, როგორც მაშინ მომეჩვენა, არაკეთილგანწყობილი თუ მტრული. უცნობმა სასადილო ოთახთან ერთად საძინებელიც იქირავა; იკითხა, გათბობა, წყალი და მომსახურება თუ იქნებაო, მერე

კი ჩვენი ოჯახის ადათ-წესებითაც დაინტერესდა. ყველაფერი ეს დიდი გულისყურით მოისმინა, უარი არაფერზე უთქვამს და შემოგვთავაზა, ბეს ახლავე გადავიხდიო. მაგრამ მახვილ თვალს არ გამოეპარებოდა, რომ ყველაფერ ამას რაღაც სასწვათაშორისოდ მიიჩნევდა და მთელი ეს ფაციფუცი სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. იფიქრებდით, ამ კაცისთვის უჩვეულო სიახლეა ბინის დაქირავებაცა და ხალხთან გერმანულად ლაპარაკიცო, რადგან ეტყობოდა, მთელი გულისყური სულ სხვა ამბებისკენ ჰქონდა მიპყრობილი. აი, დაახლოებით ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება ტრამალის მგელზე და ალბათ ასეთივე არასაშური აზრისა დავრჩებოდი, სხვადასხვა წვრილმანი რომ არ მცემოდა თვალში და შეხედულება არ შემცვლოდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ იმთავითვე საოცრად მომეწონა ამ კაცის სახე. დიახ, მომეწონა-მეთქი, ვამბობ, თუმცა ზედ მარტოსულობის კვალი დამჩნეოდა[1]. შესაძლოა, ადამიანს მისი გამოხედვა ცოტა უჩვეულო და ნაღვლიანიც მოსჩვენებოდა, მაგრამ მზერაში აშკარად გამოუკრთოდა ცინცხალი და ამავე დროს დინჯი, დადუღებული გონიერება. უცნობი ცდილობდა თავაზიანი და გულისხმიერი ყოფილიყო და ამით კიდევაც მოინადირა ჩემი გული, თუმცა ამ დროს, ეტყობა, თავს ძალას ატანდა. ეს კია, მის საქციელს ამპარტავნობის ნიშანწყალსაც ვერ შეატყობდით. ამპარტავნობა კი არა, ამ კაცის საქციელში გულისამაჩუყებელ ვედრებასაც დაინახავდით. ყველაფერ ამას შედარებით გვიან მოვუძებნე შესაფერისი ახსნა, მაგრამ მაშინ ამ გრძნობამ მიხსნა და მისდამი კეთილად განმაწყო.

ოთახების დათვალიერებამ კარგა დრო წაიღო. ამასობაში ჩემი შესვენების საათიც დამთავრდა. მოლაპარაკების დასასრულს აღარ დავლოდებივარ, უცნობი დეიდაჩემს გადავაბარე და დავემშვიდობე. სალამოს შინ რომ დავბრუნდი, დეიდაჩემმა მითხრა, სტუმარმა ბინა იქირავა და ამ დღეებში გადმობარგებას აპირებს, ოღონდ ძალიან მთხოვა, პოლიციაში ნუ განაცხადებთ ჩემი აქ ყოფნის ამბავს, ავადმყოფი კაცი ვარ და იქ სირბილისა და დავიდარაბის თავი არა მაქვსო.

კარგად მახსოვს, რა საგონებელში ჩამაგდო მაშინ ამ ამბავმა. დეიდაჩემს ვურჩიე, ახალ მდგმურს ამ პირობაზე არასდიდებით არ დასთანხმებოდა, გულში კი გავიფიქრე, ამ კაცს ისეთი საეჭვო და უჩვეულო შესახედაობა აქვს, ბუნებრივია, არ ეპიტნავება პოლიციასთან საქმის დაჭერა-მეთქი. მერე დეიდაჩემს ავუხსენი, თუ კაცს არ იცნობ, ამისთანა უცნაურ თხოვნაზე არამც და არამც არ უნდა დათანხმდე, ვინ იცის, რა ხათაბალას შეიძლება გადაეყარო-მეთქი. მაგრამ გამოირკვა, რომ დეიდაჩემი მდგმურს უკვე შეჰპირებოდა, როგორც ინებებთ, ისე მოვიქცევიო. მერე ისიც შევატყვე, რომ უცნობს უკვე მოენადირებინა მისი გული. დეიდაჩემი იმის ქალი არ იყო, ადამიანი შინ შემოეშვა, თუ მის მიმართ მეგობრული, შინაურული, თბილი და, ასე განსაჯეთ, დედობრივი გრძნობით არ განიმსჭვალებოდა. იმასაც ვიტყვი, რომ მისი ყოფილი მდგმურები მშვენივრად სარგებლობდნენ დეიდაჩემის ამ ხასიათით. ამჯერადაც ასე მოხდა. პირველ ხანებში, როცა ვცდილობდი უცნობისთვის რაიმე ნაკლი აღმომეჩინა, დეიდაჩემი ყოველთვის გადაეფოფრებოდა ხოლმე ტრამალის მგელს.

რაკილა ახალმა მდგმურმა პოლიციაში გამოცხადებაზე უარი თქვა, მე კი, ჩემი მხრივ, მისი ასეთი საქციელი საეჭვოდ მივიჩნიე, გადავწყვიტე ის მაინც გამეგო, რა იცოდა დეიდაჩემმა უცნობის ვინაობისა თუ მიზნების თაობაზე. გამოირკვა, რომ მას

მართლაც უკვე მოესწრო რაღაც-რაღაცეების გაგება, თუმცა კი შუადღისას, შინიდან წავსულვარ თუ არა, ჩვენი ახალი მდგმურიც დიდხანს აღარ შეყოვნებულა. უთქვამს, ერთხანს თქვენს ქალაქში ვაპირებ დარჩენას, ბიბლიოთეკაში მინდა ვიმუშაო და ქალაქის სიძველეებს გავეცნოო. ისე, კაცმა რომ თქვას, დეიდაჩემს მაინცდამაინც არ აძლევდა ხელს ასე ცოტა ხნით მდგმურის აყვანა, მაგრამ უცნობს უკვე მოესწრო მისი გულის მონადირება; ამიტომაც იყო, რომ დეიდას ჩვენი მომავალი მდგმურის თავდაპირველი უცნაური საქციელისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ერთი სიტყვით, ოთახი გაქირავებული იყო და ჩემს წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა!

– ნეტავ ის რაღამ ათქმევინა, საამო სუნი დგასო თქვენთან? – ვიკითხე მე.

დეიდაჩემი დროდადრო ზუსტად ჩახვდებოდა ხოლმე საქმის ვითარებას. ამჯერადაც ასე მოხდა და მიპასუხა:

– ძალიან კარგად მესმის, რამაც ათქმევინა: აქ შემოსულ კაცს მაშინვე სისუფთავისა და წესრიგის სუნი ეცემა; ისიც შეგვატყო, მყუდროდ და უშფოთველად რომ ვცხოვრობთ. ჰოდა, სწორედ ეს მოეწონა ჩვენი; ეტყობა, თავად შეუჩვეველი და დანატრებულია ამ ამბებს.

შესაძლოა ასეც იყოს-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში, დეიდაჩემს კი ვუთხარი:

– დიახ, დიახ, მეც სწორედ მანდა ვარ; თუკი წესრიგსა და ადამიანურ ცხოვრებას მიჩვეული არ არის, რა იცი, რა დღეს დაგაწევს? მაშინ რაღას იზამ, ეგ შენი მდგმური ერთი ბინძური ვინმე თუ გამოდგა, ყველაფერი წაგიბილწა და ღამლამობით გალეშილი დაბრუნდა შინ?

– აღდგომა და ხვალეო, – სიცილით მითხრა დეიდამ და მეც აღარ ჩავციებივარ.

ჩემი სიფრთხილე უსაფუძვლო გამოდგა. მართალია, ახალი მდგმურის ცხოვრება ზომიერებისა და წესრიგის ნიმუშად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, ოდესმე შევეწუხებინეთ. ამიტომაც, დღესაც სიამოვნებით რომ ვიგონებ ტრამალის მგელს.

არადა, ეს კაცი მეც და დეიდაჩემსაც სულს გვიფორიაქებდა, ლოდივით გვაწვა გულზე და, გულახდილად რომ გითხრათ, ამ გრძნობას დღემდე თავი ვერა და ვერ დავადწიე. ტრამალის მგელს ღამლამობით ახლაც ვხედავ ხოლმე სიზმარში და ვგრძნობ, რომ თვით მისი არსებობაც კი თითქოს მბოჭავს და სულის სიმშვიდეს მაკარგვინებს, თუმცა კი ნამდვილად ძალიან მიყვარს.

ორი დღის შემდეგ მეეტლემ ჩვენი მდგმურის ბარგი-ბარხანა მოიტანა. უცნობს თურმე ჰარი ჰალერი ერქვა.[2] თვალში მომხვდა ტყავის ძალიან ლამაზი ჩემოდანი და ბრტყელი ზანდუკი, სხვადასხვა ქვეყნის სამგზავრო კომპანიებისა და სასტუმროების იარლიყებით რომ იყო აჭრელებული; მათ შორის აქა-იქ ოკეანისგაღმა ქვეყნების სახელებსაც ამოიკითხავდით.

მერე თვითონაც გამოჩნდა. აი, ახლა კი დადგა დრო, ამ საოცარ კაცს ნელ-ნელა გავცნობოდი, მაგრამ მე ჩემი მხრივ არაფერი მიღონია, რომ ეს ნაცნობობა დამეჩქარებინა.

მართალია, ჰალერმა დანახვისთანავე დამაინტერესა, მაგრამ პირველი ერთი კვირა

არც მასთან შეხვედრა მიცდია და არც დალაპარაკება. თუმცა, რა დასამალია და, უცნობს ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალე; ხანდახან, როცა სახლში არ მეგულებოდა, მის ოთახშიც შევდიოდი ხოლმე. ერთი სიტყვით, ჩემმა ცნობისმოყვარეობამ უნებლიე მსტოვრობაც კი დამაწყებინა.

ტრამალის მგლის გარეგნობაზე ზოგი რამ უკვე მოგახსენეთ. თვალის ერთი შევლებითაც მიხვდებოდით, რომ იშვიათ და საოცრად ნიჭიერ პიროვნებასთან გქონდათ საქმე. გონიერებას მის სახეზე თავისი უცილობელი ბეჭედი დაესვა, ხოლო უაღრესად დახვეწილი, მეტყველი სახის ნაკვთები საოცრად საინტერესო, ნატიფსა და ზედმეტად მგრძნობიარე სულიერ ცხოვრებას ამჟღავნებდა. საუბარში იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც გადააბიჯებდა ხოლმე პირობითობის საზღვრებს. აი, მაშინ კი, გეგონება მის უცნაურ მარტოსულობას იდუმალების საბურველი შემოეძარცვაო, ველარ დააოკებდა ხოლმე მოზღვავებულ აზრთა ნაკადს და ჩვენც, მოკვდავებს, სხვა არა დაგვრჩენოდა რა, გარდა უსიტყვო მორჩილებისა. იგი სხვებზე მეტ დროს ანდომებდა გონების ვარჯიშს და სხვადასხვა საკითხების განსჯისას იმ ადამიანისთვის ჩვეულ ცივ ობიექტურობასა და გააზრებულ ცოდნას ავლენდა, ჭეშმარიტად სულიერი ცხოვრებით რომ ცხოვრობს, ადამიანისა, ვისი ბუნებაც სრულიად დაცლილია პატივმოყვარეობისა და თავის გამოჩენის სურვილისაგან, როცა იგი აღარ ცდილობს პაექრობაში აჯობოს ანდა თავისი ნააზრევის ჭეშმარიტება დაუმტკიცოს ვინმეს.

მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელიც ტრამალის მგლის წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. საქმე მის ერთ თვალსაზრისს, უფრო სწორად, მის ერთადერთ გამოხედვას ეხება, რომელშიც სამყაროსადმი მისი დამოკიდებულება ასე თვალნათლივ არეკლილიყო.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოხსენებით უნდა გამოსულიყო ევროპაში სახელგანთქმული ფილოსოფოსი და კულტურის ისტორიკოსი. ტრამალის მგელი დიდხანს იდგა უარზე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც დავითანხმე, ლექციაზე წამოსულიყო. ერთად წავედით და დარბაზშიც გვერდიგვერდ დავსხედით. საკმარისი იყო ამ ერთობ გადაპრანჭულ ორატორს კათედრაზე ფეხი შეედგა და მისასალმებელი სიტყვა ეთქვა, რომ პირველსავე წუთებში გაეცრუებინა მოლოდინი არა ერთი და ორი მსმენელისათვის, რომლებიც ფილოსოფოსის გამოსვლას წინასწარმეტყველის გამოცხადებასავით ელოდნენ. და აი, მან საუბარი დაიწყო: ორიოდ მაამებელი სიტყვა მიუგდო დამსწრე საზოგადოებას და დარბაზს მაღლობა გადაუხადა ხალხმრავლობისათვის. სწორედ ამ დროს ტრამალის მგელმა ისეთი მზერა მესროლა, აშკარად რომ მოწმობდა მის კრიტიკულ დამოკიდებულებას როგორც ორატორის სიტყვების, ასევე საერთოდ მისი პიროვნებისადმი. მაგრამ მზერაც არის და მზერაც! ეს იყო დაუვიწყარი და შემზარავი გამოხედვა, რომლის არსსა და მნიშვნელობაზე მთელი წიგნი დაიწერებოდა. ის, რომ მზერით ტრამალის მგელი მსჯავრს სდებდა და შემპარავი, მაგრამ გამანადგურებელი დაცინვით აცამტვერებდა ორატორს, კიდევ არაფერს ნიშნავდა; ამ მზერაში დაცინვაზე მეტი ნაღველი და დაუსაბამო, უიმედო მწუხარება გამოსჭვიოდა, რომლის არსს ჩვეულებად ქცეული უსიტყვო სასოწარკვეთა შეადგენდა. ამ გამოხედვის უსასოო სიცხადე არა მარტო ორატორის პიროვნების არარაობას ირეკლავდა, დასცინოდა და სძრახავდა არა მარტო იმ წამიერ ვითარებას, დამწსრეთა ფუჭ მოლოდინსა და

გუნება-განწყობას თუ მოხსენების ღვლარჭნილ სათაურს, არა! ტრამალის მგლის მზერაში მთელი ჩვენი თანადროულობა არეკლილიყო თავისი ამაო ორომტრიალით, კარიერიზმითა და პატივმოყვარეობით; მეტსაც გეტყვით: იგი აშკარად გამოხატავდა ჩვენი ზერელე ცხოვრების მოჩვენებითობას და მის გარშემო ატეხილ აურზაურს.

ეჰ, ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ ეს უცნაური მზერა ჯერ ჩვენი დროების, ჩვენი სულიერი ცხოვრებისა და კულტურის ნაკლსა და უილაჯობას აშიშვლებდა, მერე კი უფრო ღრმა შრეებისკენ იღებდა გეზს. ეს მზერა ადამიანთა მოდგმის გულისაკენ იყო მიმართული! წამის უმცირეს ნაწილში მან იშვიათი მჭევრმეტყველებით გამოხატა ბრძენის დაეჭვება ადამიანთა ცხოვრების არსზე დაფიქრების ჟამს. ამ გამოხედვით იგი უსიტყვოდ ამბობდა: „აი, როგორი ტაკიმასხარები ვართ, აი, შეხედეთ, რა არის ადამიანი!“ და მის ფონზე უკვდავებით მოსილი ყველა სახელი, გონებისა თუ სულის მიღწევები, ყოველგვარი ადამიანური სწრაფვა განდიდების, აღზევებისა თუ უკვდავებისაკენ, დასაღუპავად იყო განწირული და მოლიზდარობად ქცეულიყო!

ჩემდაუნებურად ძალიან წინ მომიხდა გადახტომა და ისე გამოვიდა, რომ ყველაზე არსებითი ჰალერზე, მგონი, უკვე მოგახსენეთ, თუმცა კი ვაპირებდი თანდათანობით მომეყოლა ჩვენი ნაცნობობის ამბავი და ამ უცნაური კაცისათვის შეპარვით ჩამომეხსნა ნიღაბი.

რაკილა ამბის მსვლელობას დავასწარი, სიტყვას აღარ გავაგრძელებ ჰალერის იდუმალებით მოცულ „მარტოსულობაზე“, აღარც იმის მოყოლით შეგაწყენთ თავს, თუ რანაირად მოვახერხე ამ უცნაური და საშინელი მარტოსულობის მიზეზებისა და მნიშვნელობის ახსნა. ასე აჯობებს, რადგანაც საკუთარი თავი შეძლებისდაგვარად მინდა მივაფარო ასპარეზს. იმასაც ვიტყვი, რომ არც ფსიქოლოგიური დაკვირვებების ჩატარებას ვაპირებ, არც ფერად-ფერადი ამბების მოყოლას და არც აღსარების წერას. როგორც უშუალო მოწმემ, მინდა მხოლოდ თითო-ოროლა შტრიხი ჩემიც დავურთო იმ უცნაური კაცის სურათს, რომელმაც ტრამალის მგლის ჩანაწერები დაგვიტოვა.

როგორც კი უცნობმა დეიდაჩემის კარის ზღურბლს გადმოაბიჯა, თავი ფრინველივით უკან გადააგდო და ჩვენს სახლში დატრიალებული საამო სუნი შეაქო, იმწამსვე მისი პიროვნების უჩვეულობა მომხვდა თვალში და თავდაპირველად ზიზღიც კი აღმიძრა. ვიგრძენი (იგივე შთაბეჭდილება დარჩა დეიდაჩემსაც, რომელსაც, ჩემგან განსხვავებით, ტვინის ჭყლეტა არ უყვარდა), დიახ, აშკარად ვიგრძენი, რომ ეს კაცი ავად იყო. ვერ გეტყოდით, სულით ავადმყოფი იყო თუ სხვა რამ სენი სჭირდა, მაგრამ ცხადია, რომ ჯანმრთელი კაცის გუმანმა მაიძულა შორს დამეჭირა მისგან თავი. გგავიდა დრო და თავდაცვის ეს გრძნობა მისდამი სიმპათიამ შეცვალა, რომელსაც ამ მრავალჭირთამთმენი კაცისადმი დიდი თანაგრძნობა დაედო საფუძვლად, მით უფრო, რომ მისი ამქვეყნისგან განდგომისა და სულიერი კვდომის უშუალო მოწმე გავხდი. იმხანად უფრო და უფრო თვალნათლივ ვხედავდი, რომ ამ მარტვილი კაცის სნეულება მისი ბიწიერი ბუნებიდან არ მოდიოდა, რომ ამის სათავე მისი უჩვეულო ნიჭიერება და ის ძალები იყო, რომელთა ჰარმონიული შერწყმაც მას ვერა და ვერ მოეხერხებინა. მივხვდი, რომ ჰალერი ტანჯვის გენია იყო, რომ ნიცშეს ზოგიერთი შეგონების წამხედურობით[3], მან თავი სულიერი ჭირთათმენის გენიალური, უსაზღვრო და შემადრწუნებელი უნარით აღჭურვა. იმასაც ჩავხვდი, მისი პესიმიზმი სამყაროს სიძულვილით რომ არ

იყო გამოწვეული და უპირატესად საკუთარი თავისადმი ზიზღი ედო საფუძვლად; მაშინაც კი, როცა ჩვენი ცხოვრების წეს-ჩვეულებებსა თუ ადამიანებზე ყველაზე უფრო გამანადგურებელ აზრებს გამოთქვამდა, თავის თავს გამონაკლისად არასოდეს მიიჩნევდა და პირველ რიგში, სწორედ საკუთარი „მესაკენ“ მიმართავდა ხოლმე შხამიან ისარს, რაკი მისი სიძულვილის თავიდათავი საკუთარი „მე“ იყო და სწორედ მას უარყოფდა.

აქ ერთი ფსიქოლოგიური ხასიათის შენიშვნა მინდა ჩავუთო: მართალია, ტრამალის მგლის ცხოვრებაზე ძალიან ცოტა რამ მსმენია, მაგრამ სრული საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ მოსიყვარულე, მკაცრსა და უადრესად მორწმუნე მშობლებსა თუ მასწავლებლებს მისი აღზრდისას ის ხერხი უხმარიათ, „ნებისყოფის დათრგუნვა“ რომ უდევს საფუძვლად. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამჯერად ნებისყოფის დათრგუნვა და პიროვნების განადგურება ვერ მოხერხდა, რადგან აღმზრდელები ერთობ მტკიცე, უტეხ და თან ამაყსა და გონიერ მოწაფეს გადააწყდნენ. ბოლოს და ბოლოს, ყოველივე იმით დასრულდა, რომ პიროვნება ვერ გაანადგურეს, მაგრამ საკუთარი თავი კი შეაჯავრეს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ტრამალის მგელი გენიალური წარმოსახვისა და ძლევამოსილი აზროვნების უნარს დღენიადაგ საკუთარ თავთან, ამ უწყინარ და უდანაშაულო არსებასთან ჭიდილს ალევდა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ეს კაცი სწორედ იმიტომ იყო ჭეშმარიტი მარტვილი მარტვილთა შორის და ჭეშმარიტი ქრისტიანი ქრისტიანთა შორის, რომ ყოველგვარი სისასტიკისა თუ განსასჯელის, ბოროტებისა თუ სიძულვილის ფესვებს საკუთარ „მე“-ში ხედავდა და უპირველეს ყოვლისა, თავის თავზე იყრიდა ჯავრს. რაც შეეხება გარშემო მყოფ ადამიანებს, ტრამალის მგელი ძალების ზებუნებრივი დაძაბვით ცდილობდა მათდამი სიყვარული გამოეჩინა და სამართლიანი ყოფილიყო. ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლება კაცს კაცისთვის ტკივილი და ტანჯვა მიეყენებინა, რადგან მცნება – „გიყვარდეს მოყვასი შენი“ – ისევე ღრმად გამჯდარიყო მის სულში, როგორც სიძულვილი საკუთარი თავისადმი. ამრიგად, ამ კაცის მთელი ცხოვრება ადასტურებდა იმას, რომ საკუთარი თავი თუ არ გიყვარს, ვერც მოყვასს შენსას შეიყვარებ; საკუთარი თავის სიძულვილი, კაცმა რომ თქვას, ადამიანთა მოდგმის სიძულვილს ნიშნავს და ეს გრძნობა კაცს ისეთსავე შემზარავ მარტოსულობას აგრძნობინებს, ისეთსავე სასოწარკვეთილებაში აგდებს, როგორც ამას აშკარა თავკერძობა იწვევს ხოლმე.

მაგრამ, მგონი, დროა მსჯელობას შევეშვა და ძირითად ამბებზე გადავიდე. ასე და ამრიგად, პირველი ცნობები, ჰარი ჰალერზე რომ შევაგროვე, მისი ცხოვრების ყაიდას შეეხებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ნაწილი ჩემი მოყურიადობის, ნაწილი კი დეიდაჩემის ნალაპარაკების წყალობით მოვახერხე. ხოლო ის ამბავი, რომ ტრამალის მგელი მოაზროვნე, მწიგნობარი კაცი იყო და სხვა არავითარ პრაქტიკულ საქმიანობას არ ეწეოდა, მალე თავისთავად ცხადი გახდა. დილაობით კარგა ხანს ლოგინში ნებივრობდა ხოლმე. ხანდახან ნაშუადღევს ადგებოდა, მხრებზე ხალათს მოისხამდა და პატარა საძინებლიდან სასტუმრო ოთახამდე ბოლთას სცემდა... ორფანჯრიანმა ფართო მანსარდამ, ახალ მდგმურს სასტუმრო ოთახის მაგივრობას რომ უწევდა, ორიოდ დღეში შეიცვალა იერი და სულ სხვა სანახავი გახდა, ვიდრე უწინდელი მდგმურების დროს იყო. იქაურობას ახალ-ახალი ნივთი ემატებოდა, კედლებზე აქა-იქ სურათები და ნახატები გაჩნდა. ხანდახან ჟურნალებიდან ამოჭრილ ილუსტრაციებსაც მოჰკრავდით თვალს, რომელთა ადგილს მალე სხვები

იჭერდა. აქვე ეკიდა სამხრეთული პეიზაჟი და გერმანული პროვინციული ქალაქის – ალბათ ჰალერის მშობლიური ქალაქის – ფოტო. მათ გვერდით ყურადღებას იქცევდა აკვარელის ციმციმა ფერებით შესრულებული სურათები[4]; მოგვიანებით შევიტყვე, რომ ისინი თვითონ ჰალერს დაეხატა; იქვე პირმშვენიერი ქალის თუ ქალიშვილის ფოტო ეკიდა. ერთხანს კედელზე სიამელ ბუდასაც მოჰკრავდით თვალს, მაგრამ მალე იმ ადგილას ჯერ მიქელანჯელოს „ლამის“ რეპროდუქცია[5] გაჩნდა, შემდეგ კი მაჰატმა განდის სურათი. ოთახში უამრავი წიგნი იყო, წიგნებით იყო გაჭედილი დიდი კარადა; სადღა არ ეწყო სანიშნებლიანი წიგნები: მაგიდეებზე, ძველებურ, ლამაზ სეკრეტერზე, სკამებზე, იატაკზე... წიგნებში ხშირ-ხშირად იცვლებოდა სანიშნებელი ქაღალდები და ამასთან ერთად, თვითონ წიგნების რაოდენობაც. მოგეხსენებათ, ჩვენი მდგმური მართო ბიბლიოთეკიდან როდი ეზიდებოდა გორა-გორა წიგნებს, ფოსტითაც იწერდა ხოლმე. ასე რომ, იტყოდით, აქ ნამდვილად მეცნიერ კაცს დაუდვია ბინაო. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ მთელი ოთახი თამბაქოს ბოლში იყო გახვეული; ყოველ ნაბიჯზე წააწყდებოდით სიგარის ნამწვებსა და საფერფლებს. წიგნები უმეტესად არამეცნიერული იყო: რა დროებისა და მწერლების ნაწარმოებს არ ნახავდით აქ! ერთხანს ტახტზე, სადაც ტრამალის მგელი მოკალათდებოდა ხოლმე, ექვსი სქელი ტომი ეწყო. ეს გახლდათ „სოფის მოგზაურობა მემელიდან საქსონიაში“[6], მე-18 საუკუნის დასასრულს შექმნილი ნაწარმოები.

აქ ნახავდით გოეთესა და ჟან-პაულის[7], ასევე ნოვალისის, ლესინგის, იაკობისა და ლიხტენბერგის რჩეულ თხზულებებს, და ყველა წიგნს ბეჯითი მკითხველის ხელი ემჩნეოდა. დოსტოევსკის რამდენიმე ტომში მელნით აჭრელებული ქაღალდის ფურცლები იყო ჩადებული; დიდ მაგიდაზე წიგნებსა და ხელნაწერებს შორის ხშირად იდგა ხოლმე ყვავილების თაიგული, იქვე ეგდო დამტვერილი აკვარელის ყუთი, ხოლო მის გვერდით საფერფლები იყო ჩამწკრივებული. ჰო, ამასაც არ დავმაღავ: ოთახში ნაირ-ნაირი სასმელებით სავსე ბოთლები ეწყო. ჩალის წნული ბოთლით იტალიური წითელი ღვინო ედგა ხოლმე, იქვე ახლოს, სარდაფში რომ ყიდულობდა; მის სადგომში შიგადაშიგ თითო ბოთლი ბურგუნდიული ან მალაგაც გამოჩნდებოდა. ერთხელ კი ალუბლის ნაყენით სავსე სქელი ბოთლი თვალსა და ხელს შუა თითქმის ძირამდე დაიყვანა, მერე შიგ ჩარჩენილ სითხეს წვეთი აღარ მოჰკლებია, ბოთლი კი ოთახის კუთხეში ეგდო და მტვრის ბუდედ ქცეულიყო. სულაც არ ვაპირებ თავის მართლებას ჩემი ჩუმჩუმელა თვალოვალის გამო და გულახდილად ვაღიარებ, რომ მთელ ამ სურათს სულიერი ინტერესებით აღსავსე ცხოვრების ბეჭედი კი ესვა, მაგრამ თან უწესრიგობისა და, ცოტა არ იყოს, თავდაუქერლობის დაღიც აჩნდა, რაც ჩემს ზიზღსა და უნდობლობას იწვევდა. თავად მე ბიურგერული, ზომიერი ცხოვრების მოყვარული კაცი გახლავართ. ყველაფერს თავის დროზე ვაკეთებ. ამას გარდა, არ ვსვამ და არც თამბაქოს ვეწევი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჰალერის ოთახში დახვავებული ბოთლების დანახვამ გაცილებით უსიამოვნო გრძნობა აღმიძრა, ვიდრე იქ გამეფებულმა ზედახორამ.

ეს ჩვენი მდგმური როგორც ძილსა და მუშაობაში იყო უწესრიგო და კალაპოტიდან ამოვარდნილი, ასევე ჭამა-სმაშიც. ზოგჯერ მთელი დღეები არ მოიცვლიდა ხოლმე შინიდან ფეხს, დილით ყავას რომ დალევდა, მერე აღარაფერს ჩაუშვებდა პირში. ხანდახან დეიდაჩემი მისი სადილის ერთადერთ ნარჩენს, ბანანის ნაფცქვენს თუ აღმოაჩენდა, ეს იყო და ეს. სამაგიეროდ სხვა დროს საუკეთესო რესტორნებში

დაბრძანდებოდა, ან არადა, ქალაქის განაპირა პატარა სამიკიტნოში წაიხემსებდა ხოლმე. ეტყობოდა, ჯანმრთელობით მაინცდამაინც ვერ დაიკვებნიდა: ტყვიასავით მძიმე ნაბიჯი ჰქონდა, კიბეზე რის ვაივაგლახით ადიოდა. ერთხელ კიდევ მითხრა, რა ხანია აღარ ვიცი, რა არის საჭმლის წესიერი მონელება და ადამიანური ძილიო. თავდაპირველად ვიფიქრე, ეს ალბათ იმის ბრალია, ღვინოს რომ ეძალება-მეთქი. ხანდახან მასთან ერთად მიხდებოდა ხოლმე სამიკიტნოში შესვლა და მოწმე გავმზდარვარ, თვალის დახამხამებაში რომ გადაუკრავს ღვინით სავსე ჭიქა; მაგრამ მასზე კაციშვილს არ უთქვამს, მთვრალიაო. რა დამავიწყებს იმ დღეს, ტრამალის მგელს პირველად რომ შევხვდი პირისპირ! მანამდე მხოლოდ სალმით ვიცნობდით ერთმანეთს, როგორც ერთ სახლში მცხოვრებ მეზობლებს შეეფერებათ. ერთ საღამოს სამსახურიდან ვბრუნდებოდი და დიდად გაოცებული დავრჩი, როცა მეორე და მესამე სართულებს შორის, ბაქანზე, კიბის ზემოთა საფეხურზე ჩამომჯდარი ბატონი ჰალერი შევამჩნიე. დამინახა თუ არა, გვერდზე ჩაიწია და გზა დამითმო. ვკითხე, შეუძლოდ ხომ არ ბრძანდებით, ოთახამდე აგაცილებთ-მეთქი. ჰალერმა ისეთი თვალებით შემომხედა, მაშინვე მივხვდი, ოცნებას წაეღო და ჩემი ხმის გაგონებამ გამოარკვია. მერე მისეული ნაღვლიანი და მშვენიერი ღიმილი შემომაგება, მუდამ ცუდ გუნებაზე რომ მაყენებდა და, ბოლოს მთხოვა, გვერდით მომიჯექითო. მადლობა მოვახსენე და ასე ვუთხარი, სხვისი კარის წინ ჯდომას მიჩვეული არა ვარ-მეთქი.

– დიახ, დიახ, – მიპასუხა მან და ისევ გამიღიმა, – მართალი ბრძანდებით, მაგრამ ერთ წუთს მომითმინეთ. მინდა გაგიმხილოთ, რატომ ჩამოვჯექი აქ.

ესა თქვა და მეორე სართულის ოთახის კარზე მიმითითა, სადაც ქვრივი დედაკაცი ცხოვრობდა. იქვე კედელთან, პარკეტის იატაკზე, ფანჯარას, კიბესა და შემინულ კარს შორის დარჩენილ პატარა ადგილას წითელი ხის, ტყვიის სამკაულებიანი ძველებური კარადა მიედგათ, კარადის წინ კი, დაბალ სადგამებზე, ქოთნები იდგა, რომლებშიც იელი და არაუკარია ხარობდა. ისე სათუთად და გულდაგულ იყო მოვლილი ეს ლამაზი ყვავილები, იმათ ნახვას არაფერი სჯობდა.

– აი, შეხედეთ, – განაგრძო ჰალერმა, – ამ კიბეზე ყვავილები ისეთ საამო სურნელს აფრქვევენ, გული არ მითმენს, ცოტა ხნით მაინც არ შევჩერდე აქ. დეიდათქვენთანაც შესანიშნავი სურნელება ტრიალებს და ყველგან სისუფთავე და წესრიგია, მაგრამ ეს არაუკარია ისეა ნასათუთევ-გაკრიალებული და ისე მარმარებს, თვალი ვერ მომიშორებია. თქვენც ხომ გრძნობთ, რა საამო სუნი ეფინება აქაურობას? ესაა სანთელშერეული სკიპიდრის, წითელი ხისა და წყალნაპკურები ფოთლების საოცრად ნაზი სურნელი, რომელიც ყველაფერთან ერთად ოჯახური სისუფთავის, გარჯისა და მოვალეობისადმი მოწიწების გრძნობას ქმნის და მცირე ოდენობით ყველა ჩამოთვლილი თვისების უზენაეს გამოვლინებას წარმოადგენს. ვერ გეტყვით, ვინ ცხოვრობს აქ, მაგრამ ასე მგონია, სწორედ ამ შემინული კარის მიღმა არის-მეთქი მტვრისაგან განწმენდილი ოჯახური ყოფის სამოთხე; სამოთხე, სადაც მეფობს წესრიგი, წვრილმანი ჩვეულებებისადმი ერთგულება, სადაც ყველაფერს მორიდებული და გულისამაჩუყებელი რუდუნების ბეჭედი აზის.

რაკილა პასუხი არ გავეცი, ისევ განაგრძო.

– ძალიან გთხოვთ, ისე არ გამიგოთ, თითქოს მასხრად ვიგდებ ვინმეს! არავითარი

სურვილი არა მაქვს დავცინო ამ ოჯახურ წესრიგს. დიახ, მე სულ სხვა სამყაროს ვეკუთვნი და ერთ დღესაც ვერ გავძლებდი არაუკარიებით მორთულ ბინაში; მართალია, ერთი ბებერი და, ცოტა არ იყოს გაჭუცული ტრამალის მგელი ვარ, მაგრამ, ასეა თუ ისე, დედაჩემის შვილიც ხომ მქვია! დედა მეოჯახე ქალი გახლდათ, ყვავილებს ახარებდა და გამუდმებით ოთახსა და კიბეს აკრიალებდა, ფანჯრებზე ყოველთვის ქათქათა ფარდები გვქონდა ჩამოკიდებული; სულ იმის ცდაში იყო, ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც შეიძლება, მეტი ეშხი და ლაზათი შეეტანა. ეს არაუკარია და სკიპიდრის სუნი სწორედ ამას მაგონებს და მეც დროდადრო კიბეზე ჩამოვჯდები ხოლმე, შევცქერი წესრიგის ამ პატარა წალკოტს და გულითა და სულით ვხარობ, რომ ქვეყნად ჯერ კიდევ არსებობს ასეთი რამ.

წამოდგომა მოინდომა, მაგრამ ეტყობა, გაუჭირდა და, როცა ხელი შევაშველე, უარი არ უთქვამს. უხმოდ ვიდექი და, დედაჩემისა არ იყოს, ვგრძნობდი ამ უცნაური კაცის თილისმის ძალას. ნელ-ნელა ავუყევით კიბეს. აი, უკვე მისი ოთახის კართან ვიდექით; ჰალერმა ხელში გასაღები შეათამაშა, ალერსიანად შემომხედა და მითხრა:

– სამსახურიდან მოდიხართ, არა? იცით, ამისა არა გამეგება რა. მოგეხსენებათ, ყოველგვარი საქმეებისგან, ცოტა არ იყოს, განზე ვდგავარ და განკერძოებით ვცხოვრობ. მაგრამ რატომღაც მგონია, წიგნები და სხვა მისთანები თქვენც უნდა გაინტერესებდეთ. დედათქვენმა მითხრა, გიმნაზია დაამთავრა და კაი გვარიანი ბერძნულიც იცისო. ამ დილით ნოვალისს ვკითხულობდი, ერთ ფრაზას წავაწყდი და მინდა გაჩვენოთ. იმედია, თქვენც ნასიამოვნები დარჩებით.

ტრამალის მგელმა ოთახში შემეყვანა, სადაც ყველაფერი თამბაქოს სუნით იყო გაჟღენთილი, ახორხლილი წიგნებიდან ერთი გამოაძვრინა, გადაფურცლა, დაძებნა...

– აი, ესეც არაა ურიგო, – თქვან მან, – აბა, ყური დამიგდეთ: „კაცი უნდა ამაყობდეს ტკივილით[8]: ყოველგვარი ტკივილი ჩვენი მაღალი დანიშნულების შეხსენებაა მხოლოდ“!... შესანიშნავია, არა? და ეს ნიცშემდე ოთხმოცი წლით ადრე ითქვა! თუმცა, ამჟამად სულ სხვა რამ მინდოდა მეჩვენებინა. მომითმინეთ, მომითმინეთ, აი, ის ადგილიც: „ადამიანთა უმრავლესობას არ სურს წყალში შესვლა, სანამ ცურვას არ ისწავლის“. მოსწრებული ნათქვამია, არა? რასაკვირველია, არ ნებავთ ცურვა, რადგან მათი დანიშნულება ხმელეთზე ყოფნაა! ჰოდა, თუკი ასეა, მაშინ რაღა გასაკვირია, რომ ადამიანებს აზროვნებითაც არ სურთ თავის შეწუხება. ადამიანი ამ ცხოვრებისთვის იმიტომ როდი შეუქმნია განგებას, რომ იაზროვნოს. ის, ვინც მიჩვეულია გონების ვარჯიშს და აზროვნებაში ხედავს ცხოვრების არსსა და დანიშნულებას, შესაძლოა, ერთხელ ფონსაც გავიდეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დასახრჩობადაა განწირული, რადგან ხმელეთს წყლის სტიქიონი ანაცვალა.

აი, ასე შემეიტყუა თავის ოთახში, დამაინტერესა და მეც ერთხანს შევყოვნდი მასთან. ამ დღის მერე საკმაოდ ხშირად მხვდებოდა და ხან კიბეზე, ხანაც ქუჩაში გამოველაპარაკებოდით ხოლმე ერთმანეთს. გამოგიტყდებით, პირველ ხანებში მეგონა, დამცინის-მეთქი. არაუკარიასთან ჩვენი შეხვედრის დროსაც ასეთი გრძნობა დამეუფლა, მაგრამ მერე მივხვდი, ასე რომ არ იყო. ტრამალის მგელი მართლა დიდ პატივს გვცემდა მეცა და არაუკარიასაც, მაგრამ საბრალოს ისე ღრმად გასჯდომოდა შეგნება საკუთარი მარტოსულობისა, ისე განემსჭვალა წყალში მოცურავე განწირული კაცის ფიქრებს, რომ ჩვეულებრივ ადამიანურ საქციელს ხშირად

აღტაცებაში მოჰყავდა ხოლმე. მაგალითად, საოცრად აღაფრთოვანებდა ის ამბავი, რომ ყოველდღიურად თავის დროზე მივდიოდი სამსახურში. ანდა გაცემული რჩებოდა, როცა ვინმე მსახური ან კონდუქტორი მოსწრებულ პასუხს გასცემდა. უმნიშვნელო ამბების ამგვარ შეფასებას თავდაპირველად სასაცილო გაზვიადებდა, ბატონკაცურ აზრებად თუ კეკლუც სენტიმენტალობად ვუთვლიდი, მაგრამ თანდათანობით დავრწმუნდი, რომ ჩვენს ციყქნა, დახშულ სამყაროს იგი ეულად მოარული მგლის თვალებით შეჰყურებდა იმ თავისი უჰაერო სივრციდან. მას უყვარდა და იტაცებდა ეს სამყარო, როგორც საიმედო რამ დასაყრდენი, შორეული და მიუწვდომელი, როგორც მშობლიური, უშფოთველი მხარე, რომლისკენ სავალი გზაც მისთვის საუკუნოდაა დახშული! ჩვენს ფუსფუსა დამლაგებელ ქალს ტრამალის მგელი მუდამ გულწრფელი პატივისცემით უხდიდა ხოლმე ქუდს. ვთქვით და, დეიდაჩემი გამოელაპარაკებოდა, შეახსენებდა, თქვენი თეთრეული დასაკემსია, ან კიდევ პალტოზე ღილი გწყდებათ, მიმაგრება უნდაო, ერთობ გულისყურითა და დინჯად მოუსმენდა, გეგონებოდა, მთელი არსებით ცდილობს ვიწრო ხვრელით შეაღწიოს იმ პაწია მყუდრო სავანეში და სულ ცოტა ხნით მაინც გაირინდოსო იქ. ჯერ კიდევ მაშინ, არაუკარიასთან ჩვენი პირველი საუბრისას, მან თავის თავს ტრამალის მგელი უწოდა. აჰ, ცოტა არ იყოს, გამაოცა და შემაცბუნა კიდევ. მართლაცდა, აბა რა თქმა იყო ეს?! მაგრამ მალე არამცთუ შევურიგდი და შევეგუე ამ მეტსახელს, გუნებაში ჩვენს მდგმურს მეც ტრამალის მგელს ვეძახდი. დღესაც ვერ წარმომიდგენია, სხვა რა სიტყვას შეეძლო ასე მოსწრებულად გამოეხატა ამ კაცის შინაგანი სამყარო. დიახ, იგი ჩვენს ქალაქებში, ჩვენს ჯოგურ ცხოვრებაში შემოხეტებული ტრამალის მგელი იყო. ეს სახელი ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემდა ამ კაცის მფრთხალ მარტოსულობასა და ველურ ბუნებას, მის მშფოთვარე სულს, მიუსაფრობასა და უთვისტომობას.

ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ სიმფონიურ კონცერტზე საშუალება მომეცა მთელი საღამო თვალი მედევნებინა მისთვის. ერთმანეთთან სულ ახლოს ვისხედით, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ტრამალის მგელს არ შევუმჩნევივარ. კონცერტი ჰენდელის ნაწარმოებით დაიწყო. დარბაზში მშვენიერი, ნარნარი ჰანგები იღვრებოდა, მაგრამ ტრამალის მგელი სრულიად გულგრილად იჯდა, ფიქრებში წასული ყურადღებას არ აქცევდა არც მუსიკას და არც გარშემომყოფთ. იჯდა ასე, გარე სამყაროს გამოთიშული, უცხო და ეული, ძირს დაეხარა გულგრილი, მაგრამ დარდიანი თვალები. მერე სხვა ნაწარმოების შესრულება დაიწყო. ეს იყო ფრიდემან ბახის პატარა სიმფონია. გაცემულმა შევამჩნიე, ჩემს ყარბს პირველსავე ტაქტებზე ღიმილმა გაუპო ბაგე და, მუსიკით მოჰადოებული, ფიქრებში ჩაიძირა. ათიოდ წუთი მაინც იქნებოდა ამ ნეტარ თავდავიწყებაში. აშკარად ეტყობოდა, ტკბილ ოცნებებს წაეღო. მუსიკას აღარ ვუსმენდი, უმეტესად მას ვადევნებდი თვალს. ნაწარმოები რომ დამთავრდა, ტრამალის მგელი გამოფხიზლდა, სავარძელში გასწორდა, თითქოს წამოდგომა და წასვლა დააპირა, მაგრამ არ ამდგარა, უკანასკნელი ნაწარმოების მოსასმენად მოემზადა. ამჯერად რეგერის ვარიაციები[9] უნდა შეესრულებინათ. ბევრს მისი მუსიკა მომქანცველად და გაჭიანურებულად მიაჩნია. ტრამალის მგელი თავდაპირველად ყურადღებითა და კეთილგანწყობით უსმენდა ხსენებულ ვარიაციებს, მაგრამ მალე გაითიშა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და კვლავ საკუთარ ფიქრებს მიეცა. აი, ამჯერად კი მის სახეზე აშკარად წაშლილიყო ნეტარების ყოველგვარი ნიშანწყალი და ზედ სევდისა თუ, ასე განსაჯეთ, სიავის ჩრდილიც კი

გადაჰფენოდა. ტრამალის მგელს ახლა ისევ განდგომილი მარტოსულის დაღი აჩნდა სახეზე, განაცრისფერებულიყო და ერთიანად ჩაფერვლილიყო. იფიქრებდით, ერთი დავრდომილი ბერიკაციაო.

კონცერტის მერე ტრამალის მგელს ქუჩაში მოვკარი თვალი და ფეხდაფეხ ავედევენე. პალტოში გახვეული, უხალისოდ მიაბიჯებდა ჩვენი უბნისაკენ. მაგრამ აი, ერთი წამით ძველებური ყაიდის პატარა სამიკიტნოსთან შედგა, ყოყმანით დახედა საათს და შევიდა. უცებ თავში დამკრა, მოდი, მეც შევყვები-მეთქი. როცა შევედი, უკვე პატარა მაგიდას უჯდა, დიასახლისი და მიმტანები შინაურულად ექცეოდნენ. მივესალმე და მის მაგიდას მივუჯექი. ერთ საათს ვისხედით ასე. სანამ ორ ჭიქა მინერალურ წყალს დავლევდი, ტრამალის მგელმა ჯერ ნახევარი ლიტრი წითელი ღვინო მოატანინა და გამოცალა, მერე მეოთხედიც დაამატებინა. საუბარი წამოვიწყე და ვთქვი, კონცერტზე ვიყავი-მეთქი, მაგრამ ლაპარაკში არ ამყვა. ჩემს ბოთლს რომ შეხედა, მკითხა, ღვინოს ხომ არ ინებებთ, მე გპატიჟებთო, მაგრამ, როცა გაიგო, არ ვსვამდი, სახეზე კვლავ უმწეობა აესახა და მითხრა:

– დიახ, მართალი ბრძანდებით. მეც წლობით ვიკავებდი თავს და ვმარხულობდი კიდეც, მაგრამ ამჟამად კვლავ მერწყულის ნიშნის ქვეშ ვიმყოფები[10]. ალბათ მოგეხსენებათ, რა ბნელი და სველი ნიშანია...

ნათქვამი ხუმრობაში გავუტარე და ვუთხრი, წარმოუდგენლად მიმაჩნია, ასტროლოგიის რაიმე გწამდეთ-მეთქი, მაგრამ მან ჩვეული თავაზიანობით, გულისმომკვლელად რომ მოქმედებდა ჩემზე, მიჰასუხა:

– სავსებით სწორი ბრძანდებით. სამწუხაროდ, მე ამ მეცნიერებისაც არფერი მწამს.

დავემშვიდობე და წამოვედი, ის კი შინ გვიან ღამით დაბრუნდა. სრულიად ფხიზელი კაცის ნაბიჯით შევიდა ოთახში, ჩვეულებისამებრ, მაშინვე არც ამჯერად დაწოლილა დასაძინებლად (ყველაფერი მშვენივრად მესმოდა, რადგან ჩვენი ოთახები გვერდიგვერდ იყო), დაახლოებით ერთ საათს მაინც იყო სასტუმრო ოთახში.

მერე კიდეც ერთი საღამო ჩამრჩა გონებაში. დეიდაჩემი სადღაც წავიდა და შინ მარტო დავრჩი. ვიღაცამ ზარი დარეკა. ჩემ წინ საოცრად ღამაზი ახალგაზრდა ქალი იდგა. ბატონი ჰალერი იკითხა თუ არა, მაშინვე ვიცანი. ამ ქალის სურათი ტრამალის მგელს კედელზე ეკიდა. სტუმარს ჰალერის კარზე მივუთითე და ოთახში შევბრუნდი. ქალი ერთხანს ზემოთ იყო, მერე გაცხოველებული მასლაათითა და მხიარული სიცილით ორივენი კიბეზე ჩამოვიდნენ და ქუჩაში გავიდნენ. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ ჩვენს განდეგილს სატრფოც კი აღმოაჩნდა, თანაც ასეთი ახალგაზრდა, ღამაზი და კოხტა. აი, ამის გამო იყო, რომ ყველა ჩემი მოსაზრება, რაც კი ამ კაცსა და მისი ცხოვრების თაობაზე გამაჩნდა, ჩემთვის კვლავ გამოცანად იქცა. ერთ საათსაც არ გაუვლია, ჰალერი მარტო მობრუნდა შინ. მძიმე, დაბორკილი ნაბიჯებით რის ვაივაგლახით აათავა კიბე, მერე რამდენიმე საათს ბოლთას სცემდა სასტუმრო ოთახში, ზუსტად ისე, ბუნაგში გამომწყვდეული მგელი რომ დაძრწის ხოლმე. თითქმის გათენებამდე ენთო შუქი მის ოთახში.

მე არაფერი ვიცი მათი ურთიერთობის შესახებ. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ამ ქალის გვერდით შემთხვევით ერთხელაც ვნახე ქუჩაში. ხელიხელგაყრილი

მოდიოდნენ, ტრამალის მგელს ბედნიერი კაცის სახე ჰქონდა. ისევ გავოცდი, როცა ვნახე, როგორი დიდი ხიბლისა და თითქმის ბავშვური მიაშიტობის გამოხატვა შეეძლო ამ კაცის განდგომილ, დაზაფრულ სახეს, და უყოყმანოდ გავუგე ამ ქალსაც და დეიდაჩემსაც, ტრამალის მგლის მიმართ ასეთ საოცარ გულისხმიერებას რომ იჩენდა. მაგრამ იმ საღამოსაც ნაღვლიანი და გასაცოდავებული დაბრუნდა შინ; კარებთან შევხვდი. როგორც დროდადრო სჩვეოდა ხოლმე, ამჯერადაც იტალიური ღვინის ბოთლი ეჭირა ხელში. მერე თავის ბუნაგში შუალამემდე წრუპავდა სასმელს. ცოდვა არ იყო, ღმერთმა ასეთი გაუხარელი, მიუსაფარი და გამწარებული ცხოვრება რომ არგუნა საბრალოს?! მაგრამ ახლა კი კმარა ამაზე, ისედაც გამიგრძელდა სიტყვა. მგონი, სავსებით გასაგებია, ტრამალის მგელი ასეთი ცხოვრებით როგორ ისწრაფებდა წუთისოფელს. მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ამ კაცს თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე მას მერე, რაც ასე მოულოდნელად, გამოუმშვიდობებლად მიატოვა ჩვენი ქალაქი. აქვე უნდა ვთქვა: რაც კი რამ ვალი ჰქონდა, ყველა გაისტუმრა და მერელა გაქრა. ამ დღიდან ტრამალის მგელზე აღარაფერი გვსმენია, მაგრამ მაინც ვინახავდით მის სახელზე მოგვიანებით მოსულ რამდენიმე ბარათს; თავად არაფერი დაუტოვებია, გარდა ხელნაწერისა, რომელიც ჩვენთან ცხოვრების დროს დაწერა. ზედ მიწერილი რამდენიმე სტრიქონიდან აშკარად ჩანდა, ხელნაწერს მე მიტოვებდა და შემეძლო იგი სურვილისამებრ გამომეყენებინა.

მერე და მერე ველარც კი შევამოწმე, თუ რამდენად მართალი იყო ამ ხელნაწერში აღწერილი ამბები. ეჭვგარეშეა, ამ თხზულებას პოეტური წარმოსახვა ჰქონდა საფუძვლად, მაგრამ მხოლოდ ცხოველი ფანტაზიის ნაყოფსაც არ წარმოადგენდა! ავტორი ცდილობდა, მის მიერ სულის სიღრმეში განცდილი, მკითხველამდე მიეტანა და ხილული ამბების სამოსელში გაეხვია. აქ მოთხრობილი ფანტასტიკური თავგადასავალი, როგორც ჩანს, ჰალერმა ჩვენთან ყოფნის უკანასკნელ ხანებში შექმნა. რასაკვირველია, მას ზოგიერთი ნამდვილი ამბავი უსწრებდა წინ. იმ ხანებში ჩვენს სტუმარს მართლაც საოცრად შეეცვალა საქციელიცა და გარეგნობაც. იშვიათად ვხედავდით, ხანდახან ღამესაც არ ათევდა შინ და მისი წიგნებიც ხელუხლებლად ელაგა. იმ ხანებში თითზე ჩამოსათვლელად თუ შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ მაშინვე თვალში გეცემოდა, რომ ტრამალის მგელი საოცრად იყო გაახალგაზრდავებული და გამოცოცხლებული, ასე განსაჯეთ, დროდადრო ბედნიერი კაცის სახეც კი ჰქონდა. მაგრამ მერე ისევ შეიპყრობდა ხოლმე უგუნებობა, მთელი დღე ლოგინში იწვა და საჭმელს პირს არ აკარებდა. აი, სწორედ მაშინ მოუხდა, შეიძლება ითქვას, სამკვდრო-სასიცოცხლო შეხლა-შემოხლა თავის სატრფოსთან, მოულოდნელად რომ გამოეცხადა საიდანღაც. ამ ამბავმა მთელი სახლი აღაშფოთა და ჰალერმა ამის გამო დეიდაჩემს მეორე დღეს პატიებაც კი სთხოვა.

არა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ტრამალის მგელი თავს არ მოიკლავდა. მჯერა, რომ იგი ჯერაც ცოცხალია. სადმე უცხო სახლის კიბეზე ალბათ ისევ მიათრევს დაღლილ ფეხებს, გაოცებული დასცქერის ფაქიზად მოვლილ არაუკარიებსა თუ სარკესავით მოპრიალებულ პარკეტს. დღეებს ბიბლიოთეკაში აღამებს, ღამეებს კი სამიკიტნოებში ათენებს, ანდა, ვინ იცის, იქნებ სადმე ტანტზეა გამოტილი და უსმენს ფანჯრებს მიღმა სიცოცხლის სუნთქვას, იცის, რომ გარიყულია ამ ცხოვრებიდან, მაგრამ მოსაკლავად მაინც ვერ გაუმეტებია თავი, რადგან გულში შემორჩენილი ნატამალი რწმენისა ჩასძახის, ბოლომდე, დიახ, ბოლომდე უნდა

გამოსცალოო ამ საშინელი ტანჯვით სავსე ფიალა და მხოლოდ ამის შემდეგ თუ გაიყრება შენი სული და ხორციო. ხშირად ვიგონებ ხოლმე ამ კაცს, თუმცა მას ჩემი ცხოვრება ოდნავადაც არ შეუმსუბუქებია. დიახ, ტრამალის მგელს არ გააჩნდა ის ძალა, ადამიანთა გულებში რწმენასა და სიხარულს რომ დაამკვიდრებდა. ო, არა, პირიქით! მაგრამ მე ტრამალის მგელი არა ვარ და ამიტომ მისეულ ცხოვრებასაც ვერ ვიგუებ, რადგან ჩემი საკუთარი, გამოზომილი, მოვალეობებით აღსავსე და უშფოთველი ცხოვრებით ვცხოვრობ. მე და დეიდაჩემი მშვიდად და მეგობრულად ვიხსენებთ ხოლმე ტრამალის მგელს. ეჭვი არ არის, დეიდას ამ კაცზე უფრო მეტის მოყოლა შეუძლია, მაგრამ ყველაფერს თავის კეთილ გულში იმარხავს.

ახლა ჰალერის ჩანაწერებზე მინდა მოგახსენოთ: ეს, ცოტა არ იყოს, ავადმყოფური, მაგრამ მშვენიერი და ღრმააზროვანი წარმოსახვის საოცარი ნაყოფი შემთხვევით რომ ჩამვარდნოდა ხელში და მისი ავტორის ვინაობა არ მცოდნოდა, რა თქმა უნდა, აღშფოთებით მოვისვრიდი გვერდზე; მაგრამ ჰალერთან ნაცნობობა დამეხმარა, ასე თუ ისე, ჩავწვდომოდი ამ ჩანაწერების არსს და სათანადოდ შემეფასებინა. თქმა არ უნდა, გაბედვით ვერ გავბედავდი დღის სინათლეზე გამომეტანა ეს ჩანაწერები, მასში მარტოოდენ ერთი ყარიბი და სულით ავადმყოფი კაცის წარმოსახვა რომ დამენახა. ჰალერის ნაწერებში გაცილებით მეტი რამ შევიცანი. მივხვდი, რომ ესაა მისი დროების საბუთი, რადგან ჰალერის სულით ავადმყოფობა – და ეს დღესდღეობით სავსებით ცხადია ჩემთვის – თავად იმ დროების სენია, ჰალერის თაობის ნევროზია. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ამ სენს უმწეო და არასრულფასოვანი ადამიანები კი არა, სწორედ რომ ძლიერები, გონიერები და ნიჭიერები დაუთრგუნავსო.

რა მნიშვნელობა აქვს, რამდენად სარწმუნო ამბები უდევს საფუძვლად ქვემოთმოყვანილ ჩანაწერებს. მთავარია, რომ ესაა ცდა, თავისი დროების მომაკვდინებელი სენი კი არ მიჩქმალოს და შეალამაზოს, არამედ მსჯელობის საგნად აქციოს.

ეს ჩანაწერები ჯოჯოხეთის გზაზე ფეხის შედგმას ნიშნავს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით; ესაა ხან შიშნარევი, ხან კი მამაცური სვლა ტრამალის მგლის მოქუფრული სულის ქაოსში, იმ მტკიცე განზრახვით, გამოიაროს ჯოჯოხეთის კარი, შეეჭიდოს ბნელეთის ძალებს და ბოლომდე შეიცნოს ტანჯვა-წამების უკიდევანობა.

ყოველივე ამის ახსნას ჰალერთან ერთი ჩემი საუბრით შევეცდები. მოხდა ისე, რომ ლაპარაკი შუა საუკუნეების სისასტიკეზე ჩამოვარდა; ჰალერმა მაშინ მითხრა:

– კაცმა რომ თქვას, აბა ეს რა სისასტიკე იყო?! შუა საუკუნეების ადამიანს ჩვენი დღევანდელი ყოფა აღაშფოთებდა და არამცთუ სასტიკი, შემზარავი და ველურიც კი მოეჩვენებოდა. ყველა დროებასა და კულტურას, ადათ-წესსა და ზნე-ჩვეულებას თავის დაღი აზის, მისთვის ჩვეული ღმობიერებითა თუ სიმკაცრით, სილამაზითა თუ სისასტიკით გამოირჩევა; ესა თუ ის დროება რაღაც ტანჯვას ბუნებრივად მიიჩნევს, რაღაც ბოროტება მისთვის დასათმენია, და ჭეშმარიტ ტანჯვად თუ ჯოჯოხეთად ადამიანის ცხოვრება მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ორი დროება, ორი კულტურა, ორი რელიგია შეეჯახება ერთმანეთს. ანტიკური ხანის ადამიანს შუა საუკუნეებში რომ ეცხოვრა, საბრალოს ისევე ამოხდებოდა სული, როგორც ჩვენს ცივილიზაციაში მოხვედრილ ველურს. მაგრამ არის ეპოქები, როცა მთელი თაობა

მოექცევა ხოლმე ორ დროებას, ორ ცხოვრებას შორის; აი, სწორედ მაშინ ისპობა მისთვის ყოველგვარი ადათ-წესი, მაშინ ქრება ბუნებრიობის, თავდაცვისა და უცოდველობის ყოველგვარი გრძნობა!

რა თქმა უნდა, ამას ყველა ერთნაირი ძალით ვერ შეიგრძნობს. ისეთმა ადამიანმა, როგორიც ნიცშეა, მთელი თაობით გაუსწრო თანადროულობას და ამრიგად, მისი დარდი და წუხილი ბევრად უფრო ადრე განიცადა. დღეს კი ათასობით ადამიანი ცხოვრობს იმ განცდებით, რაც განკიცხულმა ნიცშემ მარტოობაში გადაიტანა.

ჰალერის ჩანაწერების კითხვისას ხშირად მახსენდებოდა მისი ეს სიტყვები. იგი სწორედ ის ადამიანია, ორ დროებას შორის რომ მოექცა, დაკარგა თავდაცვის უნარი და უცოდველობის გრძნობა. იგი ერთი იმათგანია, ვისაც წილად ზვდა, პირად ტანჯვად, ჯოჯოხეთად შეეგრძნო ადამიანის მოდგმის მთელი უნიათობა.

იქნებ სწორედ ამ აზრითაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჰალერის ჩანაწერები და სწორედ ამან გადამაწყვეტინა მათი გამოქვეყნება. მაგრამ პირადად მე ამ ჩანაწერების არც დაცვას ვაპირებ და არც შეფასებას. დაე, თავად მკითხველმა ყველაფერი ისე განსაჯოს, როგორც ამას სინდისი უკარნახებს!

ჰარი ჰალერის ჩანაწერები

მხოლოდ შემოიღოთათვის[11]

ეს დღევ მიიღია. მიიღია უჩუმრად, როგორც საერთოდ სჩვევიათ ხოლმე დღეებს. ჩემი გულუბრყვილო, ლაჩრული ცხოვრების გადამკიდემ, ეს დღევ, როგორც იქნა, მოვახრჩვე და სული ამოვხადე. ერთხანს ვიმუშავე, გადავქეჩე ძველი წიგნები, მერე, მოგეხსენებათ ხანდაზმული კაცის ამბავი, ორიოდ საათს ტკივილები მტანჯავდა; ფხვნილი რომ დავლიე და ტკივილს ეშმაკობით ვაჯობე, გულს მომეფონა. ცხელ აბაზანაშიც ჩავწექი, სითბო საოცრად მეამა. დღეს ფოსტა სამჯერ მომიტანეს. გადავხედე ყველა უმნიშვნელო წერილს, გზავნილსა თუ ჟურნალ-გაზეთს, მერე სუნთქვითი ვარჯიშებიც ჩავიტარე. გონებრივ ვარჯიშებს კი, რაკილა სიზარმაცეს ველარ მოვერიე, სადღეისოდ მოვეშვი. ერთი საათით სასეირნოდ გავედი; ცას შევხედე. ქულა-ქულა ღრუბლების უჩვეულო ნახატი მეცა თვალში, ლამაზი და სიფრიფანა. ისეთი ნეტარი გრძნობა დამეუფლა, ძველი წიგნების კითხვისას ანდა თბილ აბაზანაში განცხრომის დროს რომ ეუფლება ხოლმე ადამიანს. კაცმა რომ თქვას, დღეს არაფერი მომხდარა უჩვეულო და გამორჩეული; ეს დღე არ ყოფილა ბედნიერებითა და სიხარულით გაცისკროვნებული – ჩემთვის ეს ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. კარგა ხანია ასეთ დღეებს შევეჩვიე და არაფრად ვაგდებდი. ეს გახლავთ მეტ-ნაკლებად საამო, სავსებით გასაძლიისი და უღიმღამო დღეები ცხოვრებით უკმაყოფილო კაცისა. ასეთ დღეს არავითარი ტკივილი არ გაწუხებს, არ გიპყრობს უჩვეულო რამ საფიქრალი, ჭეშმარიტი დარდი თუ სასოწარკვეთა. ასეთ დღეს მშვიდად დაფიქრდები და აუღელვებლად, საქმიანად აწონ-დაწონი, მეც ხომ არ მივმართო ადალბერტ შტიფტერის მაგალითს[12] და წვერის პარსვისას ყელი ხომ არ გამოვიღადროო?

მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ბევრად უფრო საშინელია დღეები, როცა ნიკრისის ქარი გტანჯავს, ან ისე აგტკივდება თავი, ლამის თვალის კაკლები გადმოგცვივდეს. ეს ის დღეებია, როცა ყოველგვარი გარჯა, რასაც გონების თვალი და გულისყური სჭირდება, ამ გარჯით გამოწვეული სიხარული ჯოჯოხეთურ ტანჯვად გადაიქცევა ხოლმე. ადამიანს ცხოვრებაში ხშირად აქვს სულიერი კვდომის, გამოფიტვისა და სასოწარკვეთის შავბნელი დღეები, როცა აქციონერული საზოგადოებებისგან იავარქმნილ და წვენგამოცლილ მიწაზე ადამიანთა მოდგმა და ეგრეთ წოდებული კულტურა გულს გირევს თავისი ყალბი, იაფფასიანი და მოჩვენებითი ბრჭყვიალებით, ბოლოს კი ეს ყველაფერი ერთმანეთს გადაეჭდობა და უიმედობის მწვერვალს ჩვენს სნეულ სულში აღწევს. ჰოდა, ვინც კი საკუთარ თავზე იწვნია მსგავსი ჯოჯოხეთური დღეები, ძალიან კმაყოფილი უნდა დარჩეს ამდღევანდელივით ჩვეულებრივი, ნახევრის ნახევრული დღით; ასეთი კაცი მაღლიერების გრძნობით მიუჯდება აგიზგიზებულ ბუხარს, თვალს გადაავლებს დილის გაზეთს და კმაყოფილებით გაიფიქრებს: აი, დღესაც არსად უფეთქია ომის ხანძარს, არ დამყარებულა ახალი დიქტატურა, არ გამოაშკარავებულა უჩვეულო ღორობა პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში. მერე ეს კაცი სასოებით ააწყობს თავის ჟანგმოკიდებულ ქნარს მოკრძალებული, ზომიერად სასიხარულო, ლამის მხიარული სამადლობლო ფსალმუნის საგალობლად, რომლითაც იგი მოწყენილობას ჰგვრის თავის ბრომით ოდნავ გაბრუებულ, კმაყოფილების ნახევრის ნახევრულ ღმერთს. ამ მაძღრისი მოწყენილობით, ამ საოცრად მაღლიერი უტკივარობით დახუთულ ჰაერში ეს ეულად თვლემამორეული ნახევრის ნახევრული ღმერთიცა და ნახევრის ნახევრული ადამიანიც, ელდანაცემი რომ გალობს ჩუმ ფსალმუნს, ტყუპის ცალივით ჰგვანან ერთმანეთს.

დიდებული რამაა კმაყოფილებისა და უტკივრობის გრძნობა, ერთიმეორეზე მიჯრილი გასაძლისი დღეები, როცა ტკივილიცა და სიხარულიც მიყუჩებულა და ვერ ბედავს თავის წამოყოფას, როცა ორივე ჩურჩულით ამბობს სათქმელს და თითის წვერებზე დაიპარება. მაგრამ მთელი ჩემი უბედურება ისაა, რომ სწორედ ეს კმაყოფილება მაგიჟებს და ამომდის ყელში. აი, მაშინ კი, სასოწარკვეთილი, სხვა სითბურ სარტყელებში ვეძებ გასაქცევ გზას. ვცდილობ, სიხარული ან, უკიდურეს შემთხვევაში, ტკივილი გავიხადო მეგზურად. საკმარისია სულ ცოტა ხანს ვიცხოვრო სიხარულისა და ტკივილის გარეშე, შევისუნთქო, ეგრეთ წოდებული ბედნიერი დღეების დახუთული ჰაერი, რომ ჩემი ბალღური სული კვლავ აივსება უიმედო სევდით; მზად ვარ მაღლიერების ჟანგმოკიდებულ ჩანგი მაძღარ სახეში ვესროლო კმაყოფილებით მთვლემარე ღმერთს და ჯანსაღი ჰაერით სავსე ოთახში ყოფნას ჯოჯოხეთური ტკივილის განცდა ვამჯობინო. აი, ამ დროს მიპყრობს ხოლმე მძაფრი გრძნობების, გონებისამრევი განცდების ველური ჟინი; საშინლად მაბრაზებს ეს უნიათო, წვრილმანი, გამოწონილი, სტერილური ცხოვრება და, დაუოკებელი სურვილი მიჩნდება დავანგრიო, ნაცარტუტად ვაქციო ყველაფერი, რაც კი ხელში მომხვდება, ტაძარი იქნება ეს თუ საკუთარი თავი, ჩავიდინო საშინელი სისუღელე, ნიღბები ჩამოვგლიჯო ცაში აყვანილ კერპებს, ჰამბურგში წასასვლელი ნანინანატრი ბილეთები ვუშოვო თავზე ხელაღებული მოწაფეების ბრბოს, ნამუსი ავხადო რომელიმე გოგოს ანდა კისერი მოვუგრიხო ბიურგერული ყოფის მავან ტრფიალს, რადგან დღენიადაგ დაუძინებელი მტერი ვიყავი და მძულდა ეს კმაყოფილება, ჯანის სიმრთელე, სიმყუდროვე და ხელიხელსაგოგმანები ოპტიმიზმი, მძულდა

ყველაფერი უფერული, გამოწონილი, ნახევრის ნახევრული.

და აი, შებინდების ჟამს ამ გუნება-განწყობით მოვახრჩვე ეს უღიმღამო დღეც, მაგრამ ვერ ვიტყვოდი, ამ ჩვეულებრივმა დღემ ავადმყოფ კაცს რაიმე შეღავათი მომცა-მეთქი. დიახ, დასაწოლად ვერ მაცდუნა სათბურით გაღულუნებულმა, გაშლილმა ლოგინმა. დღისით ცოტა წავიმუშავე, თუმცა ეს სამუშაო უკვე ყელში მქონდა ამოსული და არავითარ სიამოვნებას აღარ მანიჭებდა. უხალისოდ ჩავიცვი ფეხსაცმელი, გავეხვია პალტოში და ბნელითა და ნისლით მოცულ ქალაქში გავედი. მინდოდა სასტუმრო „ფოლადის მუზარადში“ [13] რამე დამეღია, მსმელი ხალხი ათადან და ბაბადან „ერთ ჭიქა ღვინოს“ რომ ეძახის.

ასე და ამრიგად, დავუყევი ჩემი მანსარდის კიბეს, ამ უაღრესად წესიერი, შემოსავლიანი სამბინიანი სახლიდან უცხო ქვეყნისკენ გადებულ ეგრერიგად ძნელად სავალ გზას; ბინაც ხომ ამ დაწმენდილ-დაკრიალებული ბიურგერული სახლის სხვენზე მქონდა დადებული! არ ვიცი, რა არის მიზეზი იმისა, რომ მე, უთვისტომო ტრამალის მგელი, ხელს არ ვაკლებ მცდელობას, ყველაზე უფრო ბიურგერულ ოჯახებში დავიდო ბინა. ოდითგანვე ასე მომდევს რჯულად. დიახ, თავშესაფარს არც სასახლეებში ვეძებ და არც ბოგანოთა სახლებში და სწორედ ამ უწესიერეს, ყველაზე მოსაწყენ, შესაშური რუდუნებით მოვლილ ბიურგერულ ბუდეებს ვეტანები, სადაც სკიპიდრისა და საპნის სუნი ტრიალებს, სადაც გზაფრავს კარის ყოველი გაჯახუნება და გული გიკანკალებს, თუ სახლში ტალახიანი ფეხით მოგიხდა შესვლა. აქ გამეფებული განწყობილება მართლაც ბავშვობიდანვე მიყვარს. რაღაც მშობლიურისადმი იდუმალი ლტოლვა ისევ და ისევ უიმედოდ დამატარებს ამ ძველი, სულელური გზებით; დიახაც მომწონს ეს განსხვავება ამ ჩემს ეულ, სიყვარულს დანატრებულ, სვეგამწარებულ, საოცრად უწესრიგო ცხოვრებასა და ბიურგერულ, ოჯახურ ყოფას შორის. მიყვარს, კიბეზე რომ შევისუნთქავ ხოლმე სიწყნარის, წესრიგის, სისუფთავის, კოპწიაობისა და ლაგამამოდებული სურვილების სურნელს. ამ სურნელში არის რაღაც გულისამაჩუყებელი, მიუხედავად იმისა, რომ მძაგს ყოველივე ბიურგერული; მაგრამ მაინც მიყვარს, როცა ამის მერე ჩემი ოთახის ზღურბლს გადავაბიჯებ და ყველაფერი გარეთ, ჩემ მიღმა რჩება; აქ დახვავებულ წიგნებს შორის სიგარის ნამწვავები და ღვინის ბოთლები ყრია. აქაურობისათვის მყუდროება, დიახაც, უცხო ხილია. ჩემს სადგომში ყველაფერი არეულ-დარეულია; წიგნებს, ხელნაწერებსა თუ აზრებს მარტოსულობის ბეჭედი აზის, ყოველივე განმსჭვალულია ტანჯვით, ადამიანური ყოფის უმძიმესი კირთებით, უაზრობად ქცეული ცხოვრების ხელახალი გააზრების კაეშნით.

აი, გვერდით ჩავუარე არაუკარიას. ამ სახლში კიბეზე რომ ჩამოვდივარ, მეორე სართულზე ერთი ბინის წინ მიხდება ხოლმე გავლა. არ შეიძლება კაცს თვალში არ ეცეს, რომ დერეფანი აქ გასაოცარი სასოებითაა დაგვილ-მორეცხილი და უჩვეულოდ ბზინავს; ეს ადგილი წესრიგის პატარა მოციმციმე ტაძარია. პარკეტის იატაკზე, ფეხის დადგმის რომ გეშინია, ორი მომცრო, კოხტა სკამი დგას. ორივეზე ყვავილის დიდი ქოთნებია შემოდგმული. ერთში იელი ხარობს, მეორეში კი – საკმაოდ ლამაზი არაუკარია. ამ ჯანსაღი, ტანწერწეტა, თავისებურად ნატიფი პატარა ხის თითოეულ ტოტსა თუ წიწვს სისუფთავისგან ლაპლაპი გაუდის. ხანდახან, როცა ვიცი, ვერავინ დამინახავს, ამ ადგილზე შევჩერდები ხოლმე და ისეთი გრძნობა შემიპყრობს, თითქოს ტაძარში მოვხვდი. ჩამოვჯდები არაუკარიების შორიახლოს, კიბეზე,

მლოცველივით გულხელდაკრეფილი ცოტას დავისვენებ, მერე კი ნეტარებით დავცქერო წესრიგის ამ პაწია სავანეს და მთელი არსებით მონუსხული და გულაჩუყებული ვრჩები მისი სასაცილო სიმარტოვითა და უბრალოებით. დერეფნის მიღმა კი, თითქოს იდუმალ საბურველქვეშ, წითელი ხის ათინათით გაკაშკაშებულ ბინას ვხედავ; იმ ბინაში წესრიგი და ჯანსაღი ცხოვრება მეფობს, ადამიანები დილაადრიათ დგებიან, აკეთებენ თავთავიანთ საქმეს, მზიარულობენ, ზეიმობენ ოჯახურ დღესასწაულებს, კვირაობით ეკლესიაში დადიან და ადრე წვებიან დასაძინებლად.

მოჩვენებითი სიმხნევით მივაბიჯებდი ქუჩაში. ქუჩის ლამპიონები თითქოს ცრემლისაგან გამლღვალი თვალებით იმზირებოდნენ და უღიმღამო ანარეკლს გამოსძალავდნენ სველ ასფალტს.

უცებ გარდასული სიჭაბუკის წლები გამახსენდა: როგორ მიყვარდა მაშინ გვიანი შემოდგომისა და ზამთრის მოქუფრული, პირქუში საღამოები, რა ხარბად და თავდავიწყებით ვეძლეოდი მარტოობისა და სევდის განცდას, როცა პალტოში გახვეული, ლამის მთელი ღამე დავხეტებოდი წვიმასა და ქარში, მთელი არსებით ვერწყმოდი ამ მტრულად მომზირალ, ფოთლებშემოძარცვულ ბუნებას! ჩემს მარტოსულობას იმხანადაც ვგრძნობდი, მაგრამ მაინც ნეტარი განცხრომით ვიყავი აღსავსე, აღსავსე ვიყავი ლექსებით, სინათლის შუქზე ქაღალდზე რომ გადამიტანია საწოლის კიდეზე ჩამომჯდარს! დიახ, დრომ წარიტაცა ყოველივე. ეს ფიალაც გამოიცალა და მერე აღარც შევსებულა. ნუთუ სინანულმა შემიპყრო? არა, სანანებელი არაფერი მქონდა. მე მხოლოდ ჩემი დღევანდელობა მენანებოდა. მენანებოდა თმენაში დაკარგული უთვალავი დღე თუ საათი, რომელსაც არც რამით დავუსაჩუქრებდნარ და არც ჩემი სული შეუძრავს. თუმცა, მადლობა ღმერთს, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც მქონია ისეთი საათები, როცა ბედნიერება სანუკვარი სტუმარივით მწვევია, ღელვით შემოჭრილა ჩემს სულში, გაუნგრევია კედლები და გზაკვალარეულისთვის კვლავ უგრძნობინებია სამყაროს ცხელი სუნთქვა. სევდით აღვსილმა და აღელვებულმა გონება დავძაბე, მინდოდა გამეხსენებინა, უკანასკნელად როდის მქონდა მსგავსი განცდა. გავიხსენე: კონცერტზე ვიყავი, მშვენიერ ძველებურ მუსიკას უკრავდნენ; როცა ხის ჩასაბერმა საკრავებმა ორ ტაქტს შორის პიანოთი გადმოსცეს ბგერათა დიდებულება, კვლავ გაიხსნა ჩემი ზღაპრული სამყაროს კარი, ცაში კამარა შევკარი და, აი, ვიხილე ღმერთი მუშაკობისას, შევიგრძენი ნეტარი ტკივილი, და ქვეყნად უკვე აღარაფერს ვეძებოდი, აღარაფრისა მეშინოდა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი და ყველაფრისთვის ღია მქონდა გულისკარი. ცოტა ხანს, სულ რაღაც მეოთხედ საათს გაგრძელდა ეს განცდა, მაგრამ იმავე ღამით ძილში კვლავ დამეუფლა. მას მერე დროდადრო მალულად გაიკიაფებდა უხალისო დღეების მიღმა. რამდენიმე წამს აშკარად ვხედავდი, ეს განცდა ოქროსფრად მოსირმულ, ღვთიურ ბილიკად როგორ მიუყვებოდა ჩემს ცხოვრებას. იგი თითქმის ერთთავად ტალახითა და მტვრით იყო დაფარული, მაგრამ შიგადაშიგ კვლავ გაიკიაფებდა მისი ოქროსფერი ათინათი და იმწუთას მწამდა, აღარასოდეს დამეკარგება-მეთქი; ათინათი კი მალევე მიეფარებოდა თვალს და გაუჩინარდებოდა. ერთხელ, ღამით, ძილგატეხილს, უეცრად ლექსები ამომიტივტივდა თავში, იმდენად მშვენიერი და საოცარი, რომ აზრადაც არ მომსვლია მათი ქაღალდზე გადატანა. დილით აღარაფერი მახსოვდა, მაგრამ სულს მაინც ნაჭუჭში ჩაჭედული კაკლის ლებნებით ჩაებეჭდა ისინი.

ხანდახან მსგავსი განცდა მეუფლებოდა, როცა რომელიმე პოეტის ლექსებს ვკითხულობდი, ანდა დეკარტისა თუ პასკალის რომელიმე აზრი ჩამაფიქრებდა; ხან კი სატრფოსთან ყოფნისას ჩირაღდანით აკიაფდებოდა ეს ოქროსფრად მოსირმული ბილიკი და კვლავ ზეცისკენ მეწეოდა. ვაი, რომ ძნელი ყოფილა ამ ბილიკის პოვნა ცხოვრების იმ ორომტრიალში, ბედმა რომ გვარგუნა. ასეთ მოყირჭებულ, ბიურგერულ, სულით დაცლილ დროებაში ძნელად თუ დაინახავ მას, ძნელად თუ შეამჩნევ მის ღვთაებრივ ციმციმს ამ არქიტექტურის, პოლიტიკისა და ადამიანების გადამკიდე. ჰოდა, აბა, როგორ არ ვიქნები ტრამალის მგელი და საცოდავი ყარიბი იმ სამყაროში, რომლის არც ერთ მიზანსა და სიხარულს არ ვიზიარებ?! დიდხანს ვერ ვჩერდები თეატრსა და კინოში, ვერ ვკითხულობ გაზეთებს, იშვიათად ვეტანები თანამედროვე წიგნებს, ვერ გამიგია, რა სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს რკინიგზის სადგურების ღრიანცელი, ხალხით გავსებული სასტუმროები და კაფეები, სადაც სულისშემზუთველი, მომაბეზრებელი მუსიკა გრიალებს. არ მესმის, რას პოულობენ დიდებული ქალაქების ბარებსა და ვარიეტებში, მსოფლიო გამოფენებზე, სეირნობებზე, ცოდნისმოყვარულთა მოხსენებებზე, სტადიონებზე; არ შემიძლია განვიცადო და გავიზიარო ის სიხარული, ჩემი ხვედრიც რომ შეიძლება ყოფილიყო, რისკენაც ათასობით ადამიანი ილტვის და ისწრაფვის. იმას, რასაც ბედნიერების წუთებში განვიცდი, რაც უჩვეულო აღმაფრენით მავსებს და ნეტარებას მანიჭებს, ადამიანები მხოლოდ პოეზიაში თუ იპოვიან ხოლმე, ცხოვრებაში კი ეს ყველაფერი სიგიჟედ მიაჩნიათ. მართლაცდა, თუკი ამქვეყნად სიმართლე იმ ადამიანების მხარეზეა, კაფეში მგრგვინავ მუსიკას, მასობრივ გართობებსა და ამერიკულ კულტურას რომ ეტანებიან და სულ მცირედიც აკმაყოფილებთ, მაშასადამე, მე ვყოფილვარ მტყუანი და შეშლილი, მაშასადამე, მართალი ვყოფილვარ, საკუთარი თავი ტრამალის მგლად რომ შემირაცხავს, სწორედ მე ვყოფილვარ ამ უცხო და შეუცნობელ სამყაროში გზაკვალარეული ნადირი, რომელიც ველარც სამშობლოს იპოვის, ველარც სიხარულსა და ველარც სარჩოს.

ამ ფიქრებით შეპყრობილი მივაბიჯებდი სველ ასფალტზე ქალაქის ერთ-ერთ ძველსა და წყნარ უბანში. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სიბნელეში, რუხი ქვის ძველი გალავანი იყო აღმართული. ყოველთვის მიყვარდა ამ გალავნის ცქერა, ასე უდარდელად რომ იდგა პატარა საყდარსა და ძველ ლაზარეთს შორის.[14] დღისით ხშირად შევასვენებდი ხოლმე თავს მისი ოკრობოკრო ზედაპირის ჭვრეტაში. ასეთი წყნარი, მიმზიდველი და მიყუჩებული ადგილი ცოტა თუ მეგულებოდა ქალაქის შუაგულში, სადაც ყოველ ნაბიჯზე თავის ვინაობას ლამის კივილით გამცნობს მაღაზიის მეპატრონე, ვეჭილი თუ გამომგონებელი, დალაქი და პედიკიურის ოსტატი. ახლაც ვხედავდი, როგორ გარინდულიყო ძველი გალავანი სიჩუმესა და სიმშვიდეში, და მაინც რაღაც უჩვეულო მენიშნა; უეცრად შუა კედელში თაღით შემკული პატარა, ლამაზი ჭიშკარი შევამჩნიე. ამან, ცოტა არ იყოს, დამაბნია, რადგან დაბეჯითებით აღარ მახსოვდა, ეს ჭიშკარი ადრეც იყო აქ თუ ახლახან გაჩნდა. ისე კი, აშკარად ეტყობოდა, ძველისძველი უნდა ყოფილიყო; ხის ეს მრუმე, დაგმანული ჭიშკარი ალბათ საუკუნეების მანძილზე მონასტრის მიყრუებულ ეზოში გადიოდა, შესაძლოა დღესაც მიუძღოდა იქით ბილიკს, თუმცა მონასტრისგან უკვე აღარაფერი დარჩენილიყო. ვინ იცის, იქნებ ეს ჭიშკარი უკვე ათასჯერაც მინახავს და ყურადღება არ მიმიქცევია?! იქნებ ახლახან გადაღებეს და ამიტომაც მეცა თვალში?! ასეა თუ ისე,

ნაბიჯი შევანელე და ყურადღებით დავაკვირდი, მაგრამ გზის გადაღმა არ გადავსულვარ: ქუჩა ერთიანად ატალახებული იყო. ტროტუარზე ვიდექი და ჭიშკარს ვუცქერდი, მაგრამ ამასობაში ჩამოხვდნენ და მომეჩვენა, თითქოს ჭიშკარი გარშემო გვირგვინითა თუ ჭრელი სამკაულით მოეწნათ; კარგად რომ დავაკვირდი, ჭიშკრის თავზე მოკიაფე ფირნიში შევნიშნე, რომელზეც, ეტყობოდა, რაღაც ეწერა. ლაფისა და ტალახის მიუხედავად, მაინც გადავედი გზის მეორე მხარეს. ჭიშკართან აღმართული სიძველისგან ჩარუხებულ-ჩამწვანებულ გალავანზე ახლა მკრთალად განათებული ადგილი დავინახე, სადაც მარდად დახტოდნენ ჭრელაჭრულა ასოები; ისინი ხან გაქრებოდნენ, ხან ისევ გამოჩნდებოდნენ და კვლავ იწყებდნენ როკვას. გავიფიქრე: „ერიკა, ეს მშვენიერი ძველი გალავანიც წაუბილწავთ შუქრეკლამით-მეთქი“. ამასობაში ფირნიშზე რამდენიმე სიტყვამ გაიელვა. გამიძნელდა მათი გარჩევა, უფრო აზრით თუ მიხვდებოდა კაცი მათ მნიშვნელობას. სხვადასხვა ზომის ასოები ძალიან მკრთალად, გაურკვევლად იწერებოდა და ასევე სწრაფად ქრებოდა. კაცი, რომელსაც ამ საქმით ფულის გაკეთება გადაეწყვიტა, დიდი მარიფათით ვერ დაიკვებნიდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს საბრალოც ტრამალის მგელი იყო. მაშ რატომ ააცეკვა ეს ასოები ასეთ დროს, აქ, ამ გალავანზე, ძველი ქალაქის ყველაზე ბნელსა და მიყრუებულ შუკაში, თანაც წვიმიან ამინდში, როცა აქეთ კაციშვილი არ შემოუხვევს? ან რატომ იყო ეს ასოები ასე ფარფატა, ჰაეროვანი, თავნება და გაურკვეველი?

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე ზედიზედ რამდენიმე სიტყვის გარჩევა და აი, რა ამოვიკითხე:

„მაგიური თეატრი.[15]

ყველას არ შეესვლება.“

– ყველას არა!

შევცადა ჭიშკარი შემეღო; რაც ძალი და ღონე მქონდა, მივაწეკი, მაგრამ ძველი, მძიმე სახელური ვერ დავიმორჩილე. დანადვლიანებული ასოები, თითქოს ჩახვდნენო თავიანთი უბადრუკი როკვის ამოებას, უეცრად მიყუჩდნენ. რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე და ღრმად ჩავეფალი ტალახში. ასოებისთვის თვალი აღარ მომიკრავს, მათი როკვა შეწყდა. დიდხანს ვიდექი, ასოების გამოჩენას ვუცდიდი, მაგრამ ამაოდ. იმედი რომ გადამეწურა და ისევ ავედი ტროტუარზე, ჩემ წინ უცებ რამდენიმე ფერადი ასო აკიაფდა, ასფალტზე აირეკლა და თვალი შევასწარი წარწერას:

«მხოლოდ შემ-ლილ-თა-თვის!»

ფეხები დამისველდა, სიცივე ძვალსა და რბილში გამიჯდა, მაგრამ მაინც კარგა ხანს ვიდექი აქ. ვიდექი და მოლოდინში გართული ვფიქრობდი, რა ლამაზად ირეკლება-მეთქი ჭრელად მოკიაფე ასოების შუქი სველ გალავანსა და შავად მოლაპლაპე ასფალტზე. მერე კვლავ წამიღო ძველმა ფიქრებმა, თავში კვლავ გამიელვა იმ ოქროსფრად მოსირმულმა მოციმციმე ბილიკმა, მოულოდნელად რომ გაუჩინარდებოდა და სიშორეში შთაინთქმებოდა ხოლმე.

სიცივისგან გათოშილმა გზა გავაგრძელე. ოქროსფრად მოსირმულ ბილიკზე ოცნებამ

წამიღო. დანადვლიანებული ვფიქრობდი იმ მაგიური თეატრის შესასვლელზე, მხოლოდ შეშლილთათვის რომ იყო ღია. ამასობაში ბაზართან გამოვედი. საღამოობით აქ გასართობი ადგილების ნაკლებობას ვერ დაიჩივლებდა კაცი. აფიშები და წარწერები ყოველ ნაბიჯზე ეკიდა და რას არ სთავაზობდა გამვლელ-გამომვლელს: ქალთა კაპელას, ვარიეტეს, კინოს, ცეკვებს, მაგრამ საჩემო ვერაფერი აღმოვაჩინე. აქ ყველაფერი „ყველასათვის“, ანუ ნორმალური ადამიანებისთვის იყო და ისინიც შესასვლელებთან ირეოდნენ. გულზე შემოწოლილი ნაღველი თანდათანობით მაინც გამეფანტა, ვიგრძენი იმ უცხო, ჩემ მიღმა არსებული ქვეყნიდან გამოგზავნილი სალმის ძალა; ფერადი ასოები როკვა-როკვით იჭრებოდა ჩემს სულში და მის იდუმალ სიმებს არხევდა; ოქროსფრად მოსირმული ბილიკის ათინათი კვლავ ნათლად ამიკიაფდა თვალწინ.

ადამისდროინდელ ერთ პატარა სამიკიტნოში შევედი. ამ ქალაქში პირველად რომ ჩამოვედი, მას მერე არაფერი შეცვლილიყო აქ, დიასახლისიც ძველი დამხვდა. მუშტრებიც ძველებურად მოკალათებულიყვნენ ამოჩემებულ მაგიდასთან და სასმელს შეექცეოდნენ. დიახ, ეს უბრალო სამიკიტნო იყო ახლა ჩემი ნავსაყუდელი, თუმცა აქაც ისევე ვერ ვიპოვიდი ხსნას, როგორც იქ, კიბეზე, არაუკარიასთან, რადგან არც აქ მეგულებოდა სამშობლო და თანამოაზრეები. აქაც მხოლოდ უბრალო მაყურებელი ვიყავი, მყუდროდ რომ მოიკალათებს სცენის სიახლოვეს, სადაც უცხო ადამიანები უცნობ პიესებს თამაშობენ. მაგრამ მაინც რა ძვირად მიღირდა ეს მყუდრო სავანე! აქ ხალხი არ ირეოდა, არ იყო გნიასი, არ უკრავდა მუსიკა. თითო-ოროლა კაცი წყნარად მისჯდომოდა სუფრაგადაფარებულ ხის მაგიდებს (მარმარილო, მინანქარი, ხავერდი და თითბერი აქაურობისთვის უცხო რამ ხილი იყო). წინ ყველას სასმელი ედგა; ძელგი, დავარგებული ღვინო. იქნებ ამ სამიკიტნოს მუშტრები, სახით აგრერიგად რომ მეცნობოდნენ, ფილისტერები იყვნენ, იქნებ იმ თავიანთ ფილისტერულ სახლებში მათაც ჰქონდათ აღმართული შინაურული საკურთხევლები კმაყოფილების გონებაჩლოუნგი კერპებისათვის, შესაძლოა ისინიც ჩემსავით ეული, გზაკვალაბნეული ლოთი-შფოთი ბიჭები იყვნენ, მშვიდად და დაფიქრებით რომ კლავდნენ ღვინოში თავიანთ გაკოტრებულ იდეალებს. იქნებ მათ სულშიც ჩაებუდებინა ტრამალის მგელს?! იქნებ თითოეულ მათგანს აქეთ უსაგნო სევდა, იმედგაცრუება თუ რაღაცის შეცვლის სურვილი ექაჩებოდა! ცოლ-შვილის პატრონი კაცი აქ უწინდელი მარტოხელა ცხოვრების დროინდელ განწყობას ეძებდა, მოხუცი მოხელე – თავისი სტუდენტური წლების გამოძახილს; ამ სიტყვაძუნწ მსმელებს, ჩემი არ იყოს, ქალთა კაპელის მოსმენას, ერჩივნათ ელზასური ღვინით სავსე ბოთლი სდგმოდათ წინ და, მეც სწორედ აქ ჩავუშვი ღუზა. აქ ერთხანს დროსაც მოკლავდა კაცი. ელზასური ღვინო მოვსვი თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, რომ დილას აქეთ ლუკმა არ ჩამედო პირში.

საოცარია, რისი მონელება აღარ შეუძლია ადამიანს! ათიოდე წუთი გაზეთი ვიკითხე; მზერას ვძაბავდი და ჩემს ტვინს ვიღაც რეგვენს ვაჭყლეტინებდი. ეს რეგვენი კი ჯერ ცოხნიდა და ცოხნიდა სხვის სიტყვებს, მერე გადაუმუშავებლად ისევ უკან ამოარწყევდა.

ასე გადავყლაპე გაზეთის მთელი სვეტი. მერე კაი მოზრდილ ღვიძლის ნაჭერს გაეხელით, დაკლოული ხბოს ფაშვიდან რომ ამოეჭრათ. მაგრამ ყველაფერს მაინც ელზასური მერჩივნა. მართალი გითხრათ, არ მიყვარს მაგარი ღვინოები,

თავისებური გემო რომ დაჰკრავს და თავშიც რომ უცებ აგვივარდება. მე უბრალო, მსუბუქი და კამკამა, სოფლური ღვინის მოყვარული გახლავართ. ასეთი ღვინო დიდი სახელით ვერ დაიკვეხნის, სამაგიეროდ, კარგად ისმევს, ბლომდაც დაღევ და მის გემოში სოფლისა და მიწის, ცისა და ტყის საამო სურნელსაც იგრძნობ. ერთ ჭიქა ელზასურ ღვინოსა და გემრიელი პურის ნაჭერზე უკეთესს, აბა, რას ინატრებს კაცი?! ერთობ სიამოვნებით გეახელით ღვიძლი, რადგან ხორცს დიდად არ ვეტანები. ჭიქა ხელახლა შევავსე. განა ესეც საოცრება არ იყო?! სადღაც ამწვანებულ ზვრებში კაცის მარჯვენას ყურძენი მოეწია და ღვინო დაეწურა, რომ ამ დალოცვილ მიწაზე ვიღაც იმედგაცრუებულ ლოთებსა და ტრამალის მგლებს ღვინით სავსე ფიალები მოეყუდებინათ, მხნეობა მისცემოდათ და კარგ გუნებაზე დამდგარიყვნენ. დიახ, მართლაც საოცრება იყო, რომ ეს ღვინო ასე ელამუნებოდა სულს და ასეთ ხალისიან გუნებაზე მაყენებდა! ნელ-ნელა გამოვცოცხლდი. საგაზეთო სტატიის სიტყვების დომხალმა ბოლოს მაინც მომგვარა შვების სიცილი და მოულოდნელად კვლავ პიანოთი შესრულებული ის მივიწყებულები ჰანგი გამახსენა. ეს ჰანგი საჰნის პაწია ბუშტივით ამომიციმციმდა სულში, მთელი ეს ფერუხვი სამყარო დაპატარავებულად აირეკლა და კვლავ ლივლივით გაქრა. მაშ, რატომ უნდა ჩამეთვალა ჩემი თავი დაღუპულ კაცად, როცა ვხედავდი, რომ ამ პატარა ღვთაებრივ ჰანგს სულში გაედგა ფესვები და თავისი ზღაპრული ყვავილი უეცრად ისევ გაეშალა? მაგრამ დაე, მრქმეოდა გზაკვალარეული ნადირი, დაე, ვყოფილიყავი არიფი ცხოვრებისა, რომლის მორევშიც ვტრიალებდი; მე მაინც ვხედავდი აზრს ამ სულელურ არსებობაში, ჩემს სულში რაღაც ეხმიანებოდა მიღმა სამყაროდან მოღწეულ შორეულ ძახილს, იჭერდა მას და გონებაში უთვალავ სურათს ბადებდა:

ჰადუას პატარა ეკლესიის ცისფერი თაღიდან ჯოტოსეული ანგელოზების დასები[16] გამოემართნენ. იქვე ჰამლეტი და გვირგვინით თავშემკული ოფელია მოაბიჯებდნენ – ამქვეყნიური კაემნისა და გაუგებრობის სიმბოლო. გავარვარებულ საჰაერო ბურთში ჩამდგარიყო და ბუკსა და ნაღარას სცემდა ჰაერნაოსანი ჯანოცო[17]. ატილა შმელცეს[18] ხელში ეჭრა თავისი ახალი ქუდი, ზეცაში აჭრილიყო ბორობუდურის[19] ქანდაკებების მთები. მერე რა ვუყოთ, რომ ეს მშვენიერი სურათ-ხატები ათასობით სხვა გულშიც ცოცხლობდნენ; მათ გარდა არსებობდა კიდევ ათიათასობით სხვა უცნობი ხატი და ბგერა, რომელთა მშობლიური კერაც, დამნახავი თვალიცა და გამგები ყურიც ჩემი სული იყო მხოლოდ. აი, ამ ლაზარეთის ძველ, მომწვანო-რუხი ლაქებით აჭრელებული კედლის ბზარებსა და ნაჭდევებში, ვინ იცის, რამდენი ფრესკა იმალებოდა! ვინ ეხმიანებოდა ამ კედელს, ვინ უღებდა გულის კარს, ვინ შეტრფოდა, ვინ განიცდიდა მისი მიმქრალი, გარდასული ფერების ჯადოსნურ ძალას? აი, ციმციმა, ნაზი მინიატურებით დამშვენებული ფოლიანტები, ბერების კუთვნილება რომ იყო ძველად. აი, ადამიანებისგან დავიწყებული, ასი თუ ორასი წლის წინანდელი გერმანელი პოეტების ქმნილებები, გაცრეცილი და დანესტიანებული ტომები, ძველი დროის მუსიკოსების ხელით ნაწერი თუ ნაბეჭდი ფურცლები; მკვრივი, ჩაყვითლებული სანოტო ქაღალდი, ზედ შეყინული ხმიერი ზმანებებით! მერედა, ვის ყურს მისწვდა მათი გონიერი, ხალისიანი თუ კაემნიანი ხმები? ვინ ჩაიგუბა გულში მათი სული თუ თილისმა და ვინ შემოუნახა ისინი სხვა, მათზე უკვე გულგაციებულ დროებას? ვინ იგონებდა გუბიოს[20] ზემოთ, მთაზე აღმართულ პაწია, ჯიუტ კვიპაროსს, ქვების ზვავს შუაზე რომ გადაეხლიჩა, მას კი მაინც ვერ დაეთმო სიცოცხლე და კვლავ ამოეყარა არცთუ უწინდებურად ფაფუკი,

მაგრამ მაინც ახალი კენწერო? ვინ მოიფიქრა, თავისი წილი ხოტბა-დიდება შეესხა მეორე სართულზე მცხოვრები გამრჯე დიასახლისისა და მისი კრიალა არაუკარიისათვის? ვინ კითხულობდა ნისლიან ღამით რაინის ზემოთ ტაატიტ მიმავალ ღრუბლებზე ამოტვიფრულ ლურსმულ დამწერლობას? ტრამალის მგელი! თავისი ცხოვრების ნანგრევებს მიღმა ვინ ცდილობდა მიეკვლია თუნდაც ბუნდოვანი აზრისათვის, ვის სტანჯავდა ეს მოჩვენებითი უაზრობა, ვინ ცხოვრობდა თვალისამხვევი გიჟური ცხოვრებით და თვით საშინელი ქაოსის დროსაც კი ვინ ცოცხლობდა ზემთაგონებისა და უზენაესთან სიახლოვის იდუმალი იმედით?

წამოვდექი. ხელი არ გამიშვია ჭიქისათვის, რომლის შევსებაც კვლავ დამიპირა დიასახლისმა. ღვინო საკმარისად დავლიე. თვალწინ ოქროსფერი ბილიკი ამიკიაფდა, ჩემი გონება მარადისობას, მოცარტს, ვარსკვლავებს მისწვდა[21]. ახლა ერთხანს შემეძლო თავისუფლად მესუნთქა, შემეძლო ისე მეცხოვრა, არ განმეცადა ტანჯვა, შიში, სირცხვილი.

მიუყუჩებულ ქუჩაში რომ გამოვედი, ცივი ქარი უბერავდა და წვიმა ცერად ცრიდა, ხმაურით ეცემოდა ფარნებს და გამჭვირვალე ათინათად ირეკლებოდა. ახლა რა გზას უნდა დავდგომოდი? ამ წუთას ნატვრისთვალისა რომ მქონოდა, უთუოდ ვინატრებდი, ლუდოვიკო XVI-ის დროინდელ კოხტა დარბაზში ამომეყო თავი, სადაც რამდენიმე ნიჭიერი მუსიკოსი ჰენდელისა და მოცარტის ორ-სამ პიესას დაუკრავდა. ეს ჩემი ახლანდელი გუნება-განწყობის გამოძახილი იქნებოდა და მეც ისე დავტკბებოდი ამ ცივი, კეთილშობილი მუსიკით, როგორც ღმერთები ტკბებიან ნექტრით. ეჰ, ნეტავი კი მეგულებოდეს მეგობარი, სადღაც სხვენზე რომ დაუდია ბინა, ახლა კი სანთლის შუქზე ჩაფიქრებულს გვერდზე ვიოლინო უდევს! ფეხაკრეფით შევიპარებოდი მისეულ მყუდროებაში, უხმოდ ავუყვებოდი ხვეულ კიბეს, მოულოდნელად დავადგებოდი თავზე და იმ ღამეს, საუბრითა თუ მუსიკით გართულები, რამდენიმე ბედნიერ საათს გავატარებდით ერთად. ასეთი ბედნიერებით ხშირად ვტკბებოდი ოდესღაც, გარდასულ წლებში, მაგრამ თანდათან ეს ბედნიერებაც გამომეცალა ხელიდან და დაიწრიტა; წარსულსა და აწმყოს შორის ყავლგასული წლები გაწოლილიყო!

პალტოს საყულო ავიწიე და ხელჯოხის კაკუნით აუჩქარებლად გავუყევი შინისკენ მიმავალ გზას. ფეხი რაც უნდა მეთრია, ჩემს საკანში მაინც სულ მალე ამოვყოფდი თავს. ეს იყო ჩემი პატარა ნავსაყუდელი. მართალია, არ მიყვარდა აქ ყოფნა, მაგრამ უიმისოდ გაძლება არ შემეძლო; წარსულს ჩაბარდა დრო, როცა არაფრად ვაგდებდი ზამთრის ბურსა და ჭყაპში მთელი ღამე სიარულს. ახლა კი, მადლობა ღმერთს, არავითარი სურვილი არ მქონდა დღევანდელი საღამოს გუნება-განწყობილება რაიმეთი მომეწამლა, წვიმა იქნებოდა ეს, ნიკრისის ქარი თუ არაუკარია. თუ კამერული ორკესტრი არსად იყო და არც ვიოლინოს მოტრფიალე მეგობრის პოვნას უჩანდა პირი, ის ღვთაებრივი ჰანგი ხომ მაინც ჟღერდა ჩემში – შემეძლო გულში მედილინა და დაახლოებით მაინც გამეხსენებინა. ფიქრებში წასული მივუყვებოდი გზას. არა, ეს ცხოვრება მართო კამერულ მუსიკასა და ეულ მეგობარზე არ იყო ჩამომდგარი! სასაცილოდ მომეჩვენა ადამიანური სიტბოს უილაჯო ძეხნით გამოწვეული ეს ტანჯვა. სიმარტოვე დამოუკიდებლობაა, მე თვითონ მეწადა იგი და აი, უკვე რა ხანია მოვიპოვე კიდეც. ცივი იყო ეს სიმარტოვე, მაგრამ თან მშვიდიც, დიახ, ისეთივე მშვიდი და უკიდებანო, როგორც მოტორტმანე ვარსკვლავებით

მოჭედული ცივი, მდუმარე სივრცე.

რესტორანს ჩავუარე, ხალხი ცეკვებით ერთობოდა. უეცრად ყურში შლეგი ჯაზური მუსიკა ჩამესმა, იმ ოხშივარივით მძაფრი და ცხელი, ახალთახალ, უმ ხორცს რომ ასდის ხოლმე. უნებლიეთ ნაბიჯი შევანელე. ეს მუსიკა ყოველთვის მძულდა, მაგრამ თან იდუმალად მიზიდავდა. დიახ, ჯაზი არ მომწონდა, მაგრამ ეს კია, მას გაცილებით შემწყნარებლური თვალით ვუყურებდი, ვიდრე თანამედროვე აკადემიურ მუსიკას. თავისი მხიარული, აღვირახსნილი სიმშაგით იგი ღრმად იჭრებდა ჩემი ქვეცნობიერი გრძნობების სამყაროში და ახალ, მიამიტ ვნებებს აღმიძრავდა.

ერთი წუთით შევდექი, დავცნოსე ეს სისხლიანი, გამკივანი მუსიკა; გაბოროტებითა და ხარბად შევისრუტე დარბაზების გუნება-განწყობილება. ამ მუსიკის პირველი ნახევარი დათაფლული, მოყირჭებული და ერთობ სენტიმენტალური მომეჩვენა, მეორე ნახევარი კი შმაგი იყო, ჭირვეული და ძლევამოსილი. მაგრამ ორივე ნაწილი გულუბრყვილოდ და უდრტვინველად ერწყმოდა ერთიმეორეს და საბოლოოდ ერთ მთლიანობად იქცეოდა. ეს აღსასრულის მაუწყებელი მუსიკა იყო.[22] ალბათ ასეთ მუსიკას თუ ასრულებდნენ უკანასკნელი იმპერატორების დროინდელ რომში. თქმა არ უნდა, ბახის, მოცარტისა და სხვების ჭეშმარიტ მუსიკასთან შედარებით ეს ნამდვილი ღორობა იყო, მაგრამ განა მთელ ჩვენს ხელოვნებასა თუ აზროვნებას, მთელ ჩვენს ყბადაღებულ კულტურას ღორობა არ დაერქმევა, თუკი მას ჭეშმარიტ კულტურას შევადარებთ?! ამ მუსიკაში მაინც იგრძნობოდა საოცარი გულწრფელობა, ზანგური სიმღერის მიამიტობა და ბალღობის ანცი სული. ამ მუსიკაში თითქოს ზანგური ჰანგები ამერიკულს შერწყმოდა, რაც ჩვენზე, ევროპელებზე, ყმაწვილური სინორჩის, ბალღური უშუალოების შთაბეჭდილებას ახდენს; ამას გარდა, მასში თავისებური ძალაც იგრძნობა. ნუთუ ევროპაც ასეთი გახდება? იქნებ ჩვენ, ძველი ევროპის, ძველი ჭეშმარიტი პოეზიისა და მუსიკის მცოდნენი და მოყვარულები იმ ტვინნაღრძობი და სულელი, ნერვიული ავადმყოფების მცირერიცხოვან დასს ვეკუთვნიოთ, ხვალ რომ ყველა მასხრად აიგდებს და დაივიწყებს? იქნებ ის ყველაფერი, რასაც ჩვენ „კულტურას“, გონსა და სულს ვუწოდებთ, და რაც მშვენიერი და წმინდა გვგონია, კარგა ხანია უკვე დასამარებულია და ახლა, მოჩვენებად ქცეული, მხოლოდ ჩვენ, თითზე ჩამოსათვლელ თითო-ოროლა რეგვენს გვეჩვენება ხელშესახებად და ჯერ კიდევ არსებულად?! იქნება ის, რისთვისაც ჩვენ, სულელები ვჩალიჩობთ, მხოლოდ მოჩვენება იყო ყოველთვის და სხვა არაფერი?

ქალაქის ძველმა უბანმა გული გადამიშალა. პირქუშ სიბნელეში ზღაპრულ მოლანდებასავით იდგა პაწია ეკლესია. თავში ისევ ამომიტივტივდა იმ საღამოს ნანახი სურათები, გამახსენდა თაღით შემკული იდუმალი ჭიშკარი, იდუმალ ფირნიშზე დამცინავად მროკავი ანთებული ასოები. რაო, რა ეწერა ზედ? ჰო: „ყველას არ შეესვლება“. და კიდევ: „მხოლოდ შემოიღოთათვის!“ ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი ძველ გალავანს, გუნებაში ვნატრობდი, იქნებ კვლავ განმეორდეს ის სასწაული, იქნებ მე, საბრალო შემოიღი, კვლავ მიმიხმოს იმ წარწერამ, პაწია ჭიშკარი კი გაიღოს და შიგნით შემიპატიჟოს-მეთქი. შესაძლოა, სწორედ იქ მელოდა ის, რისკენაც ასე მივილტვოდი? იქნება სწორედ იქ უკრავდნენ ჩემს სანუკვარ მუსიკას? წყვდიადიდან წყნარად შემომყურებდა მრუდე გალავანი, გულჩათხრობილი, ღრმა ძილში წასული. არსად ჩანდა ჭიშკარი და თაღები. მხოლოდ

ღამეული, მშვიდი, ტანზე ბზარებწაშლილი გალავანი აღმართულიყო ჩემ წინ. ღიმილმორეულმა განვაგრძე გზა, თან ალერსიანად დავუქნიე თავი გალავნის ქვების მწყობრ კრიალოსანს: „იძინე მშვიდად, ჩემო გალავანო! არ დაგიფრთხობ სიმშვიდეს... ის დროც მოვა, როცა ნანგრევებად გაქცევნ, ან კიდევ უძღები რეკლამებით აგიჭრელებენ გვერდებს. მაგრამ ჯერ ხომ ისევ ადგილზე დგახარ და ასეთი მშვენიერი, უშფოთველი და სასურველი ხარ-მეთქი ჩემთვის“.

მოულოდნელად შევკრთი. შუკის შავი უფსკრულიდან ჩემ წინ გვიანი მგზავრი ამოიმართა და დაღლილი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. ლურჯი პერანგი ეცვა, თავზე კეპი ეხურა, ჯოხებზე მიმაგრებული პლაკატი მხრებზე გაედო, ქამარზე კი ისე ეკიდა ყუთი, ბაზრობაზე რომ იციან ხოლმე გამყიდველებმა; დაღლილი ნაბიჯით მიდიოდა ჩემ წინ, უკან არ მოუხედავს, თორემ მივესალმებოდი და სიგარეტსაც შევთავაზებდი. იქვე, ფარნის შუქზე ვცადე ჯოხებზე მიმაგრებულ წითელ პლაკატზე გამოყვანილი წარწერა ამომეკითხა, მაგრამ უცნობს პლაკატი ქანაობ-ქანაობით მიჰქონდა და ვერაფერი გავარჩიე. ბოლოს შევეხმიანე და ვთხოვე, პლაკატი მაჩვენეთ-მეთქი. უცნობი შეჩერდა, ჯოხები გაასწორა და, როგორც იქნა, გავარჩიე მოცეკვავე, მოტორტმანე ასოები:

„ანარქისტული სადამო-ატრაქციონი!

მაგიური თეატრი!

ყველას არ შეესვ...“

– სწორედ თქვენ დაგეძებდით! – შევძახე გახარებულმა, – რა სადამო-ატრაქციონია? სად იქნება? როდის?

მან კვლავ განაგრძო გზა.

– ყველას არ შეესვლება, – მომიგო გულგრილი, ნამძინარევი ხმით და ნაბიჯს აუჩქარა. ეტყობა, ყველაფერი ყელში ამოსვლოდა და შინ მიეშურებოდა.

– მოითმინეთ! – შევძახე და ფეხდაფეხ ავედევენე, – მაგ ყუთში რა გაქვთ? იქნებ მეყიდა რამე?

არც კი შეჩერებულა, ანგარიშმიუცემლად ჩაყო ხელი ყუთში, პატარა წიგნი ამოაძვრინა და გამომიწოდა. სწრაფად დავავლე ხელი და ჯიბეში ჩავიდე. ვიდრე პალტოს შევიხსნიდი და ფულს ამოვიღებდი, უცნობი სადღაც ჭიშკარში შევიდა და გაუჩინარდა. მისი მძიმე ნაბიჯების ხმა ერთხანს ეზოდან ისმოდა, მერე ჯერ ქვაფენილზე, შემდეგ კი ხის კიბეზე გაიხმიანა და ბოლოს მიწყდა. უეცრად საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. მივხვდი, რომ უკვე ძალიან გვიან იყო და კარგს ვიზამდი, შინ თუ წავიდოდი. ნაბიჯს ავუჩქარე, სწრაფად გავიარე გარეუბნის მიყრუებული ქუჩები და ქალაქის პარკთან, ჩემს უბანში გამოვედი. აქ გაზონებითა და სუროს ხვიარებით დამშვენებული კოპწია სახლები იდგა, მოხელეებისა და წვრილი რანტიების ადგილსამყოფელი. სუროს ხვიარებს, გაზონებსა და პაწია ნაძვის ხეს გვერდი ავუარე და სადარბაზოს მივაშურე. ხელის ცეცებით მივაგენი საკლიტურსა და ჩამრთველს, ქურდულად ჩავუარე მინის კარებს, გაკრიალებულ კარადებსა და ყვავილების ქოთნებს. მერე ოთახის კარი გავაღე და ჩემს პატარა, ვითომდა მშობლიურ სავანეს მივაშურე, სადაც სავარძელი, ღუმელი, სამელნე, სახატავი ყუთი,

ნოვალისი და დოსტოევსკი მელოდა. შინ დაბრუნებულ ადამიანებს ჩვეულებრივ ასე ელიან ხოლმე დედა, მეუღლე, შვილები, მოსამსახურე, ძაღლი ან კატა.

პალტოს რომ ვიხდიდი, ის პაწია წიგნი ისევ მომხვდა ხელში. ჯიბიდან ამოვიღე. თხელ, უხეირო ქაღალდზე დაბეჭდილი ბროშურა იყო, ბაზრობაზე გასაყიდად რომ გამოაქვთ ხოლმე. ამ ბროშურამ სხვა ასეთივე წიგნები გამახსენა, როგორიცაა, მაგალითად: „იანვარში დაბადებულთათვის“, ანდა „როგორ გავახალგაზრდავდეთ რვა დღეში“.

სავარძელში მოხერხებულად მოვეწყე, სათვალე მოვირგე და წიგნის სათაურს დავხედე: „ტრაქტატი ტრამალის მგელზე“. გაკვირვებულმა და გრძნობაანთებულმა ვიგრძენი, ეს წიგნი თავად განგებას გადმოეგდო ჩემთვის. ბროშურამ უფრო და უფრო გამიტაცა და ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. აი, მისი შინაარსიც:

ტრაქტატი ტრამალის მგელზე

მხოლოდ შეშლილთათვის

იყო და არა იყო რა, იყო ვინმე ჰარი, მეტსახელად ტრამალის მგელი. ორ ფეხზე იდგა, ტანთ სამოსი ეცვა და გარეგნობაც ადამიანისა ჰქონდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მაინც ტრამალის მგელი გახლდათ.[23] ბევრი რამ ისეთი ესწავლა, რისი სწავლაც მხოლოდ გამჭრიახი გონების ადამიანს შეეძლო და მართლაც გონიერი კაცი ეთქმოდა, მაგრამ ის კი ვერ შეეთვისებინა, რომ ადამიანი საკუთარი თავითა და ცხოვრებით ზოგჯერ კმაყოფილიც შეიძლება იყოს. ამ დღენიადაგ უკმაყოფილო კაცს საერთოდ დაეკარგა კმაყოფილების განცდის უნარი. ამის მიზეზი, შესაძლოა, ის იყო, რომ სულის სიღრმეში ყოველთვის გრძნობდა (ან ეგონა, რომ გრძნობდა), ადამიანად კი არა, ტრამალის მგლად გამაჩინაო განგებამ. საღი გონების ადამიანებმა იქნებ დავაც კი დაიწყონ იმის თაობაზე, მართლა ტრამალის მგელი იყო ჰარი თუ სასწაულის ძალით დაკარგა მგლის სახე და ადამიანად მანამდე იქცა, ვიდრე ქვეყნად გაჩნდებოდა; ან შესაძლოა, ადამიანად დაიბადა, მაგრამ განგებამ ტრამალის მგლის სული დაანათლა და ახლა ეს მგლოური სული მთლიანად დაუფლებოდა მის არსებას. თუმცა, რწმენა იმისა, რომ თავისი ბუნებით მგელია, შეიძლება სულაც მისი ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი ყოფილიყო. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, ამ კაცს ბავშვობაში მეტად შმაგი და დაუდეგარი ბუნება ჰქონდა, აღმზრდელები ცდილობდნენ მის სულში ჩამჯდარი ნადირი როგორმე მოეთოკათ და ალბათ ამიტომაც შთააგონა თავის თავს, მართლაც ნადირი ვარ, ოღონდაც აღზრდისა და ადამიანურობის საფარქვეშ მიმალულიო. ამის თაობაზე დიდხანს შეიძლება ენამზეობა და წიგნების დაწერაც არ იქნება ურიგო საქმე, მაგრამ ტრამალის მგლისათვის ყოველგვარი განსჯა წყლის ნაყვა იყო. იგი არ დაგიდევდათ, მასში მგელი სასწაულის ძალამ გააღვიძა, ცემა-ტყეპით მიყენებულმა ტკივილმა თუ მის სულში ჩაბუდებულმა წარმოსახვის უნარმა. რა აზრისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ამაზე სხვები და, რაც არ უნდა ეფიქრა თავად, ეს ამბავი აღარაფერს ნიშნავდა და მისი არსებიდან მგელს უკვე ვეღარაფერი განდევნიდა.

ამრიგად, ტრამალის მგელს ორბუნებოვანი საწყისი ჰქონდა: ადამიანური და

მგლური. დიახ, ასე ჰქონდა დაბედებული, მაგრამ ამქვეყნად განა იშვიათია ასეთი ბედისწერით გამორჩეული ადამიანები?! ისიც გამიგონია, ზოგიერთს ძალღატაკი თუ მელასთან, თევზთან თუ გველთან აქვს საერთო, მაგრამ ამ მიზეზით ცხოვრებაში რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ წასწყდომიაო. მათ სულში გვერდიგვერდ ცხოვრობს თურმე ადამიანი და მელა, ანდა ადამიანი და თევზი. არც ერთი მათგანი არ ვნებს ერთმანეთს, პირიქით, ეხმარება და ხელსაც კი უწყობს. ბევრი ასეთი ადამიანი შორს წავიდა, ხშირად მათ შურის თვალითაც უყურებენ, ზოგმა კი ბედნიერება სწორედ იმის წყალობით მოიპოვა, რომ მის ბუნებაში მელა ან მაიმუნი ჯაბნიდა ადამიანს. ეს ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. ჰარის საქმე კი სულ სხვაგვარად იყო. მის არსებაში ადამიანი და მგელი ვერა და ვერ შეთვისებოდა ერთმანეთს, საშველად ხელის გაწოდებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მუდამ დაუძინებელი მტრობა ჰქონდათ და ერთმანეთის საწამებლად იყვნენ გაჩენილნი. დიახ, ერთი კაცის სულსა და ხორცში რომ ორი ასეთი შეურიგებელი საწყისი ჩაიბუდებს, მისი ცხოვრება დიდი ვერაფერი სახარბიელოა. მაგრამ რას იზამ, განგებამ ყველას თავისი მიაგო, მსუბუქი კი არც ერთის ხვედრი არ უნდა იყოს.

ეს ჩვენი ჰარი ხან მგლად შეიგრძნობდა თავს, ხან ადამიანად, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, როცა კაცს ორბუნებოვან საწყისს დააბედებს განგება. მგლური ბუნება რომ გადასწონიდა, ადამიანი ამ დროს მსაჯულად, ჭკუის დამრიგებლად თუ მოძღვრად მოეცლინებოდა; ხოლო, სადაც უპირატესობა ადამიანს ენიჭებოდა, მგელი ზუსტად ასევე იქცეოდა. აი, მაგალითისათვის: საკმარისი იყო, ჰარის რაიმე კარგი აზრი მოსვლოდა, ნაზი, კეთილშობილური გრძნობები გასჩენოდა, ანდა, ეგრეთ წოდებული, კეთილი საქმის ჩადენა განეზრახა, რომ მგელი მყისვე ააკრაჭუნებდა კბილებს და დრუნჩზე სისხლნარევი დუჟი მოადგებოდა. მერე დაცინვით დაუწყებდა ჰარის ახსნას, როგორი სასაცილოა და როგორ არ შეშვენის ასეთი კეთილშობილური ოინბაზობა ტრამალზე გაჭრილ ნადირს, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ მის გულს ყველაზე უფრო ტრამალზე ეულად ძუნძული, დროდადრო სისხლის ლოკვა ან ძუ მგლის დევნა სწადია. ასეთ წუთებში მგლის თვალთა დანახული ყოველგვარი ადამიანური საქციელი მეტისმეტად სასაცილო, სულელური და ამაო ჩანდა. მაგრამ ზუსტად იგივე მეორდებოდა, როდესაც ჰარი მგლად გარდაისახებოდა და თავის მგლურ ბუნებას ავლენდა. ამ დროს იგი სხვებს უკრაჭუნებდა კბილებს, საშინელ ზიზღსა და მტრობას გრძნობდა ადამიანების, მათი არაგულწრფელი საქციელისა და დრომოჭმული ადათ-წესების მიმართ. ასეთ წუთებში მის სულში ადამიანს ყურები ჰქონდა დაცქვეტილი, თვალს ადევნებდა მგელს, ნადირსა და მხეცს უწოდებდა, უწამლავდა სიცოცხლეს და უსპობდა იმ სულ მცირე სიხარულს, რომლის გამოვლენასაც მისი ველური, მგლური არსება მოიწადინებდა.

აი, ასე ცხოვრობდა ტრამალის მგელი. ალბათ იფიქრებთ, ამ ჩვენს ჰარის ვერაფერი ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება ჰქონიაო. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს იგი გამორჩეულად უბედური ადამიანი ყოფილიყო (თუმცა კი, თვითონ სწორედ ასე ეჩვენებოდა; ყოველ ადამიანს ხომ თავისი წილი ტანჯვა უმძიმეს სასჯელად მიაჩნია!). ამის თქმა არავიზე არ შეიძლება. თუკი ადამიანში მგელს არ დაუდვია ბინა, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ეს ადამიანი უთუოდ ბედნიერია. თვით ყველაზე უბედურთა ცხოვრებაშიც არის ხოლმე მზით გაცისკროვნებული წუთები და ქვა-ღორღს შორის ამოხეთქილი ბედნიერების პაწაწინა ყვავილები.

ასე იყო ტრამალის მგლის საქმეც. თავი უმეტესად ძალიან უბედურად მიაჩნდა, ამის უარყოფა არ იქნებოდა, მაგრამ იმათაც აუბედურებდა, ვის სიყვარულსაც გულში ჩაიდებდა და, ვინც მას შეიყვარებდა. ისე ხდებოდა, რომ ვინც კი ტრამალის მგელს დაუმეგობრდებოდა, მისი ბუნების ერთ მხარეს ხედავდა მხოლოდ. ბევრს იგი ფაქიზი სულისა და ცინცხალი გონების თვითმყოფად ადამიანად მიაჩნდა და უყვარდა კიდევ. მაგრამ შემდგომ, როცა ანაზღად მგელს წააწყდებოდნენ, შეძრწუნებულები და იმედგაცრუებულები რჩებოდნენ. დიახ, ეს ამბავი შეუმჩნეველი არ რჩებოდა, რადგან ყველა ადამიანის მსგავსად, ჰარისაც სურდა როგორიც იყო, სწორედ ისეთი ჰყვარებოდათ. ამიტომ არ შეეძლო თავისი მგლობის მიჩქმალვა და იმ ადამიანების მოტყუება, ვის სიყვარულსაც დიდად აფასებდა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ კაცში სწორედ მგელს, სწორედ თავისუფლების წყურვილს, სიშმაგეს, დაუცხრომლობასა და ძალას ეთაყვანებოდა. აი, ამათაც ისევ და ისევ საშინელი იმედგაცრუება და გულისტკენა ელოდათ, რადგან უეცრად აღმოჩნდებოდა, რომ ეს ველური, ბოროტი მგელი ადამიანიც იყო, ელტვოდა სიკეთესა და სინაზეს, ებადებოდა სურვილი მოესმინა მოცარტი, ეკითხა ლექსები და საკაცობრიო იდეალები ჰქონოდა. სწორედ მისი ეს თაყვანისმცემლები რჩებოდნენ განსაკუთრებით იმედგაცრუებულები და გაბოროტებულები. ასე გაიხმიანებდა ხოლმე ტრამალის მგლის გაორებული სულის ექო იმ უცხო ადამიანების ბედ-იღბალში, ვისაც იგი ცხოვრების გზაზე გადააწყდებოდა.

თუ ვინმეს ჰგონია, ტრამალის მგლის გაძაღლებულ, გაორებულ ცხოვრებას ვიცნობო, უთუოდ ცდება, რადგან მან ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცის. არ იცის, რომ ჰარის ცხოვრებაც არ იყო გამონაკლისის გარეშე (ხომ ცნობილია, რომ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე, და, ღმერთს შეიძლება ზოგჯერ ვინმე ცოდვილი უფრო ებას გულზე, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტი მართალი), რომ მასაც ჰქონია ცხოვრებაში ბედნიერი წუთები, რომ ამ კაცში ხან მგელი აღზევდებოდა და მთლიანად დაეპატრონებოდა მის გრძნობებსა და აზრებს, ხან კი ადამიანი; დროდადრო, თუმცა ძალიან იშვიათად, მგელი და ადამიანი ერთმანეთს უზავდებოდნენ და შეხმატკბილებით ცხოვრობდნენ. პირველს არამც და არამც არ მიეკარებოდა თვალზე რული, როცა მეორე ფხიზლობდა; ისინი ძალას უორკეცებდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ცხოვრებაში, ეტყობა ამ კაცსაც ყოველივე ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ნაცნობი და კანონზომიერი მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, წამით მოეთქვა სული, შეჩერებულიყო და რაიმე უჩვეულო განეცადა, სასწაული იქნებოდა ეს თუ სიკეთე. მაგრამ ბედნიერების ეს ხანმოკლე, იშვიათი წუთები განა უყუჩებდნენ მას ტანჯვას? ანდა ის ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერებით აღსავსე წუთები განა უშველიდა მისეულ დარდსა და ვარამს? შეკითხვა ისევ შეკითხვად რჩება და პასუხისათვის მოცლილებმა იმტვრიონ თავი. ტრამალის მგელი თვითონაც ხშირად დაფიქრებულა ამაზე, მაგრამ ასეთ დღეებს ფუჭად ჩაუვლია ხოლმე.

აქ კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: ჰარის ყაიდის ადამიანები ამქვეყნად რამდენიც გნებავთ, იმდენია; თუნდაც ისინი ავიღოთ, ხელოვნების სამსახური რომ გაუხდიათ ცხოვრების მიზნად. ამ ადამიანებში ორი სული, ორი არსება შედუღაბებია ერთმანეთს: ღვთაებრივი და სატანისეული, ერთმანეთში აღრეულა დედისეული და მამისეული და ბედნიერებისა და ტანჯვის განცდის უნარი მათში ისევე მტრულად, ისევე ქოტურად შერწყმულა, როგორც ჰარის არსებაში მგელი და ადამიანი. ასეთი

მშფოთვარე ცხოვრების მქონე ადამიანებს თავიანთი იშვიათი ბედნიერების წუთებში მშვენიერების განცდის ისეთი ძალა და უნარი ეუფლებათ, ამ წუთიერი ბედნიერების ქაფი ტანჯვის ზღვას დროდადრო ისეთი დამაბრმავებელი ბრჭყვიალებით მოექცევა ხოლმე თავზე, რომ ამ ხანმოკლე, მაგრამ თვალისმომჭრელი ბედნიერების სხივები სხვებსაც ეფრქვევა და აჯადოებს. ამ ტანჯვის ზღვაზე ელვარე ქაფივით ჩნდება ხოლმე ხელოვნების ქმნილებები, სადაც მარტოსული, ტანჯული კაცი მცირე ხნით ისე ამალღდება საკუთარ ბედისწერაზე, რომ მისი ბედნიერება ვარსკვლავივით კიაფობს, ყველა მის მხილველს იგი მარადიული ეჩვენება და საკუთარ ბედნიერებასთან აიგივებს. კაცმა რომ თქვას, რაც უნდა დავარქვათ ამ ჯურის ხალხის საქმიანობასა თუ ნაღვაწს, მათ ცხოვრებას ცხოვრება არ ეთქმის, ანუ მათი არსებობა არ წარმოადგენს ყოფას და არ გააჩნია გარკვეული სახე. ასეთ ადამიანებს ვერ ვუწოდებთ გმირებს, ხელოვნების მსახურებს თუ მოაზროვნეებს იმ გაგებით, როგორითაც სხვებს მსაჯულებს, მეწაღეებს ანდა მასწავლებლებს ვეძახით. მათი ცხოვრება მარადიული შფოთი და ვნებათაღელვაა, აღსავსეა უბედურებით, წამებითა და შემადრწუნებელი უაზრობით, თუკი მის აზრად სწორედ იმ იშვიათ შემთხვევებს, ნახელავს, ნაფიქრალსა და ნაღვაწს არ ჩავთვლით, რაც ასეთი ცხოვრების ორომტრიალიდან გამოიჩურჩება ხოლმე. სწორედ ამ ჯურის ადამიანების წრეში დაიბადა შემზარავი და სახიფათო აზრი: ვაითუ, ადამიანის მთელი სიცოცხლე უბრალოდ ავბედითი შეცდომაა, დიდი დედამთავრის მუცელს მოწყვეტილი პირმშო, ბუნების შემზარავი და უხეირო მცდელობა?! მაგრამ მათსავე წრეში წარმოიქმნა სხვა აზრიც, რომ, შესაძლოა, ადამიანი მხოლოდ გონიერი ცხოველი კი არა, არამედ ღმერთების პირმშო და უკვდავებისთვის გაჩენილიც არისო.

ყველა ადამიანი მისეული ნიშატივით, მაღლითა თუ მანკიერებებითაა გამორჩეული. ყველასა აქვს თავისი მომაკვდინებელი ცოდვა. ტრამალის მგელს კი ის უცნაურობა სჭირდა, რომ საღამო ჟამი უყვარდა. დილა ყველაზე ცუდ დროდ მიაჩნდა, ყოველთვის ეშინოდა მისი, რადგან დილას მისთვის არასოდეს მოუტანია სიკეთე. ჰარის თავის სიცოცხლეში არ გასთენებია ისეთი დილა, ადამიანს ჭეშმარიტი სიხარულით რომ აღავსებს. ასეთ დროს არაფერი შეუქმნია ხეირიანი, არასოდეს მოსვლია სასიკეთო აზრები, არც თავად უგრძნია სიხარული და არც არავისთვის უწილადებია იგი. მაგრამ აი, დღის მეორე ნახევარში ჰარის ნელ-ნელა უთბებოდა სული, ნელ-ნელა იწყებდა გამოცოცხლებას და სვებედნიერ დღეებში მხოლოდ საღამო ჟამს ხდებოდა მისი საქმიანობა ნაყოფიერი, ქმედითი, დროდადრო ცხოველი და სიხარულის მომგვრელიც კი. სწორედ ეს განაპირობებდა მის ლტოლვას მარტოსულობისა და დამოუკიდებლობისაკენ. ალბათ არავის არასოდეს ჰქონია მასავით გულმხურვალე, დაჟინებული ლტოლვა თავისუფლებისაკენ. ახალგაზრდობაში, როცა ჯერ კიდევ ხელმოკლედ ცხოვრობდა და ლუკმაპური საშოვნელი ჰქონდა, ერჩივნა ეშიმშილა და ჩამოკონკილს ევლო, ოღონდ კი მის სანუკვარ დამოუკიდებლობას არავინ და არაფერი შეხებოდა. წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა, რომ თავისუფლება შეიძლება ფულზე ან კეთილდღეობაზე გაეცვალა. ტრამალის მგლის ცდუნება არც ქალებს შეეძლოთ და არც ძლიერთ ამა ქვეყნისა. ძალიან ბევრჯერ უთქვამს უარი ისეთ რამეზე, რაც სხვების აზრით, სიკეთესა და ხეირს მოუტანდა, სამაგიეროდ თავისუფლებას შეინარჩუნებდა ხოლმე. არაფერი იყო ტრამალის მგლისთვის იმ ფიქრზე უფრო საძულველი და

ამაზრზენი, რომ სადღაც უნდა ემსახურა, უნდა დაეგეგმა დღე თუ წელი და ვიღაც-ვიღაცებს დამორჩილებოდა. ყოველგვარი ფირმა, კანტორა თუ კანცელარია ჭირის დღესავით სძულდა, ხოლო ყველაზე შემზარავი აზრი, რაც კი შეიძლებოდა თავში მოსვლოდა, ყაზარმის ტყეობა იყო. ამ მძიმე განცდებიდან თავის დაძვრენა ხშირად დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. სწორედ აქ მჟღავნდებოდა მისი ძალა და ღირსება, უდრეკელობა და შეუვალობა, ხასიათის სიმტკიცე და პირდაპირობა.

მაგრამ ტრამალის მგლის ეს ღირსება კვლავაც და კვლავაც მის ტანჯვასა და ბედთან იყო გადანასკვული. ჰოდა, მასაც იგივე ემართებოდა, რაც ასეთ შემთხვევაში ყველა ადამიანის ხვედრია ხოლმე; ბოლოს და ბოლოს, მაინც აისრულებდა საწადელს, დაიოკებდა ჟინს, მაგრამ მისი მცედლობა ამო იყო და ვერაფერში ადგებოდა ადამიანს. ის, რაც თავდაპირველად ოცნებად და ბედნიერად ესახებოდა, ბოლოს მწარე წილხვედრი ხდებოდა. მოძალადეს ძალადობა ღუპავს, ფულის მოყვარულს – ფული, მონას – მონობა, სიამეთა მოტრფიალეს – სიამე. ჰოდა, ტრამალის მგელსაც საკუთარი თავისუფლება ღუპავდა. მართალია, მიზანს მიაღწია და თანდათან დამოუკიდებელი გახდა, არავის შეეძლო მისთვის რაიმე ებრძანებინა, კაციშვილისთვის არ სჭირდებოდა ხასიათის გასწორება, ერთი სიტყვით, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი იყო – მტკიცე ნებისყოფის კაცი უთუოდ აღწევს იმას, რისკენაც მთელი არსებით ილტვის. მაგრამ, როგორც კი მიაღწია ნანინანატრ თავისუფლებას, ჰარი მაშინვე მიხვდა, ეს თავისუფლება სიკვდილს უდრიდა. დაინახა საკუთარი სიმარტოვე და იგრძნო, მთელი ეს ქვეყანა ავბედიტად რომ განუდგა; ამიერიდან მას აღარაფერი ესაქმებოდა ადამიანებთან და თვით საკუთარ თავთანაც კი. ასე ნელ-ნელა ეხუთებოდა ტრამალის მგელს სული განდეგილობისა და მარტოსულობის დახშულ სივრცეში. ახლალა აღმოჩნდა, თურმე სიმარტოვისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა მის სურვილსა და მიზანს კი არ შეადგენდა, ამ ჯადოსნური სურვილის აღსრულება მისი ხვედრი, მისი წერა გამხდარიყო და ამ განაჩენის შეცვლა არანაირ ძალას აღარ შეეძლო. სევდით აღსავსეს, როგორი კეთილი გულითაც არ უნდა გაეწოდებინა ხელი ადამიანებისათვის, როგორც არ უნდა გამოეთქვა მათთან სიახლოვისა და ერთობის სურვილი, ამიერიდან ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. იგი ყველასაგან მიტოვებული იყო. მაგრამ ამავე დროს ტრამალის მგელი ადამიანებს სულაც არ სძულდათ და არ ეჯავრებოდათ – პირიქით, უამრავი მეგობარი ჰყავდა, ბევრი გულითადადაც იყო განწყობილი, მაგრამ ყოველივე ეს კეთილგანწყობის საზღვრებს არ სცილდებოდა. მას ხშირად პატიჟებდნენ სტუმრად, უგზავნიდნენ საჩუქრებს, სწერდნენ გულთბილ წერილებს, მაგრამ არავინ უახლოვდებოდა, ერთობა ვერავისთან ეგრძნო. არავის შეეძლო და არც სურვილი ჰქონდა მისი ჭირ-ვარამი გაეზიარებინა. ახლა მას მარტოსულობის ჰაერი, მშვიდი გარემო ეკრა გარს, ხელიდან გამოსცლოდა სამყარო და ადამიანებთან დაახლოების უნარი, რომლის წინაშეც უძლურია თვით ყველაზე დიდი მცდელობაც კი. აი, ამითაც იყო გამორჩეული მისი ცხოვრება.

ტრამალის მგელს სხვებისაგან ისიც გამოარჩევდა, რომ თვითმკვლელთა დასს განეკუთვნებოდა. აქვე უნდა დავძინოთ: უდავოდ ცდებიან, როცა თვითმკვლელს მხოლოდ იმ ადამიანს უწოდებენ, ვინც თავად ისწრაფავს სიცოცხლეს. თვითმკვლელებს შორის ბლომად არიან ისეთებიც, თვითმკვლელობას შემთხვევით რომ სჩადიან, რადგან საკუთარ თავზე ხელის აღმართვა არ გამომდინარეობს მათი შინაგანი ბუნებიდან; ცხოვრების სიმწარეს ნაზიარები ასობით, ათასობით

უგერგილო და უნიათო ადამიანი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, მაგრამ ისინი თავიანთი ხასიათითა თუ რწმენით სრულიადაც არ მიეკუთვნებიან თვითმკვლელების რიცხვს. ბევრი ადამიანი კი – და ასეთია ჭეშმარიტი თვითმკვლელების უმრავლესობა – საკუთარი ხელით არასოდეს მოისწრაფავს სიცოცხლეს. „თვითმკვლელისთვის“ სულაც არაა აუცილებელი სიკვდილთან უშუალო სიახლოვე. თვითმკვლელიც რომ არ იყოს, ადამიანი ამას ისედაც მოახერხებს. მაგრამ თვითმკვლელი თავის „მეს“ – სამართლიანად თუ უსამართლოდ, – ბუნების ძალიან სახიფათო, არასაიმედო და უსუსურ ნაშეიერად მიიჩნევს. მას საკუთარი თავი უმწეო ჰგონია და ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს კლდის ვიწრო ქიმზე იდგეს, როცა სულ პატარა ბიძგი ან მცირე შინაგანი სისუსტეც საკმარისია, რომ უფსკრულში გადაიჩეხოს. ამ ყაიდის ადამიანების ცხოვრება იმითაა ნიშანდობლივი, რომ თვითმკვლელობა მათთვის საკუთარი სიცოცხლის ხელყოფის ყველაზე ნაღდი სახეობაა, ყოველ შემთხვევაში, მათ ასე სწამთ. ამგვარი გუნება-განწყობა ამ ადამიანებში ადრეულ სიჭაბუკეშივე იჩენს ხოლმე თავს და მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი სასიცოცხლო ძალების ნაკლებობას განიცდიან. პირიქით, „თვითმკვლელთა“ შორის საოცრად ჯიუტ, დაუოკებელ და მამაც ადამიანებს ვხვდებით. არიან ადამიანები, სულ მცირე გაცივებაზეც რომ სიცხე აუწევთ ხოლმე. მათ მსგავსად, ჩვენი „თვითმკვლელებიც“ ბუნებით საოცრად მგრძნობიარენი არიან. პატარა ელდაც საკმარისია, რომ მთელი არსებით მიეცნენ თვითმკვლელობაზე ფიქრს. რომ არსებობდეს ისეთი მეცნიერება, რომელიც გაბედავდა და მთელი პასუხისმგებლობით ძირფესვიანად შეისწავლიდა ადამიანს, არ შემოიფარგლებოდა მისი სასიცოცხლო პროცესების მექანიზმით, დიახ, ამ დარგში ანთროპოლოგიისა ან ფსიქოლოგიის მსგავსი მეცნიერება რომ გვქონოდა, ეს ფაქტები საყოველთაოდ ცნობილი გახდებოდა.

ყველაფერი, რაც აქ თვითმკვლელობაზე მოგახსენეთ, რა თქმა უნდა, საკითხის გარეგნული მხარეა, ეს ყოველივე ფსიქოლოგიის, ნაწილობრივ კი ფიზიკის სფეროს განეკუთვნება. მეტაფიზიკის თვალსაზრისით კი იგივე საკითხი სხვა კუთხით წარმოიჩინდება და გაცილებით უფრო ნათელი ხდება. ასეთი მიდგომის დროს „თვითმკვლელები“ თავიანთი მარტოსულობის წყალობით დანაშაულის გრძნობით შეპყრობილ ადამიანებად წარმოგვიდგებიან. მათი სულიერი სწრაფვის მიზანს საკუთარი თავის სრულყოფა და დახვეწა აღარ შეადგენს. ისინი ახლა თვითგანადგურებას ლამობენ და დედაბუნებასთან, ღმერთთან, კოსმოსთან კვლავშერწყმას ცდილობენ. „თვითმკვლელების“ უმრავლესობას არ შესწევს უნარი, ოდესმე მართლა მოისწრაფოს სიცოცხლე, რადგან შეგნებაში ღრმად აქვს გამჯდარი, რა დიდი ცოდვაა ეს; მაგრამ ვინაიდან ეს ადამიანები სიცოცხლეში კი არა, სიკვდილში ხედავენ ხსნას, ვინაიდან მზად არიან, საკუთარი თავი გასწირონ, მოსპონ და კვლავ დაუბრუნდნენ პირველსაწყისს, ამიტომაც ჩვენ მათ მაინც თვითმკვლელებად მივიჩნევთ.

ცნობილია, რომ ძლიერება შეიძლება სისუსტედ იქცეს და ზოგ შემთხვევაში ეს აუცილებელიც კია; სწორედ ასევე, ნამდვილი თვითმკვლელი ხშირად, თავის ვითომდა სუსტ მხარეს, საკუთარი ძლიერების საწინდრად და საყრდენად გაიხდის ხოლმე. აკი უმეტესად ასეც არის! ამის მაგალითია ჩვენი ტრამალის მგელიც. მრავალი თანამოაზრის მსგავსად, ჰარისაც მტკიცედ სწამდა, თითქოს

სიკვდილისკენ მიმავალი გზა მისთვის ნებისმიერ დროსაა ხსნილი; ეს რწმენა სულაც არ იყო მისი ყმაწვილკაცური წარმოსახვის ბრალი, რადგან ამ აზრში პოულობდა იგი საყრდენსა და ნუგეშს. ტრამალის მგელს, როგორც ეს მისი ჯურის ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, ელდა, ტკივილი თუ უსიამოვნება მაშინვე აღუძრავდა სურვილს, ყოველივე ამისაგან სიკვდილით დაედწია თავი. ამ უნარის წყალობით მან თანდათანობით შეიმუშავა საკუთარი ცხოვრებისეული ფილოსოფია. რაკილა თავის თავს ჩაუნერგა, ეს სათადარიგო კარი ყოველთვის ღიააო და ამის წყალობით ძალების მომძლავრება იგრძნო, ტკივილისა და ტანჯვის შეცნობის სურვილიც გაელვიდა. ხანდახან კი, როცა საქმე მეტისმეტად ცუდად წაუვიდოდა, ღვარძლნარევი სიხარულით ამასაც ფიქრობდა: „ნეტავი გამაგებინა, მაინც სად გადის ადამიანის ამტანობის ზღვარი?! ერთხელაც იქნება, ამევსება მოთმინების ფიალა, გამოვალეფ ფანჯარას და მიყარონ მერე კაკალი“.

ერთი მხრივ, ეს აზრი თვითმკვლელს უჩვეულო მხნეობას მატებს. მეორე მხრივ კი მშვენივრად იცის, რა ძნელია ბრძოლა თავის მოკვლის ცდუნებასთან. სულის სიღრმეში გრძნობს, რომ მართალია, თვითმკვლელობა გამოსავალი კია, მაგრამ ეს გამოსავალი, ცოტა არ იყოს, უბადრუკი და უღირსია. იმასაც გრძნობს, რომ ბევრად უფრო მომნიბლავი და კეთილშობილურია, ადამიანი ბედის მსახვრალმა ხელმა განგმიროს, ვიდრე საკუთარი სიცოცხლის მოსასწრაფად აღმართულმა მარჯვენამ.

ეს აზრი და სინდისის ქენჯნა, ასე რომ მოგვაგონებს ცვედანი კაცის მკრეხელოურ განცდებს, „თვითმკვლელთა“ უმეტესობას აიძულებს ისევე ებრძოლოს ამ ცდუნებას, როგორც კლეპტომანი ებრძვის თავის მანკს. ჰოდა, არც ტრამალის მგლისთვის ყოფილა უცხო ეს ბრძოლა. ნაირ-ნაირი იარაღით შესჭიდებოდა იგი ამ მანკს, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ორმოცდაშვიდი წლისას, ერთი ბედნიერი და მახვილგონიერებას არცთუ მთლად მოკლებული აზრი მოუვიდოდა თავში, უწინაც რომ ხშირად მოუნიჭებია სიხარული. გადაწყვიტა, იმ დღეს მოეკლა თავი, რა დღესაც ორმოცდაათი წელი შეუსრულდებოდა. „აი, იმ დღეს გაირკვევა, დაგჭირდება თუ არა სათადარიგო კარის გაღება. გააჩნია, რა გუნებაზე იქნები“, – უთხრა მან საკუთარ თავს. ახლა კი, რაც გინდა დამართნოდა, ვთქვათ რამე სენს შეეპყრო, გაღატაკებულიყო ან ტანჯვა-წამება დასტყდომოდა თავს, ამიერიდან ყველაფერი ვადით იყო შეზღუდული, ყველაფერი, დიდი-დიდი, რამდენიმე წელიწადს, თვეს ან დღეს გაგრძელებულიყო; მისი დრო ნელ-ნელა იწურებოდა. და მართლაც, ახლა ბევრად უფრო ადვილად იტანდა ყველა უსიამოვნებას, რასაც წინათ უდიდესი ტკივილი შეეძლო მიეყენებინა და სულით ხორცამდე შეეძრა. იყო წუთები, როცა რაიმე მიზეზით მისი ცხოვრების სიცარიელეს, სულით ობლობასა და ველურობას სხვა უჩვეულო დარდი და დანაკარგი ემატებოდა. აი, მაშინ კი შეეძლო ტრამალის მგელს ტკივილისთვის ეთქვა: „მომითმინე ორიოდ წელიც, როგორმე მომითმინე, და მერე ამოვალ შენს ოხტში!“ სასოებით წარმოიდგენდა ხოლმე იმ დღეს, ორმოცდაათი წელი რომ შეუსრულდებოდა; დილით მის სახელზე წერილები და მოსალოცი ბარათები მოვიდოდა, თვითონ კი, სამართებელს მინდობილი, დაემშვიდობებოდა ყველა ტკივილს და კარს გამოკეტავდა. აი, მაშინ იცოცხლე, კაი დროს გაატარებდა ნიკრისის ქარი, აი, მაშინ ნახავდა თავის სეირს მოწყენილობა, შაკიკი თუ კუჭის ტკივილი!

ახლა ისღა დაგვრჩენია, ტრამალის მგლის ფენომენი, კერძოდ კი მისი

დამოკიდებულება ბიურგერობასთან ისე ავხსნათ, რომ ეს ორივე მოვლენა ერთ ძირითად კანონზე დავიყვანოთ, საწყის წერტილად კი „ბიურგერთა“ წრისადმი მისი დამოკიდებულება მივიჩნიოთ, რადგან ასეთი აზრი თავისდაუნებურად იბადება. ტრამალის მგლისთვის რომ გეკითხათ, ამ წრესთან არაფერი ესაქმებოდა, რადგან მისთვის უცხო იყო ოჯახური ყოფაცა და სოციალური პატივმოყვარეობაც. დროდადრო თავს ეუღ, ცხოვრებისგან გარიყულ, სნეულ განდევნილად წარმოიდგენდა, დროდადრო კი – ზეადამიანად, გენიოსობის ზღვარს მიღწეულ, ცხოვრების წვრილმანებზე ამაღლებულ კაცად. მთელი შეგნებით სძულდა ბიურგერები და ეამაყებოდა, რომ მათ ამქარს არ ეკუთვნოდა, არადა, გარკვეული აზრით, თვითონ სავსებით ბიურგერულ ცხოვრებას ეწეოდა: მაგალითად, ბანკში ანგარიში ჰქონდა გახსნილი, ეხმარებოდა ხელმოკლე ნათესავებს, მართალია, დაუდევრად, მაგრამ მაინც გემოვნებით იცვამდა და თან ცდილობდა, პოლიციასთან, საგადასახადო სამსახურთან თუ ხელისუფლების სხვა ორგანოებთან უსიამოვნება არ მოსვლოდა. ესეც იქით იყოს, რაღაც უდრეკი, იდუმალი ლტოლვა ბიურგერების სამყაროსაკენ ეწეოდა. მუდამ იზიდავდა წყნარი, მყუდრო ბიურგერული ოჯახები, მათი კოჰწია ბაღები, კიბეგაკრიალებული სახლები, წესრიგისა და წესიერების მათეული უბრალო გარემოცვა. ხშირად თავიც კი მოჰქონდა თავისი პატარ-პატარა ცოდვებითა და უცნაურობებით, მოსწონდა, როცა მათ წრეში უცხო კაცად, განდევნილად ან გენიოსად იგრძნობდა თავს; მაგრამ ნავსაყუდელს არასოდეს დაიდებდა იქ, სადაც ბიურგერობას უკვე ჭირი მოეჭამა. ტრამალის მგელი თავს კარგად ვერასოდეს გრძნობდა ვერც ძალადობის მომხრე, გამორჩეული ადამიანების წრეში და ვერც ბოროტმოქმედთა ან უუფლებოთა გარემოცვაში; ვერა და ვერ შელეოდა ბიურგერულ სავანეს, ვერ გაეწყვიტა კავშირი მის ადათ-წესებთან, ზნე-ჩვეულებებსა თუ სულიერ ცხოვრებასთან მაშინაც კი, როცა ეს კავშირი წინააღმდეგობისა და ამბოხის სახით იჩენდა თავს. ესეც არ იყოს, ტრამალის მგელი წვრილბურჟუაზიული აღზრდის პირმშო გახლდათ და ამიტომაც მთელ რიგ ცნებებსა და გაცვეთილ აზრებს იყო ნაზიარები. თეორიულად სულაც არ კიცხავდა როსკიპობას, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, როსკიპს თავს არ გაუყადრებდა. პოლიტიკური დამნაშავე, რევოლუციონერი თუ სხვათა სულების შემრყვნელი კაცი, სახელმწიფოსა და საზოგადოებას რომ გაერიყა, შეეძლო ღვიძლ ძმასავით შეეყვარებინა; სამაგიეროდ, ქურდი, მძარცველი, მკვლეელი და სადისტი, ბიურგერული სიბრაულის გარდა, არავითარ გრძნობებს არ უღვიძებდა.

ასე და ამრიგად, მისი ბუნების ერთი ნახევარი ყოველთვის აღიარებდა და ადასტურებდა იმას, რასაც მეორე ნახევარი ებრძოდა და უარყოფდა.

ტრამალის მგელი უზრუნველყოფილ ბიურგერულ ოჯახში იზრდებოდა, სადაც ადათ-წესებს მკაცრად მისდევდნენ, და სულის კუნჭულში სამუდამოდ დარჩა ამ წრის ზნე-ჩვეულებების ერთგული, თუმცა კი უკვე კარგა ხანია, გამიჯვნოდა ბიურგერობას და მთლიანად გათავისუფლებულიყო მისი იდეალებისა და რწმენისაგან.

„ბიურგერობა“ – ადამიანური არსის ეს განუყოფელი თვისება, სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი მცდელობა დაიცვას წონასწორობა, დაიმკვიდროს შუალედური ყოფა ამქვეყნიურ უკიდურესობებსა და დაპირისპირებებს შორის. თუ მაგალითისათვის ავიღებთ ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო წყვილს, როგორიცაა წმინდანი და მრუში,

ჩვენი შედარება მაშინვე გასაგები გახდება. ადამიანს აქვს უნარი, მთელი არსებით მიეცეს სულიერ ცხოვრებას, მიუახლოვდეს ღვთაებრივ საწყისს, წმინდანის იდეალს. მაგრამ მას იმის უნარიც გააჩნია, აჰყვეს მხოლოდ ქვეცნობიერ გრძნობებს, ხორციელი ვნებების ტყვედ იქცეს და მთელი ძალისხმევა წუთიერი ნეტარებისა და ტკბობის განცდას შეაღწიოს. პირველ გზას წმინდანობისაკენ მივყავართ; ამ გზით სულით წამებულები ვლიან, ამქვეყნიურ ნეტარებაზე ხელი რომ აუღიათ და ღვთის მონებად შეურაცხავთ თავი. მეორე გზა კი მრუშობისკენ მიდის; ამ გზას ზრწნისა და ღვთისათვის განწირული, ხორციელ ვნებას გადაყოლილი მრუშები ადგებიან.

ბიურგერი კი ცდილობს, ამ ორ გზას შუა იაროს და არსად გადაუხვიოს; იგი არასოდეს განუდგება არც საკუთარ თავს და არც ქვეყნიერებას, ღვინოს არ მიეძალება, წმინდანობას არ დაიჩემებს და არც თავს გაინადგურებს, რადგან მისი იდეალი თვითგანადგურება კი არა, თავდაცვაა. ბიურგერი არც წმინდანობას ესწრაფვის და არც ამ წმინდანობის საპირისპირო რამ შეადგენს მისი ლტოლვის მიზანს. უცილობლობა, აბსოლუტურობა მიუღებელია მისთვის, თუმცა კი ცდილობს თავისი ღმერთი ჰყავდეს, ამქვეყნიური ყველა ნეტარებაც შეიტკბოს და მაღალი ზნეობის პატრონიც იყოს. ერთი სიტყვით, იგი წინააღმდეგობათა შორის ჯანსაღსა და ზომიერ სარტყელში დამკვიდრებას ლაშობს, სადაც არც ქარიშხალი მძვინვარებს და არც ჭექა-ქუხილი გრგვინავს. მიზანს კიდევაც აღწევს, თუმცა ამას სისხლსაც ადამიანურ გრძნობებს ანაცვალებს, რასაც ადამიანს გარდუვალობითა და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება ანიჭებს. ჭეშმარიტად სისხლსაც ცხოვრება მხოლოდ საკუთარი „მეს“ ლერწზე დაიმყნობა, ბიურგერისთვის კი საკუთარ „მეზე“ (თუმცა კი ძალიან შეზღუდულ „მეზე“) მნიშვნელოვანი არაფერი არსებობს. ერთი სიტყვით, იგი მსხვერპლად გაიღებს სისხლჭარბ გრძნობებს და ამის საზღაურად ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას გაინადგურებს. მთელი არსებით ღმერთთან სიახლოვის სურვილის ნაცვლად, იგი ამქვეყნად დამშვიდებული სინდისით ცხოვრობს, ნეტარების ნაცვლად მცირე სიამოვნებით კმაყოფილდება, თავისუფლებას კეთილმოწყობილ ცხოვრებას ანაცვალებს, ხოლო მომაკვდინებელ პაპანაქებას – საამო სიტბოს ამჯობინებს. ამიტომაც ბიურგერი სუსტი იმპულსების მქონე არსებაა. იგი ლაჩარია, რომელსაც მცირედის დათმობისაც კი ეშინია, არადა, მისი მართვა იოლია, და სწორედ ამიტომაც, რომ მან ერთპიროვნული ხელისუფლების ადგილას უმრავლესობა დაამკვიდრა, ძალის ადგილას – კანონი, პასუხისმგებლობის ადგილას – კენჭისყრა. აშკარაა, რომ ეს სუსტი და მხდალი არსება არ შეიძლება გადარჩეს, რაგინდ მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს მისი ჯილაგი. ამ თვისებების წყალობით მას შეუძლია მხოლოდ ცხვრის ფარად იქცეს, გარშემო დამშეული მგლების ზროვა რომ შემოხვევია; მაგრამ ჩვენ მაინც ხშირად ვყოფილვართ მოწმენი, რომ ძლიერი პიროვნებების მმართველობის დროს, როცა პირველად ბიურგერს მიაბჯენენ ხოლმე ყელზე დანას, იგი მაინც არ იღუპება. მეტსაც გეტყვით! დროდადრო ცხოვრებაზე პარპაშსაც ახერხებს! ალბათ იკითხავთ, რატომ ხდებაო ასე? ერთი შეხედვით თითქოს არც მისი ჯილაგის მრავალრიცხოვნებას, არც სათნოებას, არც common sense[24]-ს ან რაიმე ორგანიზაციას არ შესწევს უნარი, იგი დაღუპვისაგან იხსნას. განა მოიძევება ამქვეყნად წამალი იმ კაცისათვის, ვისაც დაბადებიდანვე დასშრეტია ძალები? და მიუხედავად ამისა, ბიურგერობა მაინც ცოცხლობს, იგი ყოვლის შემძლეა, იფურჩქნება და ყვავის. ჰოდა, როგორ, რა მანქანებით?

პასუხი ერთია: მხოლოდ და მხოლოდ ტრამალის მგლების წყალობით. სინამდვილეში ბიურგერული სამყაროს ცხოველმყოფელობა იმ თვისებებიდან როდი ისრუტავს სასიცოცხლო ძალებს, მის ნორმალურ წარმომადგენლებს რომ გააჩნიათ. არა და არა! ამ ძალების წყაროს აურაცხელი აუტსაიდერების გუნდი შეადგენს, რომელსაც ბიურგერობა იკრებს ხოლმე გარშემო თავისი ბუნდოვანი და ბალბაწო იდეალების წყალობით. ბიურგერული სამყაროს შიგნით ყოველ დროსა და ჟამს მოიძებნება აუარება ძლიერი და ველური ბუნების ადამიანი. ჩვენი ტრამალის მგელი ჰარი ამის თვალსაჩინო მაგალითია. ამ კაცმა შეძლო გაცდენოდა ბიურგერისათვის ხელმისაწვდომ საზღვარს; თვითჭვრეტით მოგვრილი ნეტარება მისთვის არანაკლებ ნაცნობი გრძნობაა, ვიდრე ზიზღითა და თვითსიძულვილით გამოწვეული სიხარული; მისთვის საძულველია კანონი, სათნოება და common sense, მაგრამ იგი მაინც ბიურგერობის ტყვეა და ამ ტყვეობიდან თავის დაღწევა არ ძალუძს. ამრიგად, ჭეშმარიტ ბიურგერობას, როგორც ბირთვს, გარს აკრავს კაცობრიობის ფართო ფენები, ათასობით სიცოცხლე და გონება, რომელთაც, მართალია, გადააბიჯეს ბიურგერობის ზღუდეს და მოწოდებული არიან ეზიარონ აბსოლუტს, მაგრამ თავიანთი ინფანტილური გრძნობების გამო მაინც ბიურგერულ წრეს არიან მიჯაჭვულნი. ამ წრეს დაუსნეულებია ისინი თავისი მიმქრალი ცხოველმყოფელობით; ამიტომაც ეს ადამიანები თითქოსდა დახავსებულან ბიურგერობაში, თავს მისგან დავალებულად გრძნობენ, მორჩილებენ და ემსახურებიან მას, რადგან ბიურგერობა დიად ადამიანთა ცნობილ პრინციპს თავისას უპირისპირებს: „ვინც ჩემ წინააღმდეგ არ იბრძვის, ის ჩემ მხარეზეა“.

თუ ტრამალის მგლის სულს ამ კუთხით ჩავხედავთ, დავინახავთ, რომ ამ საოცრად თვითმყოფად პიროვნებას ბედმა დაანათლა, ყოფილიყო არაბიურგერი. ყველა გამორჩეულად თავისთავადი ადამიანი ხომ საკუთარ „მეს“ უპირისპირდება ხოლმე და მის განადგურებას ცდილობს!

როგორც ვხედავთ, ტრამალის მგელი თანაბრად ძლიერი იმპულსების კაცი იყო როგორც წმინდანობის, ასევე მრუშობის თვალსაზრისით, მაგრამ შინაგანი სისუსტე თუ სიძაბუნე ხელს უშლიდა, გადაელახა ბიურგერული კერიის მიზიდულობის ძალა და ლაღად აჭრილიყო სამყაროს გაშლილ სივრცეში. ასე ცხოვრობდა ამქვეყნად, ასეთი შეჭირვებული ყოფა დაანათლა განგებამ. მსგავსი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება ინტელიგენტთა უმრავლესობა, ხელოვანთა უდიდესი ნაწილი, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ყველაზე ძლიერებს ჰყოფნით ძალა, მოსწყდნენ ბიურგერულ ნიადაგს და კოსმოსში აიჭრან; დანარჩენები დამარცხებას ეგუებიან და ფარ-ხმალს ყრიან. მართალია, ბიურგერობა სძულთ, მაგრამ მას მაინც ვერ აღწევენ თავს და იძულებულები არიან განამტკიცონ და განადიდონ იგი, რათა ბოლოს ამქვეყნიური სამკვიდრო შეიქმნან. ასეთი ადამიანების რიცხვი ძალიან დიდია. მათ არ შესწევთ ძალა, გასწიონ ტრაგიკული ცხოვრების ჭაპანი, მათ მხოლოდ თავიანთ ავბედით ყოფასთან შეგუება შეუძლიათ, რომლის ჯოჯოხეთშიც იკუპრება და ილექება მათი ნიჭიერების მადლი. ის თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები, რომლებიც თავს აღწევენ ყოველივე ამას, აბსოლუტს ეზიარებიან და ღირსეულად იღუპებიან, ტრაგიკული ბედისანი არიან; მათი რიცხვი ძალიან მცირეა. იმათ წინაშე კი, ვინც ვერ დააღწია თავი ბიურგერულ წრეს და, ვის ნიჭიერებასაც ამ წრეში პატივი და დაფასება ხვდა წილად, გადაიშლება ეფემერული, მაგრამ თვითმყოფადი სამყარო – სამყარო იუმორისა. დაუდეგარი ტრამალის მგლები მწარედ ტანჯულთა მარადიულ

საკრებულოს შეადგენენ. მათ არ მოსდგამთ ტრაგიზმის განცდისა და ასტრალურ სივრცეში სანავარდოდ სამყოფი ძალა; მართალია, თვითონ ჰგონიათ, განგებამ მოგვიწოდა, ვეზიაროთო აბსოლუტის სფეროს, მაგრამ ამავე დროს იქ ცხოვრება არ შეუძლიათ. როგორც კი ტრამალის მგლები ტანჯვა-ვაებაში გამოაწრთობენ და დაიმორჩილებენ საკუთარ სულს, მათთვის ერთადერთი გამოსავალი იუმორი ხდება. [25] მართალია, იუმორს ყოველთვის დაჰკრავს ხოლმე ბიურგერული ელფერი, მაგრამ ჭეშმარიტ ბიურგერს მისი წვდომის უნარი არ გააჩნია. იუმორის მოჩვენებით სამყაროში ხორცს ისხამს ტრამალის მგლის წინააღმდეგობებით აღსავსე აბურდული იდეალები. აქ ერთსა და იმავე დროს შეიძლება არა მარტო კეთილად განეწყოს წმინდანისა და მრუშის მიმართ, დაახლოვო ერთმანეთის საპირისპირო ცნებები, აქ კაცმა შეიძლება ბიურგერსაც კი კეთილი თვალით შეხედოს. ხომ შეიძლება, ღვთის მონამ შეუდოს ბოროტმოქმედს ან პირიქითაც მოხდეს, მაგრამ არც ერთს, ისევე როგორც აბსოლუტური, უცილობელი უკიდურესობების მქონე ყველა ადამიანს, არ შეუძლია მოიწონოს ბიურგერის უნიათო და ნახევრის ნახევრული ყოფა. მარტოოდენ იუმორია დიდებული გამოგონება კაცისა, ვინც შეუბოჭავს თავის მაქსიმალიზმს, ვისაც ლამისაა ტრაგიკული ბედი ხვდა წილად. იუმორი უბედური, მაგრამ ნიჭიერი ადამიანების გამოგონებაა. მხოლოდ მას (შესაძლოა, კაცობრიობის ამ ყველაზე თვითმყოფადსა და გენიალურ მიღწევას) შეუძლია გააკეთოს შეუძლებელი; იგი თავს უყრის და საკუთარი სხივებით აცისკროვნებს ადამიანური ბუნების ყველა კუთხე-კუნჭულს. იუმორის წყალობით შეიძლება ცხოვრობდე ქვეყნად, მაგრამ შენად არ იგულვებდე ქვეყანას, პატივს სცემდე კანონს და მაინც მასზე მაღლა იდგე, მფლობელი გერქვას, არადა, „ცარიელ-ტარიელი იყო“; იუმორის წყალობით შეიძლება უარი თქვა რაიმეზე, მაგრამ ეს ნათქვამი უარის თქმად არ ჩაგეთვალოს; ასე რომ, ამ უზენაესი ცხოვრებისეული სიბრძნის ფრიად გავრცელებული მოთხოვნის აღსრულება მხოლოდ იუმორს შეუძლია. და, თუკი ტრამალის მგელი მოახერხებს საკუთარი სულის ჯოჯოხეთიდან გამოწრითოს ეს ჯადოსნური სასმელი, ხსნის გზაც ეს იქნება მისთვის. მაგრამ საამისოდ მას ბევრი რამ აკლია, თუმცადა არსებობს ხსნის შესაძლებლობა და იმედი. ვისაც უყვარს ტრამალის მგელი, ვისაც გული შესტკივა მასზე, დაე, ინატროს მისთვის ასეთი ხსნა! მართალია, ამის მერე იგი ბიურგერულ წრეში გაიყინება, მაგრამ მისთვის ეს ტანჯვა ასატანიც იქნება და ნაყოფიერიც. ტრამალის მგლის დამოკიდებულება ბიურგერთა წრის მიმართ, გინდ სიყვარულითა და გინდ სიძულვილით სავსე, აღარ იქნება სენტიმენტალური და ამ წრესთან სიახლოვე აღარ დატანჯავს, როგორც სამარცხვინო რამ ლაქა.

იმისათვის, რომ მიაღწიოს ამას, ან არადა, ბოლოს და ბოლოს, გაბედოს და კოსმოსში აიჭრას, ტრამალის მგელი ერთხელ მაინც უნდა დაუპირისპირდეს საკუთარ თავს, ღრმად ჩაიხედოს თავისივე სულის ქაოსში და მთლიანად შეიმეცნოს საკუთარი „მე“. აი, მაშინ კი მთელი სისავსით იგრძნობს თავისი ყოფის ორჭოფულობას, მომავალში აღარ მოუვა აზრად კვლავაც ხელიდან დაუძვრეს საკუთარი ინსტინქტების ჯოჯოხეთს, ნუგეშისმომცემ სენტიმენტალურ ფილოსოფიაში ეძებოს ნავსაყუდელი, მერე კი, თავისი მგლური ბუნების გადამკიდე, უსაზმნო თრობას მიეცეს; მგელი და კაცი იძულებული გახდებიან, ყალბი ნიღბების გარეშე შეიცნონ ერთიმეორის განცდები და ერთმანეთს თვალი გაუსწორონ; აი, მაშინ კი ან შეასკდებიან ერთმანეთს და შემდგომ ამისა სამუდამოდ გაიყრებიან, ან არადა, იუმორის სხივით

მადლცხებულნი, ანგარებით დაქორწინდებიან.

შესაძლოა, ბედმა ჰარის ოდესმე არგუნოს ეს უკანასკნელი შესაძლებლობა. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ტრამალის მგელმა შეიცნოს კიდეც საკუთარი თავი, იქნებ ჩაუვარდეს ხელში ჩვენი ერთ-ერთი პატარა სარკე[26], შეხვდეს უკვდავთ, ანდა ერთ-ერთ ჩვენს ჯადოსნურ თეატრში იპოვოს ის, რაც ასე სჭირდება გავლურებული სულის გააზატებას. ტრამალის მგელს უამრავი ასეთი შესაძლებლობა ელის, მისი ბედ-იღბალი შეუნელებლად იზიდავს ამ შესაძლებლობებს; ბიურგერული სამყაროს ყველა ეს აუტსაიდერი ამ ჯადოსნური შესაძლებლობების გარემოში ცხოვრობს და პატარა წკიპურტიც კი კმარა, რომ ქვა აგორდეს.

ეს ყველაფერი ტრამალის მგელმა მშვენივრად იცის. გინდაც საკუთარი სულიერი ბიოგრაფიის ეს მონახაზი ხელში არასოდეს ჩაუვარდეს, იცის, თუ რა ადგილი უკავია ამქვეყნად, გრძნობს და იცნობს უკვდავებას[27], იმასაც გრძნობს, რომ შესაძლოა დაუდგეს საკუთარ თავთან შეხვედრის ჟამი, რომ არსებობს სარკე, რომელშიაც ძალიანაც სწადია ჩახედვა, მაგრამ თან ამისა ისე ეშინია, როგორც სიკვდილთან შეყრისა.

ჩვენი ჩანაწერების ბოლოს ისღა დაგვრჩენია, გავაბათილოთ ერთი საბოლოო ფიქცია, ერთი პრინციპული სიყალბე. ყოველგვარ „ახსნა-განმარტებას“, ყოველგვარ ფსიქოლოგიასა და გაგების ცდას ხომ დამხმარე საშუალებები, თეორიები, მითოლოგიები და სიცრუე სჭირდება! კეთილსინდისიერი ავტორი არ დააყოვნებს და თხრობის დასასრულს შეძლებისდაგვარად ფარდას ახდის ამ სიცრუეს. როდესაც ვამბობ, „ზემოთ“ ან „ქვემოთ“-მეთქი, ეს ხომ უკვე ისეთი მტკიცებაა, რომელიც ახსნა-განმარტებას მოითხოვს, რადგან „ზემოთ“ და „ქვემოთ“ მხოლოდ აზროვნებაში, მხოლოდ აბსტრაქციაში არსებობს. თვითონ სამყარომ სულაც არ იცის, რა არის „ზემოთ“ და „ქვემოთ“.

ერთი სიტყვით, „ტრამალის მგელიც“ ფიქციაა. როცა ჰარი საკუთარ თავს მგელკაცად შერაცხავს და ჰგონია, ორი მტრული, ურთიერთსაპირისპირო არსების მომცველი ვარო, ეს მხოლოდ გამარტივებული მითოლოგიაა. ჰარი სრულიადაც არ არის მგელკაცი; დიახ, ჩვენ, ასე თუ ისე, ვირწმუნეთ მის მიერვე შეთხზული და დაჯერებული ეს სიცრუე, ვცდილობდით იგი გაორებულ არსებად შეგვეცნო და მასზე, როგორც ტრამალის მგელზე, ისე გვემსჯელა, მაგრამ სიცრუეს იმიტომ ავყევით, გვეგონა მკითხველთან ამ გზით უფრო იოლად გამოვნახავდით საერთო ენას. ახლა კი უნდა შევეცადოთ, ვამხილოთ ეს სიცრუე.

ჰარიმ ერთმანეთს დაუპირისპირა მგელი და კაცი, ინსტიქტი და სული, რათა უფრო გასაგები გაეხადა საკუთარი ბედ-იღბალი. ეს სინამდვილის უხეში გამარტივებაა, სინამდვილეზე ძალადობაა წინააღმდეგობათა უფრო უკეთ გაგების, მაგრამ არასწორად ახსნის მიზნით; ეს ის წინააღმდეგობებია, ამ კაცმა საკუთარ თავში რომ აღმოაჩინა და თავისი უსაშველო ტანჯვის მიზეზად გაიხადა. ჰარი თავის თავში „ადამიანს“, ე. ი. აზრებისა და გრძნობების, კულტურის, თვინიერებისა და სინატიფის სამკვიდროს ხედავს, ხოლო იქვე, გვერდით აღმოაჩენს „მგელსაც“, ანუ დაუხვეწავი, უხეში ინსტინქტების, ველურობისა და სისასტიკის ბნელ სამყაროს. თუმცა ერთი შეხედვით, ტრამალის მგელი თავის თავში მკვეთრად მიჯნავდა ორ მტრულ საწყისს, მაგრამ შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ დროის რომელიღაც

მოწაკვეთში, რომელიდაც ბედნიერ წუთში, მგელი და კაცი ერთმანეთს მშვენივრად ეთვისებოდა. ჰარის იმის გარკვევა რომ მოეწადინებინა, მისი ცხოვრების ამა თუ იმ ხანაში, მის ამა თუ იმ საქციელსა და შეგრძნებაში რამდენი იყო ადამიანური და რამდენი მგლური, იგი მაშინვე ჩიხში მოემწყვდებოდა და მთელი ეს მშვენიერი მგლური თეორია ნაცარტუტად ექცეოდა, რადგან არ არსებობს ისეთი მარტივი ბუნების ადამიანი, თუნდაც ყველაზე პრიმიტიული ზანგი, თუნდაც იდიოტი, რომ შეიძლებოდეს მისი ბუნება ორი ან სამი ძირითადი ელემენტის ჯამამდე დავიყვანოთ. ხოლო ჰარისთანა მრავალსახოვანი ადამიანის გულუბრყვილოდ დანაწევრება მგლად და ადამიანად ხომ სრულიად უაზრო, ბავშვური ცდა იქნებოდა! მისი პიროვნება ორს კი არა, ასობით, ათასობით არსებას მოიცავს. მისი ცხოვრება (საერთოდ ადამიანის ცხოვრებისა არ იყოს) მხოლოდ ორ ისეთ პოლუსს შორის როდია მოქცეული, როგორიცაა ინსტინქტი და სული, ანდა წმინდანი და მრუში; ეს ცხოვრება უთვალავ პოლარულ წინააღმდეგობას შორის ეძიებს თავის სამკვიდროს.

არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ჰარისთანა საქმეში ჩახედული და გონიერი კაცი საკუთარ თავს „ტრამალის მგლად“ ნათლავს და თავისი მდიდარი და რთული ცხოვრების კრიალოსანს ასე უბრალოდ და გულუბრყვილოდ მარცვლავს. ადამიანისათვის მიუწვდომელია აზროვნების მაღალი ზღუდეები და თვით სულიერად ყველაზე მდიდარი და განსწავლული კაციც კი სამყაროსა და საკუთარ თავს დღენიადაგ უაღრესად მიაშიტი, გამარტივებული და ყალბი ფორმულების სათვალთ უმზერს. ასეთ მზერას კი იგი უმთავრესად თავის თავს მიაპყრობს ხოლმე! როგორც ჩანს, ადამიანის თანდაყოლილი და სრულიად ქვეცნობიერი მოთხოვნილება ყოფილა, საკუთარი თავი მთლიანობაში აღიქვას.

მერე რა ვუყოთ, თუ მას ეს რწმენა ხშირად უცუდდება! იგი კვლავ და კვლავ აღსდგება ხოლმე მკვდრეთით და განაგრძობს სიცოცხლეს. აი, მსაჯულს, მკვლელის პირისპირ რომ ზის და მას თვალებში შესცქერის, უეცრად ისეთი წამი დაუდგება, როცა მკვლელის სიტყვები ყურში საკუთარ ხმად ჩაესმის; მსაჯული გრძნობს, როგორ აირეკლება დამნაშავეს ყველა მიზანსწრაფვა, თვისება თუ შესაძლებლობა მის საკუთარ სულში. მაგრამ იგი იმავე წამს ერთ მთლიანობად შეიკვრება, კვლავ მსაჯულად იქცევა, კვლავ აიფარებს სახეზე იმ თავისი მოჩვენებითი „მეს“ ნიღბს, აღასრულებს თავის ვალს და მკვლელს სიკვდილის განაჩენს გამოუტანს. დროდადრო ნიჭიერ და სათუთი გრძნობებით დაჯილდოებულ ადამიანებს განჭოლავთ ხოლმე ფიქრი საკუთარი სულის თაობაზე; გენიოსების მსგავსად, ისინიც გაარღვევენ პიროვნების მოჩვენებითი მთლიანობის ზღუდეს, შეიგრძნობენ, რამდენად დანაწევრებულია მათი ბუნება და საკუთარ თავს მრავალი „მესაგან“ აკინძულ კრიალოსნად წარმოიდგენენ. მაშინ საკმარისია, ამის თაობაზე ერთი სიტყვაც კი დასცდეთ, რომ ეს ადამიანები უმრავლესობამ ოთხ კედელს შუა გამოკეტოს, საშველად მოუხმოს მეცნიერებას, დაუდგინოს შიზოფრენია და კაცობრიობას თავიდან ააცილოს ამ უბედურების პირიდან ჭეშარიტების მოსმენის საფრთხე. მაგრამ განა საჭიროა ტყუილუბრალო ლაპარაკი ისეთ რამეზე, რაც თავისთავად ცხადია ყველა ჭკუადაძედარი ადამიანისათვის და, რისი ხმამაღლა თქმაც საერთოდ არ არის მიღებული?!

ერთი სიტყვით, ვინც შეეცდება საკუთარი „მეს“ მოჩვენებითი მთლიანობა გაორებული დაგვანახოს, მას ლამის გენიოსად შერაცხავენ, ანდა უკიდურეს

შემთხვევაში, იშვიათ და საინტერესო გამოჩენასად ჩათვლიან. სინამდვილეში კი ნებისმიერი „მე“, თვით ყველაზე მიაბიტიც კი, ერთი მთლიანობა კი არა, მრავალსახოვანი რთული სამყაროა, პაწია ცის კაბადონია, ფორმათა, საფეხურთა და მდგომარეობათა, მემკვიდრეობათა და შესაძლებლობათა ქაოსია. ხოლო თუ ადამიანი ცდილობს ეს ქაოსი ერთ მთლიანობად აღიქვას და საკუთარ „მეზე“ ისე ლაპარაკობს, როგორც მკვრივი ფორმისა და მკაფიო მოხაზულობის მქონე მარტივ მოვლენაზე, ეს უკვე ჩვეულებრივი სიცრუეა, ყველა კაცს რომ მოსდგამს (მათ შორის ყველაზე მაღალი მიზანსწრაფვის ადამიანებსაც) და, ეტყობა, ისეთივე აუცილებლობა და სასიცოცხლო მოთხოვნაა, როგორც სუნთქვა ან ჭამა.

ზემოხსენებული სიცრუე უბრალო მეტაფორაზეა დაფუძნებული. ყოველი ადამიანის სხეული ერთ მთლიანობას შეადგენს, სული კი არასოდეს გვევლინება ასეთად. თვით ყველაზე ნატიფი პოეზიაც კი, ტრადიციულად, ყოველთვის მოჩვენებითად მთლიან, მოჩვენებითად ერთიან გმირებს წარმოაჩენს. დღემდე არსებულ პოეზიაში სპეციალისტები და საქმეში ჩახედული პირები ყველაზე მეტად დრამას აფასებენ, და სავსებით სამართლიანადაც, რადგან იგი იძლევა (ანდა შეუძლია მოგვცეს) უდიდეს შესაძლებლობას „მეს“ მრავალსახოვნად გამოხატვისა, ყოველივე ეს ერთი სიმახინჯით რომ არ გამოირჩეოდეს. მისი წყალობით დრამის ყოველი გმირი ერთ მთლიანობად გვევლინება, რადგან იგი ერთ უცილობლად უნიკალურ, მთლიან ხორციელ გარსშია მოქცეული. მაგრამ ყველაზე მეტად გულუბრყვილო ესთეტიკა ეგრეთ წოდებულ ხასიათთა დრამას აფასებს, რომელშიც ყველა მოქმედი პირი მკაფიოდ მონიშნულ, განთვსიებულ მთლიანობას წარმოადგენს. გამორიცხული არ არის, ვინმეს თავიდან ეჭვი შეეპაროს, რომ ეს ყოველივე იაფფასიანი, ზერელე ესთეტიკაა და შესაძლოა, ვცდებით, როცა ჩვენი დიდი დრამატურგების მიმართ ლამაზ ცნებებს ვიყენებთ, რადგან ეს ცნებები ორგანულად არ შერწყმია ჩვენს სულს და თავს იძულებით მოგვახვიეს, ხოლო მერე და მერე ამ ეჭვმა შეიძლება ფესვიც გაიდგას. ესაა ანტიკური ხანიდან გადმოსული მშვენიერების ცნებები, რომლებისთვისაც ამოსავალ წერტილს ხილული სხეული შეადგენდა მუდამ და, კაცმა რომ თქვას, სწორედ მათი წყალობით შეიქმნა „მეს“, პირის ფიქცია. ძველ ინდურ პოეზიაში ეს ცნება საერთოდ არ არსებობს. ინდური ეპოსის გმირები პირთა გროვას, განსულიერებულ ადამიანთა რიგებს წარმოადგენენ[28] და არა ცალკეულ პიროვნებებს. ჩვენს დღევანდელობაშიც გვხვდება პოეტური ქმნილებები, სადაც ავტორი მოქმედ პირებს თუ ხასიათებს თამაშის საფარქვეშ, შესაძლოა, ქვეცნობიერად, ცდილობს წარმოაჩინოს სულის მრავალსახოვნება. ვისაც კი ამის შეცნობა სურს, უნდა შეეცადოს ამგვარი ნაწარმოების მოქმედ პირებს ისე კი არ შეხედოს, როგორც ცალკეულ არსებებს, არამედ ისინი უზენაესი მთლიანობის (თუ გნებავთ, მწერლის სულის) ცალკეული ნაწილის, ცალკეული მხარის გამოვლინებად მიიჩნიოს. ვინც, ვთქვათ, „ფაუსტს“ ამ თვალთ შეხედავს, მისთვის ფაუსტი, მეფისტოფელი, ვაგნერი და სხვა დანარჩენები ერთი მთლიანობა, ერთი ზეარსება იქნება, და სულის ჭეშმარიტ არსზე მინიშნებაც ხომ სწორედ ამ უზენაეს მთლიანობაშია და არა ცალკეულ პიროვნებებში. ფაუსტი ერთგან წარმოთქვამს სიტყვებს, ყველა სკოლის მასწავლებელმა რომ იცის და ფილისტერში აღტაცებულ თრთოლვას რომ იწვევს: „ეჰ, ორი სული ბუდობს ჩემს მკერდში!“ ამას რომ ამბობს, ფაუსტს ავიწყდება მეფისტოფელიცა და ურიცხვი სხვა სულიც, მის სულში ასევე რომ დაუდია ბინა. ჩვენს ტრამალის მგელსაც ხომ ჰგონია, მკერდში ორი სული

მიდგას (მგლისა და ადამიანისა) და სწორედ ამიტომ მაქვს გული ასე საწყალობლად შეკუმშული. საქმე ისაა, რომ გული თუ სხეული მუდამ ერთია, სული კი მასში ორი ან ხუთი კი არა, ურიცხვი ბინადრობს. ადამიანს ხახვის ბოლქვივით ასობით ფურცელი შემოჰკვრია გარს. იგი უთვალავი ძაფის წვერისგან ნაქსოვი ქსოვილია. ძველთაძველმა აზიელებმა მშვენივრად იცოდნენ ეს ყველაფერი. რა ხერხები არ შეიმუშავა ბუდას მიმდევარმა იოგამ, რათა პიროვნების თვითმოტყუება ემზილებინა. კაცობრიობა ხშირად მართლაც რომ სასაცილო და მრავალფეროვან თამაშს მოიგონებს ხოლმე! თვითმოტყუება, რისი მზილებისთვისაც ინდოეთი ათასწლეულების მანძილზე იბრძოდა, ზუსტად იგივე თვითმოტყუებაა, რომლის განმტკიცება-გაღრმავებასაც ამოდენა ძალისხმევა შეაღია დასავლეთმა.

თუ ტრამალის მგელს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ნათელი გახდება, თუ რატომაა მისთვის ეგზომ მტანჯველი ეს სასაცილო გაორება. ფაუსტისა არ იყოს, მასაც მიაჩნია, ერთ მკერდს ალბათ მეტისმეტად უმძიმს ორი სულის დატევა და შეიძლება დაიფლითოსო. სინამდვილეში კი ორად ორი სული ძალიან ცოტაა და ჰარი საშინელ ძალადობას იჩენს თავისი საბრალო სულის მიმართ, როცა მის შეცნობას ამგვარი გულუბრყვილო გზით ცდილობს. მართალია, იგი ღრმადგანსწავლული კაცია, მაგრამ დაახლოებით იმ ველურივით იქცევა, მხოლოდ ორამდე რომ იცის თვლა. თავის თავში იმ ერთ ნახევარს ჰარი ადამიანს უწოდებს, ხოლო მეორეს – მგელს. ჰგონია, საქმე ამით მოვათავე და თავი მთლიანად ამოვწურეო. „ადამიანს“ იგი მიაკუთვნებს ყველაფერს, რაიც კი მას სულიერი, დახვეწილი თუ ამაღლებული გააჩნია, ხოლო „მგელს“ – ყოველივე იმპულსურს, ველურსა და ქაოტურს. მაგრამ ცხოვრებაში ეს ყველაფერი ისე მარტივად როდია მოწყობილი, როგორც ჩვენს აზრებში, და არც ისეთი უხეშია, როგორც ამის გამოხატვა ჩვენს უნიათო, სულელურ ენას სჩვევია! ამიტომაც არის, რომ ჰარი ორმაგად იტყუებს თავს, როდესაც ამ ველურ, „მგლურ“ ხერხს იყენებს. ვაი, რომ იგი „ადამიანს“ თავისი სულიერი ცხოვრების იმ სფეროს მიაწერს, ადამიანობისგან ჯერ ძალზე შორს რომ არის, ხოლო „მგელს“ თავისი არსების იმ თვისებებით აჯილდოვებს, მგლისა რომ კარგა ხანია აღარაფერი სცნია.

ყველა ადამიანს რატომღაც ჰგონია, – და ამ მხრივ არც ჰარი გახლავთ გამონაკლისი, – ზედმიწევნით კარგად ვიცნობო ადამიანის ბუნებას, სინამდვილეში კი სულაც არაფერი გაეგება ამისა, თუმცა ქვეცნობიერად, შეგნების ძნელად შესაღწევ კუნჭულებში, გუმანი ყოველთვის კარნახობს ამის თაობაზე რაღაცას. ღმერთმა ნუ მოუშალოს ეს გუმანი და შეაძლებინოს, ყური მიუგდოს მის ხმას! ადამიანი ხომ გაქვავებული და მარადუცვლელი რამ არ არის (ასეთი გახლდათ ანტიკური ხანის იდეალი, მიუხედავად იმდროინდელ ბრძენთა საპირისპირო ვარაუდისა!), იგი უფრო რაღაც მცდელობაა, საცალოფეო ბილიკი თუ სახიფათო ბეწვის ხიდია, ბუნებასა და სულს შორის გადებული. სულისკენ, უზენაესისკენ ადამიანს მისი შინაგანი დანიშნულება მიაქანებს, უკან, დედაბუნებისკენ კი ღრმა კაეშანი ეწევა; ამ ორ ძალას შორის შიშითა და ძრწოლით გამოკიდებულია მისი სიცოცხლე. რაც არ უნდა იგულისხმონ ცნებაში „ადამიანი“, იგი მუდამ მხოლოდ და მხოლოდ წარმავალ ბიურგერულ პირობითობას წარმოადგენს. ეს პირობითობა კიცხავს და უარყოფს ზოგიერთ უხეშ ინსტინქტს, მოითხოვს შეგნების გარკვეულ თანამონაწილეობას, კეთილზნეობას, ცხოველური საწყისის დათრგუნვას და, არამცთუ შესაძლებლად, აუცილებლადაც კი მიიჩნევს სულის სულ მცირედ გამოვლინებას. ამ პირობითობის საფუძველზე „ადამიანი“, ნებისმიერი ბიურგერული იდეალისა არ იყოს, დათმობაზე

წასვლას, ლაჩრულ, ვირეშმაკუი ცდას ნიშნავს, რათა მან, ერთის მხრივ, მრისხანე დედამთავარი – ბუნება გააცუროს, მეორეს მხრივ კი – მოსაწყენი მამამთავარი – სული, და მათ შორის უნიათო, ნახევრის ნახევრულ ყოფაში დაიდოს ბინა. ამიტომაც ბიურგერი წყალობის თვალთ უყურებს იმას, რასაც იგი „პიროვნებას“ უწოდებს, მაგრამ თან პიროვნების ბედ-იღბალს ხელში ჩაუგდება ხოლმე მოლოქს – „სახელმწიფოს“ – და გამუდმებით შუბლს შუბლზე ახლევიანებს ერთმანეთს. ამის გამო დღეს ბიურგერი, როგორც მწვალებელი, კოცონზე წვავს და ბოროტმოქმედით სახრჩობელაზე აჰყავს ის, ვისაც ხვალ-ზეგ დიდების ძეგლს დაუდგამს.

„ადამიანი“ არ არის ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი რამ; ესაა სულის ლტოლვა, ისეთივე შორეული და თან სასურველი, როგორც შიშისმომგვრელი მცდელობა. მისკენ მხოლოდ მისხალ-მისხალ სავალი გზა მიემართება. ამ გზით ენით უთქმელი წამებისა და მტანჯველი სიმარტოვის განცდის ფასად მხოლოდ ის ერთეული ადამიანები ვლიან, რომლებსაც დღეს ეშაფოტზე ასვლა ელით, ხვალ კი – ხელთუქმნელი ძეგლი. ეს გრძნობა ტრამალის მგლის სულშიც ცოცხლობს. მაგრამ რასაც იგი „მგლის“ საპირისპიროდ თავის თავში „ადამიანს“ უწოდებს, სწორედ იმ ბიურგერული პირობითობის საფუძველზე აღიარებული ადამიანია და სხვა არაფერი.

დიახ, ჰარი გრძნობს, რომ არსებობს ჭეშმარიტი ადამიანისაკენ, უკვდავთა დასისკენ მიმავალი გზა და ამ გზით დროდადრო მიიწევს კიდეც წინ, მაგრამ ამ წინსვლისათვის გაღებული საზღაური საშინელი წამება და მტანჯველი მარტოობაა. ჰარის არ შეუძლია მოიწონოს და თავის მიზნად აღიაროს ის უზენაესი მოთხოვნილება, ის ჭეშმარიტი განკაცება, რისკენაც ასე მიისწრაფვის სული, არ შეუძლია იაროს უკვდავებისკენ მიმავალი ერთადერთი საცალფეხო ბილიკით, მას სულის სიღრმეში ამ ბილიკზე ფეხის შედგმისა მაინც ეშინია. დიახ, ტრამალის მგელი უტყუარად გრძნობს: ეს გზა უამრავ ტანჯვას უქადის, ემუქრება გარიყვით, უკიდურესი გაჭირვებითა და, შესაძლოა, ეშაფოტითაც კი; რაც უნდა მაცდური იყოს ამ გზის ბოლოს დადარაჯებული უკვდავება, მას აღარ შეუძლია მიიღოს ყველა ეს ტანჯვა, არა აქვს სურვილი სიკვდილის გზებით იაროს. მართალია, ტრამალის მგელი ბიურგერზე ნათლად შეიგრძნობს განკაცების მიზანს, მაგრამ მაინც თვალს ხუჭავს და ისე იქცევა, ვითომ არ იცოდეს, რომ საკუთარ „მეზე“ ასეთი სასოწარკვეთილებით ჩაბლაუჭება, სიცოცხლის ასეთი სასოწარკვეთილი სურვილი მარადიული სიკვდილისკენ მიმავალი ყველაზე ნაღდი გზაა და ეს მაშინ, როცა კვდომის, საკუთარი „მეს“ გარდასაქმნელად მუდმივი მორჩილებისა და დათმობის უნარი უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე შეგვადგმევინებს ხოლმე ფეხს. როცა ტრამალის მგელი უკვდავების დასის კერპებს, მაგალითად, მოცარტს ეთაყვანება, მას ასეა თუ ისე, მაინც ბიურგერული თვალთ უყურებს; მას, სკოლის მასწავლებლისა არ იყოს, შეუძლია მისი სრულყოფილება მხოლოდ იმით ახსნას, რომ მოცარტი უდიდესი ხელოვანი იყო და არა იმით, რომ მისი სიდიადე მისივე თვითგანწირვის, ტანჯვისათვის მზადყოფნის, ბიურგერული იდეალებისადმი გულგრილობისა და უკიდურესი მარტოსულობისგან წარმოსდგება, რაც ასე ახშობს და კოსმოსის გაყინულ ეთერად აქცევს ბიურგერულ გარემოს იმათ ირგვლივ, ვინც იტანჯება და განკაცებას გეთსიმანიის ბაღის მარტოობაში ელტვის.[29]

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენმა ტრამალის მგელმა თავის თავში მაინც აღმოაჩინა

ფაუსტის გაორებული სული, დაინახა, რომ მისი ხორციელი მთლიანობა სრულიადაც არ ნიშნავს სულიერ მთლიანობას და, რომ იგი „უკეთეს შემთხვევაში“ ამ ჰარმონიისკენ მიმავალ გრძელ გზაზე ფეხშემდგარი მეროჭიკეა. მას უნდა თავის თავში მგელი ან მთლიანად ამოძირკვოს და მთელი არსებით ადამიანად იქცეს, ან არადა, ხელი აიღოს ადამიანობაზე და მგელივით ერთი მთლიანი, გაუმიჯნავი ცხოვრებით იცხოვროს. ჰარი, ეტყობა, კარგად არასოდეს დაჰკვირვებია ნამდვილ მგელს, თორემ უთუოდ შეამჩნევდა, რომ ცხოველებიც მოკლებულნი არიან სულის მთლიანობას, რომ მათი მშვენიერი და მოქნილი სხეული მუდამჟამს რაღაცისკენ ისწრაფვის და ილტვის, მიხვდებოდა, რომ მგელსაც აქვს თავისი შინაგანი უფსკრულები, რომ მასაც შეუძლია ტანჯვა. არა და არა! ადამიანის ძახილი: „უკან, ბუნებისაკენ!“ – მარადჟამს ტანჯვით აღსავსე, უიმედო გზით სიარულს ნიშნავდა. ჰარი მთლიანად უკვე აღარასოდეს გარდაისახებოდა მგლად, მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო, დარწმუნდებოდა, რომ მგელიც არ არის რაღაც მარტივი და დასაბამიერი, რომ თავისთავად ისიც ერთობ მრავალმხრივი და რთული არსებაა. მის თვალს არ გამოეპარებოდა, რომ მგლის მკერდშიაც ორი თუ ორზე მეტი სული ბუდობს და ის, ვისაც მგლობა სურს, იმ კაცივით გულმავიწყობას იჩენს, ღიღინ-ღიღინით რომ ამბობს: „ო, ნეტარება მხოლოდ ბავშვთა ხვედრია!“^[30] ამ სიმჰათიურ, მაგრამ სენტიმენტალურ კაცსაც, ბავშვურ ნეტარებას რომ უმღერის, სურს დაუბრუნდეს ბუნებას, უცოდველობას, პირველსაწყისს და ავიწყდება, რომ ბავშვები სრულიადაც არ არიან უდარდელები, რომ მათაც აქვთ უსიამოვნება თუ უთანხმოება და ტანჯვის მოთმენაც შეუძლიათ.

საერთოდ არ არსებობს არც მგლობისა და არც ბავშვობისკენ უკან სავალი გზა; საგნების დასაბამს არც უცოდველობა შეადგენს და არც სიმარტივე. რაც კი ამქვეყნად შექმნილა, რაგინდ მარტივიც უნდა იყოს, თავის თავში უკვე მოიცავს დანაშაულს^[31]; იგი უკვე მრავალფეროვანია, ქმნადობის ჭუჭყიან ნაკადსაა გამოყოლილი და ველარასოდეს შეძლებს აღმა ცურვას. უცოდველობისკენ, არაქმნილისკენ, ღმერთისკენ მიმავალ გზას წინ მივყავართ და არა უკან; არა მგლისა თუ ბავშვისაკენ, არამედ უფრო დიდი დანაშაულისკენ, განკაცების სიღრმეებისკენ. და შენც, საბრალო ტრამალის მგელო, თვითმკვლელობითაც არა გეშველება რა, მაინც ვერ აუვლი გვერდს განკაცების გრძელ, მძიმე და ძნელადსავალ გზას. იძულებული გახდები უფრო და უფრო გაამრავლო ეგ შენი გაორება და კიდევ უფრო გაართულო შენი სირთულე, ნაცვლად იმისა, რომ დაავიწროვო საკუთარი სამყარო, გაამარტივო საკუთარი სული, იძულებული გახდები, გააფართოვო, მთელ ქვეყნიერებას გადაუშალო იგი და, ბოლოს და ბოლოს, მთელი სამყარო მაგ ტანჯვა-ვაებაგამოვლილ სულში ჩაიტიო, რათა ოდესმე მაინც გელირსოს, გზის დასასრულს მიაღწიო და სიმშვიდე მოიპოვო. ამ გზით მიდიოდა ბუდა, ეს გზა განვლო ყველა დიდმა ადამიანმა, – ვინ შეგნებულად, ვინ ანგარიშმიუცემლად, – იმის მიხედვით, ვის როგორ ეყო გამბედაობა. ყოველი დაბადება კოსმოსიდან მოწყვეტასა და გამიჯვნას, ღმერთისგან გამოცალკევებას, ტანჯვით ხელახლა ქმნადობას ნიშნავს. იმისათვის, რომ კოსმოსში დაბრუნდე, უარი თქვა სავალალო განკერძოებაზე და ღმერთად იქცე, ისე უნდა გააფართოვო საკუთარი სული, რომ მან ხელახლა ჩაიტიოს მთელი სამყარო.

აქ იმ ადამიანებზე როდია ლაპარაკი, სკოლას, ეროვნულ ეკონომიკასა და სტატისტიკას რომ ჰყავს მხედველობაში, ანდა მილიონობით რომ დალაშლაშებს

ქუჩებში და ზღვის კენჭებივით თუ ტალღის შხეფებივით მომრავლებულა. მილიონით მეტნი იქნებიან ისინი თუ ნაკლებნი, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ეს ადამიანები მხოლოდ მასალას შეადგენენ და მეტს არაფერს. არა, აქ საუბარია ადამიანზე, ამ სიტყვის ღვთიური გაგებით, განკაცების ხანგრძლივი გზის გავლა რომ დაუსახავს მიზნად; დიახ, ჩვენ მხედველობაში გვყავს მეფური ადამიანები, უკვდავნი. გენიალობა არცთუ ისეთი იშვიათი მოვლენა გახლავთ, როგორც ხანდახან გვეჩვენება, თუმცა იგი არც ისე ხშირია, როგორც ეს ლიტერატურაში, მსოფლიო ქვეყნების ისტორიებში ან გაზეთებში გვხვდება ხოლმე. ჩვენი აზრით, ტრამალის მგელი მართლაც შეიძლება გენიალური ყოფილიყო, გამბედაობა რომ ჰყოფნოდა და განკაცება ეცადა; ის კი ცდილობდა, ყველა გაჭირვება და ძნელებელობა იმ სულელური ტრამალის მგლისათვის გადაებრალებინა.

როდესაც ასეთი უნარით დაჯილდოებული ადამიანები ტრამალის მგლობასა და „ეჰ, რა ვქნათ, ჩვენში ორი სული ბუდობსო!“ იმიზეზებენ და ამით ცდილობენ თავის მართლებას, ეს ისევე გასაოცარი და გულსატკენია, როგორც ასეთი ადამიანების არცთუ იშვიათი ლაჩრული სიყვარული ბიურგერობისადმი. ადამიანს, რომელსაც შეუძლია შეიცნოს ბუდა, უნარი შესწევს წარმოიდგინოს კაცობრიობის აღზევება და დაცემა, არ შეჰფერის ცხოვრება იმ სამყაროში, სადაც გამეფებულია common sense, დემოკრატია და ბიურგერული განსწავლულობა. იგი მხოლოდ თავისივე სილაჩრის წყალობით ახერხებს ამქვეყნად დამკვიდრებას, მაგრამ როგორც კი მას ამ სამყაროს სიდიადე დათრგუნავს და ისედაც ვიწრო ბიურგერული სადგომი უფრო ვიწრო მოეჩვენება, მაშინვე ეცდება, ყველაფერი მგელს გადააბრალოს და ვერც კი შეამჩნევს, რომ ხანდახან მგელი მისი სულის საუკეთესო ნაწილია. თავის თავში ყოველგვარ ველურ გამოვლინებას იგი „მგლურს“ უწოდებს და, ბიურგერისა არ იყოს, მას ბოროტ, სახიფათო და შემზარავ საწყისად მიიჩნევს. მართალია, თავი შემოქმედად მიაჩნია და საკუთარი გრძნობების სინატიფეში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ არ ძალუძს იმის დანახვა, რომ მგლის მიღმა მასში კიდევ ბევრი რამ სხვაც ბუდობს, ვერ მიმხვდარა, რომ არ შეიძლება მგლურს ხედავდე ყველაფერში, რაც იღრინება და, რომ ეს შეიძლება მელაც იყოს, გველეშაპიც, ვეფხვიც, მაიმუნიცა და სამოთხის ჩიტიც; ვერ მიმხვდარა, რომ მთელი სამყარო, – მშვენიერი თუ საზარელი, დიდი თუ პატარა, ძლიერი თუ სუსტი არსებებით დასახლებული ეს ბაღნარი, – ზუსტად ისევე მოუჯადოებია მგელზე შეთხზულ ზღაპარს და ისევე იმყოფება მის ტყვეობაში, როგორც ჰარის არსებაში ჭემმარიტი ადამიანი დაუთრგუნავს და დაუტყვევებია იმ ყალბ ადამიანს – ბიურგერს. წარმოიდგინეთ ნაირ-ნაირი ხილით, ყვავილებითა და ბალახბულახით დაფარული ბაღნარი. თუ მებაღეს ბოტანიკისა არა გაეგება რა და მხოლოდ იმის გარჩევა შეუძლია, ესა თუ ის მცენარე სარეველაა თუ «საჭმელად ვარგისი», მაშინ იგი ამ ბაღის ცხრა მეათედიდან ვერანაირ ხეირს ვერ ნახავს. ასეთი მებაღე დაგლეჯს ჯადოსნურ ყვავილებს, გაჩეხს უკეთილშობილესი ჯიშის ხეებს, ან მათ მიმართ სიძულვილით აღივსება და ალმაცერად დაუწყებს ცქერას. ტრამალის მგელიც ზუსტად ასევე ექცევა თავისი სულის ფერად ყვავილებს. იგი უბრალოდ ვერ ამჩნევს იმას, რაც არ თავსდება ცნებაში „ადამიანი“ ან „მგელი“. მერედა რაღას არ მიაწერს „ადამიანს!“ ყოველივე ლაჩრული, მატრახაზული, სულელური და წვრილმანი, რაც მგლის ბუნებას არ ეთავსება, ჰარის ადამიანის თვისებად შეურაცხავს, ყოველი ძლიერი და კეთილშობილური კი მგლური საწყისისათვის მიუწერია, რადგან ჯერჯერობით ვერ მოუხერხებია გახდეს საკუთარი თავის

გამგებელი.

ახლა კი დავემშვიდობით ჰარის და მარტოს მივანდოთ თავისი გზით სიარული. ჰარი რომ უკვდავთა დასს შემოერთებოდა, ისიც რომ იქ ყოფილიყო უკვე, საიტკენაც თითქოს მის მძიმე გზას მიჰყავდა, ო, რა გაოცებით მოხედავდა ამ მშფოთვარე, ამ ძნელადსავალ, ძლივს საცნობ ბილიკებს, რა სულითა და გულით, გამკიცხავად თანაგრძნობითა თუ მხიარულად გაუღიმებდა მაშინ ტრამალის მგელს!

* * *

ტრაქტატი ბოლომდე რომ ჩავიკითხე, გამახსენდა: რამდენიმე კვირის წინ, ღამით, ერთი, ცოტა არ იყოს, უცნაური ლექსი დავწერე, სადაც სწორედ ტრამალის მგელზე იყო ლაპარაკი. ჩემს საწერ მაგიდაზე ქაღალდების დასტა გადავქექე, ის ფურცელი ვიპოვე და წავიკითხე[32]:

მე ვარ ტრამალის მგელი. ვყიალებ.

ქვეყნიერება წევს თოვლის შქერში,

ყვავი ხის ტოტზე ფრთას აფრთხიალებს.

კურდღლის და შველის დავკარგე გეში.

მე ვარ იმ შველის ტრფობით დამწვარი,

ნეტავი სადმე თვალი შევასწრო,

ხელში მოვიგდო, კბილი შევასო,

რა ბედენაა უქმად წანწალი.

ულბილეს თეძოს კბილით გავხევდი

და სისხლს ამ ჩემი გულის მკოდავის

ხარბად დავხვრეპდი და იმ აღისფერ

სისხლით გამძლარი, ყმუილს მოვრთავდი.

კურდღელს თუ ვიგდე, უნდა გავტკვირო

ხორცი, მთუთქავი შხეფებით სავსე,

ნუთუ ამოწყდა ქვეყნად საკბილო,

ქანცი გამიწყდა და დავრჩი მშრალზე?

შემივერცხლისფრდა კუდზე ბეწვები,

თვალსაც დამაკლდა, არ ვჩივი ბეწვებს,

დავკარგე ცოლი. ხელის ცეცებით

აწ დავძუნძულე და შველსდა ვეძებ.

დავძრწივარ, იქნებ ვნახო კურდღელი,

თუ არ მიმტყუნა ავდარში გეშმა,

გულს მიწვავს ცეცხლი ყელდამთუთქველი

და გატანჯულ სულს მივუთრევ ეშმაკს.[33]

და, აი, ახლა ხელში ჩემი ორი სურათი მქონდა: ერთი – გართმული ავტოპორტრეტი, ჩემსავით აფორიაქებული და მბორგავი, მეორე კი – ერთი შეხედვით მიუკერძოებელი ჩანახატი, რომელიც იმ უცხო კაცის ხელს შეეჭმნა, გულგრილად ყოველი მხრიდან რომ ცდილობდა ჩემს სულში შემოჭრას; ამ კაცმა ჩემ შესახებ თითქოს ყველაფერი და მაინც ჩემზე ნაკლები იცოდა. ორივე სურათი – ჩემი ნაღვლიანი, ენადაბორკილი ლექსიც და უცნობის ის ჭკვიანური ჩანახატიც – გულს მტკენდა. ორივე ჭეშმარიტებას ღაღადებდა. ორივე შეულამაზებლად აღწერდა ჩემს გაუხარელ ყოფას და მკაფიოდ გადმოსცემდა ამ ყოფის აუტანლობას. ტრამალის მგელი უნდა მომკვდარიყო, საკუთარი ხელით უნდა მოეღო ბოლო ამ საძულველი ცხოვრებისათვის, ან არადა, განახლებული, თვითშეფასების მომაკვდინებელ ცეცხლში გამლღვალი, უნდა გარდასახულიყო, საკუთარი თავისთვის ნიღაბი ჩამოეგლიჯა და საკუთარი „მეს“ ხელახლა შეცნობის გზას დასდგომოდა. ეჰ, მე ვიცნობდი ამ გზას, იგი ახალი და იდუმალი არ იყო ჩემთვის. უსაზღვრო სასოწარკვეთის წუთებში არაერთხელ შემიდგამს ამ გზაზე ფეხი. ამ სულისმღრღნელი, მძიმე განცდების ჟამს, ყოველთვის იმსხვრეოდა ჩემი ძველი „მე“, სიღრმეში მთვლემარე ძალები რომ ანჯღრევდნენ და ანადგურებდნენ. ამ დროს ჩემი ცხოვრების რომელიღაც სანუკვარი და გამორჩევით საყვარელი ნაწილი ხელიდან მიუხანათურად მეცლებოდა და მეკარგებოდა; ერთხელ იყო, ქონებასთან ერთად ბიურგერის სახელი დავკარგე. თანდათან მივხვდი, უნდა დავმშვიდობებოდი იმ ხალხის პატივისცემას, ადრე ჟუდის მოხდით რომ მესალმებოდა. მეორედ იყო და, ერთ ღამეში ოჯახი დამენგრა: ცოლი სულით დამიავადდა და შინიდან გამომავდო. [34] საათივით აწყობილი ცხოვრება თავზე დამემხო. სიყვარული და ნდობა სიძულვილმა და მოსისხლე მტრობამ შეცვალა. მეზობლებმა სიბრალოულითა და გამჭირდავად დამიწყეს ცქერა. აი, სწორედ აქ იღებს სათავეს ჩემი მარტოსულობა. მოგვიანებით, სიმწრით გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ, სრული განმარტოებისა და მკაცრი თვითდისციპლინის წყალობით, ხელი ახალ ცხოვრებას მივყავი, რომელიც ყველაფრისაგან განდგომასა და სულიერ ძალისხმევაზე იყო დაფუძნებული. დავეწაფე გრძნობების აბსტრაქტულ ვარჯიშსა და მკაცრ, მწყობრ მედიტაციას. ჰოდა, თითქოს კვლავ დამეუფლა გარკვეული სიმშვიდე, ცხოვრებაში თითქოს რაღაც მწვერვალსაც მივადწიე, მაგრამ უეცრად ეს ცხოვრებაც თავზე დამენგრა. მანაც დაკარგა თავისი უზენაესი, კეთილშობილური აზრი და აი, კვლავ შემიპყრო ამქვეყნად ფათერაკული მოგზაურობის გიჟურმა ჟინმა, კვლავ დამიხვავდა ახალი ტანჯვა თუ ცოდვები. და ყოველთვის, სანამ ნიღაბს ჩამოვიგლეჯდი ანდა იდეალის დაღუპვას შევიგრძნობდი, ჩემს სულში აუტანელი სიცარიელე და სიჩუმე ისადგურებდა. ამ დროს მბოჭავდა რაღაცა, მომაკვდინებელი

სიცარიელე, მარტოსულობა და კაცთმოძულეობა მიჰყრობდა და გულგრილობისა და სასოწარკვეთის ისეთსავე ჯოჯოხეთურ უდაბნოში მიხდებოდა სიარული, როგორსაც ამჟამად განვიცდი.

მაგრამ ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ასეთი ძვრების წყალობით ბოლოს მაინც ვიძენდი რაღაცას, ამის უარყოფა არ შემიძლია. უფრო ღრმად ვწვდებოდი თავისუფლებისა და სულიერი ცხოვრების არსს, თუმცა ამავე დროს უფრო მეტად დამეუფლებოდა ხოლმე მარტოსულობის, გაურკვევლობისა თუ გულცივობის გრძნობა. ბიურგერის თვალით რომ შეგეხედათ, ჩემი ცხოვრება თითქოს მარადიული სულიერი ძვრებისა და დაცემის მარჯვლათაგან ასხმული ჯაჭვი იყო, იგი ვერ თავსდებოდა ჩვეულებრივი ჯანსაღი ცხოვრების ჩარჩოებში. სწორედ ამიტომ შემერქვა უსაქმური, უნაყოფო და უთვისტომო კაცის სახელი, სწორედ ამიტომ აღმოვჩნდი ყოველგვარი სოციალური დაჯგუფების მიღმა, გარიყული და სხვის სიყვარულს დანატრებული. ის კი არა, ზოგი ეჭვის თვალითაც მიყურებდა, რადგან მუდამ ვებრძოდი საზოგადოებრივ აზრსა და მორალს. მართალია, ჯერჯერობით კვლავ ბიურგერულ წრეში ვტრიალებდი, მაგრამ ჩემი აზრებისა და განცდების გადამკიდე, ამ წრეში უკვე უცხო კაცი ვიყავი. სარწმუნოება და სამშობლო, ოჯახი და სახელმწიფო ჩემთვის არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენდა და ამ ყველაფრისგან თავი შორს მეჭირა. გულს მირევდა მეცნიერების, ხელოვნებისა თუ ხელოსნობის პატივმოყვარეობა. ჩემი აზრები, გემოვნება, მთელი ჩემი მსოფლმხედველობა, რისი წყალობითაც უწინ ასე გამოვიჩიოდი და ნიჭიერი კაცის სახელი მქონდა გავარდნილი, ახლა იავარქმნილიყო. ადამიანებმა ეჭვის თვალით დამიწყეს ცქერა. ამ მტანჯველი ფერისცვალების დროს თუკი რამ უხილავი და უწონადო შემიძენია, ძალიან ძვირადაც დამჯდომია; დიახ, ჩემი ცხოვრება სულ უფრო დაუთმენელი, ეული და სახიფათო ხდებოდა. ჰოდა, რატომ უნდა მდომებოდა კვლავ ამ გზით სიარული?! ამ გზას ხომ უფრო და უფრო გაუცხოებული სივრცეებისაკენ მივყავდი, აგრერიგად რომ წააგავდა ნიცშეს საშემოდგომო სიმღერის კვამლს.[35]

დიახ, ჩემთვის ნაცნობი იყო ეს განცდები და ფერისცვალება, რომელსაც თავად განგების ძალა არგუნებს ხოლმე წილად თავის ურჩ შვილებს, ამდენ თავსატეხს რომ უჩენენ მას. დიახ, ძალიან კარგად ვიცნობდი იმ განცდებს. ასე კარგად იცის პატივმოყვარე, მაგრამ უიღბლო მონადირემ ნადირობის ყველა წვრილმანი, ასე კარგად ესმის ბირჟის ძველ საქმოსანს სპეკულაციის, მოგების, ჭოჭმან-ბორძიკისა თუ გაკოტრების ასავალ-დასავალი. ნუთუ ხელახლა უნდა განმეცადა ყოველივე? ნუთუ კვლავ უნდა გამეველო წამების ეს გზა, წილად უნდა მხვდომოდა ეს მშფოთვარე განცდები, კვლავ უნდა დამჭირვებოდა საკუთარი „მეს“ სიმდაბლისა და არარაობის ჭვრეტა და კვლავ უნდა შევეპყარი ამ შემზარავ ძრწოლას, ამ შიშს სიკვდილის წინაშე? განა უფრო გონივრული და იოლი არ იქნებოდა, ხელახალი ტანჯვა თავიდან ამეცილებინა და როგორმე ხელიდან დავძრომოდი მას? თქმა არ უნდა, გაცილებით უფრო იოლი და ჭკვიანური იქნებოდა! რაც არ უნდა ექადაგათ ჩემთვის „თვითმკვლელებზე“ ტრამალის მგელზე შეთხზულ იმ ბროშურაში, ვერავინ მომისპობდა სიამოვნებას, ამ მტანჯველი ტკივილისათვის სანათი გაზის, სამართებლისა თუ დამბაჩის მეშვეობით დამელწია თავი. კაცმა რომ თქვას, ეს ტკივილი უკვე საკმაოდ ხშირად, და, თან ბლომად მიგემია. დალახვროს ეშმაკმა, ამქვეყნად ნამდვილად არ არსებობდა ძალა, რომელიც კვლავ მაგრძნობინებდა ამ ტკივილით გამოწვეულ შიშს და ფერისცვალებას შემადლებინებდა. ეს ყველაფერი,

ბოლოს და ბოლოს, სიმშვიდესა და უმფოთველობას კი არა, ისევ და ისევ თვითგანადგურებასა და გარდასახვას მიჰადდა! დაე, ითვლებოდეს თვითმკვლელობა სისულელედ, სილაჩრედ და სულმდაბლობად, დაე იყოს იგი საძრახისი და სამარცხვინო ხსნა! – ტანჯვის ამ მორევადან ნებისმიერი გამოსავალი, რაგინდ სამარცხვინო და სათაკილოც არ უნდა იყოს, ვაი, რომ ადამიანს მაინც ბედნიერებად მიაჩნია. ამ დროს აღარ გჭირდება კეთილშობილებისა და გმირობის გათამაშება, უბრალო არჩევანის წინაშე დგახარ და ფიქრობ, რა ამჯობინო: სულ მცირედი, წამიერი ტკივილი თუ შემზარავი, უსაშველო, ენით აუწერელი ტანჯვა. ჩემი მძიმე და გიჟური ცხოვრების მანძილზე ხშირად გამომიჩენია კეთილშობილური დონკიხოტობა, საკუთარი ღირსება ხშირად დამიყენებია ფუფუნებაზე, ხოლო გმირობა – გონებაზე მაღლა; მაგრამ კმარა! მორჩა, გათავდა!

დილამ უკვე შემოიხედა ფანჯრებში. ზამთრის დაწყებული დილა იყო, ტყვიისფერი და წვიმიანი. როგორც იქნა, ჩავწექი ლოგინში და ძილში თან ჩავიყოლე ჩემი გადაწყვეტილება. აი, წავთვლიმე კიდეც, მაგრამ გონების რომელიღაც კუნჭულში, ძილ-ღვიძილის მიჯნაზე, თვალწინ გამიელვა ბროშურის იმ უცნაურმა ადგილმა, სადაც „უკვდავთა დასზე“ იყო ლაპარაკი. უცებ გამახსენდა, რა ხშირად მიგრძნია და, აკი ამ ცოტა ხნის წინათაც განვიცადე, თითქოს ძალიან ახლოს ვიყავი უკვდავთა დასთან, ისე ახლოს, რომ შევძელი ძველებური მუსიკის ტაქტში მათი ცივი, ნათელი, ქუშად მოღიმარი სიბრძნე დამეჭირა. ყოველივე ეს გონებაში ამომიტივტივდა, გაიკიაფა, ჩაქრა და ძილმაც თავისი მძიმე ხელი ჩამომადო შუბლზე.

შუადღისას გამომელვიდა. მაშინვე მთელი სიცხადით შევიგრძენი, რა დღეშიც ვიყავი. ჩემი ლექსები და ბროშურა მაგიდაზე ეწყო, ღამით მიღებული გადაწყვეტილება, ძილში კიდეც უფრო მომწიფებული და განმტკიცებული, ახლა ცივი კეთილმოსურნეობით შემომყურებდა ჩემი ცხოვრების ბოლო სამანზე აგორებული ქაოსიდან. აჩქარება საჭირო აღარ იყო. გადაწყვეტილება, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავამთავრებ-მეთქი, ჩემთვის წუთიერი ჟინი არ ყოფილა. იგი უკვე მწიფე ნაყოფად ქცეულიყო, რომელიც ბედისწერის ქარის დაბერვისთანავე მოწყდებოდა. ქარი კი უკვე ნება-ნება არხევდა ნაყოფს.

სამგზავრო აფთიაქში ერთი უებარი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება მქონდა. ეს იყო ოპიუმის ძლიერი პრეპარატი. მის წამდაუწუმ ხმარებას ვერიდებოდი და ხშირად თვეობითაც არ ვეკარებოდი. ამ გამაბრუებელ საშუალებას მხოლოდ მეტისმეტად აუტანელი ფიზიკური ტკივილების დროს ვსვამდი. სამწუხაროდ, თავის მოსაკლავად იგი არ გამოდგებოდა. ამაში რამდენიმე წლის წინათ დავრწმუნდი, იმ დღეს, როცა სასოწარკვეთილების ჟამს წამალი ბლომად ვყლაპე. წამლის ის რაოდენობა ექვს კაცს გაისტუმრებდა საიჭიოში, ჩემზე კი არ გაჭრა, თუმცა დაძინებით მალე დამეძინა; რამდენიმე საათს ერთიანად გაბრუებული ვიწექი, მერე კუჭის არეში ძლიერმა შეტევამ გამაღვიდა. საშინელი იმედგაცრუება ვიგრძენი. ბოლომდე გამოფხიზლებული არც ვიყავი, რომ მთელი შხამი უკანვე ამოვანთხიე. მერე კვლავ ჩამეძინა და მხოლოდ მეორე დღეს, შუადღეზე გამომელვიდა. ტვინი თითქოს გამომწვარი და გამოცარიელებული მქონდა, მაგრამ ამასთანავე საოცრად ფხიზელიც. მახსოვრობა მთლად დამკარგვოდა. მოწამვლის შემდეგ უძილობა და საშინელი კუჭის ტკივილი დამჩემდა, ეს იყო და ეს.

ასე და ამრიგად, ეს საშუალება სათვალავში ჩასაგდება არ იყო, ჩემმა გადაწყვეტილებამ კი ასეთი სახე მიიღო: თუკი ჩემი ცხოვრება ისე წარიმართება, რომ კვლავ დამჭირდება ოპიუმი, სრული უფლება მექნება ეს ხანმოკლე ხსნა უფრო ხანგრძლივით შევცვალო. ჰოდა, მაშინ თვითმკვლელობასაც აღარაფერი დაუდგება წინ. ეს იქნება ნაღდი, საიმედო სიკვდილი, ტყვიით ან სამართებლით რომ უწერია აღსრულება. ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ ტრამალის მგელზე დაწერილი ბროშურა კეთილგონივრულად მირჩევდა ორმოცდაათ წლამდე მომეცადა. არადა, მანამდე კიდევ ორი წელი რჩებოდა – უსასრულოდ დიდი დრო. განა სულ ერთი არ იყო, როდის აღვისრულებდი საწადელს, ერთი წლისა თუ ერთი თვის შემდეგ, ან თუნდაც ხვალ?! – კარი ხომ უკვე გამოღებული მქონდა!

ვერ ვიტყვი, ამ „გადაწყვეტილებას“ დიდად შეეცვალოს ჩემი ცხოვრება. ერთი კია, ცოტა არ იყოს, გულგრილად დავუწყე ცქერა საკუთარ სატკივარს. ამ დღის მერე უფრო გულარხეინად მივეძაღე ოპიუმსა და ღვინოს. ცნობისმოყვარეობამ ჩემში თანდათანობით გაიღვიძა. მსურდა გამეგო, სად გადიოდა ადამიანის ამტანობის ზღვარი. აი, ეს იყო და ეს. სხვა მხრივ იმ საღამომ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ტრამალის მგელზე დაწერილ ტრაქტატს დროდადრო ვკითხულობდი, ხან აღტაცებისა და მაღლიერების გრძნობით, თითქოს ვაღიარებდი, რომ მავანი უხილავი მოგვი ბრძნულად წარმართავდა ჩემს ბედ-იღბალს, ხან კი ტრაქტატის გონიერი სიფხიზლე ზიზღნარევ დაცინვას იწვევდა ჩემში და გული ბოღმით მევსებოდა; ასე მეგონა, არაფერი გაეგება ჩემი დაძაბული ცხოვრებისა და გუნებ-განწყობისა-მეთქი. ის, რაც ბროშურაში ტრამალის მგლებსა და თვითმკვლელებზე ეწერა, გონივრული და ჩინებული ნათქვამი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი განსაკუთრებული ჯურის ადამიანებს შეეხებოდა და გონებამახვილო აბსტრაქციას წარმოადგენდა მხოლოდ! ვგრძნობდი, ჩემი პიროვნების, ჩემი სულისა თუ გამორჩეული ბედ-იღბლის მოთავსება ამ უხეშ ბადეში ვერასოდეს მოხერხდებოდა.

ყველზე მეტად მაინც ეკლესიის გალავანთან ნანახი ზმანებები და განათებული, მროკავი ასოებით შედგენილი, მრავლის აღმთქმელი განცხადება ჩამებეჭდა გონებაში, ასე რომ ესადაგებოდა ტრაქტატის მინიშნებებს. ვინ მოთვლის, რამდენი დაპირება ამოვიკითხე იქ! იმ უხილავი სამყაროდან მოღწეულმა ხმებმა კიდევაც შეძრეს ჩემი ცნობისმოყვარეობა. ხშირად საათობით, თავდავიწყებით ვეძლეოდი მათზე ფიქრს და მაშინ სულ უფრო მკაფიოდ ჩამესმოდა ყურში იმ წარწერებით ნათქვამი გაფრთხილება: „ყველას არ შეესვლება! ყველას არა!“ „მხოლოდ შემოღილთათვის!“ მაშასადამე, მეც შემოღილი ვყოფილვარ, მაშასადამე მეც დიდი მანძილი მაშორებდა ამ „ყველას“, თუკი იმ ხმებმა ჩემამდე მოაღწია და იმ სამყაროდან მესაუბრებოდა. ღმერთო ჩემო, მე ხომ კარგა ხანია განვუდექი ისეთ ცხოვრებას, სხვები რომ ეწევიან, მე ხომ უარი ვთქვი ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფასა და აზროვნებაზე, მე ხომ დიდი ხნის წინათ ავიღე ხელი ყველაფერზე და გავგიჟდი?! და მაინც, სულის სიღრმეში მშვენივრად მესმოდა, თუ რატომ ველტვოდი ასეთი გზნებით სიგიჟეს, ასე ძალიან რატომ მსურდა მომეშორებინა გონიერება, შებოჭილობა, ბიურგერული პირობითობა, ასე ძლიერ რატომ მიჰყრობდა სურვილი, შევჭრილიყავი სულის, წარმოსახვის მშფოთვარე სამყაროში, სადაც არ მოქმედებს არავითარი კანონი.

ერთ დღეს კვლავ დიდხანს ვიხეტიალე ქუჩებსა და მოედნებზე, პლაკატებიანი კაცის

ძებნაში ბევრჯერ ავუარ-ჩავუარე იმ უხილავჭიმკრიან გალავანს. ბოლოს წმინდა მარტინის გარეუბანში[36] სამგლოვიარო პროცესიას გადავეყარე. ჭირისუფლები კატაფალკს მიჰყვებოდნენ. ვაკვირდებოდი მათ სახეებს და ვფიქრობდი: ნეტა ამ ქალაქში ან სადმე ქვეყნად თუ ცხოვრობს კაცი, რომელსაც ჩემი სიკვდილი შეძრავს, ან თუ არსებობს ადამიანი, რომლის სიკვდილიც დანაკარგი იქნება-მეთქი ჩემთვის? რა თქმა უნდა, მყავდა ერიკა, ჩემი სატრფო, მაგრამ თითოეული ჩვენგანი უკვე კარგა ხანია თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო ჩვენი შეხვედრები იშვიათად თუ დამთავრდებოდა ხოლმე შეხლა-შემოხლის გარეშე. ისიც არ ვიცოდი, სად იმყოფებოდა ამჟამად. ხანდახან ერიკა ჩემთან ჩამოდიოდა, მეც ვეწვეოდი ხოლმე. ორივენი მარტოხელები და არცთუ დამყოლი ზნის ადამიანები ვიყავით; ვგრძნობდით, სულიერი ნათესაობა გვაკავშირებდა და ეს დასნეულებული სულიც კიდევ უფრო გვაერთიანებდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ასე თუ ისე, მაინც არ ვწყვეტდით ურთიერთობას; მაგრამ ჩემი სიკვდილის ამბავს რომ შეიტყობდა, ვინ იცის, იქნებ თავისუფლად ამოესუნთქა და შვებაც ეგრძნო? არ ვიცი, ამისა არაფერი გამეგებოდა, ისევე როგორც არაფერი მესმოდა საკუთარი გრძნობებისა და ვერც ვიტყოდი, რამდენად სანდოა მათი აყოლა. ადამიანი ნორმალურ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს, არ უნდა გადააბიჯოს შესაძლებლობათა მიჯნას, თუკი სურს, ამგვარ ამბებს თავი და ბოლო გაუგოს.

ამასობაში რატომღაც მომეპრიანა სამგლოვიარო პროცესიას შევრეოდი და ჭირისუფლებთან ერთად სასაფლაოსკენ გავწიე. ცემენტის თანამედროვე სასაფლაოს მივადექით, სადაც კრემატორიუმიც იყო და ნაირ-ნაირი ტექნიკური დანადგარიც, მაგრამ ცხედრის დაწვა გუნებაში არავის ჰქონია; კუბო გაჭრილ სამარესთან დადგეს. თვალყურს ვადევნებდი მღვდელსა და მთელ ამ ამქარს, ვაკვირდებოდი დამკრძალავი ბიუროს მოხელეებს, თავგამოდებით რომ ცდილობდნენ საზეიმო განწყობილებაც შეექმნათ და თან მწუხარე იერიც შეენარჩუნებინათ, მაგრამ ყველაფერი უგერგილოდ, ხელოვნურად, ყალბად გამოსდიოდათ და კიდევ უფრო სასაცილოები ჩანდნენ. ვხედავდი, როგორ უფარფარებდათ ტანზე შავი სამოსი, როგორ ცდილობდნენ შეკრებილთათვის სათანადო განწყობა შეექმნათ, აეძულებინათ, მუხლი მოეყარათ სიკვდილის სიდიადის წინაშე. მაგრამ ყოველგვარი მეცადინეობა ფუჭი იყო. არავინ მოთქვამდა, ეტყობა, მიცვალებული არავის ედარდებოდა. ღვთისმოსაობის გრძნობაც არ აწუხებდა კაციშვილს და, როცა მღვდელმა დამსწრეებს მიმართა, „ჩემო ძვირფასო ქრისტიანო თანამოძმეო“, ვაჭრებმა, ხაბაზებმა და მათმა ცოლებმა ნაძალადევი სიდიინჯითა და ყასიდი მოკრძალებით დახარეს თავი. იმწუთას ყველანი ერთ სურვილს აეტანა: რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო მთელი ეს დავიდარაბა. ჰოდა, მალე კიდევ დამთავრდა ყველაფერი. წინა რიგებში მდგომმა ორმა ქრისტიანმა თანამოძმემ ორატორს ხელი ჩამოართვა და სველ თიხაში ამოთხვრილი ფეხსაცმელი იქვე გაზონის კიდეც შეაწმინდა. ცხედარი მიწას მიაბარეს თუ არა, დამსწრეებს კვლავ დაუბრუნდათ ადამიანური იერი. მოულოდნელად ერთი იქ მყოფთაგანი მეცნო. ის კაცი უნდა ყოფილიყო, პლაკატს რომ დაატარებდა და მერე ხელში ბროშურაც რომ შემომეჩეხა. ის-ის იყო გავიფიქრე, ნამდვილად ის კაცია-მეთქი; სწორედ ამ დროს ზურგი შემომეჩეცია, დაიხარა, შავი შარვლის ტოტები გულმოდგინედ აიკაპიწა და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა იქაურობას. ილღიის ქვეშ ქოლგა ამოეჩარა. გავეკიდე, დავეწიე და მივესალმე, მაგრამ, ეტყობა, ვერ მიცნო.

– დღეს საღამოს ატრაქციონი თუ იქნება? – ვკითხე და თან შევეცადე თვალი ჩამეკრა, როგორც ეს ერთმანეთში პირშეკრულ თანამზრახველებს სჩვევიათ ხოლმე, მაგრამ ასეთ მეტყველ თამაშს კარგა ხანია გადავეჩვიე. ის კი არა, ჩემი ცხოვრების გადამკიდეს, ხალხთან ლაპარაკიც კი გადამავიწყდა. ჰოდა, ვიგრძენი, სულელურად რომ დავიჯღანე მხოლოდ.

– ატრაქციონი? – ჩაილულულა მან და შემცბარმა შემომხედა. – გართობა თუ გნებავთ, „შავ არწივში“ მიბრძანდით.

ახლა კი მართლა დავეჭვდი, ალბათ სხვა კაცია-მეთქი. იმედგაცრუებულმა განვაგრძე გზა. არ ვიცოდი, სად მივდიოდი. არავითარი მიზანი და მოვალეობა აღარ არსებობდა ჩემთვის. ცხოვრებას ღვარძლივით ამაზრზენი გემო დაჰკრავდა. ვგრძნობდი, უფრო და უფრო მაზიდებდა. აი, უკვე რა ხანია მაწუხებდა გულისრევა, ვხედავდი, როგორ მაპანლურებდა და მაბურთავებდა ეს ცხოვრება. გაბოროტებული მივაბიჯებდი ჩაბნელებულ ქალაქში, ყოველი მხრიდან ნოტიო მიწისა და სამარის სუნი მცემდა. არა, ეს შაოსანი ყვავები ჩემს საფლავთან ვერ ეღირსებიან დგომას, ვერ მოიფხანენ გულს გულისამაჩუყებელი, ცოდო-მადლის განმკითხავი ლაქლაქით! ეჰ, საითაც არ უნდა გამეხედა, საითაც არ უნდა მიმეპყრო ფიქრი, არსაიდან მელოდა სიხარული, არავინ მიხმობდა, არაფერი მიზიდავდა, ყველაფერს დამპალი ჟამგასულობის, ხრწნადი ნახევრის ნახევრული კმაყოფილების მყრალი სუნი ასდიოდა, ირგვლივ ყველაფერს ყავლი გასვლოდა, ყოველივე მომჩვარულიყო, განაცრისფერებული და მიხრწნილი ჩანდა. ღმერთო ჩემო, რატომ უნდა დამმართნოდა ასე? რატომ მივუშვი აქამდე თავი ოცნებით ფრთაშესხმულმა ყმაწვილმა, მუზების მეგობარმა, კაცმა, რომელსაც ასე მიყვარდა ამქვეყნად ხეტიალი?! მერედა როგორი გულმხურვალე იდეალისტი ვიყავი?! მაშ, როგორ შემომეპარა ასე ნელი-ნელ, ასე უჩუმრად ეს ყველაფერი და როგორ დამიმორჩილა? საიდან გაჩნდა ეს უძლურება, ზიზღი საკუთარი თავისა და ყველაფრისადმი, გრძნობების ეს ყურდანშულობა, უსაზღვრო გაბოროტება, სულიერი სიცარიელისა და სასოწარკვეთის ეს ამაზრზენი დომხალი?

ბიბლიოთეკას გვერდით რომ ჩავუარე, გზაზე ახალგაზრდა პროფესორი შემომხვდა. უწინ ერთი-ორჯერ გაგვისაუბრია, ამ რამდენიმე წლის წინათ კი, როცა უკანასკნელად გახლდით ამ ქალაქში, ვესტუმრე კიდეც, რადგან იმხანად აღმოსავლური მითოლოგიით ვიყავი გატაცებული და მასთან ამ საკითხებზე საუბარი სიამოვნებას მგვრიდა. და, აი, ახლა პროფესორი ჩემკენ მოეშურებოდა. ცოტათი ბეცი იყო და მზერაც ცივი ჰქონდა. მაშინლა მიცნო, გვერდის ავლა რომ დავუპირე. გახარებული მომიბრუნდა. საშინელ გუნებაზე ვიყავი და ასეთი საქციელისათვის ლამის მადლიერიც კი დავრჩი მისი. ამ შეხვედრით გახარებულმა და გახალისებულმა პროფესორმა ჩვენი ადრინდელი საუბრების ზოგიერთი წვრილმანი გაიხსენა, მითხრა, თქვენგან დიდად ვარ დავალებული და ხშირადაც გიგონებდით, რადგან ჩემს კოლეგებთან იშვიათად თუ მქონია ასეთი საინტერესო და ნაყოფიერი საუბრებიო. შემდეგ მკითხა, რამდენი ხანია, რაც ჩვენს ქალაქში იმყოფებითო? ვიცრუე და ვუპასუხე, ერთი-ორი დღეა-მეთქი; ჰოდა, ოჯახში რატომ არ მეწვითო? ამ ზრდილი კაცის განსწავლულობით ბეჭედდასმულ, კეთილ სახეს რომ შევხედე, მართალი გითხრათ, გუნებაში გამეცინა კიდეც, მაგრამ მშვიდი ძალღივით მაინც ხარბად დავაცხერი სიტბოსა თუ ყურადღების მისგან ნაწილადევ ამ პაწია ნამცეცებს. გულაჩუყებულმა ტრამალის მგელმა – ჰარიმ კბილები დაკრიჭა,

გამშრალი ხახა ნერწყვით გაევსო, და გულჩვილობამ, მისი სურვილის წინააღმდეგ, ქედი მოახრევინა. დიახ, გულდაჯერებით მოვიტყუე, ცოტა ხნით ჩამოვედი, სამუშაო მაქვს, თანაც თავს მთლად კარგად ვერ ვგრძნობ, თორემ, რასაკვირველია, ერთხელ მაინც მოგინახულებდით-მეთქი. მერე კი, როცა სულითა და გულით მიმიპატიჟა თავისთან და მთხოვა, დღევანდელი საღამო ერთად გავატაროთო, მადლობა მოვახსენე, შევპირდი, მოვალ-მეთქი და ცოლთან მოკითხვაც დავაბარე. ყბები მატკინა ამდენმა ლაპარაკმა და კრეჭამ, რადგან ასეთ დაძაბულობას გადაჩვეული ვიყავი. და აი, ვიდრე მე, ჰარი ჰალერი, ქუჩაში ვიდექი, მოულოდნელობისგან გაოგნებული და თავმოქონილი, ამ კეთილ კაცს ბეც თვალებში შევცქეროდი და თავაზიანობით მისი გულის მოგებას ვცდილობდი, მეორე ჰარი იქვე, გვერდით მედგა, იკრიჭებოდა და ფიქრობდა, ეს რა უცნაური, ქარაფშუტა და არაგულწრფელი ვინმე ყოფილაო; სულ რაღაც ორიოდ წუთის წინ ამ ქვეყანას წყევლა-კრულვას უთვლიდა და სიბრაზისგან კბილებს აკრაჭუნებდა, უცებ კი მავანი პატივცემული ბიურგერის თითის დაქნევა და მისალმება საკმარისი აღმოჩნდა, რომ მის ჰანგზე აცეკვებულიყო; ამ ერთი ბეწო კეთილგანწყობამ, პატივისცემამ და თავაზიანობამ მაშინვე დაადნო და ისიც ფხანვისგან ნაამები გოჭივით გაიტრუნაო. თავაზიანი პროფესორის წინ ორი ჰარი იდგა და ორივე ერთობ უსიამოვნო სანახავი იყო. ისინი სიძულვილით უთვალთვალებდნენ და პირში აფურთხებდნენ ერთმანეთს და, როგორც ყოველთვის, ახლაც ისევ და ისევ ერთი კითხვა უტრიალებდათ თავში: ნეტა ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე და სისულელეა, ესე იგი, ზოგადსაკაცობრიო ხვედრია, თუ ეს სენტიმენტალური ეგოიზმი, უნებისყოფობა, გრძნობათა ქაოსი და გაორება ტრამალის მგლის წმინდა პიროვნული თვისებააო მხოლოდ? თუკი ეს სიმდაბლე ზოგადსაკაცობრიო ხასიათისა იყო, რა გაეწყობოდა! მაშინ სამყაროს მიმართ ჩემს ზიზღს შეიძლებოდა ახალი ძალით გადმოეხეთქა; მაგრამ თუკი ეს მხოლოდ ჩემი პიროვნული სისუსტე იყო, მაშინ საბაბი მქონდა მთელი ბოღმა და ვარამი საკუთარ თავზე ამომენტხია.

ორ ჰარის შორის გამართულმა ჭიდილმა პროფესორი თითქმის გადამავიწყა. უეცრად საშინლად მომბეზრდა მასთან ლაპარაკი და დავეშურე, რაც შეიძლება მალე გავცლოდი იქაურობას. მერე კარგა ხანს გავცქეროდი მიმავალს. ვხედავდი, იდეალისტი კაცის ნაბიჯით მიამიტად და, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ რომ მიაბიჯებდა ფოთლებშემოძარცულ ხეივანში. დიახ, რწმენით აღსავსე კაცის ნაბიჯით მიდიოდა. ჩემს სულში კი ქარიშხალი ბობოქრობდა. ჩემდა უნებურად ხან მუშტად შევკრავდი ხელს, ხან გავშლიდი გათოშილ თითებს, თან ნიკრისის ქარს ვებრძოდი, გულს რომ მიღრღნიდა. მერე იძულებული გავხდი საკუთარი თავისთვის გამენდო, რომ გამასულელეს, მე კი, ჩემდა საუბედუროდ, დავთანხმდი თავაზიან მიპატიჟებაზე, უარი არ ვთქვი მეცნიერულ პაექრობასა და უცხო ოჯახური ბედნიერების ჭვრეტაზე! გაბრაზებულმა შინისკენ გავწიე. კონიაკი წყლით გავაზავე, ტკივილგამაყუჩებელი აბები გადავყლაპე, ტანტზე მივწექი და წიგნის კითხვა დავაპირე. ბოლოს თითქოს გამიტაცა კიდეც „სოფის მოგზაურობამ მემელიდან საქსონიაში“, ერთხანს ვიკითხე მეთვრამეტე საუკუნის ეს მშვენიერი ბულვარული რომანი, ვიდრე უეცრად გამახსენდებოდა, რომ სტუმრად უნდა წავსულიყავი, თან წვერიც გასაპარსი მქონდა და ტანსაცმელიც უნდა გამომეცვალა. ღმერთმა უწყის, რისთვის ავიკვიატე ეს ყველაფერი! ახლა კი კეთილი ინებე, ჩემო ჰარი, აბრძანდი, გვერდზე მიაგდე წიგნი, გაისაპნე, გასისხლიანებამდე ჩამოიფხიკე ნიკაპი,

გამოიპრანჭე და თან ადამიანების მიმართ კეთილად განეწყვე! ვისაპნიდი პირისახეს და იმ ტიალ, ატალახებულ სამარეზე ვფიქრობდი, დღეს რომ ვნახე იქ, სასაფლაოზე. გამახსენდა, თოკით როგორ ჩაუშვეს შიგ ვიღაც მიცვალებული, თვალწინ დამიდგა ქრისტიანი თანამოძმეების მოწყენილობისგან დამანჭული სახეები, მაგრამ იმის თავიც აღარ მქონდა, გულიანად გამცინებოდა. ასე მეგონა, იქ, იმ ატალახებულ ორმოსთან, სადაც შემცბარი მღვდლის სიტყვები ისმოდა, სამგლოვიარო პროცესიის თანამონაწილეები კი სულელური, დარცხვნილი იერით იდგნენ ჯვრების, თუნუქისა და მარმარილოს დაფების უღიმღამო სამეფოში, მარტო იმ უცნობი კაცის ცხოვრება როდი დასრულდა-მეთქი! იქ, იმ ლაფში, ყასიდად შემცბარი და შეწუხებული დამსწრეების თვალწინ ხვალ-ზეგ მარტო მე როდი ჩამფლავდნენ! არა, იქ მთავრდებოდა მთელი ჩვენი მიზანსწრაფვა, კულტურა, რწმენა, სიცოცხლისმოყვარეობა თუ სიხალისე, ყველაფერი, რასაც ასეთი მძიმე სენი შეჰყროდა და სულ მალე დასამარება ეწერა. ასე და ამრიგად, სასაფლაოდ ქცეულიყო მთელი ჩვენი კულტურა. იესო ქრისტე, სოკრატე, მოცარტი, ჰაიდნი, დანტე თუ გოეთე ჟანგიანი თუნუქის დაფებზე შემორჩენილი გახუნებული სახელებიდა იყო. მათ გარშემო კი შემცბარი და ყასიდად მჭმუნვარე ჭირისუფლები იდგნენ. ისინი არაფერს დაიშურებდნენ, ოღონდ კი ამ თუნუქის დაფების დანახვაზე კვლავ დაბრუნებოდათ ძველებური რწმენა, ოღონდ კი კვლავ შესძლებოდათ სასოწარკვეთისა თუ მწუხარების ალალი სიტყვები ელაღადათ ამქვეყნიურ წარმავლობაზე. არადა, ახლა აღარაფერი დარჩენოდათ იმის გარდა, მოდიმარი სახით მორცხვად მდგარიყვნენ სამარის პირას. ცოფმორეულმა ახლაც იმ ადგილას გავიჭერი ნიკაპი, სადაც სხვა დროსაც გამიჭრია ხოლმე. მერე ჭრილობაზე შაბი მოვისვი, მაგრამ სულ ახლახან მიკერებული სუფთა საყელოს გამოცვლა მაინც დამჭირდა. ვერა და ვერ გამეგო, რატომ ვიქცეოდი ასე, მე ხომ იმ ვახშამზე წასვლის არავითარი სურვილი არ მქონდა. მაგრამ აი, ჰარის რომელიღაც ნაწილმა კვლავ მომიწყო ამბოხი, პროფესორი გვარიან ყმაწვილად მოიხსენია, ადამიანის სუნის შეყნოსვა, ენის მოფხანა და გულის გადაშლა მოინდომა; თან პროფესორის პირმშვენიერი ცოლიც გაიხსენა. ერთი სიტყვით, სტუმართმოყვარე მასპინძლებთან წასვლა ერთობ სასიამოვნო გართობად დამიხატა, მომეხმარა ნიკაპზე ინგლისური სალბუნი დამედო, ჩამეცვა და ჰალსტუხიც კოხტად შემენასკვა. ასე შეპარვით მაიძულა ხელი ამეღო ჩემს ჭეშმარიტ სურვილზე და შინ აღარ გამაჩერა. ფიქრებმა წამიღო, აი, უკვე ვიცვამ და პროფესორთან წასასვლელად ვემზადები. მოგვიანებით მეტ-ნაკლებად ყალბი თავაზიანობით წავისაუბრებთ, მე კი – ცოდვა გამხელილი სჯობს – არავითარი სურვილი არა მაქვს ამისა. მაგრამ განა ადამიანთა უმრავლესობა ასე არ იქცევა?! ადამიანები ყოველდღიურად, ისე, რომ არავითარი სურვილი არა აქვთ, თავს აიძულებენ იარონ სტუმრად, იმუსაიფონ, დაწესებულ დროს სამუშაოზე გამოცხადდნენ და ყოველივეს ძალისძალად, ანგარიშმიუცემლად, უხალისოდ სჩადიან. არადა, ამას მანქანაც მშვენივრად გაართმევს თავს! თუმცა, ისიც დასაშვებია, თითი არავინ გაანძრიოს! მთელი ეს უთავბოლო ორომტრიალი ხელს უშლის ადამიანებს, ჩემსავით კრიტიკული თვალით შეხედონ საკუთარ ცხოვრებას, იგრძნონ მისი უაზრობა და წვრილმანობა, დაინახონ თავიანთი ყოფის ამაზრზენი, კბილებდაკრეჭილი ორჭოფულობა, უიმედო კაემანი და სიმწირე. ო, სავსებით მართალი არიან ადამიანები, ამ ცხოვრებით რომ ცხოვრობენ, თავისივე მოგონილი თამაშებით რომ ერთობიან და საკუთარ ფასეულობებს შეჰფოფინებენ, ნაცვლად იმისა, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ მომაბეზრებელ ორომტრიალს და,

სასოწარკვეთილი მზერა სიცარიელეს მიაჰყრონ, როგორც ამას მე, გზასაცდენილი კაცი ვაკეთებ. თუკი ამ წიგნში დროდადრო ადამიანების სიძულვილი, ანდა მათდამი დაცინვა გაკრთება, ნურვინ იფიქრებს, თითქოს მინდოდეს მთელი ჩემი დანაშაული სხვებს გადავაბრალო, მსჯავრი დავდო და ჩემი პირადი უბედურებისათვის პასუხისმგებლობა დავაკისრო! მაგრამ რაკილა თავად ასე ღრმად შევტოპე და ცხოვრების კიდესთან დავდექი, რომლის მიღმა ეს ცხოვრება უძირო უფსკრულში ინთქმება, განა უსამართლოდ არ ვიქცევი და არ ვცრუობ, როდესაც ვცდილობ, მოვატყუო საკუთარი თავიცა და სხვებიც, თითქოს ეს ორომტრიალი ჩემთვისაც გრძელდება, თითქოს მეც მივეკუთვნები ამ მარადიული თამაშის მიმზიდველ ბავშვურ სამყაროს!

საღამო მართლაც საოცრად წარიმართა.[37] ჩემი ნაცნობის სახლის წინ წუთით შევჩერდი და ფანჯრებს ავხედე. ფიქრებმა წამიღო. აი აქ ცხოვრობს კაცი, წლიდან წლამდე რომ შრომობს, კითხულობს, კომენტარებს ურთავს ტექსტებს, ეძებს კავშირს წინააზიურ და ინდურ მითოლოგიებს შორის და კმაყოფილია ამით, რადგან იცის თავისი გარჯის ფასი, სწამს და სჯერა მეცნიერებისა, რომელსაც ემსახურება, ესმის ხალასი ცოდნის მაღლი, მოვლენების შეჯერების მნიშვნელობა და არ დაუკარგავს რწმენა იმისა, რომ არსებობს წინსვლა და პროგრესი. ამ კაცს არ უფიქრია ომზე, არ უგრძნია, როგორ შეარყია აზროვნების საფუძვლები აინშტაინმა (ეს მხოლოდ მათემატიკოსების საქმე ჰგონია), ვერ ხედავს, როგორ ემზადებიან მის გარშემო მომავალი ომისათვის და მიაჩნია, რომ ებრაელები და კომუნისტები სიძულვილს იმსახურებენ. იგი ერთი კეთილი, უზრუნველი, კმაყოფილი და გაყოფილი ბავშვია. ასეთი ადამიანისა შეიძლება მხოლოდ შემურდეს კაცს. მზნეობა მოვიკრიბე და შევედი. წინკარში თეთრწინსაფრიანი მოახლე შემეგება. გულმა თუ მიგრძნო რაღაც და დავიმანსოვრე, სად ჩამოკიდა ჩემი პალტო და ქუდი. მერე მოახლემ თბილ, ნათელ ოთახში შემიყვანა და მთხოვა, მომეცადა. ჩემს ადგილზე სხვა ან ლოცვების ბუტბუტს მოჰყვებოდა, ანდა წათვლემდა. მე კი უცებ სიანცემ ამიტანა და პირველივე საგანი, რასაც თვალი შევაავლე, ხელში ავიღე. ეს იყო ჩარჩოში ჩასმული პატარა სურათი, რომელიც მუყაოს ფეხს ეყრდნობოდა და დამრეცად იდგა მრგვალ მაგიდაზე. გრავიურაზე გოეთე იყო გამოსახული.[38] ეტყობა, მხატვარს ძალ-ღონე არ დაეშურებინა, რომ ამ გენიალურად თმადავარცხნილ, ლამაზ, სახენაქანდაკარ მოხუცს მისეული ცეცხლოვანი მზერა ჰქონოდა და თან დიდკაცურად გაზულუქებულს, სიმარტოვისა და ტრაგიზმის იერი შერჩენოდა. მხატვარს ამ ბებერი დემონის ღრმა ბუნების გადმოცემაც მოეხერხებინა და ამასთან, მის სახეზე ერთგვარი განსწავლულობა, თეატრალური თავდაჭერილობა და წესიერება აღებეჭდა. ამრიგად, მხატვრის ხელს მართლაც რომ დიდებული მოხუცი მბრძანებლისა და მეუფის სურათი შეექმნა, ნებისმიერ ბიურგერულ ოჯახს რომ დაამშვენებდა. ეს სურათი ტოლს არ დაუდებდა ბეჯითი ხელოსნის ხელით შექმნილ მსგავს სურათებს, ნეტარი მაცხოვრები, მოციქულები, გმირები, სულის ბუმბერაზები და სახელმწიფო მოღვაწეები რომ არიან ხოლმე გამოსახულნი. ამ სურათში გარკვეულწილად ოსტატის ვირტუოზულობაც ვიგრძენი და ამან გამაღიზიანა. ასე იყო თუ ისე, რაკილა უკვე აღრენილი და გაგულისებული ვიყავი, მოხუცი გოეთეს პატივმოყვარე და თვითკმაყოფილმა სახემ საშინლად ამიმღვრია გუნება და მივხვდი, რომ უადგილო ადგილას აღმოვჩნდი. ეს იყო ძველი, სტილიზებული დიდოსტატებისა და ერის თავკაცების ადგილსამყოფელი,

ტრამალის მგელს კი აქ არაფერი ესაქმებოდა. იმ წუთში პროფესორი რომ შემოსულიყო, ალბათ რაიმეს მოვიმიზნებდით, დავემშვიდობებოდით და შინ წამოვიდოდით. მაგრამ ოთახში დიასახლისი შემოვიდა და იძულებული გავხდით, ბედს დავმორჩილებოდით, თუმცაღა გული არასასიკეთოს მიგრძნობდა. ერთმანეთს მივესალმეთ. მერე უსიამოვნებას უსიამოვნება მოჰყვა. ქალმა დათაფლული ენით ქათინაური მითხრა, მშვენივრად გამოიყურებითო, მე კი ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ საკმაოდ მოვტყდი. ჩემდა საუბედუროდ, ნიკრისის ქარმაც სწორედ იმ დროს შემახსენა თავი, როცა ხელს ვართმევდი დიასახლისს. ქალმა მკითხა, როგორ ბრძანდება თქვენი ძვირფასი მეუღლეო. მეტი გზა არ იყო, ვუთხარი, ცოლმა მიმატოვა და ერთმანეთს დავცილდით-მეთქი. როცა ოთახში პროფესორი შემოვიდა, ორივეს გულზე მოგვეშვა. ისიც გულთბილად მომესალმა და ამის შემდეგ კიდევ უფრო უაზრო და სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. პროფესორს ხელში გაზეთი ეჭირა. ამ გაზეთს ომის მომხრე მილიტარისტული პარტია გამოსცემდა და ჩემი მასპინძელიც მისი ერთგული მკითხველი იყო. ხელი ჩამომართვა თუ არა, გაზეთზე მანიშნა და მითხრა, თქვენს მოგვარეზე, ვიღაც პუბლიცისტ ჰალერზე სტატია არისო დაბეჭდილი. ეტყობა, ერთი უთვისტომო არაკაცი უნდა იყოს, კაიზერს დასცინის და ბრძანებს, ჩემს სამშობლოს ჩვენს მტრებზე ნაკლები დანაშაული როდი მიუძღვის ომის გაჩაღებაშიო! – დიდი ბედოვლათი ვინმე იქნება! – თქვა პროფესორმა და განაგრძო: არამზადას საკადრისი მიეზღო, რედაქციამ გვარიანად შეახურა და სამარცხვინო ბოძზე გააკრაო. მაგრამ რაკილა შემატყო, ეს საკითხი არ მაინტერესებდა, მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. მასპინძლებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ის არამზადა შეიძლება მე ვყოფილიყავი. არადა, ასე იყო, მათ პირისპირ ახლა სწორედ ის არაკაცი და არამზადა იჯდა. ხმა არ გამიღია: რა საჭირო იყო ალიაქოთის ატეხა და ხალხის შეწუხება?! გულში გამეცინა, თუმცა კი საბოლოოდ გადავიწურე იმედი, რომ საღამოს სასიამოვნოდ გავატარებდი. გონებაშიც ჩამებეჭდა ეს წუთი. სწორედ იმ დროს, როცა პროფესორმა სამშობლოს მოღალატე ჰალერზე ჩამოაგდო სიტყვა, სასოწარკვეთის საზიზღარმა, დამთრგუნველმა გრძნობამ შემიპყრო. ეს გრძნობა ჯერ კიდევ სასაფლაოზე გამიჩნდა, მერე თანდათან მოზღვავდა, გაძლიერდა, გულზე მაჯლაჯუნასავით დამაწვა და, ბოლოს, მუცლის არეში ფიზიკურ ტკივილად გადაიქცა. ეს გრძნობა ბედისწერასავით მთრგუნავდა, მაფორიაქებდა და მაღელვებდა. ვგრძნობდი, საფრთხე ქურდულად მეპარებოდა უკნიდან. ჩემდა ბედად, მოახლემ გამოაცხადა, ვახშამი მზად არისო. სასადილო ოთახში რომ გავედით, სულ იმის ცდაში ვიყავი, უწყინარ საკითხებზე წამომეწყო საუბარი. ალბათ ეს თუ იყო იმის მიზეზი, რომ ჩვეულებრივზე მეტს გეახელით. ვჭამდი და სულ უფრო და უფრო საზიზღარი გრძნობა მეუფლებოდა. ღმერთო ჩემო, ასე რატომ უნდა ეძალავებოდეს კაცი თავის თავს? – აი, ეს აზრი მიბურღავდა ტვინს. აშკარად ვხედავდი, მასპინძლებიც რომ ვერ იყვნენ მაინცდამაინც კარგ გუნებაზე და თავის მზიარულად დაჭერა დიდ ჯაფად უღირდათ. არ ვიცი, ჩემი სტუმრობით იყვნენ ასე შებოჭილი თუ თავად ჰქონდათ ოჯახში რაიმე უსიამოვნება. ისეთი შეკითხვები დამისვეს, გულწრფელ პასუხს ვერ გასცემდი; სულ მალე ტყუილების ქსელში გავიხლართე და თავს ვებრძოდი, ზიზღი არ გადმომენთხია. მინდოდა მასპინძლების ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა და ბოლოს დასაფლავებაზე ჩამოვავდე სიტყვა, რომლის მოწმეც იმ დღეს გავხდით. მაგრამ, როგორც ჩანს, სათანადო კილო ვერ შევარჩიე. ერთი-ორჯერ ხუმრობაც ვცადე, მაგრამ არაფერი

გამომივიდა. მასპინძლებს სულ უფრო და უფრო უფუჭდებოდათ გუნებ-განწყობა და მალე სამივენი ალთა-ბალთას ვიყავით. მერე ის იყო, ჩემში კბილებდაკრეჭილი ტრამალის მგელიც ახორხოცდა და, დესერტი რომ მოიტანეს, არც ერთს დანა პირს აღარ გვიხსნიდა.

ყავისა და შნაპსის დასალევად იმ ოთახში გავედით, თავდაპირველად რომ ვისხედით. ვიფიქრე, იქნებ ახლა მაინც გვეშველოს-მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს თვალი ისევ შევავლე პოეტთა მეფეს, – იგი კომოდზე გადაედგათ. სურათის დანახვაზე მოუსვენრობამ შემიპყრო და ამიტომ იყო, ყურად აღარ მიღია, როცა იდუმალმა ხმამ მიკარნახა, ფხიზლად იყავიო. სურათი ხელში ავიღე და ვეცადე საუბარი წამომეწყო. ამ დაძაბულმა ვითარებამ გამაცოფა და ვიფიქრე, ჩემს მასპინძლებს ახლა ან ისევ გამოვუკეთებ გუნებას, მოვესიყვარულები და ჩემს ჭკუაზე დავაყენებ, ან არადა, საქმეს ბოლომდე მივიყვან და უკან მისაბრუნებელ ყველა გზას მოვიჭრი-მეთქი.

– რატომღაც არა მგონია, გოეთე ასეთი ყოფილიყო! – წარმოვთქვი მოულოდნელად, – სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს ეს პატივმოყვარეობა, კეთილშობილი იერი თუ საკუთარი ღირსების გრძნობა, რომლითაც იგი ასე ეკეკლუცება პატივცემულ მაყურებელს. ახლა უმშვენიერესი სენტიმენტალობის ამ სამყაროსაც დააკვირდით, ვაჟკაცობის ნიღაბქვეშ რომ იმალება! რა თქმა უნდა, შეიძლება კაცს არ უყვარდეს იგი, ეს ყოყოჩი ბერიკაცი ხშირად მეც დიდად არ მეპიტნავება ხოლმე, მაგრამ მისი ასე დახატვა?! არა, ეს უკვე მეტისმეტია!

ღიასახლისმა გატანჯული სახით ჩამოასხა ყავა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. ქმარი კი, ცოტა არ იყოს, დარცხვენითა და თან საყვედურით გამომიტყდა, სურათი ჩემი მეუღლის ნახელავია და გამორჩევითაც უყვარსო.

– ცამდე მართალიც რომ ყოფილიყავით, თუმცა კი, მე პირადად ეჭვი მეპარება ამაში, თქვენი მოსაზრება ასე მკვანხედ არ უნდა გამოგეთქვათ, – მითხრა მან.

– სრულ სიმართლეს ბრძანებთ, – დავეთანხმე მაშინვე, – ჩემდა საუბედუროდ, ასეთი ჩვეულება მაქვს და ჩემს დიდ ნაკლადაც მიმაჩნია, მაგრამ აზრების გამოთქმა რატომღაც მეტისმეტად მკვანხედ ვიცი. სხვათა შორის, გოეთემაც ასე იცოდა და ეს ალბათ მისი ცხოვრების საუკეთესო წუთები იყო. თუმცა, რა თქმა უნდა, სალონის გოეთე, ეს დათაფლული ბიურგერი, არასოდეს იხმარდა უხეშ, ნაღდ და ზუსტ გამოთქმას. თქვენ და თქვენს მეუღლეს გთხოვთ, მომიტევოთ კადნიერება. უთხარით, შიზოფრენია სჭირს-თქო. ახლა კი, ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.

გაოგნებული მასპინძელი შეეცადა რაღაც ეპასუხა, ხელახლა გამახსენა, რა შესანიშნავი და საინტერესო საუბრები გვქონდა ადრე, მიტრას და კრიშნას თაობაზე ჩემმა მოსაზრებებმა რა ღრმა კვალი დატოვა მაშინ მასზე, და რატომღაც ეგონა, რომ დღესაც... ჰოდა, ასე გაუტია და გაუტია. მადლობა მოვახსენე და ვუთხარი, ძალიან ვაფასებ თქვენს თავაზიან სიტყვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, კრიშნასადმი ინტერესი პირწმინდად გამიქრა და აღარც მეცნიერული პაექრობის სურვილი მაქვს-მეთქი. მერე ისიც დავძინე, დღეს ერთი-ორჯერ ტყუილი გითხარით; აი, მაგალითად, ამ ქალაქში რამდენიმე დღე კი არა, უკვე ერთი თვეა ჩამოვედი, მაგრამ განმარტოებით ვცხოვრობ და დასაპატიჟებელ კაცად აღარ გამოვდგები; ჯერ ერთი იმიტომ, რომ

სულ ცუდ გუნებაზე ვარ და ნიკრისის ქარი მტანჯავს, მეორეც – მეტწილად შეზარხოშებული ვარ-მეთქი. ბოლოს ჩემს პატივცემულ მასპინძელს განვუცხადე, მინდა ყველაფერს ნათელი მოვფინო, რომ მატყუარას სახელი მაინც არ შემრჩეს, და გითხრათ, რომ დღეს ძალიან დიდი შეურაცხყოფა მომაყენეთ, ვინაიდან გაიზიარეთ რეაქციული გაზეთის თვალსაზრისი ჰალერის შეხედულებებზე და ისეთი პოზიცია დაიკავეთ, უფრო სულელ, უგუნურ და უსაქმურ ოფიცერს რომ ეკადრება, ვიდრე მეცნიერს, ხოლო რაც შეეხება იმ „ბედოვლათს“, უთვისტომო არამზადა ჰალერს, იგი თავად მე გახლავართ; ჩვენი სამშობლოს და საერთოდ ქვეყნიერების საქმე კი გაცილებით უკეთ წარიმართებოდა, ის თითო-ოროლა ადამიანი, ვისაც აზროვნების უნარი შერჩენია, გონიერებისა და მშვიდობის სადარაჯოზე რომ დამდგარიყო და ბრმა გააფთრებით არ დაეწყო ახალი ომის ქადაგება. დიახ, ასეა, ახლა კი ღმერთმა ხელი მოგიმართოთ-მეთქი, დავძინე ბოლოს და წამოვდექი. გოეთესაც დავემშვიდობე და პროფესორსაც. საკიდიდან პალტო და ქუდი ჩამოვგლიჯე და თავს ვუშველე. ხმამაღლა ყმუოდა ჩემში ის სულღვარძლიანი მგელი. ორივე ჰარი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყო. მივხვდი, ეს უსიამოვნო სადამო ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე აღშფოთებული პროფესორისათვის. მისთვის ეს მხოლოდ იმედგაცრუება და გულდასაწყვეტი ეპიზოდი იყო, ჩემთვის კი საბოლოო მარცხი და გაქცევა, ბიურგერულ, ზნეობრივ და მეცნიერულ სამყაროსთან გამოთხოვება. დიახ, ეს ტრამაღის მგლის სრული გამარჯვება გახლდათ. დამარცხებული ვყრიდი ფარ-ხმალს და ლტოლვილივით იმედდაკარგული ვემშვიდობებოდი ყოველივეს. იუმორისა და საკუთარი ღირსების გრძნობაც კი დამკარგვოდა. იმ სამყაროს, სადაც ადრე ვსახლობდი, ჩემს უწინდელ სამშობლოს, ბიურგერულ სულს, ზნეობასა და განსწავლულობას ზუსტად ისე ვეთხოვებოდი, როგორც კუჭის წყლულით დაავადებული ეთხოვება შემწვარი ღორის ხორცს. გააფთრებული და თან დარდით გულდამძიმებული მივქროდი ფარნებქვეშ. მაინც რა უსიხარულო, სამარცხვინო და ბოღმით სავსე დღე მარგუნა ღმერთმა, – დილიდან დაწყებული სადამომდე, სასაფლაოდან მოყოლებული პროფესორთან სტუმრობით გათავებული! კი მაგრამ, რატომ? რისთვის? განა ღირს კაცმა ისევ და ისევ დაიმძიმოს გული ასეთი დღეებით, ისევ და ისევ იგემოს ეს სამსალა? არა და არა! ჰოდა, მეც ამაღამვე მოვუღებ ბოლოს ამ სისულელეს. გასწი შინ, ჰარი, და ყელში სამართებელი გამოისვი! დაყოვნება აღარ იქნება.

დავძრწოდი ქუჩებში, უბედურებისაგან რეტდასხმული. რა თქმა უნდა, სისულელე მომივიდა, იმ კეთილ ადამიანებს ოჯახის სამშვენიის ნივთი რომ გავულანძღე. დიახ, სისულელე და უზრდელობა იყო ჩემი მხრიდან, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არამც და არამც არ შემეძლო; ველარ ამეტანა ეს მშვიდი, ყალბი და წესიერი ცხოვრება. მაგრამ სხვა აბა რა გამოსავალი მქონდა, როცა ვგრძნობდი, რომ სიმართლევსაც ველარ ვეგუებოდი, მძულდა და მეზიზღებოდა საკუთარი თავი და ჩემივე ჯოჯოხეთური ყოფის დახშულ სივრცეში სული მეხუთებოდა? მაგრამ, ვაი, რომ სხვა გზა არ მქონდა! ეჰ, ჩემო მშობლებო, ჩემი სიჭაბუკის შორეულო, წმინდა ლამპარო, უთვალავო სიხარულო, გარჯავ და მიზნებო ჩემი ცხოვრებისა! აღარაფერი დამრჩა თქვენგან! მოსანანიებელიც კი აღარაფერი მქონდა; მხოლოდ ზიზღისა და ტკივილის განცდა გამხდარიყო ჩემი ხვედრი. ასე მეგონა, თვით სიცოცხლის გარდაუვალობასაც არ მოუყენებია ჩემთვის ასეთი ტკივილი, ახლა, ამ წუთში რომ განვიცდიდი.

სულის მოსათქმელად ცოტა ხნით გარეუბნის ერთ უბადრუკ სამიკიტნოში შევედი,

წყალგარეული კონიაკი გადავკარი და ისევ სირბილით გავუყევი გზას. ეშმაკისგან დევნილივით დავძრწოდი ძველი ქალაქის ოკრობოკრო ქუჩებში, ხეივნებსა თუ სადგურის მოედანზე. „უნდა წავიდე!“ – დამკრა თავში და სადგურზე გავედი. კედელზე გაკრული განრიგი შევათვალე, მერე ცოტა ღვინო გადავკარი, გონება მოვიკრიბე. აშკარად ვხედავდი აჩრდილს, სულ ახლოს რომ მომდგომოდა და მაშინებდა. ახლა შინ, ჩემს საკანში დაბრუნების შიშს შევეპყარი. მუდმივ სასოწარკვეთასთან შეგუება გარდაუვალი გამხდარიყო ჩემთვის: ამ შიშს ახლა სწორედ ეს გარდაუვალობა ბადებდა და მას ვერსად გავექცეოდი, – რამდენიც უნდა მერბინა, მაინც მომიხდებოდა ჩემს ბინაში დაბრუნება, წიგნებით სავსე მაგიდისა და ტახტის ნახვა, რომლის თავზეც საყვარელი ქალის სურათი ეკიდა. ბოლოს და ბოლოს, მაინც უნდა დამდგარიყო სამართებლის გაშიშვლებისა და ყელის გამოლადვრის წამი. თვალნათლივ ვხედავდი ამ სურათს, გული შლეგიანივით მიბაგუნებდა და სულ უფრო და უფრო მიჰყვებოდა ამქვეყნად ყველა შიშზე საზარელი შიში – სიკვდილის შიში! დიახ, სიკვდილისა ძალიან მეშინოდა, მაგრამ ვიცოდი, სხვა გზა არ მქონდა. მართალია, ზიზღს, ტანჯვასა თუ სასოწარკვეთას ყოველი მხრიდან მოეჭირა ჩემთვის ჭანგები, მართალია, აღარაფერს შეეძლო ჩემი ცდუნება, ველარ ვგრძნობდი იმედსა და სიხარულს, მაგრამ მაინც ვერ დამეთრგუნა ეს ენით აუწერელი შიში; შეძრწუნებული ვფიქრობდი იმ წამზე, როცა სამართებელს გავაშიშვლებდი და გულგრილად დავისერავდი საკუთარ ხორცს!

აღარ ვიცოდი, რა მეღონა, ოღონდ კი შიში ჩამეკლა. თუკი სასოწარკვეთილებასთან ორთაბრძოლაში სილაჩრე გაიმარჯვებდა, სულერთია, თავად სასოწარკვეთას, ხვალ იქნება, ზეგ თუ მაზეგ, მაინც ვერ დავუძვრებოდი ხელიდან; ამას ისიც დაემატებოდა, რომ უფრო მეტად შემზიზღდებოდა საკუთარი თავი. მერე ისევ წავეპოტინებოდი სამართებელს, ისევ და ისევ მოვისვრიდი გვერდზე, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, არ მოხდებოდა მოსახდენი. ჰოდა, განა არ აჯობებდა დღესვე აღსრულებულიყო ყოველივე?! საკუთარ თავს პატარა, შეშინებული ბავშვივით შთავაგონებდი ამ სიტყვებს, მაგრამ ბავშვი ყურსაც არ მიგდებდა და გამირბოდა, სიცოცხლე ეწადა. ისევ და ისევ დავძრწოდი ქალაქში, წინ და უკან ვუტრიალებდი ჩემს სახლს, ტვინს მიბურღავდა გარდაუვალზე ფიქრი და ვცდილობდი, რაც შეიძლება გვიან დავბრუნებულიყავი შინ. დროდადრო სადმე სამიკიტნოში ამოვყოფდი თავს, გადავკრავდი ჭიქა ღვინოს, მერე კი კვლავ ქუჩებში დავძრწოდი... გარე-გარე ვუვლიდი ჩემს მიზანს, – სამართებელსა და სიკვდილს. დადლილობისგან ილაჯგამოცლილი ხან ძელსკამზე, ხან შადრევნის კიდეზე ან კვარცხლბეკზე ჩამოვჯდებოდი, მესმოდა საკუთარი გულის ბაგაბუგი და შუბლზე ჭირის ოფლი მასხამდა. შევისვენებდი და ისევ გავრბოდი; სიკვდილის შიშით გათანგულს ისევ და ისევ შემიპყრობდა ხოლმე სულის მალბუნებელი წადილი სიცოცხლისა.

ასე და ამრიგად, გვიან ღამით ქალაქის ნაკლებად ნაცნობ გარეუბანში, ერთ-ერთ რესტორანთან შევჩერდი. ფანჯრებიდან შმაგი საცეკვაო მუსიკა ისმოდა. შიგ შესვლა რომ დავაპირე, ალაყაფის კარზე გაკრული ძველი აბრა დავინახე წარწერით: „შავი არწივი“ [39]. რესტორანში ღამეული ცხოვრება ჩქეფდა: ისმოდა ხმაური და ღრიანცელი; იქაურობა კვამლსა და ღვინის ოხშივარში ჩაძირულიყო. დროდადრო შეძახილები და ხორხოცი სწვდებოდა ყურს. უკანა დარბაზში ცეკვავდნენ და მუსიკაც სწორედ იქ ბობოქრობდა. წინა დარბაზში დავრჩი. აქ შედარებით ღარიბულად ჩაცმული, უბრალო ხალხი იჯდა, ხოლო უკან, სამეჯლისო დარბაზში,

საკმაოდ მოხდენილად გამოწყობილი სტუმრები ირეოდნენ. ამ რია-რიაში დარბაზის სიღრმეში მოვხვდი, ბოლოს კი ბუფეტის ახლოს, მაგიდასთან ამოვყავი თავი. იქ, კედელთან მიდგმულ სკამზე, ლამაზი, ფერმკრთალი გოგონა იჯდა. ღრმად გულამოჭრილი, თხელი სამეჯლისო კაბა ეცვა, თმაში დამჭკნარი ყვავილი გაერჭო. მისკენ მიმავალი რომ დამინახა, ყურადღებიანი, ალერსიანი მზერა შემომამგება, მერე გაეღიმა, გვერდზე გაიწია და ადგილი დამითმო.

– შეიძლება? – ვკითხე და გვერდით ჩამოვუჯექი.

– შენთვის, რა თქმა უნდა, შეიძლება. კი მაგრამ, ვინ ხარ?

– გმადლობ, – ვუთხარი პასუხად, – ჩემი შინ წასვლა არ შეიძლება, არ შეიძლება, არაფრით არ შეიძლება. თუ ნებას მომცემთ, აქ დავრჩები, თქვენთან. დიახ, ჩემი შინ წასვლა არ შეიძლება.

თავი ისე დამიქნია, თითქოს ყველაფერს ჩახვდაო. თვალი შუბლიდან ყურზე ჩამოშლილი კულულისკენ გამექცა და მაშინლა მივხვდი, რომ თმაში გარჭობილი ის დამჭკნარი ყვავილი კამელია იყო[40]. უკანა დარბაზში ხმამაღალი მუსიკა უკრავდა, ბუფეტთან მიმტანი ქალები ირეოდნენ და მებუფეტეს ხმამაღლა აძლევდნენ შეკვეთებს.

– დარჩი, – ისეთი კილოთი მითხრა, უეცრად შვებაც კი ვიგრძენი, – რატომ არ შეიძლება შენი შინ წასვლა?

– არ შეიძლება და იმიტომ. შინ... არა, არ შეიძლება. ეს ყველაფერი საშინელებაა.

– მაშინ ნუ იჩქარებ და დარჩი. ოღონდ ჯერ სათვალე გაიწმინდე, ველარაფერს ხედავ. აი, ასე, მომეცი ცხვირსახოცი. რა დავლიოთ, ბურგუნდიული?

ქალიშვილმა სათვალე გამიწმინდა. ახლადა გავარჩიე მისი ფერმკრთალი, გამოკვეთილი სახე. ტუჩები ალისფრად შეეღება, ნათელი ნაცრისფერი თვალები და ამაყი, მწყაზარი შუბლი ჰქონდა. ყურთან მოკლე კულულის უთამაშებდა. ქალიშვილმა ხუმრობა-ხუმრობით დამიწყო მფარველობა, ღვინო შეუკვეთა, ჭიქა მომიჭახუნა, და, მერე უცებ ფეხსაცმელზე დამხედა.

– ღმერთო ჩემო, საიდან მოხვედი? კაცი იფიქრებს, პარიზიდან ფეხით უვლიაო. განა ასე მოდიან მეჯლისზე?

სიტყვა ბანზე ავუგდე, გავიცინე და ლაპარაკი დავაცადე. ძალიან მომეწონა. გამიკვირდა კიდევ, აქამდე რატომ ვარიდებდი თავს ახალგაზრდა გოგოებს და უნდობლად რატომ ვუყურებდი-მეთქი. ქალიშვილი ზუსტად ისე მეპყრობოდა, როგორც ამას ამ წუთში ჩემი გუნებ-განწყობა მოითხოვდა. დიახ, არც მოგვიანებით შემოლია რამე, ყოველ ჯერზე იცოდა, როდის უნდა მოფრთხილებოდა ჩემს გრძნობებს და როდის უნდა გამხუმრებოდა. ქალიშვილმა ბუტერბროდი შეუკვეთა და ძალით შემაჭამა. მერე ღვინო დამისხა და მითხრა, ერთი ყლუპი მოსვი, ოღონდ ძალიან ნელაო. ბოლოს თვინიერებაც შემიქო.

– ყოჩაღ, – გამამხნევა ჩემმა მფარველმა, – თვინიერი კაცი ყოფილხარ. სანაძლეოს ვდებ, კარგა ხანია სხვის ჭკუაზე არ გაგივლია.

- მართალი ხართ და სანაძლეოც მოიგეთ. კი მაგრამ, როგორ მიხვდით?
- რა დიდი მიხვედრა ამას უნდა? ხანდახან ისე მოგენატრება სხვის ჭკუაზე სიარული, მშვიდ კაცს საჭმელი რომ მოგენატრება. ხომ მოგწონს, ჩემს ჭკუაზე რომ გატარებ?
- ძალიან მომწონს. თქვენ ყველაფერი გესმით.
- რა იოლია შენთან ყოფნა! ჩემო მეგობარო, ისიც შემძლია გითხრა, რა მოგელის შინ და რისი გეშინია; მაგრამ ეს ხომ უჩემოდაც მშვენივრად იცი. მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, კარგი? სისულელეა ეს ყველაფერი. ორში ერთია: კაცმა ან თავი უნდა ჩამოიხრჩოს ან იცოცხლოს; თუკი თავის ჩამოხრჩობა აუჩემებია, რა გაეწყობა, მაშასადამე საამისო მიზეზი ჰქონია და კისერიც ყულფში უნდა გაუყაროს, მაგრამ თუკი ადამიანი ცოცხლობს, მისი საზრუნავი მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლე უნდა იყოს. აბა რა არის ამაზე ადვილი?
- ასე ადვილი რომ იყოს! – შევძახე მე, – ღმერთმანი, ამ ცხოვრებას ბევრი ვუტრიალე, მაგრამ ამაოდ. თავის ჩამოხრჩობა ალბათ ძნელი იქნება, ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ ამქვეყნად ცხოვრება რომ გაცილებით უფრო ძნელია, ღმერთია მოწმე!
- ოჰო, ასეა საქმე? მაშინ მალე დაინახავ, რომ ეს ყველაფერი ძალიან ადვილი ყოფილა. საქმეს უკვე შევუდექით. ხომ ხედავ, სათვალე გაიწმინდე, საჭმელიც შეჭამე და ღვინოც დალიე. ახლა კი წამოდი, შარვალი და ფეხსაცმელი გასაწმენდი გაქვს. მერე შიმი უნდა მეცეკვო.
- აი, ხომ ხედავთ, – წამოვიძახე გაცხარებით, – თურმე მართალი ვყოფილვარ! ყველაზე მეტად იმაზე დამწყდება გული, თუკი რაიმე თხოვნას ვერ შეგისრულებთ. არადა, ამის შესრულება მართლაც არ შემძლია. ვერც შიმის გეცეკვებით, ვერც ვალსს და ვერც პოლკას. საერთოდ ვერაფერს ვიცეკვებ, რადგან ცეკვა ჩემს დღეში არ მისწავლია. ახლა ხომ მაინც დარწმუნდით, რომ ეს ყველაფერი არც ისე იოლი ყოფილა?
- მშვენიერ გოგონას გაეღიმა და ბიჭურად შეკრეჭილი, ნაქანდაკარი თავი გააქნია. უცებ როზა კრაისლერს მივამსგავსე, – იმ პირველ ქალს, ჩემს პატარაობაში რომ მიყვარდა, მაგრამ როზა შავგვრემანი იყო და თმაც მუქი ჰქონდა. ვერა და ვერ მივხვდი, ვის მაგონებდა ეს უცნობი ქალიშვილი, თუმცა კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მოგონება ჩემი სიყრმის წლებთან იყო დაკავშირებული.
- მოიცა, მოიცა, – წამოიძახა ქალმა, – რაო, რა თქვი? მაშასადამე, ცეკვა არ იცი? საერთოდ არ იცი? ნუთუ უანსტეჰსაც ვერ იცეკვებ? ჰოდა, დამიწყებ მერე მტკიცებას, ცხოვრებას ბევრი ვუტრიალეო. ჩემო კარგო, ეს ხომ მტკნარი სიცრუეა! განა შენი ხნის კაცს ეკადრება ასეთი რამ? როგორ მოგიბრუნდა ენა და რამ გათქმევინა, ცხოვრებას ბევრი ვუტრიალეო, თურმე ცეკვაც კი არ გცოდნია!
- რა ვქნა, ჩემს დღეში არ მისწავლია!
- ქალს გაეცინა.
- იმედია, წერა-კითხვას ისწავლიდი, ანგარიშიც გეცოდინება. ლათინურს, ფრანგულსა და სხვა მისთანებსაც ხომ სწავლობდი?! სანაძლეოს დავდებ, სკოლაში

ათი-თორმეტი წელი მაინც გექნება გატარებული, მერე ალბათ უნივერსიტეტშიც გააგრძელებდი სწავლას. შესაძლოა დოქტორის ხარისხიც გქონდეს, ჩინურიც იცოდე და ესპანურიც. ასეა ხომ? დიახ, ასეა. ცეკვის შესასწავლად კი ვერც დრო გაიმეტე და ვერც ფული! ეჰ, აბა რა უნდა გელაპარაკო!

– ჩემი მშობლების ბრალია, – მოვყევი თავის მართლებას, – ისინი მაიძულებდნენ ლათინურის, ბერძნულისა და მისთანების სწავლას. აი, ცეკვა კი არ უსწავლებიათ. მართალი გითხრათ, ცეკვის სწავლა ოჯახში წესად არასოდეს გვქონია, მშობლებიც არ ცეკვავდნენ.

ქალიშვილმა ამრეზით შემომხედა და მისი სახის შემყურეს კვლავ სიყრმე გამახსენდა.

– მაშასადამე, ყველაფერი მშობლების ბრალი ყოფილა, არა? შენ ის მითხარი, „შავ არწივში“ წამოსვლა რომ დააპირე, ნებართვა თუ აიღე იმათგან? გამოგიშვეს? რაო, კარგა ხანია დაიხოცნენო, ამბობ? აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! თუ ახალგაზრდობაში ცეკვა მხოლოდ იმიტომ ვერ ისწავლე, რომ გამგონე და თვინიერი იყავი, არა უშავს რა! თუმცა, ვერც იმას დავიჯერებ, კრავივით ბიჭი ყოფილიყავი. კარგი, ვთქვათ ასეც იყო, მაგრამ მერე, მთელი ამ წლების მანძილზე რაღას აკეთებდი?

– ეჰ, თვითონაც არ ვიცი, – მოვკაკვე თითი, – ვსწავლობდი, მუსიკის დაკვრით ვერთობოდი, წიგნებს ვკითხულობდი, ვწერდი, ვმოგზაურობდი...

– უცნაური აზრისა კი ყოფილხარ ცხოვრებაზე! თურმე ძნელი და რთული საქმეები გიკეთებია, მარტივი ამბებისთვის კი ვერ მოიცალე, არა? დრო არ გქონდა? თუ არ გინდოდა? რა გაეწყობა, ღმერთს მადლობა უნდა შევწირო, შენი დედობა რომ არ მარგუნა ბედად. მაგრამ მერე ნულარ მოდგები და თავი ნულარ მოგაქვს, აქაოდა, ცხოვრებაში ყველაფერი მოვსინჯე, გემო კი ვერაფერს გავუგეო.

– ნუ გამიჯავრდებით! – შევევედრე ქალიშვილს, – თავადაც ვიცი, რომ შეშლილი ვარ.

– ოჰ, კარგი ერთი, გული ნუ გააწყალე! შენ, ბატონო პროფესორო, სიგიჟისა არაფერი გეტყობა, მე თუ მკითხავ, პირიქითაც არის. ის კი არა, რაღაც სულელურად ჭკუადამჯდარი კაციც კი მგონიხარ! ერთი სიტყვით, ნამდვილი პროფესორი ხარ! მოდი, ერთი ბუტერბროდიც შეჭამე და დანარჩენს მერე მომიყვები.

ქალიშვილმა კიდევ შეუკვეთა ბუტერბროდი, ზედ მარილი მოაყარა, მდოგვი გადაუსვა, მერე პატარა ნაჭერი თავისთვის მოიჭრა, დანარჩენი კი შენ უნდა ჭამოო, – მიბრძანა. ჭამა დავიწყე. რაც უნდა ეთქვა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდ კი არ მეცეკვა. საოცრად მსიამოვნებდა ვიღაცის ჭკუაზე სიარული, ისეთი ადამიანის გვერდით ჯდომა, ვინც რაღაცას შემეკითხებოდა, მიბრძანებდა, გამთათხავდა. ამ რამდენიმე საათის წინ პროფესორი და მისი მეუღლე ასე რომ მომქცეოდნენ, ალბათ ბევრი რამ ამცდებოდა. თუმცა, ძალიან კარგია, რომ ყველაფერი ასე მოხდა, თორემ რამდენს დავკარგავდი!

– მაინც რა გქვია? – მკითხა მოულოდნელად.

– ჰარი.

– ჰარი? ეს ხომ პატარა ბიჭის სახელია! ისე, მაგ ჭაღარის მიუხედავად, მართლაც რომ ბიჭი ხარ, ჰარი! პატარა ბიჭი ხარ და პატრონი გჭირდება. ცეკვის თაობაზე კრინტსაც აღარ დავძრავ. ეს რა არის, თმა როგორ გაქვს დავარცხნილი? ნუთუ არც ცოლი გყავს, არც შეყვარებული?

– ცოლი აღარა მყავს, გავშორდი. შეყვარებული კი მყავს, მაგრამ სხვაგან ცხოვრობს, იშვიათად ვხვდებით და მაინცდამაინც ვერ ვეწყობით ერთმანეთს.

ქალიშვილმა ხმადაბლა წაუსტვინა.

– შენც კარგი ჩიტი იქნები, რაკი სუყველა გაგირბის. ახლა ეს მითხარი, განა რა შეგემთხვა ამ საღამოს ისეთი, ადგილს რომ ვერ პოულობდი და აქეთ-იქით აწყდებოდი? ეჩხუბე ვინმეს? ან იქნება ფული წააგე?

თქმა გამიჭირდა.

– იცით, – შევეცადე ახსნას, – ეს ყველაფერი წვრილმანი ამბის გამო მოხდა. ერთმა პროფესორმა თავისთან მიმიპატიჟა; რაკილა სიტყვამ მოიტანა, ბარელამ იმასაც მოგახსენებთ, რომ მე თვითონ არ გახლავართ პროფესორი. ისე, კაცმა რომ თქვას, არ უნდა წავსულიყავი. კარგა ხანია, სტუმრად სიარულსა და ადამიანებთან მუსაიფს გადავეჩვიე, უბრალოდ, აღარ შემწევს ამის უნარი. პროფესორთან მივედი თუ არა, გულმა მიგრძნო, ამ სტუმრობიდან სახეირო არაფერი გამოვიდოდა. ქუდი რომ მოვიხადე, ჯერ კიდევ მაშინ გავიფიქრე, სულ მალე ალბათ კვლავ მომიწევს-მეთქი ქუდის დახურვა. ჰოდა, პროფესორს მაგიდაზე სურათი ედგა. იმ სულელური სურათის დანახვაზე ბრაზი მომერია და...

– რა სურათი იყო ასეთი? რაზე გაბრაზდი? – გამაწყვეტინა სიტყვა.

– გოეთეს სურათი იყო. გაგიგიათ მწერალი გოეთე? მაგრამ ამ სურათზე ისეთი არ იყო, როგორც სინამდვილეში. თუმცა, კაცმა რომ თქვას, განა ვინმემ იცის, როგორი იყო სინამდვილეში? აგერ უკვე ასი წელი გავიდა მისი სიკვდილიდან. უბრალოდ, ვიღაც თანამედროვე მხატვარმა იგი ასე წარმოიდგინა. ამ სურათის დანახვაზე ბრაზი მომერია და საშინელი ზიზღი ვიგრძენი. არ ვიცი, გესმით თუ არა ჩემი?

– დარდი ნუ გაქვს, მშვენივრად მესმის! განაგრძე!

– მე მანამდეც არ ვიზიარებდი პროფესორის შეხედულებებს. როგორც თითქმის ყველა პროფესორს, მასაც დიდ მამულიშვილად მოჰქონდა თავი და ომის დროს ხელსაც უწყობდა ხალხის გაბიაბრუებას. რა თქმა უნდა, ყველაფერს ალალი გულით სჩადიოდა. მე კი ომის მოწინააღმდეგე ვარ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მაშ გავაგრძელო? დიახ, ამ სურათის ნახვამ საშინლად იმოქმედა ჩემზე. ისე რომ ვთქვათ, რაში მჭირდებოდა, ამ ამბავს ძირისძირობამდე რომ ჩავყევი?

– მართალი ხარ, ეგ შენი საქმე არ იყო.

– მაგრამ რა მექნა, ჯერ ერთი, გოეთე შემეცოდა – ძალიან მიყვარს ეს ბერიკაცი. მერე, თავში გამიელვა... მოკლედ, არ ვიცი, გავიფიქრე თუ ვიგრძენი, ჩემიანებად რომ მივიჩნევდი, ისეთ ხალხში ვიჯექი, ვიცოდი, მათაც უყვარდათ გოეთე და მას დაახლოებით ჩემი თვალით უყურებდნენ... და აი, უეცრად მივხვდი, რომ ეს უხამსი, ყალბი, გულის ამრევი სურათი აქ სხვების დასანახად გამოეჭიმათ, თან

ფიქრობდნენ, დიდებული რამ არისო. იმასაც კი ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ სურათის სულს გოეთეს სულთან არაფერი ჰქონდა საერთო. ერთი სიტყვით, იმათთვის რომ გეკითხა, შესანიშნავი სურათი იყო. დაე, ასე ჰგონებოდათ, ეს მათი ნებაა. მე კი საბოლოოდ დავკარგე რწმენა ამ ადამიანებისადმი, ჩამიკვდა მათდამი ყოველგვარი მეგობრობის, სიახლოვისა თუ ერთობის გრძნობა, თუმცა კი, მეგობრობაო, რომ ვამბობ, ღმერთმა უწყის, რა მეგობრობაზეა ლაპარაკი. სიბრაზე მომერია და მოვიწყინე. აი, მაშინლა მივხვდი, თურმე სულ მარტო ვარ და არავის ესმის ჩემი. თქვენ თუ გამიგეთ?

– ჰარი, აბა რა არის გაუგებარი! მერე, მერე რა ჰქენი? თავში არ ჩააფარე ის სურათი?

– არა, რაღაც სისაძაგლეების როშვას მოვყევი და გამოვიქეცი. შინ დავაპირე წასვლა, მაგრამ...

– მაგრამ არ შეგეგებებოდა დედიკო, რომელიც მოგეფერებოდა ან დაგიტატანებდა სულელ ბიჭს. ეჰ, ჰარი, მეცოდები, ჯერ კიდევ მთლად ბავშვი ხარ.

მართალია-მეთქი, გავიფიქრე და გულში თითქოს დავეთანხმე კიდევ. ქალიშვილმა ღვინის ჭიქა გამომიწოდა, დალიეო. მართლაც მშობელ დედასავით მექცეოდა. დროდადრო თვალს შევავლებდი ხოლმე, მაოცებდა მისი სინოჩე და სილამაზე.

– ასე და ამრიგად, – წამოიწყო მან, – გოეთე ასი წლის წინათ მიიცვალა. ჩვენს ჰარის კი ძალიან უყვარს ეს კაცი და მშვენივრად იცის, როგორი იქნებოდა იგი. ჰარის აქვს ამის უფლება, ხომ ასეა? მხატვარს კი, რომელიც ასევე აღფრთოვანებულია გოეთეთი და მწერლის მისეული ხატი შეუქმნია, ეს უფლება არ გააჩნია. ამის უფლება არც პროფესორს აქვს და, საერთოდ, არც არავის, რადგან ჰარის არ სიამოვნებს, ვერ აუტანია ეს! იგი იძულებული ხდება სისაძაგლეები როშოს და ბოლოს გაქცევით უშველოს თავს. ჰარის რომ ჭკუისთვის ცოტა ძალა დაეტანებინა, მხატვარზეც და პროფესორზეც უბრალოდ გაეცინებოდა. შეშლილი რომ ყოფილიყო, სახეში სთხლემდა მასპინძლებს თავიანთი გოეთეს სურათს. მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ პატარა ბიჭია, ამიტომაც შინ უნდა გაიქცეს და თავი ჩამოიხრჩოს... ყველაფერი გასაგებია. იცი, ძალიან სასაცილო ამბავი გჭირს. რომ იცოდე, როგორ მეცინება! მოიცა, ასე სწრაფად ნუ სვამ! ბურგუნდიული ნელ-ნელა უნდა წრუპო, თორემ უცებ აგივარდება თავში. ჩემო პატარა ბიჭო, შენ რა, ყველაფერი სხვამ უნდა გასწავლოს?

ღვაწლმოსილი აღმზრდელის მზერა ჰქონდა, მკაცრი და გამკიცხავი.

– დიახ, დიახ, – შევძახე გახარებულმა, – მითხარით, ყველაფერი მითხარით.

– რა უნდა გითხრა?

– ყველაფერი, რაც გინდათ.

– კარგი, მაშინ ერთ რაღაცას გეტყვი. აი, უკვე მთელი საათია, „შენობით“ გელაპარაკები, შენ კი ისევ „თქვენობით“ მომმართავ. ისევ და ისევ ლათინური და ბერძნული! ისევ და ისევ ცდილობ, რაც შეიძლება გაართულო საქმე. თუ ქალი „შენობით“ გელაპარაკება და ეს არც ისე უსიამოვნოა შენთვის, შენც ასევე უნდა მიმართო. აი, ზოგიერთი რამ უკვე გაიგე... და კიდევ: ნახევარი საათია ვიცი, რომ

ჰარი გქვია. ვიცი იმიტომ, რომ გკითხე. შენ კი არ გინდა იცოდე ჩემი სახელი.

– ო, როგორ არ მინდა, ძალიანაც მინდა.

– ახლა უკვე გვიანაა, ჩემო პატარავ! თუკი ოდესმე შევხვდებით ერთმანეთს, მაშინ მკითხე. ღღეს კი უკვე აღარ გეტყვი. აი ასე, ახლა ცეკვა მინდა.

შევამჩნიე, წამოდგომა დააპირა და გუნება უცებ წამიხდა. შიშმა ამიტანა, ვაითუ წავიდეს და მიმატოვოს-მეთქი. მაშინ ხომ ყველაფერი ძველებურად დატრიალდებოდა?! მიყუჩებულმა კბილის ტკივილმა რომ იცის, მოულოდნელად შეგახსენებს თავს და დაგშანთავს, აი, წუთიერად მეც იმ ტკივილივით მომეძალა შიში. ღმერთო ჩემო, განა დამავიწყდა, რა მომელის? განა რაიმე შეიცვალა?

– მოითმინეთ, – შევევედრე, – არ წახვიდეთ! არ წახვიდეთ! რამდენიც გინდა, იმდენი იცეკვე, მაგრამ დიდი ხნით ნუ მიმატოვებ. დაბრუნდი, დაბრუნდი!

სიცილ-სიცილით წამოდგა. რატომღაც უფრო მაღალი წარმომედგინა, მაგრამ მაღალი არ ეთქმოდა, თუმცა ტანწერწეტა კი იყო. და აი, კვლავ ვიღაცა გამახსენა. ვინ? ეს ჩემთვის გამოცანად დარჩა.

– ისევ მოხვალ?

– მოვალ, მაგრამ მოგვიანებით, შესაძლოა, ნახევარ საათში მოვბრუნდე, ან სულაც ერთ საათში. იცი, რას გეტყვი, თვალები დახუჭე და ცოტა წაუძინე. ახლა ძილი მოგიხდება.

განზე გავიწიე და გზა დავუთმე. ქალიშვილი წავიდა. ვიდრე ჩამივლიდა, მისი ქვედა კაბა ჩემს მუხლებს შეეხო. მერე პაწია მრგვალი სარკე ამოიღო და ჩაიხედა. წარბები აზიდა, ნიკაპზე ბუმბულათი პუდრი გადაისვა და საცეკვაო დარბაზში გავიდა. მიმოვიხედე: მამაკაცები თამბაქოს ეწეოდნენ, ვხედავდი უცხო სახეებს, მარმარილოს მაგიდებზე დაღვრილ ლუდს, მესმოდა გნიასი, მეზობელი დარბაზიდან კი საცეკვაო მუსიკა იღვრებოდა. რაო, რა მითხრა? უნდა წაუძინო? ეჰ, ჩემო პატარავ! იცოდე ერთი, როგორ კურდღელივით ფხიზელი ძილი ვიცი! მაშ, ამ საგიჟეთში, მაგიდასთან მიმჯდარმა, ლუდის კათხების ხათქახუთქში წაუძინეო?! არა, არ გამოვა! ერთი ყლოუზი ღვინო მოვსვი, ჯიბიდან სიგარა ამოვიღე, ასანთი თვალებით მოვიძიე, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მოწევა არ მინდოდა. სიგარა მაგიდაზე დავდე. „თვალები დახუჭე“, – ასე მითხრა გოგონამ. ღმერთმა უწყის, საიდან ამოსდის ასეთი ხმა, დაბალი, სიკეთით აღსავსე და მშობლიური. სიამოვნებას მგვრიდა იმის გაფიქრება, რომ ამ ხმას უნდა დავმორჩილებოდი, ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში. მორჩილად დავხუჭე თვალები და თავით კედელს მივეყრდნე. ათასნაირი ხმა ჩამესმოდა. გამახსენდა, აქ დაიძინეო, რომ მითხრა და ჩამეცინა. გადავწყვიტე დარბაზის კართან მივსულიყავი და ცალი თვალით შემეხედა, როგორ ცეკვავდა ჩემი მშვენიერი გოგონა. მაგრამ წამოდგომა რომ დავაპირე, მაშინლა ვიგრძენი, რა უსაშველოდ დაველაღე ქუჩაში ხეტიალს... აღარ ავმდგარვარ. მერე გოგონას კეთილ ნებას დავყევი, და აი, უკვე მეძინა. მეძინა ხარბი ძილით და თან მაღლიერებას ვგრძნობდი. ცოტა ხანში ისეთი გასხივოსნებული და ლამაზი სიზმარი მესიზმრა, კარგა ხანია რომ არ მენახა: ვითომ ძველებურ მისაღებ ოთახში ვიჯექი. თავდაპირველად მხოლოდ ის ვიცოდი, რომ „მის აღმატებულებას“ ჩემი მოსვლა

მოახსენეს, მერე უეცრად გამახსენდა, რომ მისი აღმატებულება ბატონი ფონ გოეთე იყო. სამწუხაროდ, აქ კერძო პირი კი არაა, რომელიღაც ჟურნალის კორესპონდენტი ვიყავი და ეს ამბავი საშინლად მაწუხებდა. ვერაფრით ვერ გამეგო, რა ეშმაკად აღმოვჩნდი ამ დღეში. მერე მორიელს მოვკარი თვალი, ჩემს ფეხზე რომ ცდილობდა ამოცოცებას. ამანაც საშინლად ამაფორიაქა. რა თქმა უნდა, ვცადე თავი დამეცვა ამ შავი ქვემძრომისაგან და მორიელი ფეხიდან ჩამოვიბერტყე. ახლა უკვე აღარ ვიცოდი, სად იყო შეყუჟული და განძრევას ველარ ვბედავდი, მეგონა, ისევ ზედ მქონდა მოტყეპებული. თან იმისიც მეშინოდა, ვაითუ შეცდომით გოეთეს მაგივრად ჩემზე მატისონს[41] მოახსენონ-მეთქი. სიზმარში იგი ბიურგერში შემეშალა და მოლისადმი მიძღვნილი ლექსები მას მივაწერე. არადა, მოლისთან შეხვედრა მართლაც სულითა და გულით მინდოდა. უთუოდ შესანიშნავი ქალი იქნებოდა! აბრეშუმისფერ ლბილი, მუსიკალური, დაისივით იდუმალი. ნეტა იმ წყეული რედაქციის დავალებით არ ვმჯდარიყავი აქ! უკმაყოფილების გრძნობა სულ უფრო და უფრო მეუფლებოდა. მერე და მერე ჩემი უკმაყოფილება გოეთეს გადავაბრალე, ამდენი იჭვი რომ აღმიძრა და სასაყვედუროდ საბაბიც გამიჩინა. არადა, რა სასიამოვნო შეხვედრა მელოდა! კაცმა რომ თქვას, მორიელის დანახვა მაინცდამაინც ცუდად არ მნიშნებია, თუმცა შესაძლოა იქვე ყოფილიყო მიმალული და ხიფათიც მელოდა. ასე მეგონა, ეს მორიელი სასიკეთოს მომასწავებელიც კი იყო. სულ ადვილი შესაძლებელია, მოლისთანაც ჰქონოდა რაიმე კავშირი და მორიელი ამ ქალის დესპანად თუ ჰერალდიკურ მხეცად მესახებოდა, დიახ, ქალურობისა და ცოდვიანობის მშვენიერ და სახიფათო ჰერალდიკურ მხეცად. იქნება ამ მხეცს ვულპიუსი ერქვა?[42] სწორედ ამ დროს კარი გაიღო, წამოვდექი და ოთახში შევედი.

ჩემ წინ მხცოვანი გოეთე იდგა[43], ჩია და მეტისმეტად თავაზიანი. კლასიკოსის მკერდს ვეება ვარსკვლავის ორდენი ამშვენებდა, გეგონებოდათ, ეს კაცი კვლავაც განაგებს საქმეებს, მიღებებსაც აწყობს და ქვეყანასაც ძველებურად მართავს იმ თავისი ვაიმარის მუზეუმიდანო. შემომხედა თუ არა, ბებერი ყორანივით დააკანტურა თავი[44] და საზეიმოდ წარმოთქვა: „აბა, ახალგაზრდებო, ვგონებ, ზოგ რამეში არ უნდა გვეთანხმებოდეთ და ჩვენს მცდელობასაც დიდად არ უნდა იწონებდეთ, ასეა ხომ?!“

– დიახ, მართალს ბრძანებთ, – მივუგე და ვიგრძენი, როგორ გამჭოლა და მომნუსხა მისმა მინისტრისეულმა მზერამ. – ჩვენ, ახალგაზრდები, მართლაც არ გეთანხმებით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. ჩვენი აზრით, ყოველთვის მეტისმეტად საზეიმოდ ხართ განწყობილი, ერთობ ამპარტავანი, გოროზი და არაგულწრფელი ბრძანდებით. დიახ, მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ არაგულწრფელი ხართ.

ჩია მოხუცმა გოროზი თავი ოდნავ წინ გადმოსწია, მტკიცედ მოკუმული ბაგი ღიმილმა გაუპო და სახეზეც უჩველო გამოცოცხლება დაეტყო. უეცრად გული უჩვეულოდ ამიძგერდა, გამახსენდა ლექსი „ციდან ბინდბუნდი ეშვებოდა“. უცებ ისიც გავიაზრე, რომ ეს სიტყვები ამ კაცს ეკუთვნოდა და მის ბაგეთაგან იყო თქმული. უნდა მოგახსენოთ, იმავე წამს ხელ-ფეხი შემებორკა, მივხვდი, რომ დავმარცხდი და მზად ვიყავი მუხლი მომეყარა მის წინაშე. მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და ღიმილით ნათქვამ სიტყვებს ყური მივუგდე.

– მაშასადამე, არაგულწრფელობას მწამებთ, ხომ? მაინც რა გაქვთ მხედველობაში. უფრო ზუსტად ხომ ვერ ამიხსნიდით?

ძალიან მინდოდა მისთვის გული გადაემშალა. ნამდვილად მინდოდა.

– ბატონო ფონ გოეთე, დიდი მოაზროვნე ბრძანდებით, ამიტომაც, თქმა არ უნდა, ნათლად დაინახეთ ადამიანური ცხოვრების მთელი უმეცრება და ამაოება; იგრძენით წამის დიდებულება და მისი უბადრუკი ქრობა, მიხვდით, რომ დიადი გრძნობების მშვენიერებას მხოლოდ ერთი საზღაური შეიძლება ჰქონდეს და, ეს საზღაური ყოველდღიურობის დილეგია. თავადაც ნახეთ, თუ როგორ ჩაბმულა მწველი სურვილი სულის უფლობისა მარადიულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ასეთსავე მწველსა და წმინდა სიყვარულთან, ბუნების გარდასულ უბიწობას რომ დასტირის. თქვენ იგრძენით, რამდენად შემზარავია სიცარიელესა თუ გაურკვევლობასა შინა უაზრო ბორგვა და ამქვეყნიური წარმავლობა, მიხვდით, რომ ამქვეყნად არაფერს არა აქვს დასაბამი და ბოლო, რომ ადამიანის ცხოვრება მხოლოდ დილეტანტური ცდაა მხოლოდ. ერთი სიტყვით, შეიგრძენით ადამიანური ყოფის მთელი ამაოება, უცნაურობა და სასოწარკვეთა. ეს ყველაფერი მშვენივრად იცოდით და ხანდახან აღიარებდით კიდეც. აი, პირადი ცხოვრებით კი სრულიად საპირისპიროს ქადაგებდით. გასურდათ ყოველთვის რწმენითა და იმედით აღსავსე ყოფილიყავით, თვალთმაქცობდით საკუთარი თავისა და სხვების წინაშე და იმის მტკიცებას ცდილობდით, თითქოს ჩვენი სულიერი მცდელობები მარადიული ყოფილიყოს და რაღაც აზრი ჰქონოდას. თქვენ უარყოფდით და თრგუნავდით მათ, ვისაც მოვლენების ღრმად შეცნობა სურდა და, საკუთარ სულშიც ისევე ახშობდით სასოწარკვეთილი სიმართლის ხმებს, როგორც მათ ჩახშობას კლაისტისა და ბეთჰოვენში ცდილობდით! [45] ათეული წლების განმავლობაში ისე გეჭირათ თავი, თითქოს ახლის შემეცნება, კოლექციების შეგროვება და წერილების წერა, – ერთი სიტყვით, ვაიმარში გატარებული მთელი თქვენი ცხოვრება, – მართლაც წამის უკვდავყოფის დადასტურება ყოფილიყოს. სინამდვილეში კი მხოლოდ ამ წამის მუმიფიცირება გინდოდათ, რათა ბუნებისათვის სული ჩაგედგათ, მაგრამ ვერაფერს ახერხებდით და მხოლოდ და მხოლოდ ფერუმარილით ალამაზებდით მას. აი, სწორედ ამ არაგულწრფელობასაა, რომ გიკიჟინებთ.

მოხუცმა საიდუმლო მრჩეველმა დაფიქრებით შემომხედა. ბაგეზე ჯერ ისევ დასთამაშებდა ღიმილი. მერე, ჩემდა გასაოცრად, მკითხა:

– რაკი ასეა, მაშინ მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტაც“ [46] მაინცდამაინც არ უნდა გეხატებოდეთ გულზე, არა?

და ვიდრე შევეპასუხებოდი, განაგრძო:

– „ჯადოსნური ფლეიტა“ თავად ცხოვრების ხმატკბილი სიმღერაა. იგი ჩვენს წარმავალ გრძნობებს ასხამს ხოტბას და მათ მარადიულად და ღვთაებრივად გვისახავს. იგი არც ბატონ ფონ კლაისტს ეთანხმება და არც ბატონ ბეთჰოვენს, უბრალოდ, იმედსა და რწმენას ქადაგებს.

– ვიცი, ვიცი! – წამოვიძახე გააფთრებით, – ღმერთო ჩემო, რაღა სწორედ „ჯადოსნურ ფლეიტას“ მიაღეჭით, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს! მაგრამ, მოგეხსენებათ, მოცარტს ოთხმოცდაორ წლამდე არ უცოცხლია; თქვენსავით არ ესწრაფვოდა მარადიულობას, წესრიგსა და გოროზ ღირსებას, თქვენსავით ამპარტავანიც არ ყოფილა! ღარიბი იყო, არაკრაკებდა თავის ღვთაებრივ ჰანგებს,

სახელი და დიდება არ ღირსებია და უდროოდ, სიღარიბეში ამოხდა სული...

სუნთქვა შემეკრა. სათქმელი ბევრი მქონდა და ყველაფერი ათიოდ სიტყვაში უნდა ჩამეტია. შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა.

გოეთემ კი ძალიან გულთბილად მითხრა:

– ალბათ არ მეპატიება, ოთხმოცდაორი წელი რომ ვამძიმებდი დედამიწას. თქვენ გგონიათ, მე ძალიან მსიამოვნებდა ეს ამბავი?! მართალი ბრძანდებით: დღეგრძელობას ყოველთვის ვესწრაფვოდი, სიკვდილისა მუდამ მეშინოდა და ვებრძოდი ხოლმე. სიკვდილთან ბრძოლა და სიცოცხლისაკენ გარდუვალი, დაუცხრომელი სწრაფვა იმ პირველმიზეზად მიმაჩნია, რომლის ძალითაც მოქმედებს და ცხოვრობს ყველა ცნობილი ადამიანი. მაგრამ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ის, რომ საბოლოოდ ყველანი მაინც სიკვდილის შვილები ვართ, ოთხმოცდაორი წლის ასაკშიც ისე მშვენივრად დავამტკიცე, ვითომც ჭაბუკი მოვმკვდარიყავი. თავის გასამართლებლად კი, თუკი ეს, რა თქმა უნდა, თავის გამართლებად გამოდგება, იმას ვიტყვი, რომ ძალიან ბავშვური ბუნების ვიყავი. ნამეტანი ცნობისმოყვარეობითა და ანცობით გამოვირჩეოდი, თანაც დროის ფლანგვა მიყვარდა. ამდენი დრო სწორედ იმას შევალე, რომ საკუთარი თავი დამერწმუნებინა, კმარა-მეთქი თამაში.

ამას ამბობდა და თან ანცად, თითქმის თავხედურად მიღიმოდა. უეცრად, თითქოს ტანი აიყარაო, გოეთე გამაღლდა და გაიზარდა, სადღაც გაქრა მისი გოროზი მიხრამოხრა და გაბლენძილი გამომეტყველება. ჩვენ ირგვლივ უკიდევანო სივრცე გოეთეს ლექსებზე შექმნილი ჰანგებით აივსო[47]. ცხადად ჩამესმა მოცარტის „ია“ და შუბერტის „ისევ ტყე-ველზე“. გოეთეს სახე შეუვარდისფრდა და თითქოს გაუახალგაზრდავდა კიდეც. იცინოდა და ღვიძლ ძმასავით ემსგავსებოდა ხან მოცარტს, ხან – ბეთჰოვენს. მოხუცის გულ-მკერდზე მიბნეული ვარსკვლავი ამასობაში მინდვრის ყვავილების თაიგულად ქცეულიყო, რომლის შუაგულში ლამაზად, დიდებულად ყვაოდა ყვითელი ფურისულა.

სულ არ მაძლევდა ხელს ის ამბავი, რომ მოხუცი ხუმრობა-ხუმრობით იძვრენდა თავს შეკითხვებისა და ბრალდებებისაგან. საყვედურით შევხედე. მაშინ იგი ჩემკენ გადმოიხარა, ყურთან მომიტანა ბავშვურად მომუწული პირი და წამჩურჩულა:

– ჩემო ბიჭუნავ! გატყობ, ერთობ სერიოზული თვალთ უყურებ მხცოვან გოეთეს. იმქვეყნად წასულ მოხუცს არ შეიძლება ასე უყუროს კაცმა. ეს უსამართლობაა. უკვდავებაში გარდასულთ არ გვიყვარს, როცა რაიმეს მეტისმეტი სერიოზულობით ეკიდებიან. ჩვენ ოხუნჯობის ტრფიალნი გახლავართ. ჩემო ბიჭუნავ, სერიოზულობა დროის ატრიბუტია და მას დროის გადაჭარბებული შეფასება იწვევს. ერთი ხანობა მეც დიდად ვაფასებდი დროს, ამიტომაც მინდოდა ასი წლის ასაკამდე მიმეღწია. მარადისობაში კი, ალბათ მოგეხსენება, დრო არ არსებობს. მარადისობა მხოლოდ და მხოლოდ წამია, ერთხელ წასაოხუნჯებლად რომ ეყოფა კაცს.

გოეთეს სერიოზულ ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა. მხიარული ცეკვა-ცეკვით დაქროდა აქეთ-იქით, ხოლო მისი ვარსკვლავიდან ამოყელყელავებული ფურისულა ხან შუშხუნასავით ამოვარდებოდა, ხანაც დაპატარავდებოდა და გაქრებოდა. გოეთე დიდებულად ცეკვავდა. უნებურად გავიფიქრე, ამ კაცს, ასე თუ ისე, შემთხვევა არ

გაუშვია ხელიდან, ცეკვა ესწავლა-მეთქი. ყველაფერი ოსტატურად გამოსდიოდა. აი, ამ დროს ისევ მორიელი, უფრო სწორად, მოლი გამახსენდა და გოეთეს მივაძახე:

– მითხარით, მოლი აქ ხომ არ არის?

გოეთემ გადაიხარხარა. მაგიდასთან მივიდა, ერთ-ერთი უჯრიდან ტყავისა თუ ხავერდის ძვირფასი ზარდანშა ამოიღო, გახსნა და თვალებთან მომიტანა. ზარდანშაში, შავ ხავერდზე, ქალის პაწაწინა, უზადო, მშვენიერი ფეხი კიაფობდა, მუხლში ოდნავ მოხრილი; დაჭიმულ ტერფზე ნაზად იკვეთებოდა თითების ხაზი. ამ პაწია ფეხმა ერთიანად მომაჯადოვა. ვიფიქრე, ყუთიდან ამოვიღებ-მეთქი, მაგრამ როგორც კი ხელი წავიღე, რომ ფეხისთვის ორი თითი წამევლო, სათამაშო უცებ განზე გამიხტა. ეჭვი გამიჩნდა, წელანდელი მორიელი ხომ არ არის-მეთქი. გოეთე თითქოს მიმიხვდა ნააზრევს. მგონია სწორედ ჩემი შეცბუნება უნდოდა, უნდოდა ჩემს სურვილსა და შიშს შორის გამართული, გაშმაგებული ორთაბრძოლის მოწმე გამხდარიყო.

გოეთემ პატარა მშვენიერი მორიელი პირდაპირ სახესთან მომიტანა. შემატყო, თავდაპირველად მისი ალების ჟინმა რომ შემიპყრო, მაგრამ მერე შემეშინდა და უკან გადავქანდი; ამ ამბავმა, ეტყობა, დიდი სიამოვნება მოჰგვარა. ერთხანს კიდევ ცდილობდა შევეშინებინე და მივეტყუებინე თავისი მშვენიერი, სახიფათო სათამაშოთი, მაგრამ უეცრად ისევ დაბერდა. თმა თოვლივით გაუთეთრდა, ჩამომჰკვნარი, კუმტი სახე კი, ათასწლოვანი და ძველთაძველი, უხმოდ, იდუმალად უცინოდა და ღრმააზროვან, ბებრულ იუმორს ასხივებდა.

სიზმარი გამოღვიძებისთანავე მიმავიწყდა და მხოლოდ შემდეგ, მოგვიანებით გამახსენდა. ალბათ ერთი საათი თუ მეძინა ამ რია-რიასა და მუსიკის გრიალში. არაფრით არ მეგონა, ასეთი რამ თუ დამემართებოდა და რესტორანში მაგიდასთან დამეძინებოდა. ის მშვენიერი გოგონა თავზე დამდგომოდა და ხელი მხარზე დაედო.

– ორი-სამი მარკა უნდა მომცე, – მითხრა მან, – იქ ცოტა რაღაც წავისუსნე.

საფულე მივეცი. გოგონა წავიდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა.

– მაშ ასე, ახლა ცოტა ხანს შენთან შემიძლია ვიჯდე, მერე ისევ უნდა წავიდე, პაემანი მაქვს დანიშნული.

შიშმა შემიპყრო.

– კი მაგრამ, ვისთან? – ვკითხე მოუთმენლად.

– ვისთან და ერთ კაცთან, ჩემო პატარა ჰარი. ბარში ვარ დაპატიჟებული. „ოდეონში“ მივდივარ.

– ო, მე კი მეგონა, მარტოს არ დამტოვებს-მეთქი.

– თუ ასე გინდოდა, მაშინ თვითონ უნდა დაგეპატიჟე. როგორც ხედავ, დაგასწრეს. არა უშავს, სამაგიეროდ ფულს დაზოგავ. „ოდეონში“ ყოფილხარ? შუალამე რომ გადავა, იქ მხოლოდ შამპანურს სვამენ. ძალიან მდიდრული რესტორანია: რბილი სავარძლები, ზანგი მომღერლები...

ეს კი ველარ გავითვალისწინე.

– ო, თუ ასეა, ნება მომეცი, დაგპატიჟო. – შევებზევე ქალს. – რატომღაც მეგონა, ეს ამბავი თავისთავად იგულისხმება-მეთქი. ჩვენ ხომ უკვე მეგობრები ვართ! ნება მომეცი, დაგპატიჟო! შენ ოღონდ მოისურვე რამე! ძალიან გთხოვ!

– მართალი გითხრა, ძალიან მსიამოვნებს შენი თხოვნა, მაგრამ ხომ იცი, სიტყვა სიტყვაა. რაკი შევპირდი, უნდა წავიდე კიდეც და ტყუილად თავს ნუღარ შეიწუხებ! უმჯობესია ერთი ყლუპი მოსვა, ბოთლში კიდეც დარჩენილა ცოტაოდენი ღვინო. აი, ახლა ამასაც დალევ, მერე შინ წახვალ და გამოიძინებ. აბა, სიტყვა მომეცი!

– არა, არა! გაიგე, რომ ჩემი შინ წასვლა არ შეიძლება!

– ოჰ, რა გააჭირე საქმე, ველარ მორჩი წუწუნს?! რაო, ჯერაც ვერ გაუსწორე ანგარიში იმ შენს გოეთეს? – (სწორედ ახლა ჩემი სიზმარი გამახსენდა). – შინ თუ არ მიგესვლება, აქ დარჩი. ოთახები აქვთ და მოგცემენ. გინდა ნომერი შეგიკვეთო?

გამიხარდა და ვკითხე, კიდეც როდის შეიძლება შენი ნახვა ან სად ცხოვრობ-მეთქი. არ მითხრა. ცოტას თავს თუ შეიწუხებ და მომძებნი, მიპოვიო.

– შეიძლება დაგპატიჟო?

– სად?

– სადაც გინდა და როცა გინდა.

– კეთილი. სამშაბათს „მოხუც ფრანცისკელში“ ვივანშმოთ, მეორე სართულზე. ნახვამდის!

ქალმა ხელი გამომიწოდა და მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება მის ლამაზ, ხორცსავსე, აზრიანსა და კეთილ ხელს, ასე რომ ეხამებოდა მის ხმას. ხელზე რომ ვაკოცე, დამცინავად გაიღიმა.

წასვლის წინ ერთხელ კიდეც მომიბრუნდა:

– გოეთეს თაობაზე კი, იცი, რას გეტყვი? აი, ხომ გაგაცოფა მისი სურათის დანახვამ? ზოგჯერ მეც ასე მემართება, ხატებს რომ შევხედავ ხოლმე.

– ხატებსო? შენ რა, ღვთისმოსავი ხარ?

– არა, ღვთისმოსავი, სამწუხაროდ, არა ვარ, თუმცა ერთ დროს კი ვიყავი და ოდესმე ალბათ ისევ გავხდები. ღვთისმოსაობას ხომ დრო სჭირდება?!

– დრო სჭირდებაო? ამას რა დრო უნდა?

– უნდა და მერე რამდენი! ღვთისმოსავ კაცს ბევრი დრო უნდა ჰქონდეს, მეტსაც გეტყვი, იგი დროზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. არ შეიძლება ღმერთი ჭეშმარიტად გწამდეს და სინამდვილით ცხოვრობდე, თანაც ამ სინამდვილეს – დროს, ფულს, „ოდეონს“, – სერიოზული თვალთ უყურებდე.

– გასაგებია, მაგრამ შენ ეს მითხარი, რაო, ხატების დანახვაზე რა მემართებაო?

– რა და, ზოგი წმინდანი გამორჩეულად მიყვარს.[48] აი, მაგალითად: წმინდა სტეფანე, წმინდა ფრანცისკი[49] და ბევრი სხვა. ზოგჯერ ამ წმინდანების, მაცხოვრის ან ღვთისმშობლის ხატის დანახვაზე ვგრძნობ, რა საოცრად არაბუნებრივი, ყალბი და სულელური გამომეტყველება აქვთ. ჰოდა, მათი შეხედვა ზუსტად ისევე მირევს გულს, შენ რომ დაგემართა. მაცხოვრის ან წმინდა ფრანცისკის დათაფლულ, მოსულებლო სახეს რომ შევხედავ და თან იმას წარმოვიდგენ, ხალხს რა მშვენიერი და ამაღლებელი ეჩვენება ისინი, ეს ამბავი მაცხოვრის შეურაცხყოფად მიმაჩნია და ვფიქრობ, ნუთუ ამ საბრალოდ იმიტომ იცხოვრა და იტანჯა ასე საშინლად, რომ მერე და მერე ადამიანებს ამ სულელური სახისთვის ეცქირათ და კმაყოფილება ეგრძნო-მეთქი? მაგრამ ისიც მესმის, რომ ჩემი მაცხოვრისა თუ ფრანცისკის ხატს ვიღაც ადამიანის იერი აქვს მხოლოდ და მის ჭეშმარიტ სახეს ვერასოდეს გააცოცხლებს, ვიცი, რომ ეს ჩემეული ხატი თავად მაცხოვარსაც ისევე სულელური და უბადრუკი მოეჩვენებოდა, მე რომ მეჩვენება ხოლმე. არ იფიქრო, ამას იმიტომ გეუბნებოდე, გამართლება მინდოდეს შენი, რახან გოეთეს სურათმა გაგაჯავრა და აღგაშფოთა. რა თქმა უნდა, ამ ამბავში მართალი არა ხარ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დაგარწმუნო, შენი გაგება შემოიძლია-მეთქი. თქვენ, მეცნიერებისა და ხელოვნების მსახურთ, თავი ათასგვარი უცნაური აზრითა გაქვთ გამოტენილი, მაგრამ კაცმა რომ თქვას, თქვენც ისეთივე ადამიანები ხართ, როგორიც დანარჩენები. ჰოდა, ამ დანარჩენებსაც ჩვენ-ჩვენი ოცნებები თუ თავსატეხი თამაშობები გაგვაჩნია. ჩემო ჭკუის კოლოფო, შეგატყვე, როგორ შეცბი, გოეთეს ამბის მოყოლა რომ დაიწყე. ალბათ იფიქრე, რა ვქნა, ამ მდაბიო გოგოს როგორ გავაგებინო ჩემი მაღალფარდოვანი აზრებიო. მაგრამ მინდა იცოდე, ტყუილად წუხდი. მშვენივრად მესმის, რისი თქმაც გინდოდა. ახლა კი კმარა, უნდა დაიძინო!

ქალიშვილი წავიდა. მე კი მოხუცმა მსახურმა მეორე სართულზე ამიყვანა. უფრო სწორად, ჯერ მკითხა, ბარგი ხომ არა გაქვსო, და, როცა გაიგო, არაფერი მქონდა თან, წინდაწინ გამომართვა გასამრჯელო, რასაც მის ენაზე „ლამის სათევი ფული“ ერქვა. მერე დანჯღრეული კიბით ოთახში შემიყვანა და მარტო დამტოვა. ოთახში ერთი ძველისძველი ხის საწოლი იდგა, ერთობ მოკლე და ხმელი, კედელზე კი ხმალი და გარიბალდის ფერადი სურათი ეკიდა. იქვე, სურათის გვერდით, დამჭკნარი გვირგვინი შევამჩნიე. ეტყობა, რომელიღაც კლუბს დღესასწაული ეზეიმა და იმ დროიდან შემორჩენილიყო. გულში ლამის პერანგი ვინატრე. კიდეც კარგი, წყალი და პატარა პირსახოცი მაინც იყო, ასე რომ, დაბანა შემეძლო. დავიბანე თუ არა, ჩავიცვი და ლოგინზე მივწექი. სინათლე არ ჩამიქრია. ახლა შემეძლო მშვიდად მეფიქრა. ამრიგად, გოეთესთან, როგორც იქნა, მოვაგვარე საქმე. რა ბედნიერებაა, რომ სიზმარში გამომეცხადა! რა მშვენიერი გოგონა იყო! ის მაინც ვიცოდე, რა ჰქვია! საოცარია, უეცრად საიდან მომევლინა ადამიანი, ცოცხალი ადამიანი, რომელმაც დაამსხვრია ჩემი მიმქრალი არსებობის მყიფე ნაჭუჭი და ხელი გამომიწოდა! დიახ, გამომიწოდა თავისი კეთილი, მშვენიერი, თეთრი ხელი, ანაზღად კვლავ გამიჩნდა საფიქრალი, კვლავ შემეძლო სიხარულით, აღელვებითა და შთაგონებით მეფიქრა რაღაცაზე! გაიღო კარი და გარედან ჩემთან კვლავ სიცოცხლის სიო შემოიჭრა! ახლა კი ვიფიქრე, ალბათ შემოიძლია ვიცოცხლო და თავი ადამიანად ვიგრძნო-მეთქი. სიცივეში მთვლემარე, თითქმის უკვე გაყინულმა ჩემმა სულმა კვლავ თავისუფლად ამოისუნთქა; მართალია, უილაჯოდ, მაგრამ კვლავ ააფაფხურა თავისი უმწეო, პაწია ფრთები. ჯერ იყო და, გოეთე გამომეცხადა, მერე იმ გოგონამ ჭამა-სმა და ძილი

მიბრძანა, სულითა და გულით მითანაგრძნო, გამეხუმრა და პატარა, სულელი ბიჭი მიწოდა. ჩემმა ნანატრმა მეგობარმა წმინდანებზეც მიაგებინა, გამაგებინა, რომ მართლმე არ მომდის თავში უცნაური აზრები და გამონაკლისს არ წარმოვადგენ, რომ მეც შეიძლება მყავდეს თანამოაზრეები, ჩემიც შეიძლება ესმოდეს ადამიანს. ნუთუ ველარ ვნახავ? რა თქმა უნდა, ვნახავ. მას შეიძლება დაენდოს კაცი. აკი თქვა, „სიტყვა სიტყვააო“.

აი, ისევ ჩამთვლიმა. ოთხ თუ ხუთ საათს მეძინა. როცა გამომეღვიძა, თერთმეტი იქნებოდა დაწყებული. ტანსაცმელი დამკუჭვოდა, ტანში მამტვრევდა და საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი. ტვინს მიბურღავდა წინა დღის საშინელი მოგონებები, მაგრამ ვგრძნობდი, ცოცხალი ვიყავი და თავში იმედიანი, სასიამოვნო აზრები მიტრიალებდა. ქუჩაში გამოსულმა იმ შიშის ნატამალიც კი ველარ ვიგრძენი, გუშინ შინ დაბრუნებაზე გაფიქრებისას რომ შემიპყრობდა ხოლმე.

არაუკარიის ზემოთ, კიბეზე „დეიდას“, ესე იგი, ჩემს დიასახლისს შევეფეთე. საერთოდ იშვიათად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ამ ქალის გულთბილი და ალერსიანი მოპყრობა გულს მუდამ ელამუნებოდა. აი, ამჯერად კი მისი დანახვა არ მეამა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ღამენათევი, თმადაუვარცხნელი და წვერგაუპარსავი ვიყავი, ერთი სიტყვით, საკმაოდ შელახული იერი მქონდა. კაცმა რომ თქვას, დიასახლისი მუდამ მიწევდა ანგარიშს, ცდილობდა არ დაერღვია ჩემი სიმყუდროვე და ზედმეტი ყურადღებით არ შევეწუხებინე. დღეს კი ჩემსა და გარე სამყაროს შორის აღმართული ზღუდე თითქოს ჩამოინგრა; დეიდამ გაიცინა და ნაბიჯი შეანელა:

– ბატონო ჰალერ, ძალიან კი დასეირნობთ! ღამეც არ ბრძანდებოდით შინ. ალბათ მეტიმეტად გადაიღალეთ, არა?

– დიახ, – მივუგე და თავს ძალა დავატანე, გამეცინა. – ერთობ მოუსვენარი და შფოთიანი ღამე მქონდა. მაგრამ რაკილა არ მინდოდა თქვენი ოჯახის ადათ-წესები დამერღვია და შინ გვიან დავბრუნებულიყავი, ღამე სასტუმროში გავათიე. მოგეხსენებათ, რა დიდ პატივს ვცემ თქვენს ოჯახურ სიმყუდროვესა და წესრიგს. ჩემი თავი ამ სახლში ხანდახან უცხო ფრინველიც კი მგონია ხოლმე.

– ნუ დამცინით, ბატონო ჰალერ!

– ო, რასა ბრძანებთ, მე მხოლოდ საკუთარ თავს დავცინი.

– აი, სწორედ ეგ არ გეკადრებათ. ჩემს სახლში სულაც არ უნდა გრძნობდეთ თავს „უცხო ფრინველად“. იცხოვრეთ, როგორც გენებოთ და აკეთეთ, რაც გაგიხარდებათ. ძალიან ბევრი წესიერი მდგმური მყოლია, მაგრამ თქვენისთანა წყნარი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია, არც არასოდეს შეგიწუხებიათ. ჩაის ხომ არ ინებებდით?

უარი აღარ მითქვამს. ჩაი წინაპრების ღამაში სურათებითა და მამაპაპური ავეჯით მორთულ სასტუმრო ოთახში მომართვეს. ცოტა ვისაუბრეთ. კეთილ დიასახლისს არაფერი უკითხავს, მაგრამ რატომღაც მისთვის ფიქრების გაზიარება მომინდა და საკუთარი სურვილით მოვუყევი ზოგ-ზოგი ამბავი ჩემი ცხოვრებიდან.

დიასახლისი დედობრივი გულისყურითა და ყურადღებით კი მისმენდა, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მეუბნებოდა: აბა, ეს ამბავი რა აინუნში ჩასაგდებიაო;

სწორედ ასეთი სახე აქვთ ხოლმე გონიერ ქალებს, როცა ლაპარაკი მამაკაცის ახირებულობაზე ჩამოვარდება. მერე მის დისწულზე საუბარს შევყევით. დიასახლისმა მეზობელ ოთახში გამიყვანა და მისი ბოლოდროინდელი ნახელავი – რადიოაპარატი მაჩვენა; ყმაწვილი კაცი ახლა უმავთულო კავშირის იდეას გაეტაცა და ხელსაწყო საკუთარი ხელით დაემზადებინა. სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ თურმე მთელი საღამოები რადიოაპარატს უკირკიტებდა, ეტყობა, ტექნიკის ღმერთს ეთაყვანებოდა. ამ ღმერთს კი ათასობით წლები დასჭირდა, რათა შეექმნა და საკმაოდ არასრულყოფილად წარმოეჩინა ის, რაშიც მშვენივრად ერკვეოდა და რითაც მუდამ გაცილებით გონივრულად სარგებლობდა ყოველი მოაზროვნე ადამიანი. ამ საკითხზე კარგა ხანს ვბაასობდით, რადგან დეიდა, ცოტა არ იყოს, ღვთისმოსავი ქალი იყო და ძალიან უყვარდა რელიგიურ თემებზე საუბარი. მე ვუთხარი, ნებისმიერი ძალისა და მოქმედების განფენილობის არსი შესანიშნავად ესმოდათ ძველ ინდოელებს, ტექნიკამ კი საყოველთაო ცნობიერებამდე ამ ფენომენის მხოლოდ მცირე ნაწილი მიიტანა და ბგერითი ტალღების გამოსავლენად ჯერჯერობით საოცრად არასრულყოფილი მიმღები და გადამცემი შექმნა-მეთქი. თვით ამ ძველი ცოდნის არსს, დროის არარეალურობას, ტექნიკა დღემდე ვერ ამჩნევს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს „აღმოაჩენს“ და ისიც საქმიან ინჟინრებს ჩაუვარდება ხელში. ალბათ შორს აღარაა ის დრო, როცა დაადგენენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ახლანდელი, ამწუთას არსებული სურათებისა და მოვლენების სამყაროში როდი ვცხოვრობთ, – აი, მაგალითად, ახლა პარიზიდან ან ბერლინიდან რადიოთი გადმოცემულ მუსიკას ხომ ფრანკფურტში ან ციურიხში ვუსმენთ, – ჰოდა, ისიც მალე აღმოჩნდება, რომ თურმე ოდესღაც მომხდარი ამბებიც აღინუსხებოდა და გასაქრობად არ იყო განწირული; ერთ მშვენიერ დღეს ალბათ შევძლებთ მავთულიანი თუ უმავთულო ტექნიკის წყალობით, ბგერითი ხარვეზებითა თუ უხარვეზებოდ, მოვისმინოთ, „როგორ ლაპარაკობდა სოლომონ მეფე, ანდა ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე[50]. მაგრამ ეს ყველაფერი, დღევანდელი რადიოს ჩანასახის მსგავსად, ადამიანს მხოლოდ იმაში დაეხმარება, რომ გაექცეს საკუთარ თავსა და მიზნებს და სულ უფრო მეტად გაიხლართოს დროსტარებისა თუ უაზრო მოუცლელობის ქსელში-მეთქი. ახლა ამაზე გამქირდავად და დაცინვით კი არ ვლაპარაკობდი, როგორც საერთოდ მჩვეოდა ჩვენს დროებასა და ტექნიკაზე საუბრის დროს. ამ ჩემთვის კარგად ნაცნობ საკითხებზე ხუმრობა-ხუმრობით, ლაღად ვყვებოდი, დეიდა კი იღიმებოდა. მთელი საათი გავატარეთ ასე. ვსვამდით ჩაის და სიამოვნებით ვსაუბრობდით.

ის მშვენიერი, საოცარი გოგონა, „შავ არწივში“ რომ გავიცანი, სამშაბათს საღამოსთვის მყავდა დაპატიჟებული, მაგრამ არ გინდოდა იმ დრომდე გაძლება?! ლოდინი კი მართლაც ძალიან გამიჭირდა. აი, ბოლოს და ბოლოს, სამშაბათიც დადგა; უეცრად მივხვდი, რამდენად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი ჩემს შემდგომ ურთიერთობას უცნობ გოგონასთან და თავზარი დამეცა. მხოლოდ მას დასტრიალებდა ჩემი ფიქრები, ათასნაირ იმედებს ვამყარებდი ამ ქალზე. მინდოდა ფეხებში ჩავვარდნოდი და მსხვერპლად შემეწირა ყველაფერი, თუმცა კი ვერ ვიტყვი, შეყვარებული ვიყავი-მეთქი. წარმოვიდგენდი თუ არა, რომ შეიძლება სიტყვა გაეტეხა, ანდა გადავიწყებოდა ჩვენი პირობა, აშკარად დამიდგებოდა თვალწინ, რაც მელოდა: კვლავ უნდა დაცარიელებულიყო სამყარო, მდორედ მიჰყოლოდა ერთმანეთს უფერული დღეები, კვლავ დამეუფლებოდა სიჩუმისა და

კვდომის შემზარავი გრძნობა და ამ მდუმარე ჯოჯოხეთიდან ხსნას მხოლოდ სამართებელი თუ შემადლებინებდა. სამართებლის შიში კი ამ რამდენიმე დღეში სრულიადაც არ გამწვანდა, ამ შიშს უწინდებურად თავის კლანჭებში ვყავდი მომწყვდეული. სწორედ ეს იყო ყველაზე ამაზრზენი. ისე საშინლად, არაადამიანურად მეშინოდა ყელის გამოღადვრისა, ისე ჯიქურ, გაშმაგებითა და ჭირვეულად ვებრძოდი სიკვდილს, თითქოს ჩემი ცხოვრება წალკოტი ყოფილიყო, მე კი – ერთი ბედის ნებიერა კაცი. მთელი სიცხადით წარმოვიდგინე ჩემი მდგომარეობა. მივხვდი, რომ „შავ არწივში“ გაცნობილი პატარა მშვენიერი გოგონა ყოფნა-არყოფნის აუტანელმა ჭიდილმა აქცია ჩემთვის ასე აუცილებელ არსებად. იგი ჩემი შიშის ბნელ გამოქვაბულში გამოჭრილი პაწია ხვრელი თუ სარკმელი იყო. ვგრძნობდი, მხოლოდ მას შეეძლო ჩემი ხსნა, მას უნდა გაეწია ჩემთვის მეგზურობა თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე. ამ ქალს უნდა ესწავლებინა, როგორ მეცხოვრა ან როგორ მოვმკვდარიყავი, სწორედ იმ თავისი მშვენიერი და მტკიცე ხელით უნდა შეხებოდა ჩემს გათოშილ გულს, რათა სიცოცხლეს ნაზიარები ეს გული ან ძველებურად აძგერებულობო, ან საბოლოოდ ჩაფერვლილიყო. არ ვიცოდი, რა გზით დაედასტურებინა ამ ქალში ასეთ ძალას, საიდან ჰქონდა ეს ჯადო-თილისმა, რა იდუმალი მიზეზი არსებობდა იმისა, რომ ასე ძლიერ მოქმედებდა ჩემზე?! არ ვიცოდი და არც მინდოდა მცოდნოდა. განა ეს ახლა სულერთი არ იყო? აღარც გაგება მინდოდა არაფრის და აღარც ცოდნა. ყველაფერი მომყირჭდადა ყელში ამომივიდა, ხოლო ეს ტანჯვა სწორედ იმიტომ იყო ჩემთვის ესოდენ მომაკვდინებელი, დამამცირებელი და სამარცხვინო, რომ ასე თვალნათლივ ვხედავდი, ასე აშკარად შევიგრძნობდი საკუთარ მდგომარეობას. ცხადლივ ვხედავდი, ეს ყმაწვილი, ეს გაველურებული ტრამალის მგელი აბლაბუდაში მოქცეული ბუზივით რომ აწყდებოდა აქეთ-იქით. ვგრძნობდი, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. აი, ობობა სადაცაა ზედ დააცხრებოდა, სისხლს გამოსწოვდა, ის კი უმწეოდ იფაფხურებდა აბლაბუდის კედლებში გამომწყვდეული. მაგრამ იქვე, მის ახლოს, საშველად გამოწვდილ ხელსაც ვხედავდი. შემეძლო გონივრულად და საქმის ღრმა ცოდნით მელაპარაკა ჩემი ტანჯვის, სულით ავადმყოფობის, სიგიჟისა თუ ნევროზის მიზეზ-შედეგებზე. ამ საქმეში საკმაოდ ჩახედული გახლდით. მაგრამ ახლა ცოდნა და გაგება სულაც არ მჭირდებოდა, – ასეთი სასოწარკვეთით ამისაკენ როდი ვილტვოდი! ახლა განცდების, გადაწყვეტილების მიღების, ბიძგისა და ნახტომის სურვილმა შემიპყრო.

იმ მოლოდინის დღეებში ოდნავაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ჩემი ნაცნობი გოგონა აუცილებლად მოვიდოდა. მაგრამ ბოლო დღეს მაინც ძალიან ავლელდი და რწმენა დავკარგე. ჩემს სიცოცხლეში არაფერს დავლოდებოვარ ასე მოუთმენლად და, თუმცა დაძაბულობა და მოუთმენლობა ერთობ აუტანელი იყო, ეს ყველაფერი ამავე დროს საოცრად კეთილისმყოფლად მოქმედებდა ჩემზე; თითქოს უეცრად გამოვფხიზლდი: კაცი, ვინც აი, უკვე რა ხანია კარგს აღარაფერს ველოდი და აღარაფერი მახარებდა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, რომ ასეთ შიშსა, წუხილსა და დაძაბულ მოლოდინში გავატარე მთელი დღე. ადგილს ვერ ვპოულობდი, ისიც კი წარმოვიდგინე, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა დღევანდელ საღამოს, როგორ გავიპარსავდი წვერს და გამოვეწყობოდი (დიახ, განსაკუთრებული გულმოდგინებით ჩავიცვამდი ახალ პერანგს, გავინასკვავდი ახალ ჰალსტუხს, ფეხსაცმელში ახალ ზონრებს გავუყრიდი). დაე, ვინც უნდა, ის ყოფილიყო ეს ჭკვიანი და იდუმალი გოგონა, როგორც უნდა, ისე წარმართულიყო ჩვენი ურთიერთობა, ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო.

მთავარია, რომ ის არსებობდა, რომ მოხდა სასწაული და კვლავ ვიპოვე ჩემთვის საჭირო ადამიანი, რომ ცხოვრებამ კვლავ ახალი ძალით გამიტაცა! მთავარი ის იყო, ამას თავისი გაგრძელება ჰქონოდა, გულითა და სულით მივცემოდი ამ გატაცებას, ფეხდაფეხ ავდევენობდი ამ ვარსკვლავს.

არასოდეს დამავიწყდება წუთი, როცა კვლავ ვიხილე იგი! ძველ, მყუდრო რესტორანში ვიჯექი, პატარა მაგიდასთან. მაგიდა წინდაწინ ტელეფონით შევუკვეთე, მაგრამ აღმოჩნდა, ასეთი თადარიგი სულაც არ ყოფილა საჭირო. ვიჯექი და გულდასმით ვათვალიერებდი მენიუს. წყლით სავსე ჭიქაში ორი ულამაზესი ორჭიდეა ყელყელაობდა^[51], ჩემს გოგონას რომ ვუყიდე. დიდხანს მომიხდა ლოდინი, მაგრამ, რაკილა თავი დავირწმუნე, აუცილებლად მოვა-მეთქი, მღელვარებამ გამიარა. და აი, ისიც გამოჩნდა! გასახდელთან მივიდა, დაკვირვებული, ცოტა არ იყოს, გამომცდელი მზერა შემავლო და მერე მხოლოდ თვალებით, თავისი ღია, ღია ნაცრისფერი თვალებით მომესალმა. გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს, მაინტერესებდა, მიმტანი როგორ დაიჭერდა მასთან თავს. არა, მაღლობა ღმერთს, ზედმეტი და უადგილო შინაურულობა ვერ შევამჩნიე. მიმტანი მართლაც თავაზიანი იყო, თუმცა კი, ეტყობა, იცნობდნენ ერთმანეთს. ქალი მას სახელით მიმართავდა და ემილს ეძახდა. ყვავილები რომ მივართვი, გაუხარდა და გაეცინა.

– ძალიან მესიამოვნა, ჰარი. საჩუქრის მორთმევა გინდოდა, მაგრამ არ იცოდი, რა შეგერჩია, არა? კაცმა რომ თქვას, ისიც არ იცოდი ხეირიანად, გქონდა კი უფლება, საჩუქარი მოგერთმია? ხომ შეიძლება მწყენოდა?! ჰოდა, შენც აიღე და ორჭიდეები მიყიდე. მართალია, ყვავილებია, მაგრამ საკმაოდ ძვირი ღირს! მაღლობელი ვარ! ჰო, სხვათა შორის, ახლაც მინდა გითხრა: შენგან საჩუქრებს არ მივიღებ. მამაკაცების ხარჯზე კი ვცხოვრობ, მაგრამ შენი ფული არ მჭირდება. ღმერთო ჩემო, როგორ შეცვლილხარ! ველარც კი გიცანი! იმ დღეს ისეთი სახე გქონდა, გეგონება, ის-ის იყო კისერზე ყულფი შემოგხსნესო. ახლა კი ისევ ადამიანს დამგვანებიხარ. ჰო, მართლა, ჩემი ბრძანება თუ შეასრულე?

– რა ბრძანება?

– აღარ გახსოვს? იმას გეკითხები, ფოქსტროტის ცეკვა თუ ისწავლე? მაშინ ხომ მითხარი, არაფერი მინდა, ოღონდ შენ ბრძანებდე, მე კი გმორჩილებდეთ, ამაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის არ არსებობსო. გახსოვს?

– ჰო, რა თქმა უნდა, მახსოვს! მაშინ მართალი გითხარი და ახლაც ასე ვფიქრობ.

– ცეკვა კი მაინც არ გისწავლია, არა?

– განა შეიძლება, ასე მოკლე ხანში ისწავლო ცეკვა?!

– რასაკვირველია. ფოქსის სწავლა ერთ საათში შეიძლება, ბოსტონისა – ორ საათში. ტანგო უფრო რთულია, მაგრამ მაგის სწავლა არც დაგჭირდება.

– ახლა კი დროა, ბოლოს და ბოლოს, გავიგო, რა გქვია.

ერთხანს ხმა არ გაუღია, გაჩუმებული მიყურებდა.

– სცადე, იქნება გამოიცნო. ძალიან მასიამოვნებ, შენით თუ მიხვდები. კარგად დამაკვირდი! ჯერ არ გცემია თვალში, რომ ხანდახან ბიჭსა ვგავარ? აი, მაგალითად,

ახლა?

კარგად რომ დავაცქერდი, გულში დავეთანხმე, მართლა ბიჭს ჰგავდა.

წუთით ფიქრმა წამიღო. მერე დავინახე, როგორ გამომესაუბრა ეს სახე და მაშინვე ჩემი სიყმაწვილე და ერთი ჩემი სიყრმის მეგობარი გამახსენდა: ჰერმანი ერქვა. წამით ქალი თითქოს ჰერმანადაც კი გადაიქცა.

– ბიჭი რომ ყოფილიყავი, – ვუთხარი გაოცებულმა, – ჰერმანი გერქმეოდა.

– რა იცი, იქნებ გადაცმული ბიჭი ვარ?! – თქვა მან კეკლოუცად.

– ჰერმინე გქვია?[52]

სახეგაცისკროვნებულმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, გაუხარდა, მისი სახელი რომ გამოვიცანი. სწორედ ამ დროს წვნიანიც მოგვითანეს და ჭამას შევუდექით. ბავშვივით მოილხინა. ამ ქალისა ყველაზე მეტად ის მომწონდა და მზიბლავდა, თვალდათვალ რომ ეცვლებოდა გუნება. ეს წუთი რომ დადინჯებული იყო, უეცრად ანცობის ხასიათზე დგებოდა და პირიქით. თან ეს ყველაფერი ნიჭიერი ბავშვივით ისე ბუნებრივად გამოსდიოდა, სიყალბეს ან პრანჭიაობას ვერ შეატყობდით. აი, ახლაც მშვენიერ გუნებაზე იყო, მეზუმრებოდა, ფოქსტროტი უნდა გასწავლოო. ერთი-ორჯერ ფეხიც კი გამკრა მაგიდის ქვეშ. მერე კერძი შეაქო და ისიც არ გამოჰპარვია, რომ დღევანდელ დღეს საგულდაგულოდ ვიყავი გამოწყობილი, თუმცა ნაკლიც ბევრი მიჰოვა.

საუბრის დროს ვკითხე:

– კი მაგრამ, როგორ მოახერხე, რომ უეცრად ბიჭს დაემსგავსე, მე კი შენი სახელი გამომაცნობინე?

– ო, ეს ყველაფერი შენივე წყალობით მოხდა. განსწავლული კაცი ბრძანდები და არ გესმის, რომ თუ მოგწონვარ და რაღაც ფასი მაქვს შენს თვალში, ეს იმიტომ, რომ სარკესავით ვარ შენთვის, შემოძლია საკუთარი თავი დაგანახო და საკუთარ სულშიაც ჩაგახედო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ადამიანები ერთმანეთს სწორედ ასე, სარკესავით უნდა ირეკლავდნენ, სწორედ ასე უნდა ესმოდეო და გრძნობდნენ ერთმანეთისას. შენისთანა დამთხვეულ კაცს კი იშვიათად თუ შეხვდები. შენისთანები სხვა გზით ამჯობინებენ სიარულს, ჯადონაჭამივით აღარ შეუძლიათ სხვის თვალებში რაიმეს დანახვა და ამოკითხვა, რადგან არავისთან აღარაფერი ესაქმებათ. მაგრამ აი, უეცრად ამისთანა დამთხვეული შეხვდება ადამიანს, გულწრფელად ჩახედავს მას თვალებში და თანაგრძნობასა და მშობლიურ სითბოს იგრძნობს. ჰოდა მაშინ, რა თქმა უნდა, მის სიხარულს საზღვარი აღარ აქვს ხოლმე.

– შენი უცოდინარი არაფერია ამქვეყნად, ჰერმინე! – წამოვიძახე გაოცებულმა, – რაც თქვი, ყველაფერი სწორია! მაგრამ მე და შენ ისე განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. შენ ისა გაქვს, რაც მე არ გამაჩნია.

– ძალიან კარგი, რომ ასე ფიქრობ, – თქვა მან მოკლედ.

იმ წუთში მისი სახე ჩემთვის თითქოს მართლაც ჯადოსნურ სარკედ იქცა, ზედ სიღინჯის ღრუბელი გადაეფარა და ისეთივე უძირო ჭმუნვა და ვარამი აღებეჭდა,

ნიღბის ცარიელი თვალის ბუდეებში რომ გამოკრთის ხოლმე.

ნელ-ნელა, თითქოს სიტყვებს მარცვლავსო, ძალისძალად წარმოთქვა:

– აბა, შენ იცი, არ დაივიწყო, რაც მითხარი! ხომ გახსოვს შენი სიტყვები, ოღონდ მიბრძანე და ყველა შენს ბრძანებას სიხარულით დავემორჩილებიო. არ დაგავიწყდეს! ჰო, კიდეც, აი რა მინდა იცოდე, ჩემო პატარა ჰარი! მე ხომ შემძლია შენზე ზემოქმედება, ხომ მაწერია შუბლზე ყველა შენი შეკითხვის პასუხი, ჩემი არსებიდან ხომ მოედინება შენკენ რაღაც ისეთი, ნდობით რომ განგაწყობს? ჰოდა, შენც ზუსტად ასევე მოქმედებ ჩემზე. იმ დღეს „შავ არწივში“ ცოცხალ-მკვდარი რომ შემოხვედი, დაგინახე თუ არა, ვთქვი: აი, ვინ იქნება ჩემი მონა-მორჩილი, აი, სიამოვნებით ვინ შეასრულებს ჩემს ყველა ბრძანებას-მეთქი. სწორედ ამიტომ გამოგელაპარაკე, ამიტომ დაგიმეგობრდი.

ისეთი შეწუხებული და აღელვებული ლაპარაკობდა, ბოლომდე ვერც კი ჩავწვდი მისი ნათქვამის აზრს. შევეცადე დამემშვიდებინა და ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა, მაგრამ ჰერმინემ წარბი ასწია, ხმა არ ამომალებინა და ყინულივით ცივი ხმით განაგრძო:

– ჩემო პატარავ, იცოდე, სიტყვა არ გატეხო, თორემ ინანებ. ჩემგან არა ერთსა და ორ ბრძანებას მიიღებ და ყველას დაემორჩილები. ეს ბრძანებები სასიამოვნო იქნება და მათი შესრულება დიდ სიამოვნებასაც მოგანიჭებს. სულ ბოლოს კი, ჰარი, ჩემი უკანასკნელი ბრძანების შესრულება მოგიწევს.

– კი ბატონო, შევასრულებ, – ვთქვი უნებურად, – მაინც რის გაკეთებას მიბრძანებ სულ ბოლოს?

ღმერთმა უწყის, რამ მიმახვედრა, მაგრამ ცოდნით უკვე ვიცოდი, რასაც მიბრძანებდა.

აიბუზა, თითქოს შეამცივნაო, ნელ-ნელა გაუქრა მარტოსულობის იერი და მომნუსხველი მზერა მომაპყრო; მერე თითქოს კიდეც უფრო მოექუფრა სახე.

– უფრო ჭკვიანური იქნებოდა, შენთვის არაფერი მეთქვა! მაგრამ, ჰარი, ამჯერად არავითარი სურვილი არა მაქვს ჭკუას მოვუხმო. დიახ, არავითარი სურვილი არა მაქვს! ახლა სულ სხვა რამ მინდა. აბა, ჩემო პატარავ, გულდასმით დამიგდე ყური! ახლა რასაც გეტყვი, გაიგონე და მაშინვე დაივიწყე! ვინ იცის, მერე იქნება იცინო, ან სულაც იტირო ამაზე. აბა, მაშე ყურადღებით მომისმინე! შენთან, ჩემო კარგო, სამკვდრო-სასიცოცხლო თამაშს ვაპირებ, და ვიდრე ამ თამაშს შევუდგებოდეთ, მინდა ყველა ჩემი მიზან-ზრახვა გაგიმხილო.

ო, რა მშვენიერი, რა ღვთაებრივი სახე ჰქონდა, ამას რომ ამბობდა! ცივსა და კამკამა თვალებში დადუღებული ნაღველი ჩაჰგუებოდა. ამ თვალებს ბევრჯერ ეგემა ტანჯვის სამსალა და ამ ტანჯვის მონად ქცეულიყო. ტუჩებს ძლივძლივობით ამოძრავებდა, – ასე ემართება ხოლმე ადამიანს, როცა დიდ ყინვაში დააპირებს რაიმეს თქმას, – თუმცა, ტუჩებსა თუ პირის კუთხეებზე კეკლუცი ვნებიანობა აღბეჭდილიყო. ლაპარაკის დროს ხანდახან ენის წვერი გამოუჩნდებოდა და ესეც ქალის ჭეშმარიტ ავხორცობაზე მეტყველებდა, ასე რომ არ შეეფერებოდა მისეულ მზერასა და ხმას. მშვიდ, მწყაზარ შუბლზე მოკლე კულულის ჩამოშლოდა და სწორედ

ეს კულუღი იყო დასაბამი იმ ბიჭური სიანცისა და ჰერმადროდიტული მაგიისა, დროდადრო რომ აზვირთდებოდა ხოლმე მის არსებაში.

შეშინებული, მაგრამ თან მოჯადოებული ვუსმენდი, ჩემი გონება კი სადღაც სხვაგან ქროდა.

– ვიცი, ჩემდამი კარგად ხარ განწყობილი, – განაგრძო მან, – ამის მიზეზი უკვე აგიხსენი: მე გავარღვიე შენი მარტოსულობის სუდარა, ზედ ჯოჯოხეთის კარიბჭესთან გტაცე ხელი და სიცოცხლისკენ შემოგაბრუნე. მე კი მეტს, გაცილებით მეტს მოვითხოვ შენგან. მინდა თავი შეგაყვარო. არა, ნუ შემეპასუხები, დამაცადე, გითხრა! გატყობ, სიკეთე გინდა ჩემთვის, მემადლიერები კიდეც, მაგრამ სიყვარულით არ გიყვარვარ. ჰოდა, მინდა ისე მოვიქცე, თავი შეგაყვარო. ეს ჩემი ხელობაა, მამაკაცებს ვაიძულებ, შემიყვარონ და ამით გავდივარ იოლას. მაგრამ იცოდე, ახლა ამას იმიტომ კი არ ჩავდივარ, რომ გაგიჟებით მომწონხარ. არა, ჰარი, შენი არ იყოს და, არც მე ვარ შეყვარებული. მაგრამ ჩვენ ახლა ერთმანეთი გვჭირდება. ამ წუთში შეგიძლია იმაში გამომიყენო, რომ წკიპურტი წაგკრა; ეს წკიპურტი წყალში გადაგისვრის და კვლავ გაგაცოცხლებს; ჩემი წყალობით უნდა ისწავლო ცეკვა, სიცილი, ცხოვრება. მართალია, დღესდღეობით არ მჭირდება, მაგრამ მოგვიანებით უსათუოდ გამომადგები, რათა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და მშვენიერი ჩანაფიქრი განვახორციელო. როგორც კი ვიგრძნობ, შევუყვარდი-მეთქი, უკანასკნელ ბრძანებას გავცემ და შენც ჩემი მონა-მორჩილი გახდები. ეს კი ორივესთვის კარგი იქნება.

ქალიშვილმა ჭიქიდან ოდნავ ამოსწია მწვანედ დაძარღვული მოყავისფრო-მოიისფრო ორქიდეა, წუთით დაიხარა და ყვავილს დააშტერდა.

– სულაც არ იქნება ადვილი, მაგრამ ამას მაინც ვერსად გაექცევი. უნდა შეასრულო ჩემი ბრძანება და მომკლა. ესაა და ეს. სხვა აღარაფერი მკითხო!

ეს თქვა და დადუმდა. ერთხანს ორქიდეას დასცქეროდა, პირისახეზე დაძაბულობა გაუქრა და თვითონაც გაფურჩქნილ ყვავილს დაემგვანა. მოულოდნელად ბაგე მშვენიერმა ღიმილმა გაუპო, თუმცა კი კვლავ დაჟინებით უცქერდა ერთ წერტილს. მერე ბიჭურად შეკრეჭილი ქოჩორი გააქნია, ჭიქიდან წყალი მოსვა, უცბად გაახსენდა, ვახშმად რომ ვისხედით და ჭამას მაღიანად შეუდგა.

გარკვევით ჩამესმოდა ყურში იმ შემზარავი ნათქვამის თითოეული სიტყვა. ვიდრე თავისი პირით მეტყოდა, რას ნიშნავდა მისი „უკანასკნელი ბრძანება“, გუმანით თვითონ მივხვდი და ამიტომაც შიში აღარ მიგრძნია, როცა მითხრა: „შენ უნდა მომკლა“. მისი სიტყვა ჩემთვის ბედისწერის განაჩენივით გარდაუვალი იყო. მეც დავმორჩილდი განგებას და აღარ გავძალიანებივარ და, თუმცა შემზარავი სერიოზულობით ლაპარაკობდა, მისი ნათქვამი ბოლომდე მაინც ვერ აღვიქვი სინამდვილედ. ჩემი სულის ერთი ნაწილი ხარბად ნთქავდა ქალის სიტყვებს და სჯეროდა მათი, მეორე ნაწილი კი მამშვიდებდა, მანუგეშებდა და მაჯერებდა, რომ ჰერმინესთანა ჭკვიან, ჯანსაღ და თავდაჯერებულ ქალსაც შეიძლებოდა რაიმე აეხირობინა და დროდადრო გონებაზე ბინდი გადაფარებოდა. უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა თუ არა, მთელ ამ სცენას არარეალურობისა და მოჩვენებითობის ფარდა ჩამოეფარა.

მაგრამ ჰერმინესთან შერკინება მიჭირდა და მასავით მარჯვედ არ შემეძლო ამ მოჩვენებითობიდან უკან, სინამდვილეში გადახტომა.

– მაშასადამე, ერთხელაც იქნება, უნდა მოგკლა, არა? – კვლავ ჩუმად გავუმეორე კითხვა ნახევრად ბურანში წასულმა, მაგრამ იგი უკვე იცინოდა და აღფრთოვანებული ჭრიდა გარეული ფრინველის ხორცს.

– რა თქმა უნდა, – დაუდევრად დამიქნია თავი, – ახლა ვანშმოობის დროა და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. ჰარი, ძალიან გთხოვ, კიდევ შეუკვეთე ჩემთვის ცოტა მწვანე სალათა! შენ რა, უმადოდ ხარ? ეტყობა, ბევრი ისეთი რამის სწავლა მოგიხდება, სხვებს თავისთავად რომ გამოსდით. ჰამაშიც უნდა ნახო სიამოვნება. ჩემო პატარავ, ერთი ამ იხვის ბარკალს შეხედე! ამ მშვენიერ, ქათქათა ხორცს ძვალს რომ მოაცლი, ჭეშმარიტად საზეიმო გუნებაზე უნდა დადგე, მადა უნდა გაგელვიდოს და გულმაც მღელვარებით დაგიწყოს ბაგაბუგი. იცი, ასეთ დროს მაღლიერების გრძნობით უნდა აღივსო იმ მიჯნურივით, თავის სატრფოს პირველად რომ შეუხსნის საკინძეს. მიხვდი თუ ვერა? დიდი მიუხვედრელი ვინმე კი ხარ! მოიცა, აი, ახლა ამ გემრიელი ბარკლის პატარა ნაჭერს გაგასინჯებ და გაიგებ! ჰო, ასე, აბა გააღე პირი! ო, ღმერთო ჩემო, რა აუტანელი ხარ! აი, ახლაც ხალხისკენ აპარებ თვალს, გეშინია, ვაითუ ვინმემ დამინახოს, საჭმელს სხვისი ხელით რომ მივირთმევო! დარდი ნუ გაქვს, უძლებო შვილო, სირცხვილს არ გაჭმევ. მაგრამ თუკი იმისთვისაც ნებართვა გჭირდება, რომ სიამოვნება იგრძნო, მართლაც საცოდავი კაცი ყოფილხარ.

სულ უფრო და უფრო მიპყრობდა ეჭვი და ვფიქრობდი, ნუთუ მართლა ვიყავი-მეთქი წელანდელი სცენის მომსწრე: სულ უფრო დაუჯერებელი იყო ჩემთვის, რომ ეს თვალები რამდენიმე წუთის წინ ასეთი დამძიმებული, ცივი მზერით მომჩერებოდნენ. ო, ამაში ჰერმინე თავად ცხოვრებას მაგონებდა, მუდამ წამიერსა და ცვალებადს, წინასწარ რომ ვერასოდეს ვერავინ განჭვრეტს. აი, ახლაც იჯდა და საჭმელს მიირთმევდა. მთელი გულისყური იხვის ბარკალზე, სალათაზე, ტორტსა თუ ლიქიორზე გადაეტანა და ეს ყველაფერი მისთვის სიხარულის, განსჯის, მუსაიფისა და წარმოსახვის საგნად ქცეულიყო. თეფშს გამოგვიცვლიდნენ თუ არა, თითქოს წიგნის ახალი თავი იწყებოდა. ეს ქალი, ძირისძირობამდე რომ ჩასწვდომოდა ჩემს სულს და, ეტყობა, ყველა ბრძენზე უკეთ იცნობდა ცხოვრებას, ისე ანცად და ოსტატურად ეძლეოდა წამიერ ტკბობას, რომ მალევე დამიმონა. ვერ გეტყვით, რა იყო ეს, უზენაესი სიბრძნე თუ საოცარი მიამიტობა; ერთი კია, ვისაც წამისათვის ამდენის წაგლეჯა შეეძლო, ვინც ასეთი გატაცებით ცხოვრობდა აწმყოთი, ვისთვისაც გზის პირას პაწია ყვავილის დანახვაც კი კმაროდა, რომ ალერსად დაღვრილიყო, ვისაც თამაშის ყველა ილეთისა და ხერხის თავის სასარგებლოდ გამოყენება შეეძლო, იმას ცხოვრება ვერას დააკლებდა. ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო იგი? ანცი, მადიანი, მსუნაგი ბავშვი თუ მეოცნებე, ისტერიული ქალი, სიკვდილს რომ ესწრაფოდა? ან იქნებ ამ მაცდურ არსებას გულცივად გადაეწყვიტა, თავი შეეყვარებინა ჩემთვის და თავის მონა-მორჩილად გავეხადე? არა, იგი იმდენად მონებდა წუთს, რომ ერთნაირი თავდავიწყებით შეიგრძნობდა მახვილგონივრულ აზრსაც და შავბნელ შიშსაც, სულის სიღრმეში რომ გაუკრთებოდა.

ჰერმინეს მეორედ ვხედავდი დღეს, არადა, უკვე ყველაფერი იცოდა ჩემზე და ვერც კი წარმომედგინა, ამ ქალს თუ რაიმე გამოეპარებოდა. შესაძლოა, ღრმად ვერ

სწვდებოდა ჩემს სულში მომხდარ ძვრებს, შესაძლოა, არ ესმოდა, რას ნიშნავდა ჩემთვის მუსიკა, გოეთე, ნოვალისი ან ბოდლერი. თუმცა დაბეჯითებით ვერც ამას ვიტყვოდი. არა, ამ ქალს ალბათ ესეც არ გაუჭირდებოდა. თუმცა, აბა რა იყო იმაში გასაკვირი, რომ ვერ გაეგო ჩემი სულიერი ცხოვრებისა, განა თავად მე კი შემომრჩენოდა რაიმე იმ „სულიერი ცხოვრებიდან?“ ყველაფერი ხომ არ იავარქმნილიყო და უაზრობად ქცეულიყო! ერთი რამ ღრმად მწამდა: ეს ქალი ყველა ჩემს გაჭირვებას, ყველა ჩემს სატკივარს გაიგებდა. ტრამალის მგელზე და ტრაქტატზე დავაპირე სიტყვის ჩამოგდება, მინდოდა ყველაფერი გამენდო, რაც აქამდე მხოლოდ ჩემთვის არსებობდა და ამაზე კრინტიც არავისთან დამიდრავს. სულმა წამძლია და დავიწყე კიდეც:

– ჰერმინე, ამას წინათ ერთი უცნაური ამბავი შემემთხვა. ვილაცა უცნობმა სარეკლამო ბროშურის მსგავსი პატარა წიგნი შემომაჩეხა ხელში. ამ წიგნში ზუსტადაა აღწერილი მთელი ჩემი ცხოვრება, ყველაფერი, რაც კი თავს გადამხდომია. მითხარი, განა საოცარი ამბავი არაა?

– რა ჰქვია იმ შენ წიგნს? – მკითხა მოულოდნელად.

– „ტრაქტატი ტრამალის მგელზე“.

– ო, ტრამალის მგელი დიდებული რამ არის! ეს შენა ხარ ტრამალის მგელი? მაშასადამე, ფიქრობ, რომ შენა ხარ?

– ჰო, მე ვარ. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, მე უნდა ვიყო ის მგელკაცი.

პასუხი არ გაუცია. დაკვირვებული, გამომცდელი მზერა შემავლო, მერე ხელებზე დამაცქერდა და თვალებსა და სახეზე წამით კვლავ გაუკრთა წელანდელი სიდინჯე და იდუმალი ტანჯვა. რატომღაც მეგონა, მივუხვდი-მეთქი საფიქრალს: ახლა იმის გაგება უნდოდა, ჩემში მგლურ საწყისს იმდენად თუ გაედგა ფესვი, რომ მისი „უკანასკნელი ბრძანება“ შემესრულებინა.

– ეს, რა თქმა უნდა, შენი წარმოსახვის ნაყოფია, – მითხრა და კვლავ გამოცოცხლდა, – თუმცა, ამაში სიმართლაც უნდა ერიოს. ასეა თუ ისე, დღეს მგლისა აღარაფერი გცხია. მაშინ კი, დარბაზში რომ შემოხვედი, ისეთი სახე გქონდა, კაცი იფიქრებდა, ეს-ესაა მთვარიდან ჩამოფრინდაო და, რაღაცით მართლაც ჰგავდი მხეცს. მეც სწორედ ეს მომეწონა, – მერე უეცრად, თითქოს გონს მოეგო, შემცბარი მომიბრუნდა:

– რა სულელურად მეჩვენება, როცა ცხოველზე „მხეცს“ ანდა „მტაცებელს“ იტყვიან ხოლმე. რა თქმა უნდა, ხშირად ცხოველიც შემზარავია, მაგრამ ადამიანთან შედარებით უფრო ნაღდია.

– როგორ უნდა გავიგო ეგ შენი „უფრო ნაღდია“? რას გულისხმობ?

– რას ვგულისხმობ და, რომელ ცხოველსაც გინდა დააკვირდი, კატა იქნება თუ ძაღლი, ნებისმიერი ფრინველი თუ ზოოპარკის მშვენიერი ბინადარი – პუმა, ჟირაფი – ყველა მათგანი ნაღდია. არ არსებობს ცხოველი, რამესი რცხვენოდეს ან არ იცოდეს, როდის როგორ მოიქცეს, პირფერობას არ დაგიწყებს, არ შეეცდება თავი მოგაწონოს ან თვალი აგიხვიოს. ყველა ცხოველი, რაც არის, ის არის და ისეთივე ბუნებრივი და თავისთავადი არსებაა, როგორიც ქვები, ყვავილები ანდა ცაში გამოკიდებული

ვარსკვლავები. გამიგე?

რა თქმა უნდა, გავუგე.

– ცხოველები მეტწილად სევდიანები არიან, – განაგრძო ჰერმინემ, – ზოგჯერ ადამიანსაც შეიპყრობს ხოლმე სევდა და წუხილი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ კბილი სტკივა, ანდა ფული დაკარგა! არა, მას სევდა მაშინ მოერევა, როცა უეცრად იგრძნობს, რა ხდება მის გარშემო, რა ყოფილა ეს ცხოვრება. აი, ასეთი ნაღდი სევდით შეპყრობილი ადამიანი წააგავს ცხოველს და ამ დროს მისი განცდები ალალი და მშვენიერია. ასე ყოფილა ოდითგანვე. ჰოდა, ტრამალის მგელო, პირველად რომ დაგინახე, სწორედ ასეთი იყავი.

– ჰერმინე, იმ წიგნის თაობაზე რას მეტყვი, ჩემზე რომ არის დაწერილი?

– ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ, ყოველთვის კი არა ვარ ფიქრის გუნებაზე! ხომ შეიძლება მათხოვო წასაკითხად? თუმცა, არა, არ მინდა. თუკი ოდესმე კვლავ შემიპყრობს კითხვის ჟინი, შენი დაწერილი წიგნი მომეცი და იმას წავიკითხავ.

ჰერმინემ ყავა მოითხოვა. მერე ერთხანს ყურადღებაგაფანტული იჯდა, მაგრამ უეცრად სახე გაუნათდა, ეტყობა, ფიქრებში წასულმა, გუნებაში რაღაც გადაწყვიტა.

– რა კარგია! – წამოიძახა გახარებულმა, – ძლივს არ მოვიფიქრე!

– რა მოიფიქრე?

– მთელი ამ ხნის განმავლობაში ფოქსტროტზე ფიქრი არ მასვენებდა. მითხარი, ოთახი თუ გაქვს, რომ მე და შენ დროდადრო თითო საათი მაინც წავიცეკვოთ? ოღონდ ქვემოთ არავინ არ უნდა ცხოვრობდეს, თორემ რაღა გამოვა, პატარა ხმაურზეც თუ ამოგვიცვივდნენ და აყალმაყალი აგვიტეხეს? ეს თუ მოხერხდა, ძალიან კარგი იქნება! მაშინ შინ ისწავლი ცეკვას.

– ჰო, – ვთქვი გაუბედავად, – კარგი აზრია, მაგრამ მგონი ამას მუსიკაც დასჭირდება.

– რა თქმა უნდა, დასჭირდება, მაგრამ არა უშავს, ამას მოევლება. გრამოფონი დიდი-დიდი, იმდენი დაჯდეს, რაც ცეკვის მასწავლებელს უნდა გადაუხადო. ამ ფულს დაზოგავ, მასწავლებლობას კი მე ვკისრულობ. ასე და ამრიგად, მუსიკაც გვექნება და ბოლოს გრამოფონიც ჩვენ დაგვრჩება.

– გრამოფონი უნდა ვიყიდო?

– ჰო, აი, ასეთ პატარა ყუთს და ერთი-ორ საცეკვაო ფირფიტას იყიდი.

– კი ბატონო, და თუ მართლა მასწავლი ცეკვას, გასამრჯელოდ გრამოფონს მიიღებ. თანახმა ხარ? – ვთქვი ერთობ მკვირცხლად, მაგრამ არცთუ მთლად გულწრფელად. ვერაფრით ვერ წარმომედგინა, ეს უაზრო ყუთი ჩემს პატარა სამუშაო ოთახში, თან არც ცეკვებზე ვგიჟდებოდი მაინცდამაინც. „ისე რომ ვთქვათ, რატომ არ შეიძლება ვცადო-მეთქი“, გავიფიქრე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ჩემი ხნის კაცი, თანაც ასე მოუქნელი, ცეკვას ვერასოდეს ისწავლიდა. იმასაც ვგრძნობდი, მუსიკის ძველ, განებივრებულ მოტრფიალეს ხელახლა რომ მეუფლებოდა ზიზღი გრამოფონის, ჯაზისა და თანამედროვე საცეკვაო ჰანგებისადმი. ნუთუ იმ ჩემს სენაკში, სადაც

ბინა დაედოთ ნოვალისა და ჟან პაულს, სადაც თავშესაფარი ვიპოვე და ჩემს ფიქრებთან ერთად ვცხოვრობდი, ნუთუ იქ ახლა ამერიკული შლაგერები უნდა მეღრიალებინა და ამ მუსიკაზე მეცეკვა? არა, ამას ვერავინ მაიძულებდა. მაგრამ ეს ჰერმინეს სურვილი იყო, მას კი ჰქონდა უფლება ებრძანებინა და მეც, რა თქმა უნდა, დავმორჩილდი.

მეორე დღეს, ნასადილევს, კაფეში შევხვდით. როცა მივედი, ჰერმინე უკვე იქ იჯდა და ჩაის სვამდა; ღიმილით გამომიწოდა გაზეთი, სადაც ჩემი სახელი ამოეკითხა. ამ ერთ-ერთ უკიდურესად რეაქციულ გაზეთში დროდადრო ჩემზე ღვარძლიან სტატიებს ბეჭდავდნენ ხოლმე. ომიანობის დროს ომის წინააღმდეგ ვილაშქრებდი, მისი დამთავრების შემდეგ კი სიმშვიდის, დათმენის, ადამიანურობისა და თვითკრიტიკისაკენ მოვუწოდებდი ყველას, ვებრძოდი სხვა ეროვნების ადამიანებისადმი მიმართულ სულ უფრო თავაშვებულ და სულელურ სიძულვილს. დღევანდელ გაზეთში დაბეჭდილი სტატიაც ჩემ წინააღმდეგ იყო მომართული. რედაქტორს ზოგიერთი ადგილი სანახევროდ თავად შეეთითხნა, სანახევროდ კი ამავე ყაიდის გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებიდან ამოეკრიფა. ხომ ცნობილია, რომ ყველაზე ცუდად მოძველებული იდეოლოგიის დამქაშებს ეხერხებათ წერა და მათზე უფრო არაკეთილსინდისიერად და უპატიოსნოდ არავინ ეკიდება თავის ხელობას. ჰერმინეს წაეკითხა სტატია და შეეტყო, რომ ჰარი ჰალერი ერთი უთვისტომო, მავნე არამზადაა. სტატიის ავტორი ასე წერდა: აბა ქვეყნის საქმე როგორ იქნება კარგად, სანამ ჩვენში მსგავსი რწმენის ადამიანები ბოგინობენ და ნაცვლად იმისა, ახალგაზრდობა მებრძოლი სულისკვეთებით აღზარდონ, ზოგადსაკაცობრიო იდეებს უქადაგებენ, სენტიმენტალურ გრძნობებს უღვიძებენ და სამშობლოს მოსისხლე მტერთან შერიგებას შთააგონებენო.

– მაშ, ეს შენა ხარ? – მკითხა ჰერმინემ და ჩემს გვარზე მიმითითა, – მტრები, იცოცხლე, ბლომად გყოლია. ჰარი, რაო, ხომ არ გაბრაზდი?

ერთი-ორი სტრიქონი გადავიკითხე. უჩვეულო არაფერი იყო. აი, უკვე რამდენი წელია, ყურები მქონდა გამოჭედილი ამ სტერეოტიპული ლანძღვა-გინებით და ეს ყველაფერი გულს მირევდა.

– არა, გაბრაზებით არ გავბრაზებულვარ, – მივუგე მე, – მსგავს რამეებს კარგა ხანია შევეჩვიე. დღენიადაგ ვქადაგებ, რომ უმჯობესი იქნება, ყველა ადამიანმა თავის გულში ჩაიხედოს და გაარკვიოს, რამდენად მიუძღვის ბრალი ომის გაჩაღებასა თუ სხვა ამქვეყნიურ უბედურებაში, ვიდრე საკუთარ თავს ელოლიავოს და პოლიტიკური კითხვა დაუსვას იმის თაობაზე, თუ ვინ არის დამნაშავე. მაგრამ ადამიანი ვერ შელევია საკუთარ შეცდომებს, დაუდევრობას, უხეირო ზნე-ჩვეულებებს. არადა, შესაძლოა, ეს ერთადერთი გზა იყოს მომავალი ომის თავიდან ასაცილებლად. აი, ეს ვერ უპატიებიათ ჩემთვის და, რა თქმა უნდა, არც მაპატიებენ. თვითონ ისინი ხომ სავსებით უდანაშაულოები არიან?! აბა, ვინ უსაყვედურებს საკუთარ თავს: კაიზერი, გენერლები, მსხვილი მრეწველები, სახელმწიფო მოღვაწეები თუ გაზეთები? მათ ხომ ამ საქმეში იოტისოდენა დანაშაულიც არ მიუძღვით! კაცმა შეიძლება იფიქროს, რა მშვენივრადაა ამქვეყნად ყველაფერი მოწყობილიო, მაგრამ ვაი, რომ მილიონობით ადამიანი გამოესაღმა წუთისოფელს და ახლა მიწაში წევს. ალბათ გამიგებ, ჰერმინე! ასეთ ღვარძლიან სტატიებზე აღარ ვბრაზობ, მაგრამ დროდადრო ნაღველი კი შემიპყრობს ხოლმე. ჩემი

თანამემამულეების ორ მესამედს დილა-საღამოს აკითხებენ ამ გაზეთებს, ტვინს ურევენ სიტყვების რახარუხით, ჭკუას ასწავლიან, აქეზებენ, გულში უკმაყოფილებისა და ბოროტების თესლს უდვივებენ. საბოლოო მიზანი კი ისევ და ისევ ომია. კარს მომდგარი ეს ახალი ომი ალბათ წინანდელზე უფრო საზარელი იქნება. ყველაფერი თითქოს ძალიან მარტივი და ცხადია. თუკი ადამიანი ერთ საათს მაინც დაფიქრდება ამაზე, არ შეიძლება არ მიხვდეს და იმავე დასკვნამდე არ მივიდეს. მაგრამ არავის სურს ასე მოიქცეს, არავინ ცდილობს საკუთარი თავი და შვილები იხსნას მომავალი ომისა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტისაგან. დიახ, თავის შეწუხება არავის ნებავს. განა ასე ძნელია, შენსავე სულს ჩაუღრმავდე და ჰკითხო: აბა, რამდენად ურევია ჩემი ხელი იმ არეულ-დარეულობასა და ბოროტებაში, ამქვეყნად რომ სუფევს?! ამის გაკეთება კი არავის უნდა, ჰერმინე! მაშასადამე, ყველაფერი ასე გაგრძელდება და ყოველდღიურად ათასობით ადამიანი ჩაებმება ახალი ომისათვის გამალებულ მზადებაში. ჰოდა, ეს ყველაფერი რომ ვიცი, სწორედ იმიტომ მიკვდება გული, სწორედ იმიტომ მიპყრობს სასოწარკვეთა. ჩემთვის აღარც „სამშობლო“ არსებობს და აღარც იდეალი, ეს ხომ მხოლოდ დეკორაციაა იმ ვაჟბატონებისათვის, მომავალ სისხლიან სასაკლაოს რომ ამზადებენ. ყოველგვარი აზრი დაკარგა ადამიანურად ფიქრმა, ლაპარაკმა, წერამ თუ კეთილმა ზრახვებმა. იმ ორი-სამი კაცის გასათელად, საღად რომ აზროვნებს, ყოველდღიურად ათასობით ჟურნალ-გაზეთი გამოდის, იწერება უამრავი სტატია, ეწყობა ღია და დახურული კრებები. იმ რამდენიმე კაცს ჯიქურ უდგანან კრიჭაში და აღწევენ კიდეც მიზანს.

ჰერმინე თანაგრძნობით მისმენდა.

– ჰო, – მითხრა მან ბოლოს, – მართალია. ომი, რა თქმა უნდა, ისევ იქნება; გაზეთებიც რომ არ იკითხო, ამას ისედაც მიხვდები. ამ ამბავმა შეიძლება შეგაწუხოს კიდეც, მაგრამ დიდად კი მაინც არ ღირს თავის ატკიება. რამდენიც უნდა იხტუნო, სიკვდილს ვერსად გაექცევი! სიკვდილთან ჭიდილი კი, ძვირფასო ჰარი, ყოველთვის კეთილშობილური, ღირსეული და მშვენიერი საქმეა, ისევე როგორც ომის წინააღმდეგ ბრძოლა; მაგრამ ეს ბრძოლა რატომღაც მაინც უაზრო დონკიხოტობა მგონია და მეტი არაფერი.

– შესაძლოა ასეც იყოს, – ვუთხარი მკვახედ, – მაგრამ იმ ჭეშმარიტების წყალობით, აქაოდა, მაინც დავინოცებით და ამიტომ ყველაფერი ფეხებზე უნდა დავიკიდოთ, მთელი ცხოვრება უხამსი და სულელური გახდება. მაშასადამე, შენი აზრით, ყველაფერზე თვალი უნდა დავხუჭოთ, უარვყოთ ყოველგვარი მიზანსწრაფვა, სულის ყოველგვარი გამოძახილი, უარი ვთქვათ ადამიანურობაზე, უნდა დავემონოთ პატივმოყვარეობასა და ფულს, წინ დავიდგათ ლუდით სავსე კათხა, ნება-ნება ვწრუპოთ და ველოდოთ, როდის დაგვაწყებინებენ კაცთ კვლას, არა?

ამჯერად ჰერმინემ საოცარი მზერა მესროლა, ეშმაკური და თან დამცინავი, მაგრამ ამ მზერაში იმავ დროს მეგობრული თანაგრძნობა, ცხოვრებისეული გამოცდილება და საოცარი სიდინჯე გამოსჭვიოდა!

– არა, არა, – მითხრა საოცარი დედობრივი გრძნობით, – შენი ცხოვრება არამც და არამც არ გახდება უხამსი, თუგინდ დარწმუნებულიც იყო, რომ ეგ ბრძოლა გამარჯვებით ვერ დაგვირგვინდება. ჩემო ჰარი, გაცილებით უფრო დიდი უხამსობა ისაა, როცა რაღაც კეთილ საქმეს, იდეალს ესწრაფვი და ფიქრობ, რომ ვალდებული

ხარ, ხორცი შეასხა მას. განა ადამიანს იდეალები იმისთვისა აქვს, რომ მას ხორცი შეასხას? განა ამქვეყნად იმისათვის მოვსულვართ, სიკვდილს კარი გადავურაზოთ? არა, ჩვენ იმისათვის ვცოცხლობთ, რომ ჯერ სიკვდილის შიში გვქონდეს, მერე კი ერთმანეთი გვიყვარდეს. განა სწორედ სიკვდილის წყალობით არ არის ხოლმე ეს ცხოვრება ასე საოცრად წარმტაცი? ნამდვილი ბალდი ხარ, ჰარი! ახლა კი დამიჯერე და გამომყევი, დღეს ბევრი საქმე გვაქვს, აღარ მინდა ომსა და გაზეთებზე ფიქრი. შენ?

არა, არც მე მინდოდა ამაზე ფიქრი. გრამოფონის შესარჩევად მუსიკალურ მაღაზიაში წავედით, – დღეს პირველად მოგვიხდა ქალაქში ერთად გასეირნება. თავს ავზნდიდით გრამოფონს, დასაკრავად მოვმართავდით და დავხურავდით. ბოლოს ერთ-ერთი სხვებზე მეტად მოგვეწონა და მაინცდამაინც არც გვეძვირა. ყიდვა დავაპირე, მაგრამ ჰერმინე არ ჩქარობდა და ამ განზრახვაზე ხელიც ამაღებინა. ბოლოს კიდეც ერთ მაღაზიაში შემიყვანა და ყველა სახისა თუ ზომის გრამოფონი მომასმენინა. მხოლოდ ამის მერე დამთანხმდა, ისევ იმ მაღაზიაში დავბრუნებულიყავით და იქ შერჩეული გრამოფონი გვეყიდა.

– აი, ხომ ხედავ, – ვუთხარი მე, – თურმე გაცილებით იოლად შეიძლებოდა ამ საქმის მოგვარება.

– ასე გგონია? კი მაგრამ ზუსტად ასეთი გრამოფონი რომ სხვა მაღაზიის ვიტრინაში გვენახა და იქ ოცი ფრანკით იაფი ყოფილიყო? ესეც არ იყოს, რაიმეს ყიდვა ხომ ადამიანისთვის სიამოვნებაა, ხოლო იმას, რაც სიამოვნებას განიჭებს, მთელი არსებით უნდა მიეცე. ეჰ, ჯერ კიდეც რამდენი რამ უნდა ისწავლო!

გრამოფონი მუშას ჩემს ბინაზე წავაღებინეთ.

ჰერმინემ ყურადღებით დაათვალიერა სასტუმრო ოთახი, შემიქო ღუმელი და ტახტი, სათითაოდ ჩამოჯდა ყველა სკამზე, გადაფურცლა წიგნები, მერე კარგა ხანს უცქირა ჩემი სატრფოს სურათს. გრამოფონი კომოდზე შემოვდგით, რომელზეც წიგნები იყო დახროვილი; მეცადინეობა დაიწყო. ჰერმინემ ფოქსტროტის ფირფიტა დადო, პირველი მოძრაობები მიჩვენა, ხელი მომკიდა და ოთახი ცეკვა-ცეკვით შემომატარა. მორჩილად დავაბოტებდი მასთან ერთად, ვეჯახებოდი სკამებს. მის ბრძანებებს კი ვასრულებდი, მაგრამ ცეკვას მაინც ვერაფერი გავუგე, ლამის ფეხები დავამტვრიე, ასე რომ, ჩემი მოუქნელობა ტოლს არ უდებდა ჩემსავე მოწადინებას. მეორე ცეკვის შემდეგ ჰერმინე ტახტზე დაეცა და ბავშვივით აკისკისდა.

– ღმერთო ჩემო, რა მოუქნელი ხარ! თავისუფლად იმოძრავე, ვითომ დასეირნობ! თავს ძალას ნუ დაატან. მგონი, გაიხვითქე, არა? კარგი, ხუთი წუთით შევისვენოთ! ყური მიგდე! ცეკვაზე იოლი არაფერია და სწავლითაც სულ ადვილად ისწავლი. ამიერიდან უფრო ღმობიერი გახდები, შეუწოდებ ადამიანებს იმას, რომ ფიქრი არ შეუძლიათ, რომ ურჩევნიათ ბატონ ჰალერს სამშობლოს მოღალატე დაუძახონ და მშვიდად დაელოდონ მომავალ ომს.

ჰერმინე ერთ საათში წავიდა, თან მანუგეშა, შემდეგ ჯერზე უკეთ წავა საქმეო. მე კი ამის თაობაზე საპირისპირო აზრისა გახლდით და საკუთარი სილენჩისა და მოუქნელობის შემყურეს გულიც გამიტყდა. ასე მეგონა, ამ ერთი საათის განმავლობაში ვერაფერი ვისწავლე-მეთქი და არც იმის იმედი მქონდა, მომავალში

უკეთ წავიდოდა საქმე. არა, ცეკვისთვის ადამიანს სწორედ ის ნიჭი უნდა დაჰყვეს, მე რომ არ გამაჩნია: უნდა იყოს მხიარული, უცოდველი, ლალი და ანცი. რას იზამ, ეს ხომ ადრევე ვიცოდით!

საკვირველი კია, მაგრამ შემდეგ შეხვედრაზე საქმე მართლა უკეთ წავიდა და ცეკვამ დამაინტერესა კიდეც. გაკვეთილის ბოლოს ჰერმინე მარწმუნებდა, ფოქსტროტს უკვე არაუშავს რა, ცეკვაო. მაგრამ როდესაც გამომიცხადა, ხვალ მე და შენ რესტორანში უნდა წავიდეთ და ვიცეკვოთო, ცოტა არ იყოს, შემეშინდა და უარი ვუთხარი. ჰერმინემ ცივი ხმით შემახსენა, მორჩილების აღთქმა რომ მქონდა დადებული, მერე კი მიბრძანა, მეორე დღით ჩაიზე სასტუმრო „ბალანსში“ მივსულიყავი.

იმ საღამოს შინ დავრჩი. წიგნის წაკითხვა მოვინდომე, მაგრამ ვერ შევძელი. ხვალინდელი დღის შიშს შევეპყარი. იმაზე ფიქრიც მზარავდა, რომ ეს ბებერი, მორცხვი, უჟმური კაცი უბრალო მაყურებელი კი არ ვიქნებოდი უხამს მოდურ რესტორანში, სადაც ჯაზურ მუსიკას უსმენენ და საცეკვაოდ დადიან, არამედ იმ უცხო ხალხში მოცეკვავის როლშიც უნდა გამოვსულიყავი, თუმცა ცეკვისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. გამოგიტყდებით, საკუთარ თავზე მეცინებოდა და თან მრცხვენოდა, როცა ჩემს წყნარ სამუშაო ოთახში გრამოფონი მოვმართე და თითის წვერებზე შემდგარმა გავიმეორე ფოქსტროტის ყველა მოძრაობა.

სასტუმრო „ბალანსში“ მეორე დღეს პატარა ორკესტრი უკრავდა. სტუმრებს ჩაითა და ვისკით უმასპინძლებოდნენ. ჰერმინეს გულის მოგებას შევეცადე, ნამცხვარი და ძვირფასი ღვინო შევთავაზე, მაგრამ გული მაინც ვერ მოვუღბე.

– აქ დროს სატარებლად კი არ მოსულხარ! იცოდე, ცეკვის გაკვეთილი გაქვს, – მითხრა მან.

ორჯერ თუ სამჯერ მომიხდა ცეკვა. შესვენების დროს ჰერმინემ საქსოფონისტი გამაცნო. ეს შავგვრემანი, ლამაზ-ლამაზი ახალგაზრდა კაცი ესპანური თუ სამხრეთამერიკული წარმოშობის უნდა ყოფილიყო და, როგორც ჰერმინემ მითხრა, მსოფლიოს ყველა ენაზე ლაპარაკობდა. ისინი საკმაოდ კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ის კი არადა, მგონი, მეგობრებიც უნდა ყოფილიყვნენ. ახალგაზრდა კაცს წინ ორი სხვადასხვა ზომის საქსოფონი ედო. საკრავებს რიგრიგობით უკრავდა და თან შავად მოელვარე თვალებით ყურადღებითა და სიამოვნებით შესცქეროდა მოცეკვავეებს.

ამ უწყინარ, ლამაზ მუსიკოსზე უცებ თითქოს ვიეჭვიანესავით და ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. არა, ეს არ იყო სიყვარულის ეჭვიანობა, – ჩემი ეჭვიანობა იმან გამოიწვია, რომ მათ შორის უფრო მეტი სულიერი სიახლოვე და მეგობრული დამოკიდებულება ვიგრძენი. თანაც მომეჩვენა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი არ იყო ამ განსაკუთრებული ყურადღებისა და პატივისცემის ღირსი, რასაც ჰერმინე იჩენდა მის მიმართ. „ეს რა უცნაური ნაცნობები გავიჩინე-მეთქი“, – ვიფიქრე უკმაყოფილოდ.

ჰერმინე რამდენჯერმე გაიწვიეს საცეკვაოდ, ხოლო მე მარტო ვიჯექი და ვუსმენდი მუსიკას, დღემდე რომ ვერა და ვერ შევგუებოდი.

„ღმერთო ჩემო, – ვფიქრობდი გულში, – ნუთუ ამიერიდან აქ უნდა დავიდო ბინა,

ნუთუ უნდა შევეჩვიო აქაურობას, მოქეიფეებისა და დარდიმანდების ჩემთვის საძულველ ყოფას?! აკი ყოველთვის ვცდილობდი გავქცეოდი მარმარილოს მაგიდებს, ჯაზური მუსიკის, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებისა და კომივოიაჟერების ამ უღიმღამო, ერთფეროვან სამყაროს!“

უხალისოდ ვსვამდი ჩაის და თან იქ შეკრებილ არცთუ მთლად ღირსეულ საზოგადოებას ვათვალიერებდი. მალე მზერა ორ ლამაზ ქალიშვილზე შევაჩერე. ორივე კარგად ცეკვავდა. შევცქეროდი მათი მოქნილი სხეულების მშვენიერ, მზიარულ, ლალ მიხრა-მოხრას და შურსა და აღტაცებას ვეღარ ვმაღავდი. ამ დროს ჰერმინეც გამოჩნდა. უკმაყოფილო იყო ჩემით.

– განა აქ იმიტომ მოხვედი, ასე მოჟამული იჯდე და ჩაის მიირთმევდე? აბა, კეთილი ინებე, ახლავე გახალისდი და იცეკვე! – მითხრა აღშფოთებულმა.

– აქ არავის ვიცნობ-მეთქი, – მივუგე, მაგრამ ჰერმინემ მიჰასუხა, ეს სრულებით არ არის აუცილებელი, ნუთუ შენი მოსაწონი ქალი აღარ გამოჩნდაო?

მეტი რა გზა მქონდა, ერთ-ერთ იმ ქალიშვილზე მივუთითე, ყველაზე ლამაზი რომ მომეჩვენა. შორიახლო იდგა. ძალიან შვენიოდა ხავერდის კოხტა ქვედატანი, საამო საცქერი იყო მისი მოკლედ შეკრეჭილი, სქელი ქერა თმა და სავსე მკლავები. ჰერმინემ დაიჟინა, ახლავე მიდი და საცეკვაოდ გამოიწვიეო, მაგრამ ვერა და ვერ დამიყოლია.

– არ შემიძლია! – ვუთხარი და იმ წუთას ძალიან უბედურად ვიგრძენი თავი. – ახალგაზრდა და კარგი შესახედი რომ ვიყო, კიდეც მესმის! ცეკვაც არ ვიცი ხეირიანი, ჰოდა, მიდი და ამ ყრუჩუნა ბებერმა ახლა ახალგაზრდა ქალი გაიხმე საცეკვაოდ! ხომ მასხრად ამიგდო!

ჰერმინემ დამცინავად და თან ზიზღით შემომხედა.

– მე თუ დაგცინებ, ამას, რა თქმა უნდა, აინუნში არ ჩააგდებ, არა? ო, რა ლაჩარი ხარ! რას იზამ, ქალთან როცა მიდიხარ, ყოველთვის გელის იმის საშიშროება, რომ გაბითურებული დარჩები. ასე რომ, უნდა გაბედო, ჰარი, დიდი-დიდი დაგცინონ, მერე რა მოხდა?! თორემ იცოდე, შენს მორჩილებაში ეჭვი შემეპარება.

ერთხანს ფეხს ვითრევდი, მაგრამ მუსიკის ხმა გაისმა თუ არა, ნირწამხდარი წამოვდექი და იმ ლამაზმანისკენ გავეშურე.

– ისე, მართალი გითხრათ, მარტო არა ვარ, – მითხრა მან და ცნობისმოყვარეობით შემავლო თავისი დიდრონი, ცოცხალი თვალები, – მაგრამ ჩემი პარტნიორი, ეტყობა, ბარში შეყოვნდა. რა გაეწყობა, წავიდეთ!

წელზე ხელი მოვხვие და პირველი ნაბიჯები გადავდგი. გაოცებული დავრჩი, მაშინვე უარი რომ არ მტკიცა. ქალი მალე მიხვდა ჩემს გაჭირვებას და თვითონ წამიყვანა. მართლაც რომ შესანიშნავად ცეკვავდა. მეც თანდათან ეშხში შევედი, ყველა ნასწავლი წესი პირწმინდად დამავიწყდა. დავსრიალებდი ჩემს ლამაზმანთან ერთად, ვგრძნობდი მის მკვრივ თეძოებს, სხარტ, მოქნილ მუხლებს, შევცქეროდი მის ქორფა, გაცისკროვნებულ სახეს. გამოვუტყდი და ვუთხარი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვცეკვავ-მეთქი. გამამხნევებლად გამიღიმა. ჩემს აღტაცებულ მზერასა თუ

მაამებელ სიტყვებზე თვინიერად მიჰსასუხა, მაგრამ მიჰსასუხა არა სიტყვებით, არამედ აუღელვებელი, თავბრუდამხვევი მოძრაობებით. ეს მოძრაობები კიდევ უფრო გვაახლოებდა და აღგვაფრთოვანებდა. მარჯვენა ხელი წელზე შემოვხვით, თან ნეტარებითა და გაფაციცებით ვაკვირდებოდი მისი ფეხების, ხელებისა თუ მხრების მოძრაობას. ჩემდა გასაოცრად, ქალიშვილისათვის ერთხელაც არ დამიბიჯებია ფეხი. მუსიკა რომ მიჩუმდა, ჩვენც გავჩერდით და ტაში დავუკარიტ. მერე ისევ გაისმა მუსიკის ხმა და ეს რიტუალი ერთხელ კიდევ შევასრულე თავდავიწყებით, გატაცებით და მოწიწებით. ცეკვა რომ დამთავრდა, – ჰოი, რა ხანმოკლე გამოდგა იგი, – ჩემი ხავერდოვანი მზეთუნახავი გაუჩინარდა, წინ კი უეცრად ჰერმინე ამესვეტა, რომელსაც ჩვენთვის თვალი არ მოუშორებია.

– იმედია, ახლა მაინც შეამჩნიე ზოგიერთი რამ, – ჩაეცინა კმაყოფილს, – მგონი მიხვდი, რომ ქალის ფეხები რაღაცით განსხვავდება მაგიდის ფეხებისაგან. ბარაქალა! მაღლობა ღმერთს, ახლა ფოქსი უკვე იცი, ხვალიდან ბოსტონის სწავლას შევუდგებით. სამ კვირაში ხომ კარნავალი გაიმართება „გლობუსში“!

შესვენების დროს მაგიდას მივუსხედით. სწორედ ამ დროს მოგვიახლოვდა ბატონი პაბლო, წელანდელი ახალგაზრდა, ლამაზი საქსოფონისტი; თავი დაგვიკრა და ჰერმინეს გვერდით დაჯდა. ეტყობა, გულითადი მეგობრები იყვნენ. უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ეს კაცი ერთი შეხედვით სრულებით არ მომეწონა. მართალია, ნაკლს ვერ უპოვიდი, ნამდვილად ლამაზი იყო, – პირისახეც მშვენიერი ჰქონდა და აღნაგობაც, – მაგრამ სხვა რამ ვერაფერი ღირსება ვერ აღმოვუჩინე. სხვადასხვა ენაზე საუბარსაც ძალიან ადვილად ართმევდა თავს, რადგან უმეტესად ღუმდა და მხოლოდ „კი ბატონო“, „გმაღლობო“, „სავსებით მართალია“, „რა თქმა უნდა“, „დიახ, გისმენო“ და სხვა ამგვარს თუ იტყოდა. ამის თქმას კი, მართლაც, მრავალ ენაზე ახერხებდა. დიახ, ბატონი პაბლო უმთავრესად ღუმდა. რატომღაც ვიფიქრე, ეს ლამაზი რაინდი, ეტყობა, ფიქრითაც დიდად არ იწუხებს-მეთქი თავს. მთელი მისი საქმიანობა ჯაზში საქსოფონზე დაკვრა იყო და, როგორც ჩანს, ამ საქმეს დიდი სიყვარულითა და გატაცებით ეკიდებოდა, ხანდახან შუა დაკვრაში უცებ ტაშს შემოჰკრავდა, ანდა მოზღვავებულ გრძნობებს ნებაზე მიუშვებდა და სიმღერით წამოიძახებდა ხოლმე: „ო, ო, ო, ჰა, ჰა, ჰალოო!“ საერთოდ კი, ამქვეყნად ეტყობა იმისთვის იყო გაჩენილი, თავისი სილამაზით ქალები გაეგიჟებინა. უკანასკნელ მოდაზე ეცვა, ხოლო თითებზე უამრავი ბეჭედი აეჩონჩხლა. საუბარში მისი მონაწილეობა იმით ამოიწურებოდა, რომ ჩვენ გვერდით იჯდა, გვიღიმოდა, დროდადრო მაჯის საათს დახედავდა და პაპიროსს გრაგნიდა, – ამ საქმეში კი, მართლაც, ბადალი არა ჰყავდა. მის მუქ კრეოლურ, ლამაზ თვალებსა და შავ კულულებში რომანტიკის ნატამალიც არ გამოკრთოდა, მისთვის უცხო იყო ყოველგვარი პრობლემა, აზრი თუ ფიქრი. ახლოდან რომ შეგეხედათ, ეს ღვთაებრივი სილამაზის, ეგზოტიკურად მშვენიერი ყმაწვილკაცი მხიარული და ერთობ განებივრებული ბიჭი იყო მხოლოდ და მეტი არაფერი. საქსოფონსა და ჯაზური მუსიკის ტემბრზე ჩამოვაგდე საუბარი. ვიფიქრე, მიხვდება, რომ ძველ მელომანსა და მუსიკის მცოდნესთან აქვს-მეთქი საქმე, მაგრამ საუბარში არ ამყვა. მის მიმართ, უფრო სწორად, ჰერმინეს მიმართ მინდოდა თავაზიანობა გამომეჩინა და შევეცადე ჯაზური მუსიკისათვის რაღაც თეორიული გამართლება გამომეძებნა. მაგრამ პაბლომ მეცა და ჩემს ცდასაც უწყინარი ღიმილი შემოგვაგება, – ეტყობოდა, გაგონილიც არ ჰქონდა, რომ ამქვეყნად ჯაზის გარდა სხვა მუსიკაც არსებობდა.

ვერაფერს ვიტყვი, სასიამოვნო და წესიერი კაცი ჩანდა, ღიმილს გაეცისკროვნებინა მისი დიდრონი, უაზროდ მომზირალი თვალები, მაგრამ ჩვენ ორს არაფერი გვქონდა საერთო; ის, რაც მას მნიშვნელოვნად და წმინდად მიაჩნდა, მე სრულებით არ მაღელვებდა; სხვადასხვა სამყაროს შვილები ვიყავით და ჩვენს ენაში სიტყვაც არ ერია ზიარი. (მოგვიანებით ჰერმინემ ერთი საგულისხმო ამბავი შემატყობინა: იმ საუბრის შემდეგ თურმე პაბლოს ჩემზე უთქვამს, მაგ კაცზე თვალი გეჭიროს და მოუფრთხილდი, დიდი უბედური ვინმე ჩანსო, ხოლო როცა ჰერმინეს უკითხავს, საიდან დაასკვენიო, ასე უპასუხნია: „აბა შეხედე მაგ საბრალოს, როგორ იყურება, სიცილის თავიც კი არა აქვს“.)

შავთვალა ყმაწვილი დაგვემშვიდობა და წავიდა. ამასობაში კვლავ გაისმა მუსიკა და ჰერმინე წამოდგა.

– ჰარი, ახლა შეგიძლია მეც მეცეკვო. ან იქნებ აღარ გინდა ცეკვა?

ჰერმინესთანაც მსუბუქად, ლაღად და მზიარულად ვცეკვავდი, მაგრამ ის უდარდელი თავდავიწყება, წელან იმ ქალთან რომ განვიცადე, გამინელდა. ჰერმინემ უფლება მომცა ცეკვის დროს წამეყვანა და სიოსავით მსუბუქი და ნაზი ნაბიჯით მომყვებოდა. ახლა უკვე მასთან ცეკვის დროსაც ვგრძნობდი იმ ხიბლს, ხან ნიავევით რომ მომელამუნებოდა და ხანაც უკვალოდ ქრებოდა; ჰერმინეც აფრქვევდა ქალურობისა და ტრფობის სურნელს, მისი ცეკვაც სქესის ნაზი, გულში ჩამწვდომი გალობა იყო, მაგრამ მაინც არ შემეძლო მთლიანად მივცემოდი ჩემს განცდებს, არ შემეძლო თავისუფლად, მზიარულად და თავდავიწყებით შემეგრძნო ყოველივე. ჰერმინე ერთობ ახლობელ ადამიანად მიმაჩნდა, ის ხომ ჩემი მეგობარი და გულის სწორი იყო! ამასთანავე, ჰერმინე საოცრად ჰგავდა ჰერმანს, ჩემი სიყრმის მეგობარს – მეოცნებეს, პოეტს, ჩემი სულიერი წრთობისა და დროსტარების ერთგულ თანამეინახეს.

– ვიცი, – მითხრა ქალმა, როცა ამაზე ჩამოვუგდე სიტყვა, – ძალიან კარგად ვიცი, რომ თავს უთუოდ შეგაყვარებ, მაგრამ ეს საჩქარო არ არის. ჯერჯერობით კი ამხანაგები გვქვია. ჩვენ ის ადამიანები ვართ, ბედმა რომ შეჰყარა და მალე მეგობრებიც გახდებიან. ჯერჯერობით კი ბევრი რამ გვაქვს ერთმანეთისგან სასწავლი, მალე ერთმანეთთან თამაშიც მოგვიწევს. მე ჩემს პაწია თეატრს გაჩვენებ, გასწავლი ცეკვას, გასწავლი, როგორ უნდა იმზიარულო და ჩაიღინო სისულელეები, შენ კი შენს ფიქრებს გამანდობ და ცოდნას გამიზიარებ.

– ეჰ, ჰერმინე, აბა მე რისი გამზიარებელი ვარ! შენ ხომ ჩემზე ბევრად მეტი იცი. დიდი უცნაური ადამიანი კი ხარ, ჩემი გოგონავ, გულთამზილავივით ხვდები, რა ხდება ჩემს გულში და ყველაფერს მასწრებ. ნუთუ რაიმე ფასი მაქვს შენს თვალში? ნუთუ თავი არ შეგაწყინე?

ჰერმინეს უცებ სახე მოექუშა და თვალები დახარა.

– არ მომწონს, ასე რომ ლაპარაკობ! გახსოვს, იმ საღამოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი როგორ მომეკედლე, მტანჯველ მარტოსულობას ხელიდან დაუსხლტი და ამხანაგად გამიხდი. როგორ გგონია, რატომ მოხდა, რომ იმ დღეს შენი გულისნადები ამოვიცანი და გითანაგრძნე?

– ჰო, ჰერმინე, მითხარი, რატომ?

– იმიტომ, რომ ერთ ბედქვეშა ვართ ორივენი. მეც ხომ შენსავით ეულად ვგრძნობ თავს, ზუსტად შენსავით არ შემწევს სიყვარულის უნარი და ამ ცხოვრებას, გარშემომყოფთ თუ საკუთარ თავს სერიოზულად მეც ვერ აღვიქვამ. დიახ, ყოველთვის მოინახებიან ადამიანები, ცხოვრებისგან უმაღლეს საზღაურს რომ მოითხოვენ და ვერ ეგუებიან იმ სისულელესა და უხეშობას, აქ რომ გამეფებულია.

– ერთი ამას დამიხედეთ! – წამოვიძახე გაოცებულმა, – ჩემო მეგობარო, მშვენივრად მესმის შენი! ასე კარგად ალბათ ვერც ვერავინ გაგიგებს, მაგრამ მაინც გამოცანა ხარ ჩემთვის. განა ასე თამაშ-თამაშით შენ არ მიუყვები ცხოვრების კიბეს, შენ არ ეთაყვანები ყოველგვარ ტკბობას და შეჭოფინებ ცხოვრების ყველა წვრილმანს?! მაშ, რატომღა უნდა იყო ცხოვრებისაგან გარიყული? რატომ უნდა ეძლეოდეს სასოწარკვეთას?

– ჩემო ჰარი, სასოწარკვეთას არასოდეს ვეძლევი, ტანჯვა კი ბლომად მიგემნია ცხოვრებაში. ჰო, ამის გამოცდილება ნამდვილად მაქვს. ალბათ გიკვირს, უბედურად რომ ვგრძნობ თავს, არა? მე ხომ ცეკვაც ვიცი და ცხოვრების ოღროჩოღროებზეც მარჯვედ ვიკვალავ გზას?! ჩემო მეგობარო, მე კი შენი გამკვირვებია, ცხოვრებაში ასე იმედგაცრუებულს რომ გხედავ. აბა, შენსავით ვის უგრძნია მშვენიერზე მშვენიერი და ამაღლებული ცნებების ჯადო-თილისმა, შენ ხომ შინაური კაცი ხარ სულის, ხელოვნებისა და აზრის საუფლოში?! აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ ანდამატივით მივიზიდეთ ერთმანეთი და და-ძმა გავხდით. მე გასწავლი ცეკვა-თამაშს და ღიმილს, მაგრამ იმასაც გასწავლი, რომ არასოდეს დაგეუფლოს კმაყოფილების გრძნობა. მერე კი შენგან აზროვნებას ვისწავლი, დაგცინცლავ ცოდნას, მაგრამ ისიც მემახსოვრება, რომ კმაყოფილებას არ უნდა მივეცე. განა არ იცი, რომ ორთავენი ეშმას ნაშიერები ვართ?!

– ჰო, მისი მოდგმისანი ვართ. ეშმა სულია, ჩვენ კი მისი უბედური ნაშიერები გვქვია, ბუნების კალთიდან გადმოცვენილი და ახლა სიცარიელეში გამოკიდებული მისი პირმშონი. მაგრამ იცი, რა გამახსენდა? გახსოვს, ტრამალის მგლის ტრაქტატი რომ ვახსენე? ჰოდა, იქ ასეთ სიტყვებს წავაწყდი: მხოლოდ ჰარის წარმოსახვის ბრალია, როცა ფიქრობს, რომ მას ერთი ან ორი სული აქვს, ანდა ერთი ან ორი არსებაა, სინამდვილეში ყველა ადამიანი ათი, ასი, ათასი სულის პატრონიაო.

– ეს კი ძალიან მომწონს, – წამოიძახა ჰერმინემ, – აი, მაგალითად, შენ ძალიან განვითარებული გაქვს სულიერი საწყისი, სამაგიეროდ ცხოვრებისეულ წვრილმანებში გაუწაფავი ხარ და ვერ ერკვევი. ჰარი – მოაზროვნეს ალბათ უკვე ასი წელი შეუსრულდა, ჰარი – მოცეკვავე კი ჯერ ერთი დღისაც არ არის. ახლა მასაც გავანათლებთ და მასავით სულელ და უმწიფარ მის უმცროს ძმებსაც.

ესა თქვა და ღიმილით შემომხედა. მერე შეცვლილი ხმით ჩუმად მკითხა:

– როგორ მოგეწონა მარია?

– მარია ვინღაა?

– აი, ის გოგო, შენ რომ ეცეკვებოდი. ძალიან ლამაზია. თუ არ ვცდები, ცოტათი შეყვარებულიც კი ხარ, არა?

– ნუთუ იცნობ?

– რა თქმა უნდა, მშვენივრად ვიცნობთ ერთმანეთს. ძალიან მოგეწონა?

– მომეწონა და ისიც გამიხარდა, ჩემს ცეკვას რომ ასეთი ლმობიერი თვალით უყურებდა.

– სულ ეგ არის? ჰარი, მოდი, გაეარშიყე. ულამაზესი გოგოა, შესანიშნავად ცეკვავს, თან მგონი გულშიც ჩაგივარდა. ნუ გეშინია, ხელმოცარული არ დარჩები.

– ოჰ, ეგ ამბავი სულაც არ მიფიქრია...

– ახლა კი ტყუი. მე ხომ ვიცი, რომ სადღაც სატრფო გყავს. ისიც ვიცი, დიდი-დიდი, წელიწადში ორჯერ თუ ხვდებით ერთმანეთს, მერე კი ყველაფერი ჩხუბით მთავრდება. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ იმ შენი უცნაური სატრფოს ერთგული გინდა დარჩე, მაგრამ შენი ნებართვით ამ ამბავს გულთან მაინცდამაინც ახლოს არ მივიტან! საერთოდ კი ადამიანმა, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაუწიოს სიყვარულს. ნება შენია, ვისზედაც გინდა იმაზე იოცნებე, ვინც გინდა ის გიყვარდეს. მაგაზე მე ვერ ვიმტვრევ თავს. ჩემი საზრუნავი ახლა ისაა, როგორმე ცხოვრებისეულ წვრილმანებში გაგწაფო და დაგახელოვნო, ყოფით თამაშში ჩაგაბა და ზოგიერთი ხერხიც გასწავლო. სწორედ ამ მხრივ ვაპირებ შენს გათვითცნობიერებას და ეჭვი არ შეგეპაროს, იმ შენს საოცნებო სატრფოზე უკეთეს მასწავლებლობასაც გაგიწევ! ისე, ტრამალის მგელო, ურიგო არ იქნება, ვინმე ლამაზ გოგოსთან გაათიო ღამე.

– ჰერმინე, – წამოვიძახე გაოცებულმა, – აბა შემომხედე, ნუთუ ვერ ხედავ, რა ბებერი ვარ?!

– იცი, რას გეტყვი, ბებერი კი არა, პატარა ბიჭი ხარ. ცეკვის სწავლაც ზუსტად ასევე გეზარებოდა და ეს დრო კინალამ ხელიდან გაუშვი. სიყვარულის სწავლაც სიზარმაცის გამო არ გინდოდა. ო, ჩემო მეგობარო, რაც მართალია, მართალია, მეოცნებე, ტრაგიკული სიყვარულის უნარი, რა თქმა უნდა, მშვენივრად შეგწევს, ამაში ოდნავაც არ მეპარება ეჭვი, მაგრამ, იცოდე, დღეის შემდეგ უბრალო, ადამიანური სიყვარულიც უნდა ისწავლო. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმული გაქვს, სულ მალე მეჯლისზეც შეიძლება გაგიშვას კაცმა. ბოსტონის სწავლა კი მაინც მოგიწევს. ამ საქმეს ხვალიდან შევუდგებით. სამ საათზე შენთან ვიქნები. ჰო, მართლა, როგორ მოგეწონა აქაური მუსიკა?

– მშვენიერია!

– აი, ხომ ხედავ! ესეც წინგადადგმული ნაბიჯია, ზოგ-ზოგ რაღაცაში უკვე ერკვევი კიდევ. აქამდე კაცი ვერ მოგასმენინებდა საცეკვაო და ჯაზურ მუსიკას, სილინჯე და სილრმე აკლიაო, ამბობდი. ახლა კი მიხვდი, რომ სრულიად არ არის საჭირო ასე სერიოზულად აღიქვამდე მას. ამიერიდან უკვე იცი, რომ ეს მუსიკა შეიძლება სასიამოვნო და მიმზიდველიც კი იყოს. სხვათა შორის, პაბლო რომ არა, კაპიკი იქნებოდა ამ ორკესტრის ფასი. პაბლოა მისი მთაგონების წყარო, მისი სული და გული.

ამიერიდან ჩემს სამუშაო ოთახში გრამოფონი ახშობდა ეული ცხოვრების ექოს. ჩემს ნატიფ მუსიკალურ სამყაროში მოურიდებლად შემოიჭრა სრულიად უცხო, ამერიკული საცეკვაო ჰანგები. დღემდე ასე საგულდაგულოდ დადგენილ და კარჩაკეტილ ჩემს ყოფაში ბინა დაიდო რაღაც ახალმა, შემადრწუნებელმა და ქაოტურმა. სიმართლეს ღალადებდნენ ჰერმინეცა და ტრამალის მგელზე დაწერილი ტრაქტატიც, როცა ირწმუნებოდნენ, ადამიანს ათასი სული გააჩნიაო. დღე არ გავიდოდა, ძველ სულთან ერთად ჩემში ახალ-ახალი სული არ გამომევიდნა. ყოველი მათგანი თავისას მოითხოვდა და ხორხოცით მიკლებდა; ჩემთვის დღესავით ნათელი გახდა, რომ აქამდე თურმე თავს ვიტყუებდი.

აქამდე ყველაზე დიდ მნიშვნელობას იმ ჩემს უნარსა და მიდრეკილებებს ვანიჭებდი, რომელთა წყალობითაც შემთხვევით თუ აღმოვჩნდებოდი ხოლმე ძლიერი. ჰოდა, აკი თავად შევქმენი ჰარის სახე და მისი ცხოვრებით დავიწყე ცხოვრება. არადა, ჰარი, ასე ვთქვათ, მარტოოდენ პოეზიაში, მუსიკასა და ფილოსოფიაში ჩახედული კაცი იყო. ჩემი პიროვნების მეორე ნახევარი კი, ანუ დომხალი მთელი ჩემი შესაძლებლობების, ინსტინქტებისა და მიზანმისწრაფებებისა, ზედმეტ ბარგად მივიჩნიე და ტრამალის მგელს გადავულოცე. სულაც არ ყოფილა სასიამოვნო და თავშესაქცევი ჯერ თავის მოტყუება, მერე კი თვალის ახელა და იმის დანახვა, თუ როგორ დაქუცმაცებულიყო ჩემი პიროვნება. პირიქით, ყველაფერ ამას ხშირად მწარედ, თითქმის მტკივნეულად განვიცდიდი. აი, ამ გარემოცვაში, სადაც ყველაფერი სხვაგვარად ხმთანობდა, გრამოფონის ხმა მართლაც რომ ჯოჯოხეთურად გაისმოდა. ხანდახან, როცა სადმე მოდურ რესტორანში, ელეგანტურად გამოწყობილი დარდიმანდებისა და ავანტიურისტების წრეში მოვხვდებოდი და უანსტეპის ცეკვით ვერთობოდი, ჩემს თავს მოღალატედ მივიჩნევდი. ასე მეგონა, ყველაფერს ვუგვერდე, რაც ცხოვრებაში წმინდა და სანუკვარ ხატად მიმაჩნდა. ჰერმინეს ერთი კვირით მაინც რომ დავეტოვებინე მარტო, დაუყოვნებლივ შევეშვებოდი ამ ნაძალადევ და სასაცილო დარდიმანდობას და თავს გაქცევით ვუშველიდი. მაგრამ ჰერმინე გვერდიდან არ მშორდებოდა. მართალია, ყოველდღე ვერ ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ჩემი ყველა ნაბიჯი იცოდა, თავის ჭკუაზე მატარებდა, მიფრთხილდებოდა და გამომეტყველებაზე მატყობდა, რა გიჟური აზრებიც მომდიოდა თავში, როგორ ველტვოდი ამბოხს, როგორ ვცდილობდი თავის დაძვრენას და, დამცინავად ეღიმებოდა ხოლმე.

რასაც აქამდე ჩემს პიროვნებას ვუწოდებდი, ნელ-ნელა ნადგურდებოდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სწორედ ამან მიმახვედრა, თურმე ასე ძალიან რატომ მეშინოდა სიკვდილის. იმასაც მივხვდი, სიკვდილის წინაშე ეს სამარცხვინო და ამაზრზენი შიში ჩემი ძველი, ყალბი ბიურგერული ყოფის გამოძახილი რომ იყო. უწინდელმა ბატონმა ჰალერმა, რომელსაც ნიჭიერ მწერლად იცნობდნენ და მოცარტისა და გოეთეს თაყვანისმცემელი გახლდათ, ამ სევდიანმა განდევნილმა, წიგნებით სავსე საკანში რომ იჯდა, თავშესაქცევად წერდა ხელოვნების მეტაფიზიკაზე, გენიალობაზე, ტრაგიზმზე, ადამიანურობაზე და თან თვითგვემას ეძლეოდა, აკი ველარ გაუძლო ამდენს! დიახ, გონიერებისა და ადამიანურობის მქადაგებელი ბატონი ჰალერი ნიჭიერი და საინტერესო კაცი იყო; ომის სისასტიკის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ ომის დროს კედელთან არ დამდგარა და ტყვიისთვის

არ მიუშვერია მკერდი, რაც მისი მრწამსის ლოგიკური შედეგი იქნებოდა. არა, მან არსებობის სხვა გზა აირჩია. მაგრამ მისი ეს უაღრესად წესიერი და კეთილშობილი საქციელი, რა თქმა უნდა, მაინც დათმობაზე წასვლას ნიშნავდა. იგი შემდგომშიაც ძალმომრეობისა და ჩაგვრის წინააღმდეგი იყო, თუმცა კი, თავის სახელზე ბანკში ბლომად ელაგა სხვადასხვა საწარმოს აქციები და ამ აქციებიდან შემოსულ პროცენტებს სინდისის ქენჯნის გარეშე ხარჯავდა. ჰოდა, ასე იქცეოდა ყოველთვის. ძალიან ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა, აქაოდა, ქვეყნისმოძულე იდეალისტი ვარო, სევდიან მარტოსულად და მრისხანე წინასწარმეტყველად მოჰქონდა თავი, სინამდვილეში კი, სულით ხორცამდე ბიურგერი იყო. ჰალერი კიცხავდა ცხოვრების ჰერმინესეულ ყაიდს, ვერ მოენელებინა რესტორანში გატარებული ღამეები და იქ გაფლანგული ტალერები, სინდისი ქენჯნიდა და სრულიადაც არ ელტვოდა ასეთ თავისუფლებასა თუ სრულყოფილებას. პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა კვლავ დაებრუნებინა ის დრო, როცა სულიერი ნებივრობა სიამოვნებას ანიჭებდა და მისთვის დიდება მოჰქონდა. ზუსტად ასე მისტიროდნენ ომამდელ იდეალურ ყოფას გაზეთის მკითხველები, რომლებსაც ტრამალის მგელი ასე კიცხავდა და ადანაშაულებდა, რადგან ეს უფრო იოლი იყო, ვიდრე განცდილიდან სათანადო დასკვნების გამოტანა! დიახაც, გულის ამრევი ვინმე იყო ეს ჰარი ჰალერი! მაგრამ მე რატომღაც მაინც ვეპოტინებოდი ამ კაცს, ვებლაუჭებოდი მის უკვე ჩამოგლეჯილ ნიღაბს, მის სულიერ კეკლუცობას, მისეულ შიშს ყოველგვარი უწესრიგობისა და შემთხვევითობის მიმართ (ამას სიკვდილის შიშიც მიეწერებოდა). ახალგამომცხვარ ჰარის, – საცეკვაო დარბაზებში შემოხეტებულ ამ მორცხვსა და სასაცილო ახალბედს, – ღვარძლითა და შურით ვადარებდი უწინდელი ჰარის ყალბ, იდეალურ სახეს. თუმცა ამასობაში ახალ ჰარის უკვე მოესწრო ძველი ჰარის ყველა ის უსიამო ნიშან-თვისება აღმოეჩინა, რამაც იგი ასე აღაშფოთა მაშინ, პროფესორთან სტუმრობისას გოეთეს სურათი რომ დაინახა. თვითონ ძველი ჰარი სწორედ რომ ბიურგერულად გაიდევალებული გოეთე იყო. ამ საოცნებო გმირს, ვის თვალეშიაც მარგალიტით გამოკრთოდა ბუმბერაზობა, გონება თუ ადამიანობა, საკუთარი სულის კეთილშობილებით გულაჩუყებასაც შეამჩნევდით! დალახვროს ეშმაკმა! აი, თურმე როგორ გაცრეცილა ბატონი ჰალერის იდეალური, წარმტაცი სახე, როგორ დაჩაჩანაკებულა, საწყალობელი გამხდარა! იგი ახლა იმ დიდი თანამდებობის კაცს წააგავდა, ყაჩაღებმა რომ გაძარცვეს და ნიფხავ-პერანგის ამარა დატოვეს. განა უფრო უპრიანი არ იქნებოდა, ამ კაცს ჩამოძონძილი ბოგანოს როლი შეეფერებინა! მაგრამ არა! იგი თავის კონკეებშიც ისე დაიარებოდა, ვითომც მკერდი კვლავ ჩინ-მედლებით ჰქონოდა დამშვენებული და თან ვაი-ვიშით მოითხოვდა, ძველებური დიდება და პატივი მომაგეთო.

მუსიკოს პაბლოს დროდადრო ვხვდებოდი ხოლმე. ამ კაცზე გარკვეული აზრისა ვიყავი, მაგრამ, ეტყობა, აზრის შეცვლა მომიხდებოდა, რადგან ჰერმინეს ძალიან უყვარდა იგი და ყოველნაირად ცდილობდა ხშირად ყოფილიყო მასთან. გუნებაში პაბლო მშვენიერ არარაობად მოვნათლე. ეს, ცოტა არ იყოს, პატივმოყვარე, ლამაზი ჭაბუკი, მხიარულ, უდარდელ ბავშვს მაგონებდა, ლაღად რომ არაკრაკებდა თავის საქსოფონს და შოკოლადითა და მოფერებით ადვილად მოაქცევდა თავის ჭკუაზე კაცი. მაგრამ პაბლო აინუნში არ აგდებდა არც ჩემს აზრსა და არც ჩემს მუსიკალურ თეორიებს. თავაზიანად, გულისხმიერად მიგდებდა ყურს და პირზე ღიმილი არ შორდებოდა, ნამდვილ პასუხს კი არასოდეს მაღირსებდა, თუმცა ეტყობა, ასე თუ ისე

მაინც მოვახერხე, აღმეძრა მისი ცნობისმოყვარეობა. აშკარად ცდილობდა თავი მოეწონებინა ჩემთვის და თავისი კეთილგანწყობაც ეჩვენებინა. ერთხელ, როცა ერთ-ერთი ასეთი უნაყოფო საუბრისას საშინლად აღვშფოთდი და ლამის უხეშადაც მივმართე, პაბლომ დარცხვენითა და ნაღვლიანად შემომხედა, ხელზე მარცხენა ხელი მომითათუნა, მერე მოოქრული ზარდახშა გამომიწოდა და მითხრა, ეს გიშველისო. ზარდახშაში რაღაც საყნოსი ფხვნილი იყო. ჰერმინეს ნებართვას თვალებით დავეკითხე და, რაკი მან დასტურის ნიშნად თავი დამიქნია, ფხვნილი დავყნოსე. სულ მალე მართლაც გამოვცოცხლდი და გავხალისდი, ეტყობა, ფხვნილში კოკაინი იყო გარეული. ჰერმინემ მითხრა, პაბლოს ასეთი წამლები ბლომად აქვს, საიდუმლო გზებით შოულობს და ხანდახან მეგობრებსაც უწილადებს ხოლმეო. ისიც შევიტყვე, რომ პაბლოს თურმე მშვენივრად სცოდნია ყველა ტკივილგამაყუჩებელი და საძილე საშუალების გაზავება. მათი მიღების შემდეგ ადამიანი თურმე ნეტარ სიზმრებს ხედავს და მხიარული, სასიყვარულო განწყობაც ეუფლება.

ერთხელ პაბლოს ქალაქში შევხვდი, სანაპიროზე. მაშინვე გამომყვა. ამჯერად, როგორც იქნა, მოვახერხე საუბარში ამეყოლიებინა (იგი ხელში მოშავო-მოვერცხლისფრო, წვრილ ჯოხს ატრიალებდა):

– ბატონო პაბლო, – მივმართე მე, – ჰერმინეს მეგობარი ბრძანდებით და სწორედ ამიტომ დავინტერესდი თქვენი პიროვნებით. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენთან საუბარი არც ისე ადვილი საქმეა. არაერთხელ შევეცადე მუსიკაზე ჩამომეგდო ლაპარაკი, მაინტერესებდა თქვენი მოსაზრება ამის თაობაზე. თქვენ კი უბრალო პასუხის ღირსადაც არ გამხადეთ.

გულლიად გამიღიმა, მაგრამ ამჯერად უპასუხოდ აღარ დაუტოვებივარ და მითხრა:

– იცით, მუსიკაზე, ლაპარაკი საერთოდ ზედმეტად მეჩვენება. თავად მე არასოდეს ვლაპარაკობ ამაზე. აბა რა პასუხი უნდა გამეცა თქვენთვის? ყველაფერზე საოცრად ჭკვიანურად და სწორად მსჯელობდით და სრულიად მართალი ბრძანდებოდით! მაგრამ, იცით, რას გეტყვით, მე მუსიკოსი ვარ და არა მეცნიერი, და არა მგონია, მუსიკისათვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, მართალი ხართ თუ არა. სიმართლე, გემოვნება, განათლება და სხვა მისთანები აქ ანგარიშში ჩასაგდება არ არის.

– კი მაგრამ, მაშ, რაღასა აქვს მნიშვნელობა?

– ბატონო ჰალერ! მთავარი ის გახლავთ, რომ კაცი უკრავდეს, უკრავდეს რაც შეიძლება მეტს, რაც შეიძლება უკეთ და მთაგონებით. აი, ეს არის უმთავრესი, ბატონო ჩემო! მარტო იმით, რომ ბახისა და ჰაიდნის ნაწარმოებებით გქონდეს გამოტენილი თავი და მათზე გონივრული მსჯელობა შეგეძლოს, კაციშვილს ვერ მოუტან სარგებლობას. მაგრამ აი, ამ ჩემს საყვირს რომ ავიღებ ხელში და შიმის დავუკრავ, ავია თუ კარგი, სულერთია, მაინც სიხარულს ვაგრძნობინებ ადამიანს, მთელ ტანში ჟრუანტელს მოვგვრი და სისხლს ავუჩქროლებ. აი, ეს გახლავთ უმთავრესი! აბა დააკვირდით, რა გამომეტყველება აქვთ ადამიანებს, როცა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ აჟღერდება მუსიკა! დააკვირდით, როგორ უელავთ თვალები, როგორ ებადრებათ სახე, როგორ აუცეკვდებათ ხოლმე ფეხები? აი, ამისათვის უნდა უკრავდეს კაცი.

– კეთილი, ბატონო პაბლო, მაგრამ ვნების აღმძვრელი მუსიკის გარდა ხომ არსებობს სულიერი მუსიკაც?! განა დღევანდელ მუსიკასთან ერთად უკვდავი მუსიკაც არ გაგვაჩნია? იგი ხომ მაშინაც განაგრძობს სიცოცხლეს, როცა აღარ უკრავენ. შეგიძლია მარტოდმარტო იწვე ლოგინში და გულში იმეორო „ჯადოსნური ფლეიტის“, „მათეს ვნებანის“ ჰანგები; ადამიანი შეიძლება არც ფლეიტას გაეკაროს, არც ვიოლინოს სიმს შეახოს ხელი, მუსიკა კი მის სულში ხმიანობდეს და ხმიანობდეს.

– რა თქმა უნდა, ბატონო ჰალერ! ღამლამობით „ტანჯვისა“ და „ვალენიის“ მოსმენისას ალბათ არა ერთსა და ორ მარტოსულ, მეოცნებე კაცს მოეფონება გულს. აი, ხელმოკლე მემანქანე გოგონას, სამუშაო ოთახში რომ მიმჯდარა, თავში ამ ცოტა ხნის წინათ მოსმენილი უანსტეპი უტრიალებს და საბეჭდი მანქანის რაკარუკსაც მის ტაქტს აყოლებს. მართალი ბრძანდებით, დაე, ყველა მარტოსულ კაცს ჰქონდეს თავისი უხმო მუსიკა, „ტანჯვა“ იქნება ეს, „ჯადოსნური ფლეიტა“ თუ „ვალენსია“[53]. მაგრამ ვინ უნდა მოასმენინოს ადამიანებს ეს ეული, უხმო მუსიკა? მხოლოდ ჩვენ, მუსიკოსებმა! თავდაპირველად ხომ მისი დაკვრა და მოსმენაა საჭირო: მუსიკამ ჯერ სისხლი უნდა აგიჩქოროლოს, მერე კი შეგიძლია საკუთარ სოროში მოიკალათო და იქ იფიქრო და იოცნებო მასზე.

– გეთანხმებით, – ვუთხარი მკვახედ, – და მაინც, განა შეიძლება ერთ სიმაღლეზე დავაყენოთ მოცარტი და მოდური ფოქსტროტი? განა სულერთია, ადამიანს ღვთაებრივ, მარადიულ ჰანგებს მოვასმენინებთ თუ იაფფასიან, დღენაკლულ მუსიკას?

ხმაში მღელვარება რომ დამატყო, პაბლოს სახეზე საოცარი სიკეთე აღებეჭდა, მერე მხარზე აღერსიანად მომითათუნა ხელი და ხავერდოვანი ხმით მითხრა:

– ეჰ, ჩემო ძვირფასო, სხვადასხვა სიმაღლეზე დგანანო, რომ ბრძანეთ, სავსებით მართალი ხართ. არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, მოცარტი იქნება ეს, ჰაიდნი თუ „ვალენსია“, – ყველას თავ-თავისი სიმაღლე მიუჩინონ. პირადად მე ეგ ამბავი დიდად არ მაღელვებს. სიმაღლეების განსაზღვრა ჩემი ხელობა არ გახლავთ და არც მეკითხება. ადვილი შესაძლებელია მოცარტი ასი წლის შემდეგაც დაუკრან, „ვალენსიას“ კი ორ წელიწადში გაუვიდეს ყავლი, ასეა თუ ისე, ამის განსჯის უფლება თავისუფლად შეგვიძლია მამაზეციერს გადავულოცოთ. იგი სამართლიანია და, მოგეხსენებათ, ყველა ჩვენგანის სიცოცხლის ვადაც მის ხელთაა. ჰოდა, მანვე გადაწყვიტოს, რამდენ ხანს გაუძლებს ჟამთა სვლას ესა თუ ის ფოქსტროტი თუ ვალსი; ვფიქრობ, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, მუსიკოსებმა კი ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, პირნათლად უნდა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და ამოცანები. უნდა დავუკრათ ის, რაც დღესდღეობით სურთ ადამიანებს, უნდა დავუკრათ რაც შეიძლება უკეთ, ლამაზად, შთაგონებით.

ამოვიოხრე და ფარ-ხმალი დავყარე, – ამ კაცს ვერსაიდან მივუდექი.

იყო წამები, როცა ძველი თუ ახალი ამბები, ტკივილი თუ ბედნიერება, შიში თუ სიხარული უცნაურად ენაცვლებოდა ერთმანეთს. ხან იყო და, ზეცაში დავფრინავდი, ხან ჯოჯოხეთში ამოვყოფდი თავს, ხშირად კი ორივეგან ერთდროულად აღმოვჩნდებოდი ხოლმე. ძველი და ახალი ჰარი ხან აუჯანყდებოდნენ ერთმანეთს, ხანაც მშვიდლობიანად თანაცხოვრობდნენ. კაცს შეიძლება კიდეც ეფიქრა, ბებერი ჰარი

აღბათ ცოცხლებში აღარ სწერია, მოკვდა და მიწას მიაბარესო. მაგრამ აი, მოულოდნელად კვლავ გაჩნდებოდა თავის ადგილას, ბატონობდა, მბრძანებლობდა და არავის ეპუებოდა; პაწია, ახლადგამომცხვარი ჭაბუკი ჰარი კი დუმდა, დარცხვენილი იშმუშნებოდა და ბებერ ჰარის თავის დაჩაგვრის უფლებას აძლევდა. მაგრამ ხანდახან ისეთი წუთებიც დგებოდა, როცა ჭაბუკი ჰარი თავის ბებერ ორეულს გააფთრებით სწვდებოდა ხოლმე ყანყრატოში. აი, მაშინ კი ატყდებოდა ერთი ვაი-ვიში, გაჩაღდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ისევ აუშვებდა აფრებს სამართებელზე ფიქრი.

მაგრამ ხშირად ტანჯვა და ბედნიერება ბობოქარ ტალღად გადამივლიდა ხოლმე თავზე. აი, მაშინაც სწორედ ასე დამემართა: ჩემი საცეკვაო დებიუტის მერე რამდენიმე დღე გავიდა; ერთ საღამოს შინ დავბრუნდი, საწოლ ოთახში შევედი და, ჰოი, საოცრებაც – ლოგინში მშვენიერი მარია დამხვდა! ერთდროულად ჩემს სასოწარკვეთილებასა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ჰერმინეს გამოხდომებს უკვე მიჩვეული ვიყავი, აღარაფერი მიკვირდა, მაგრამ მისმა დღევანდელმა საქციელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს სამოთხის ჩიტუნია მისი გამოგზავნილი რომ იყო, წუთითაც არ შემძარვია ეჭვი. იმ საღამოს ჩვეულებას ვუღალატე და ჰერმინეს აღარ შევხვედრივარ. საკათედრო ტაძარში წავედი და დიდებულად, უზადოდ შესრულებული საეკლესიო მუსიკა მოვისმინე. ეს გახლდათ მშვენიერი და თან ნაღვლიანი წიაღსვლა ჩემს გარდასულ ცხოვრებაში, ჩემი სიჭაბუკის ტევრებში, მეოცნებე ჰარის საუფლოში. ტაძრის ცხავისებრ თაღებზე აქა-იქ ანთებული სანთლის ჩრდილი ირეკლებოდა და გაცოცხლებული ზმანებებივით ტორტმანობდა. აქ, ამ მაღალგუმბათიან გოტიკურ ტაძარში ვისმენდი ბუკსტეჰუდეს[54], პახელბელის[55], ბახისა და ჰაიდნის ქმნილებებს და კვლავ მივუყვებოდი ჩემთვის ძვირფას, თუმცა კი ძველად ნავალ გზებს; კვლავ ჩამესმოდა ბახის მუსიკა და მომღერალი ქალის უზადო ხმა. მე და ის ქალი ოდესღაც ვმეგობრობდით კიდეც და მისი მონაწილეობით არა ერთი და ორი ბრწყინვალე კონცერტი მომისმენია. ძველებური მუსიკის ჰანგებმა, მისმა უსაზღვრო ღირსებამ და სიწმინდემ ჩემს ცნობიერებაში სიჭაბუკისდროინდელი აღმაფრენა, აღტყინება და აღფრთოვანება გამოიწვია. ფიქრებში წასული, დანაღვლიანებული ვიჯექი შემადლებულ კლიროსზე. ახლა მე სტუმარი ვიყავი ამ წმინდა, ნეტარ სავანეში, ოდესღაც ჩემს სამშობლოდ რომ მივიჩნევდი. მერე ჰაიდნისეული დუეტის ჰანგები მოსწვდა ჩემს ყურთასმენას და მოულოდნელად ცრემლი წამსკდა. კონცერტის დამთავრებას აღარ დავლოდებივარ, მომღერალ ქალთან შეხვედრაც გადავიფიქრე (ო, ასეთი კონცერტების შემდეგ ოდესღაც რამდენი გაციკროვნებული საღამო გამიტარებია მსახიობებთან ერთად!), ტაძრიდან ჩუმად გამოვედი და დაღლილ-დაქანცული ღამეულ ქუჩებს გავუყევი. რესტორნების ფანჯრებს მიღმა ჯაზ-ორკესტრები ჩემი ამჟამინდელი ცხოვრების ჰანგებს უკრავდნენ. ვაი, თურმე რა უგემური დომხალი ყოფილა მთელი ჩემი ყოფა! იმ ღამეს დიდხანს ვიხეტიალე. მუსიკასთან ჩემეული, უჩვეულო განცდები მაკავშირებდა[56] და ახლა სწორედ ამაზე ვფიქრობდი. და აი, ჩემს ესოდენ სათუთ და ამავე დროს ავბედით განცდებში კვლავ ამოვიკითხე მთელი გერმანული ინტელიგენტობის ბედ-იღბალი. გერმანული სული ბუნებას მუსიკის მეშვეობით უკავშირდება და ამ კავშირში დედობრივი უფლებაც სწორედ მუსიკას ენიჭება, იგია თავი და თავი და წარმმართველი ძალა ყველაფრისა. ასეთი რამ არც ერთ ხალხს არ მოსდგამს. ჰოდა, ნაცვლად იმისა, ჩვენ,

ინტელიგენტმა ადამიანებმა ვაჟკაცურად გავილაშქროთ ამის წინააღმდეგ, ყური მივუგდოთ გონებას, ლოგოსს, სიტყვას, პირიქით ვიქცევით; ყველანი უკლებლივ ვოცნებობთ ისეთი ენის შექმნაზე, სადაც არ იქნება სიტყვები, ვოცნებობთ ენაზე, რომელსაც შეეძლება გამოხატოს გამოუხატავ, გამოთქვას გამოუთქმელი. იმის მაგივრად, რაც შეიძლება მეტი გულმოდგინებითა და მოწადინებით დაეკრა თავის საკრავზე, ინტელიგენტი გერმანელი დღენიადაგ ეურჩებოდა სიტყვას და გონებას, დღენიადაგ ეკეკლუცებოდა მუსიკას. გერმანულმა სულმა მოახერხა მუსიკაში ჩასწვდომოდა ღვთაებრივ, ნეტარ, ხმიერ სახეებს. იგი იმ ჯადოსნურ, უტკბეს გრძნობებსა და განწყობილებებს ეზიარა, რომელთაც არასოდეს ეწერათ სინამდვილედ ქცევა. ჰოდა, გერმანულმა სულმაც თვალსა და ხელს შუა დაივიწყა თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება. ჩვენ, ინტელიგენტებს, ყველას უკლებლივ, წარმოდგენა არ გვქონდა, თუ რა იყო სინამდვილე და უცხო, მტრული თვალთ შევცქეროდით მას. აი, სწორედ ამიტომ იყო ჩვენს გერმანულ სინამდვილეში, ჩვენს ისტორიაში, პოლიტიკაში თუ საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის დროს, ინტელიგენტი კაცის როლი ესოდენ უსუსური და უბადრუკი. რა თქმა უნდა, თავში ხშირად მიტრიალებდა ეს აზრი. დროდადრო მწვავე სურვილი მტანჯავდა, შემექმნა ჩემეული სინამდვილე, მთელი პასუხისმგებლობით, გულმოდგინედ მომეკიდა ხელი საქმისათვის და სულის სამყაროში გადავარდნილს, გამუდმებით ესთეტიკისა და გამოყენებითი ხელოვნების საკითხებზე აღარ მეფიქრა; მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც ვაღიარებდი საკუთარ უილაჯობას და ფარ-ხმალს ვყრიდი განგების წინაშე. განა მართალნი არ იყვნენ გენერლები და მსხვილი მრეწველები, როცა ამბობდნენ, ინტელიგენტებისგან აბა რა ხეირს უნდა ელოდესო კაცი? დიახ, ჩვენ მართლაც სინამდვილეს მოწყვეტილ, უპასუხისმგებლო, ენამოსწრებულ მოლაყბეთა თავყრილობას წარმოვადგენდით! ფუი, დალახვროს ეშმაკმა! სადაა ახლა სამართებული!

თავში ასეთი აზრები მიტრიალებდა, არადა, მთელი ჩემი არსება მუსიკის ჰანგებს მოეცვა. გული ნაღვლით მქონდა დამძიმებული, უსასოო სევდით შევცქეროდი ცხოვრებას, სინამდვილეს, გრძნობებს, ყველაფერს, რაც საუკუნოდ დაკარგულიყო ჩემთვის. აი, ასეთ გუნებაზე დავბრუნდი შინ, რის ვაივავლახით ავათავე კიბე და სასტუმრო ოთახში შუქი ავანთე. ამაოდ შევეცადე წიგნის კითხვით შემექცია თავი. უცებ გამახსენდა, რომ, შეთანხმებისამებრ, მე და ჰერმინე ხვალ საღამოს „სესილის“ ბარში უნდა შევხვედროდით, მერე კი ვისკითა და ცეკვებით უნდა გადამეყოლებინა გული. ახლა მართო საკუთარ თავზე როდი ვბრაზობდი, ჰერმინეზეც დაბოლმილი ვიყავი. კი ბატონო, ვთქვათ და, მართლაც კეთილი და უანგარო ზრახვები ჰქონდა, ვთქვათ და, ნამდვილად შესანიშნავი არსება იყო, მაგრამ უმჯობესი არ იქნებოდა, იმ დღეს ჩემთვის სიკვდილი დაენებებინა და ამ გიჟურ, უცნაურ და ბოზოქარ სამყაროში არ გადავესროლე, სადაც მუდამ უცხო ვიქნები, ხოლო თუ რამ სიკეთე გამაჩნია, გაიხრწნება და ჩაკვდება?!

უხალისოდ ჩავაქრე შუქი, საწოლ ოთახში გავედი და ტანზე გახდა დავიწყე. უეცრად უჩვეულო სურნელება მეცა. გავოცდი. მთელ ოთახში სუნამოს სუნი ტრიალებდა. საწოლისკენ მივიხედე და მშვენიერი მარია დავინახე. იწვა, დიდრონი ცისფერი თვალებით შემომცქეროდა და მორცხვად მიღიმოდა.

– მარია! – წამოვიძახე და თან გულში გავიფიქრე, ეს რომ დიასახლისმა გამიგოს,

ნაღდად ბინიდან გამაგდებს-მეთქი.

– აი, მოვედი! – ხმადაბლა მითხრა ქალმა, – მიჯავრდებით?

– არა, არა. გასაღები ჰერმინემ მოგცათ, ხომ? ასეც ვიცოდი.

– ო, გატყობთ, რომ ბრაზობთ. რაკი ასეა, წავალ.

– არა, მშვენიერო მარია, დარჩი! მაგრამ სწორედ ამ საღამოს ვარ ძალიან უგუნებოდ. ხვალამდე ალბათ ვერც მოვალ ხასიათზე.

ოდნავ დავიხარე მისკენ. ქალმა ჩემი სახე დიდ, ძლიერ ხელისგულებში მოიქცია, თავისკენ მიმიზიდა და ვნებიანად მაკოცა. იქვე საწოლზე ჩამოვჯექი, მისი ხელი ავიღე და ვთხოვე, ჩუმიად ილაპარაკე, არავინ გაგვიგოს-მეთქი. დავყურებდი მის მშვენიერ, სავსე პირისახეს, რაღაც უცხო, დიდი და მომზიბლავი ყვავილივით რომ ესვენა ბალიშზე. მარიამ ჩემი ხელი ნელ-ნელა მიიტანა ტუჩებთან, მერე საბნის ქვეშ შემაყოფინა და თბილ მკერდზე დამადებინა, – ვიგრძენი, როგორ მშვიდად აუდიოდ-ჩაუდიოდა მკერდი.

– მერე რა, ნუ იქნები გუნებაზე, ჰერმინეს ნათქვამი აქვს ჩემთვის, სადარდებელმა შეიპყროო. ვის არ დამართნია. შენ ის მითხარი, ისევ მოგწონვარ? იმ დღეს, ცეკვის დროს ერთობ შეყვარებული თვალებით მიყურებდი!

თვალები და ტუჩები დავუკოცნე მარიას, დავუკოცნე ყელი და მკერდი. სულ ცოტა ხნის წინ გაგულისებული და დაბოღმილი ვიყავი ჰერმინეზე, ახლა კი შევცქეროდი მისგან მორთმეულ ნობათს და მადლიერების გრძნობა მეუფლებოდა. მარიას ალერსი სულაც არ აყენებდა ტკივილს იმ მშვენიერ მუსიკას, დღეს რომ მოვისმინე; პირიქით, ეს ალერსი ამ მუსიკის ხორცშესხმა და განსახიერება იყო. ნელ-ნელა ვხდიდი საბანს ამ მშვენიერ ქალს და კოცნა-კოცნით მისი ფეხის თითებამდე ჩავაღწიე. გვერდით რომ მივუწექი, მარიამ ვარდისფერ გაფურჩქნილი პირისახე ჩემკენ შემოაბრუნა და ყოვლისმცოდნე, კეთილი ღიმილი შემომავება.

იმ დამეს მარიას გვერდით ვიწექი. ვფხიზლობდი, მაგრამ როგორც კი ძილი მომერეოდა, ბავშვივით ღრმა და უდარდელ ძილს მივეცემოდი ხოლმე. დროდადრო გამელვიძებოდა, ვსვამდი მისი ნორჩი სხეულის ტკბილ ნექტარს, მერე კი ხმადაბლა ვმუსაიფობდით. ჰერმინესა და მის ცხოვრებაზე ბევრი საინტერესო ამბავიც შევიტყვე. ამ ჯურის ადამიანების ყოფას ნაკლებად ვიცნობდი. ადრე ასეთი ხალხი თეატრალურ სამყაროში თუ შემხვედრია, ხელოვნების მსახურებად რომ მოჰქონდათ თავი და თან აღვირახსნილი ცხოვრების მორევში ტრიალებდნენ. და აი, ახლა შესაძლებლობა მომეცა, ამ საოცარ, უჩვეულოდ უმანკო, თან კი გარყვნილი ცხოვრების წიაღში შევჭრილიყავი. გაჭირვების წუმპედან ამოსული ეს გოგოები საკმაო სილამაზითა და გონიერებით გამოირჩეოდნენ, ამიტომაც გულს ვერ უდებდნენ უხალისო საქმეს, არ ყაბულებოდნენ უბადრუკ ხელფასს. ჰოდა, აი ასე, დროდადრო შემთხვევით ნაბოძები გასამრჯელოთი გაჰქონდათ თავი, ხოლო მთელი მათი ავლადიდება სილამაზე და მომზიბლაობა იყო. ეს ქალები თვეობით ხან საბეჭდ მანქანებზე უკაკუნებდნენ, ხან კი მდიდარ საქმოსნებს უდგებოდნენ ხასებად და მათგან ფულსა და საჩუქრებს იღებდნენ. დროდადრო მდიდრულ ბეწვეულში გამოწყობილები, მანქანით დაგრილებდნენ და დიდებულ სასტუმროებში

ცხოვრობდნენ, მაგრამ ისეთი დროებაც დაუდგებოდათ ხოლმე, როცა კვლავ სხვენზე ამოყოფდნენ თავს. ხანდახან ვინმე ცოლობასაც შესთავაზებდა და, ისინიც, მართალია, არც თუ დიდი ხალისით, მაგრამ მაინც თანხმდებოდნენ სარფიან წინადადებას. ამ ქალებიდან ბევრს სულაც არ აწუხებდა ვნებათაღელვა და, როცა მამაკაცი გასაქანს აღარ მისცემდა, ზიზღნარევი გრძნობით თანხმდებოდა მის წინადადებას, ოღონდაც ბლომად ფული დაეცინცლა. ზოგი მათგანი კი, – სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა მარიაც, – ბუნებას სიყვარულის უჩვეულო ნიჭით დაეჯილდოვებინა. ამ ქალების უმრავლესობამ მშვენივრად იცოდა ორსქესოვანი სიყვარულის გემო. მათ ცხოვრების მიზნად მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით ტკბობა დაესახათ და ამიტომ იყო, რომ ოფიციალური, ფულიანი მუშტრების გარდა, სასურველი თაყვანისმცემლებიც ჰყავდათ. ეს ფარვანები თავდავიწყებით, საქმიანად და გონივრულად, მაგრამ თან ქარაფშუტულად და მიამიტად ეძლეოდნენ მჩქეფარე ცხოვრებით ტკბობას, არ ჰკარგავდნენ დამოუკიდებლობას და მაინცდამაინც არც ფულს ეხარბებოდნენ. მუდამ თავიანთი წილი ბედნიერების მოლოდინში იყვნენ. მართალია, ცხოვრება უყვარდათ, მაგრამ ბიურგერივით როდი ებლაუჭებოდნენ მას. არც იმის იმედს კარგავდნენ, ერთ მშვენიერ დღეს უთუოდ გამოჩნდებოდა ზღაპრული უფლისწული და თავის კოშკში წაიყვანდა, თუმცა ქვეცნობიერად არც იმას ივიწყებდნენ, ბოლოს და ბოლოს, მაინც მძიმე, სავალალო აღსასრული რომ ელოდათ.

იმ საოცარ ღამეს და მერეც, მომდევნო დღეებში, მარიამ ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. მან მართო ვნებათაღელვის წარმტაც თამაშს კი არ მაზიარა, სიყვარულის ახლებური გაგება და აღქმაც მასწავლა. მე ერთი ესთეტი კაცი ვიყავი, განდევილის ცხოვრებით ვცხოვრობდი და კინემატოგრაფების, სასტუმროების, ბარებისა თუ ჩაიხანების არასრულფასოვან, აკრძალულ სამყაროში ცხოვრება დამამცირებლად მეჩვენებოდა. მარია, ჰერმინე და მისი მეგობარი ქალები კი ამ სამყაროში მარტივად ცხოვრობდნენ, იგი მათთვის არც ბოროტი იყო, არც კეთილი, არც სასურველი და არც საძულველი; ამ სამყაროში მიედინებოდა მათი ვნებათაღელვით აღსავსე დღემოკლე ცხოვრება და ეს ქალებიც ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თევზი წყალში, ისევე უყვარდათ შამპანური ან რაიმე საფირმო კერძი, როგორც ჩვენ გვიყვარს ხოლმე ვინმე კომპოზიტორი ან პოეტი. მოდური საცეკვაო ჰანგები, დათაფლული, სენტიმენტალური ჯაზური სიმღერა ზოგჯერ ისე აღაფრთოვანებდა, აღელვებდა და გულს უჩუყებდა ხოლმე მათ, ჩვენ რომ ნიცშე ან ჰამსუნი აღგვაფრთოვანებს და აგვაღელვებს. თავდაპირველად მარია ლამაზ საქსოფონისტ პაბლოზე მელაპარაკა, მერე სიტყვა იმ ამერიკულ სიმღერაზე ჩამოაგდო, ხანდახან თურმე პაბლო რომ უმღეროდა. ქალი უჩვეულო გატაცებით, აღფრთოვანებითა და სიყვარულით ლაპარაკობდა და ამან გაცილებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, ვიდრე, ვთქვათ, ნატიფი ხელოვნების თაობაზე ვინმე ერუდიტის შთამაგონებელი მსჯელობა დატოვებდა; როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს სონგი, მე მზად ვიყავი გამეზიარებინა მარიას აღფრთოვანება. მისმა სიყვარულით გამსჭვალულმა სიტყვებმა და ანთებულმა მზერამ ჩემს ესთეტიკას ღრმა კვალი დაამჩნია. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის მიღმა რჩებოდა მშვენიერება, ის მცირე წილი ჭეშმარიტი მშვენიერებისა, არასოდეს რომ არ გახდებოდა სათუო და სათუმცაო... და ეს, უპირველეს ყოვლისა, მოცარტი გახლდათ. მაგრამ, სად გადიოდა აქ ზღვარი? განა ჩვენ, ამ საქმის მცოდნენი თუ კრიტიკოსნი, სიჭაბუკეშივე არ ვაღმერთებდით ამა

თუ იმ მხატვარსა თუ ხელოვნების ქმნილებას, რომელთა გახსენება ახლაც უსიამო
ეჭვებსა და გრძნობებს იწვევს? განა ამ თვალთ არ ვუყურებდით ლისტს, ვაგნერსა
და, ბევრი ჩვენგანი, თუნდაც ბეთჰოვენს? განა მარიას ბავშვური გულმხურვალე
აღტაცება ამერიკული სიმღერით ისეთივე ფაქიზი, მშვენიერი და უცილობლად
ამაღლებული ესთეტიკური ტკობის შედეგი არ იყო, როგორც ვთქვათ, ის
აღფრთოვანება, რომელსაც განიცდიდა მავანი მეცნიერი „ტრისტანის“ მოსმენისას,
თუ მავანი ღირიჟორი მეცხრე სიმფონიის შესრულებისას? ეს ყველაფერი ბატონი
პაბლოს თვალსაზრისს ემთხვეოდა და მისეული სიმართლის დადასტურებას
ნიშნავდა!

მშვენიერი პაბლო კი, ეტყობა, მარიას ძალიან უყვარდა!

– უდავოდ ლამაზი მამაკაცია, – ვუთხარი ქალს, – მეც ძალიან მომწონს, მაგრამ ერთი
გამაგებინე, მარია, როგორ ახერხებ ერთდროულად ისიც გიყვარდეს და მეც? მე ხომ
ერთი მოსაწყენი ბერიკაცი ვარ, ღმერთს ჩემთვის არც სილამაზე მოუცია და არც
სინორჩე. აი, თუნდაც ჩემს ჭაღარას შეხედე! ესეც არ იყოს, არც საქსოფონზე დაკვრა
მეხერხება და არც ინგლისური სატრფიალო სიმღერების შესრულება შემიძლია.

– ნუ ლაპარაკობ ასე საძაგლად! – აღშფოთდა მარია, – ეს ყველაფერი ხომ ძალიან
ბუნებრივია. მომწონხარ იმიტომ, რომ შენში ვხედავ რაღაც ლამაზს, სასიამოვნოსა
და უჩვეულოს. ხასიათის გამოცვლა სულაც არ გჭირდება, რაცა ხარ, ეგა ხარ! ამაზე
ახლა ზედმეტია ლაპარაკი და თავის მტვრევა. როცა ყელზე ან ყურზე მკოცნი,
ვგრძნობ, რომ მოგწონვარ და გიყვარვარ. რაღაც სხვანაირი კოცნა იცი ხოლმე, როგორ
აგიხსნა, აი, თითქოს მორიდებით მკოცნი. ჰოდა, ჩემთვის გასაგები ხდება, რომ
გიყვარვარ და მადლიერი ხარ ჩემი სილამაზისა. ეს კი ძალიან, ძალიან მომწონს. სხვა
მამაკაცებში პირიქით, სრულიად სხვა თვისებებს ვაფასებ: მომწონს, როცა არაფრად
მაგდებენ და ისე მკოცნიან, თითქოს მოწყალებას მოიღებენ.

ისევ ძილმა წაგვართვა თავი, მაგრამ მალევე გამომეღვიძა და ქალი კვლავ მკერდზე
მივიხუტე.

საოცარია, მაგრამ ამ უმშვენიერეს ყვავილს ახლაც ჰერმინესგან ნაბოძებ წყალობად
მივიჩნევდი: დიახ, მომხიბლავი ნიღბის მიღმა ჰერმინე იმალებოდა! უნებურად ჩემი
შორეული, ჭირვეული სატრფო გამახსენდა, ჩემი საბრალო გულისსწორი ერიკა.
სილამაზით იგი ალბათ არ ჩამოუვარდებოდა მარიას, მაგრამ არც მასავით
აფეთქებულ კვირტს ჰგავდა და არც სიყვარულში იყო ასე თამამი, ნიჭიერი და
ნატიფი. სატანჯველად სულ რაღაც ორიოდე წამით თვალწინ ცხადად დამიდგა მისი
სალუქი სახე, ასე რომ გადაწვნოდა ჩემს ბედ-იღბალს. მერე კი, როცა თავდავიწყებამ
თავისი გაიტანა, ეს სახე სიზმრად იქცა და სევდიან შორეთში გალხვა.

წარსულის უამრავი სურათი ამომიტივტივდა გონებაში იმ წარმტაცსა და ნაზ ღამეს.
ო, რაოდენ დიდი ხანი გასულა მას მერე, რაც ასე გამოშიგნული, გრძნობადაცლილი,
უსურათხატოდ ვცხოვრობდი. ეროსის ხელის ერთი დაქნევით ყველა ხატი უეცრად
დაიძრა და აიშალა. ანაზღად ისეთმა აღტაცებამ შემიპყრო და ისე მომეძალა
ნაღველი, ლამის გული გამიჩერდა. ახლა მივხვდი, თურმე რა მდიდარი ყოფილა ჩემი
ცხოვრების სურათოვანი სამყარო, რამდენი მარადიული ვარსკვლავი თუ
თანავარსკვლავედი კიაფობდა საბრალო ტრამალის მგლის ცის კაბადონზე.

უკიდებანო, სილურჯემერთული შორეული მთებივით ნაზი და განწმენდილი შემომცქეროდა თვალებში გარდასული ბავშვობა და დედაჩემი. ზანზალაკების ხმად იღვრებოდა ჩემი მეგობრების გუნდი. აქვე იყო ზღაპრული ჰერმანიც, სულიერ ძმობას რომ დაეკავშირებინა ჰერმინესთან. უამრავი ქალის სახე ატორტმანდა ჩემ თვალწინ, ტბის სიღრმიდან ამოტივტივებული ყვავილივით სურნელოვანი და არამიწიერი. იყო დრო, ამ ქალებს ვეტრფოდი, მათი სურვილი მკლავდა და ვაღმერთებდი კიდეც, მაგრამ იმ ქალებიდან მხოლოდ ზოგიერთს თუ დავეუფლე და მათგან ერთი-ორი თუ მინდოდა საბედოდ. აი, ჩემი ცოლიც გამოჩნდა; მრავალი წელი გავატარეთ ერთად. ეს მან მასწავლა მეგობრობის, მორჩილებისა და ქედუხრელობის ყადრი. მართალია, მერე და მერე ბევრი დავიდარაბა დამატეხა თავს, მაგრამ ამ ქალის მიმართ ბოლომდე შემომრჩა ღრმა ნდობის გრძნობა, შემომრჩა იმ დღემდე, სანამ დასნეულდებოდა და შეიშლებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი უეცრად ამიჯანყდა და კი არ წავიდა, გაიქცა ჩემგან. ახლავა მივხვდი, როგორ მყვარებია ეს ქალი, როგორ მწამდა მისი, რაკი მისმა საქციელმა ასეთ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო და ასეთი ლახვარი ჩამცა. კვლავ უთვალავი სურათ-ხატი დამიდგა თვალწინ. ზოგისთვის შემეძლო თავისი სახელი მეწოდებინა, ზოგიც უსახელოდ მინავლოდიყო. უკლებლივ ყველა მათგანი, განახლებული და განწმენდილი, კვლავ ამოტივტივდა ჩემი ამღამინდელი სიყვარულის მორევებიდან, კვლავ შემახსენა თავი ამბებმა, ჩემი დარდების გადამკიდეს, დიდი ხნის წინათ რომ დამვიწყებოდა. დიახ, გამახსენდა, რომ ეს სურათ-ხატები წარმოადგენდნენ ჩემი ცხოვრების საუნჯესა და არსს. თურმე მარადიული ყოფილან ეს ვარსკვლავებად ქცეული ამბები, რომელთა დავიწყება მოვახერხე, მეხსიერებიდან წაშლა კი – ვერა! ამ ამბებმა კრიალოსნად აასხა ჩემი ცხოვრების ზღაპარი, ხოლო მათი ვარსკვლავისებური კიაფი ამქვეყნიური არსებობის უტყუარ საფასურად იქცა. იოლი ყოფა არასოდეს მქონია. ღუხჭირი, შეცდომებით სავსე და გაუხარელი იყო ჩემი ცხოვრება; ბევრი რამის უარყოფა მომიხდა და ბევრისგან განდგომაც, იმ მარილის სიმლაშეც ვიგემე, ყველა ადამიანის ბედ-იღბალს რომ ურევია. სამაგიეროდ ისეთი მდიდრული, დიახ, დიახ, მდიდრული და სიამაყით აღსავსე იყო ეს ცხოვრება, რომ იმ სიღუხჭირეშიც არ დაუკარგავს მეფური დიდებულება. რაღა თქმა უნდა, ვიცოდი, ბოლოს აღსასრულიც დადგებოდა, მაგრამ, რაც უნდა უბადრუკად წარმართულიყო იმ დღემდე ჩემი ცხოვრება, ახლა უკვე შემეძლო მეთქვა, რომ ეს ცხოვრება თვითმყოფადი იყო და სათავედ ანკარა წყარო ჰქონდა, ხოლო მისი მფლობელი საცოდავ გროშებს კი არ ეპოტინებოდა, სალოცავად ვარსკვლავებისკენ აღაპყრობდა ხელებს.

ეს ყველაფერი კარგა ხნის წინათ იყო. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა. ახლა უკვე აღარ მაგონდება იმღამინდელი ყველა წვრილმანი, ცალკეული სიტყვებილა მახსოვს ჩვენს ბაგეთაგან თქმული. მახსოვს ალერსიანი, ნაზი შეხება და ვარსკვლავებივით კაშკაშა წუთები, როცა სიყვარულით დაღლილებს ჩაგვეძინებოდა, შემდეგ კი ღრმა ძილს ძლივძლივობით ვაღწევდით თავს. აი, უკვე რა ხანია უფსკრულის პირას მდგომს, სწორედ იმ ღამით შემომანათა საკუთარმა ცხოვრებამ დაუნდობელი ელვარებით. იმ ღამით ხელახლა მივხვდი, რომ შემთხვევა თურმე ბედი ყოფილა და ჩემი გავერანებული ცხოვრების უდაბნოშიც შეიძლება ბჟუტავდეს ღვთაებრივი ლამპარი; და აი, კვლავ შვებით ამოისუნთქა სულმა, კვლავ დამიბრუნდა თვალისჩინი. იყო წუთები, თავში ლამის სისხლი ამვარდნოდა, როცა გავიფიქრებდი, საკმარისია ერთად მოვუყარო თავი ყველა ამ სურათ-ხატს, ჰარი

ჰალერისეული მგლური ცხოვრება ერთ მთლიან სურათად ვაქციო, რომ თავადაც შევერწყა ამ სურათ-ხატთა სამყაროს და უკვდავთა დასში ჩავირიცხო-მეთქი. ყველა ადამიანის მიზანი ხომ იქითკენ სწრაფვა და ამ დასთან შერწყმის მცდელობაა?!

დილით ერთად ვისაუბრეთ. მერე რის ვაივარდებით მოვახერხე და მარია შეუმჩნევლად გავაპარე სახლიდან. იმავე დღეს, იქვე მეზობელ უბანში ჩვენი მომავალი შეხვედრებისთვის პატარა ოთახი ვიქირავე.

ჰერმინეს სიტყვისთვის არ უღალატია, დაპირებისამებრ დადიოდა ჩემთან და ბოსტონიც მასწავლა. მკაცრი და დაუღალავი გამოდგა ჩემი მასწავლებელი, გაკვეთილი არ გამოუტოვებია; გადაწყვეტილი ჰქონდა კარნავალზე ერთად წავსულიყავით. თავისი კოსტიუმისათვის ფული გამომართვა, მაგრამ გამაფრთხილა, იცოდე არ მკითხო, როგორი იქნებაო. ჰერმინესთან სტუმრად მისვლა ჯერ ისევ აკრძალული მქონდა. ისიც არ ვიცოდი, სად ცხოვრობდა.

კარნავალამდე დარჩენილმა სამმა კვირამ შესანიშნავად ჩაიარა. ასე მეგონა, მარიასთან სატრფო ცხოვრებაში არ მყოლია-მეთქი. აქამდე რომ მიყვარდა, იმ ქალებისგან ყოველთვის ჭკუასა და განსწავლულობას მოვითხოვდი, იმას კი ვერ ვხვდებოდი, რომ ყველაზე გონიერი და განათლებული ქალიც კი უფრო ეწინააღმდეგებოდა ჩემს გონებრივ მოთხოვნებს, ვიდრე აკმაყოფილებდა მათ. ქალებთან შეხვედრისას საკუთარი ფიქრებითა და პრობლემებით ვიყავი დაკავებული და ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა საათზე მეტ ხანს გყვარებოდა ქალი, რომელსაც ერთი წიგნი არ წაეკითხა, არ იცოდა წიგნის ყადრი და ჩაიკოვსკისა და ბეთჰოვენს ერთმანეთისგან ვერ არჩევდა. მარიაც უსწავლელი გოგო იყო. მას არ სჭირდებოდა არც მიკიბ-მოკიბული გზებით სიარული და არც უცხო სამყაროს შეთხზვა-წარმოსახვა. ყველა მისი პრობლემა თვით გრძნობებიდან იზადებოდა. თავისი საოცარი სხეულისა და თმის ფერის, ხმის, კანისა და ტემპერამენტის წყალობით, მარიას სურდა, რაც შეიძლება, მძაფრად შეეგრძნო ღვთიით მომადლებული ვნებისა და სიყვარულის ნეტარება. ნატიფი სხეულის ჯადოსნური მიხრა-მოხრითა და კეკლუცობით ცდილობდა სატრფოსათვის საპასუხო სინაზე გამოეძალა, სასიყვარულო თამაშში ჩაება და ნეტარების მწვერვალზე აეყვანა ისიც და საკუთარი თავიც.

აი, რა იყო ამ ქალის ხელოვნება, მისი ცხოვრების მიზანი! ეს ყველაფერი ჯერ კიდევ იმ პირველი გაუბედავი ცეკვის დროს შევიგრძენი, ჯერ კიდევ მაშინ ვიყნოსე ამ გენიალური, უჩვეულოდ ნატიფი ვნებათა ღელვის სურნელი და აკი მოჯადოებულიც დავრჩი.

თქმა არ უნდა, ყოვლისმცოდნე ჰერმინეს მარია შემთხვევით არ მოუყვანია ჩემთან. ეს ქალი მთელი თავისი არსებით გაზაფხულისა და ვარდების სურნელს აფრქვევდა, მაგრამ ის ბედნიერება მაინც არ მაღირსა ღმერთმა, მარიას ერთადერთი სატრფო ვყოფილიყავი, ან თუნდაც მის თვალში სხვაზე მეტი უპირატესობა მქონოდა. ამ ქალისთვის მე ერთი მრავალთაგანი ვიყავი. დროს ხშირად ვერ პოულობდა ჩემთვის. ხანდახან ნაშუადღევს თითო საათს დამითმობდა ხოლმე, ღამის თევით კი იშვიათად თუ დარჩებოდა ჩემთან. მარია ფულს არ მართმევდა, ამიტომაც ეჭვი შემეპარა, ესეც ჰერმინეს ხრიკები იქნება-მეთქი. აი, საჩუქრებს კი სიამოვნებით იღებდა. თუ ვთქვათ, ტყავის საფულეს ვაჩუქებდი, ნებას მრთავდა შიგ წინასწარ

ორი-სამი ოქროს მონეტა ჩამედო. ჰო, მართლა, ის წითელი საფულე რომ ვაჩუქე, სიცილად არ იყო! თავისთავად საფულე ძალიან ლამაზი, მაგრამ ძველმოდური იყო. აქამდე ასეთი რაღაცეებისა ისევე არაფერი გამეგებოდა, როგორც ესკიმოსების ენისა, მარიასგან კი ბევრი რამ ვისწავლე. თავდაპირველად ის გავიგე, რომ ყველანაირი სამშვენიისი თუ მოდად ქცეული ფუფუნების საგანი სულაც არ არის სისულელე და ფულს დახარბებული მეწარმეებისა თუ საქმოსნების გამოგონილი რამ. ესაა საგანთა მშვენიერი, მრავალფეროვანი, პატარა ან, უფრო სწორად, დიდი სამყარო, რომლის ერთადერთი მიზანია ემსახუროს სიყვარულს, გაამძაფროს ვნებები, გააცოცხლოს ჩვენ გარშემო ჩამკვდარი სამყარო, შეგვძინოს სიყვარულის ახლებურად განცდის უნარი... და ეს საგნები, დაწყებული სუნამოთი, ბეჭდით, ქამრის ბალთითა თუ სამეჯლისო ფეხსაცმლით და დამთავრებული საპაპიროსეთი ან ჩანთით, მართლაც იძენდნენ ჯადოსნურ ძალას. ჩანთა, საფულე, ყვავილები თუ მარაო მარტოოდენ საგნებს როდი წარმოადგენდა. ეს ყოველივე სიყვარულის ჯადო-თილისმისა თუ ხიბლის მთელი არსენალი გახლდათ, ადამიანებს თავისებურ შიკრიკობასა თუ მეგზურობას რომ უწევდა.

ხშირად მიფიქრია, ნეტავ მარიას ვინმე თუ უყვარს-მეთქი. რატომღაც მეგონა, პაბლოს მიმართ ვერ იყო გულგრილი. ამ კაცს დაბინდული, შავი თვალები ჰქონდა და გრძელი, ფერმკრთალი, ნატიფი ხელები. ერთხელ ვუთხარი კიდეც, რატომღაც მგონია, ალერსის დროს პაბლო ძალიან ზანტი, ნებიერი და ზოზინა უნდა იყოს-მეთქი, მარიამ ამაზე მიპასუხა: სულაც არაო. მართალია, ნელა აღიგზნება, მაგრამ თანდათანობით მთელი სხეული კაი მოკრივესავით ან მოჯირითესავით ეძაბება და ძალზე ვაჟკაცური, მომთხოვნი ხდებაო. ასე და ამრიგად, ამა თუ იმ მუსიკოსსა თუ მსახიობზე, ჩვენი წრის ქალებსა თუ კაცებზე არა ერთი და ორი საიდუმლო შევიტყვე, გავხედე ადამიანების მტრული თუ მეგობრული ურთიერთობების ზედაპირს და ამ სამყაროში თანდათანობით გავშინაურდი (ეს მე, ვინც ამ სამყაროში სრულიად უცხო კაცად ვგრძნობდი თავს!). ჰერმინეზეც ბევრი რამ გავიგე. განსაკუთრებით ხშირად ახლა პაბლოს ვხვდებოდი – მარიას რჩეულს. ქალი დროდადრო მის იდუმალ წამლებს ხმარობდა და ამ უებარი საშუალებებით მეც მიმასპინძლდებოდა. პაბლოც სულ ერთთავად ჩემი გულის მოგებას ცდილობდა. ერთხელ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მითხრა:

– გეტყობათ, ძალიან უბედურ კაცად მიგაჩნიათ თავი. არ ვარგა ასე! გულწრფელად ვწუხვარ. ცოტ-ცოტა ოპიუმი ხომ არ მოგეწიათ?

თანდათან მეცვლებოდა აზრი ამ გონიერ, მიამიტ და თან შეუცნობელ ადამიანზე. მერე და მერე დავმეგობრდით კიდეც და მისი წამლებითაც ხშირად ვსარგებლობდი. გრძნობდა, მარია რომ მიყვარდა და ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ ეჩვენებოდა. ერთხელ პაბლომ „წვეულება“ მოაწყო თავის ბინაზე. სადღაც ქალაქგარეთ, სასტუმროს მანსარდაზე ცხოვრობდა. ოთახში მხოლოდ ერთი სკამი ედგა და მე და მარიას საწოლზე მოგვიხდა ჯდომა. პაბლომ სამი სხვადასხვა ბოთლიდან რაღაც სასმელი შეაზავა და ბოლოს უჩვეულო გემოს ლიქიორი დაგვალევინა. მერე კი, კარგ გუნებაზე რომ დამიგულა, თვალებანთებულმა შემომთავაზა, სამივემ ერთად გავმართოთო სასიყვარულო ორგიაო. ცივად ვიუარე, რადგან ასეთი რამ ყოვლად უღირსი მომეჩვენა, თან ცალი თვალი მარიასკენ გავაპარე, აბა ის რა აზრისაა-მეთქი. ქალმა მაშინვე მე ამიბა მხარი, არადა, მის

ანთებული მზერაში სინანული ამოვიკითხე. პაბლოს ეწყინა ჩემი უარი, მაგრამ არ შემომწყრომია.

– საწყენია, – თქვა მან, – ჰარის ზოგჯერ მეტისმეტად მოეძალება ხოლმე სინდისი. ისე კი, დიახაც რომ დიდებული, მართლაც დიდებული რამ იქნებოდა! თუმცა სამაგიეროდ აი, ეს შემთხვევა შემოგთავაზოთ!

პაბლომ ყალიონი მოგვაწევინა, მერე, თვალეზგახელილები, უძრავად ვისხედით და სამივენი ჩვენ-ჩვენს წარმოსახვაში იმ სცენას განვიცდიდით, პაბლომ რომ შემოგვთავაზა. ვნებააშლილი მარია მთელი ტანით ცახცახებდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი შეუძლოდ ვიგრძენი. პაბლომ ლოგინზე დამაწვინა და წვეთები დამალევინა. უეცრად ჯერ ერთ, მერე მეორე ქუთუთოზე ვიღაცამ ტუჩები შემახო, სიოსავით მსუბუქი და ნაზი. თავი ისე დავიჭირე, ვითომ მეგონა, მარიამ მაკოცა-მეთქი, თუმცა კი მშვენივრად ვიცოდი, რომ პაბლო მკოცნიდა.

ყველაზე მეტად ამ კაცმა მაშინ გამაოცა, როცა ერთ საღამოს შინ მეწვია და მითხრა, ოცი ფრანკი მჭირდება, თუ მომცემ, ამაღამ მარიას დაგიტომობო.

– პაბლო, – წამოვიძახე შეშინებულმა, – გესმით კი, რას ამბობთ? განა იმაზე სამარცხვინო რა არის, შენი სატრფო ფულზე დაუთმო ვიღაცას? არა, თქვენი ნათქვამი ვითომ არც გამიგია!

თანაგრძნობით შემომხედა.

– ნება თქვენია, ბატონო ჰარი! რაც არ გინდათ, ღმერთმა ნუ მოგცეთ. თქვენვე ირთულებთ ხოლმე ცხოვრებას! კარგი, რაკილა ასე გნებავთ, ნუ გაატარებს ამაღამდელ ღამეს მარიასთან, ფული კი სესხად მომეცით, სასწრაფოდ მჭირდება, იცოდეთ, აუცილებლად ჩაგასესხებთ.

– რისთვის გჭირდებათ?

– აგოსტინოსთვის მინდა. თქვენ იცნობთ; აი, იმ ჩია კაცზე ვამბობ, მეორე ვიოლინოზე რომ უკრავს. შეუძლოდაა, ეს ერთი კვირაა უპატრონოდ გდია და თან კაპიკი ფული არა აქვს. მეც სწორედ ახლა ვარ ჯიბეგაფხეკილი.

ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, თან გადავწყვიტე საკუთარ თავზე შური მეძია და აგოსტინოსთან გავყევი, ერთ-ერთი სახლის სხვენზე რომ ჰქონდა ღარიბული ბინა. პაბლომ რძე და წამალი მიუტანა, ლოგინი გაუსწორა, ოთახი გაუნიავა და სიცხისგან გათანგულს, შუბლზე ისე კოხტად და მოხერხებულად დაადო საფენი, მოწყალების დასაც შეშურდებოდა. იმავე საღამოს „სიტი“ ბარში ვნახე პაბლო, გათენებამდე საქსოფონზე უკრავდა.

ჰერმინესთან ხშირად მისაუბრია მარიაზე, მის ხელებზე, მხრებსა თუ თეძოებზე, ხშირად მთელი გრძნობით გაგვიხსენებია, როგორი სიცილი და კოცნა იცოდა, როგორ ცეკვავდა.

– ეს თუ გაჩვენა მარიამ? – მკითხა ერთხელ ჰერმინემ და ამიწერა, კოცნის დროს როგორ უნდა ენის ტრიალი. ვთხოვე, თვითონ მაჩვენე-მეთქი. პასუხად შემომიბღვირა და, მაგის დრო ჯერ არ არის, ჯერ შენი სატრფო არ გავმხდარვარო, ასე მომიგო.

კვითხე, ასე დაწვრილებით საიდან იცი მარიას კოცნის ხელოვნება და ამ ქალის კიდეც ბევრი ისეთი საიდუმლო, რაც შეიძლება მხოლოდ მისმა შეყვარებულმა იცოდეს-მეთქი.

– ო, – წამოიძახა ჰერმინემ, – ჩვენ ხომ მეგობრები ვართ! ნუთუ გგონია, ერთმანეთს რაიმეს ვუმალავთ? ხშირად ლოგინიც ერთი გვქონია და გვიცელქია კიდეც. არა, რაც მართალია, მართალია, ბრწყინვალე გოგო გამოიჭირე. მაგასთან ვერავინ მოვა.

– ჰერმინე, შენ და მარიას ალბათ მაინც გექნებათ ისეთი საიდუმლო, ერთმანეთს რომ ვერ გაანდობთ. ნუთუ ჩემზეც მოუყევი ყველაფერი?

– არა, ეს სულ სხვა ამბავია. მარია ამას ვერ მიხვდება. ბრწყინვალე გოგოა, და ბედნიერი კაცი ყოფილხარ, მას რომ შეხვდი, მაგრამ მე და შენ შორის ისეთი ამბები ტრიალებს, მარია თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. ისე კი, რომ იცოდე რამდენი რამ ვუამბე შენზე! ბევრი ისეთიც ვუთხარი, შენ რომ არ მომიწონებ, მაგრამ რა მექნა?! რაღაცით ხომ უნდა მეცდუნებინა, რომ შენთან მოსულიყო? ჩემო კარგო, გახსოვდეს: ჩემზე უკეთ ვერც მარია გაგიგებს და ვერც ვინმე სხვა. მარიამ რაღაც-რაღაცები მომიყვა შენზე. ასე რომ, რაც იმან იცის, მეც ვიცი და უკვე ისე კარგად გიცნობ, თითქოს ბევრჯერ გაგვეზიარებინოს სარეცელი.

მერე კვლავ შევხვდი მარიას. ვუყურებდი და ვერაფრით ვიჯერებდი, როგორ შეეძლო ჰერმინეც ჩემსავით ყვარებოდა, მის თმასა და სხეულს ასევე მოაღერებოდა და ეკოცნა, ასევე დამტკბარიყო, ნეტარება ეგრძნო. და აი, უეცრად სრულიად ახალი, ორჭოფული და რთული ურთიერთდამოკიდებულების წინაშე აღმოვჩნდი. მივხვდი, რამდენი შესაძლებლობა იმალებოდა ცხოვრებისა თუ სიყვარულის წიაღში და იმ ათასი სულის პატრონი ტრამალის მგელი გამახსენდა, ტრაქტატში რომ იყო აღწერილი.

მარიას გაცნობის დღიდან დიდ კარნავალამდე ცოტა დროლა რჩებოდა. მართალია, თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ განცდა იმისა, თითქოს ეს იყო ჩემთვის ხსნა და ნეტარების მწვერვალი, არასოდეს მქონია. სულ უფრო და უფრო აშკარად ვგრძნობდი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომ ყველაფერი წინა მაქვს და მოსახდენი ჯერ კიდეც არ მომხდარა.

ცეკვა უკვე იმდენად კარგად ვისწავლე, რომ შეიძლებოდა კარნავალშიც მიმეღო მონაწილეობა. ამასობაში ყველას კარნავალი ეკერა პირზე.

ჰერმინეს თავისი საიდუმლო ჰქონდა. ვერაფრით წამოვაცდენინე, რას ჩაიცვამდა ზეიმზე. ალბათ მაინც მიცნობ, თუ არადა, მე თვითონ მიგახვედრებ, წინასწარ კი არაფერს გეტყვიო, – მეუბნებოდა. ჰერმინე ჩემი ტანსაცმლით დიდად არ დაინტერესებულა, ამიტომაც გადავწყვიტე ზეიმზე არაფერი ჩამეცვა საგანგებო. მარია კარნავალზე რომ დავპატიჟე, ასე მიპასუხა, უკვე მიწვეული ვარო, და შესასვლელი ბილეთიც მაჩვენა. იმედგაცრუებული დავრჩი. გული მწყდებოდა, რომ ზეიმზე მარტოდმარტო მომიხდებოდა მისვლა. ხელოვნების მესვეურები ყოველწლიურად მართავდნენ ასეთ კარნავალს „გლობუსის“ დარბაზებში და იგი მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ თავყრილობად ითვლებოდა.

იმ დღეებში იშვიათად ვხვდებოდი ჰერმინეს. კარნავალის წინა დღესაც მხოლოდ

ცოტა ხნით შემომიარა: ბილეთი მქონდა მისთვის ნაყიდი და უნდა წაეღო. ერთხანს მშვიდად იჯდა სავარძელში, მერე კი ჩვენ შორის ის სამახსოვრო საუბარი გაიმართა, ასე ძლიერ რომ იმოქმედა ჩემზე.

– ახლა კი, ვგონებ, კარგად უნდა გრძნობდე თავს! – მითხრა ჰერმინემ, – ცეკვა მშვენივრად ისწავლე. კაცს თუ ერთი თვე არ უნახიხარ, ველარც კი გიცნობს.

– მართალია, – ვაღიარე მე, – კარგა ხანია, ასე ჩემს გემოზე აღარ მიცხოვრია. ყველაფერ ამას შენ უნდა გიმადლოდე, ჩემო ჰერმინე.

– ო, შენ ფიქრობ, რომ მე უნდა მიმადლოდე და არა მშვენიერ მარიას?

– განა თავად მარიაც შენგან ბოძებული წყალობა არ არის?! მართლაც რომ დიდებული ქალია.

– დიახ, ტრამალის მგელო, შენ რომ გჭირდებოდა, სწორედ ის ქალია: ლამაზი, ახალგაზრდა. ახლა ისიც თქვი, სიყვარულში როგორაა გაწაფული?! თან ყოველდღიურად ხელმისაწვდომიც არ არის. გამოტყდი, მარიას სხვა კაცებიც რომ არ ჰყავდეს და იშვიათი სტუმარი არ იყოს შენი, ასე კარგად ხომ ვერ აეწყობოდა საქმე?!

დიახ, ჰერმინე ამაშიც მართალი იყო და მეც დავეთანხმე.

– ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ, რაც გინდოდა, ყველაფერი აისრულე, არა?

– არა, ჰერმინე, მაგას ნუ იტყვი. თქმა არ უნდა, ჩემს ცხოვრებას თავისებური ეშხი და ლაზათი მიეცა, ახლა ამქვეყნად რაღაც მახარებს და მანუგეშებს. ზოგჯერ მგონია, ბედნიერიც კი ვარ-მეთქი, მაგრამ...

– აი, ხომ ხედავ! სხვა რაღა გინდა?

– რა და, უფრო მეტი მინდა. ჩემთვის მაინცდამაინც ბევრს არაფერს ნიშნავს ის ამბავი, რომ ბედნიერი ვარ; განგებას ამისთვის არ გავუჩენივარ, ბედნიერება სულაც არაა ჩემი დანიშნულება.

– მაშ რა გინდა? უსათუოდ უბედურ ადამიანად უნდა გრძნობდე თავს? ნუთუ არ მოგბეზრდა ეს ყველაფერი? ნუთუ უკვე დაგავიწყდა, სამართებელზე ფიქრი რომ არ გასვენებდა და შინ ვერ ჩერდებოდი?

– არა, ჰერმინე, არა. მართალია, მაშინ ძალიან უბედური მეგონა თავი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს უაზრო, სულელური უბედურება იყო.

– ვითომ რატომ?

– რატომ და, რაკილა სიკვდილი მინდოდა, აღარც უნდა მშინებოდა მისი. ის უბედურება კი, მე რომ მჭირდება და ასე ვნატრობ, სულ სხვაა. მან ტანჯვა უნდა მომაწყუროს და სიკვდილი მანატრებინოს. აი, სწორედ ასეთ უბედურებას თუ ბედნიერებას ვნატრობ.

– მშვენივრად მესმის შენი. ამაში მე და შენ ღვიძლი და-ძმასავით ვართ. მაგრამ რატომ გაურბიხარ იმ ბედნიერებას, მარიასთან რომ იპოვე? რატომ არა ხარ კმაყოფილი?

– არა, ამ ბედნიერებაზე უარს როდი ვამბობ, კმაყოფილი ვარ და მაღლობის მეტი არაფერი მეტქმის. ეს ბედნიერება მზიან დღეს მაგონებს, წვიმიან შემოდგომაზე რომ გამოერევა ხოლმე, მაგრამ ვგრძნობ, დიდი დღე არ უწერია, რადგან უნაყოფოა იგი; მართალია, კმაყოფილებას კი განმაცდევინებს, მაგრამ ჩემს სულსა და გულს არ ეკარება. ასეთი ბედნიერება ტრამალის მგელს თვლემას ჰგვრის, მალე მოყირჭდება და არა ღირს იმად, რომ ადამიანმა მას თავი ანაცვალოს.

– ტრამალის მგელო, მაშ, სიკვდილი აუცილებელი ყოფილა შენთვის?!

– დიახ, სწორედ რომ ასეა! დიდი ბედნიერება მხვდა წილად, მინდა კიდევ დიდხანს განვიცადო იგი. მართალია, ეს ბედნიერება დროდადრო ხელიდან მეცლება, მეც გონს მოვდივარ და სევდას მივეცემი ხოლმე, მაგრამ ამ ბედნიერების შენარჩუნება კი არ მაღარდება! მთელი ჩემი ფიქრი იქითკენაა მიპყრობილი, ვიტანჯო, ოღონდ წინანდელზე უფრო ლამაზად და ღირსეულად. მე ისეთ ტანჯვაზე ვოცნებობ, სიკვდილისთვის რომ შემამზადებს და დამიყოლიებს.

ჰერმინემ ნაზი და თან დაბინდული მზერა შემავლო. დროდადრო სჩვეოდა ხოლმე ასეთი გამოხედვა. ო, რა დიდებული და თან შემზარავი თვალები ჰქონდა! ძალიან ხმადაბლა, ნელ-ნელა, თითქოს სიტყვებს მარცვლავსო, ლაპარაკი წამოიწყო. მთელი არსებით დავიძაბე, რომ მისი ნათქვამი გამეგონა:

– დღეს რაღაც ისეთი მინდა გითხრა, რაც დიდი ხანია ვიცი. შენც იცი ეს, თუმცა საკუთარ თავს ვერ გატყდომიხარ. ახლა იმას გეტყვი, რაც მე და შენ, ჩვენ ორივეს ბედ-იღბალს შეეხება. ჰარი! შენ ხელოვანი და მოაზროვნე კაცი იყავი, აღვსილი სიხარულითა და რწმენით; ყოველთვის ელტვოდი რაღაც დიდსა და მარადიულს და არასოდეს გაკმაყოფილებდა მცირე, რაგინდ მშვენიერიც უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ, რაც უფრო მეტად გაფხიზლებდა და საკუთარ თავთან პირისპირ გაყენებდა ცხოვრება, მით უფრო მეტად ეძლეოდი ტანჯვას, შიშსა და სასოწარკვეთას. შენს თვალში უფასურდებოდა ყოველივე მშვენიერი და წმინდა, რასაც უწინ შენატროდი და ეთაყვანებოდი. მერე თანდათან გაგიქრა ადამიანებისა და ჩვენი მაღალი დანიშნულებისადმი რწმენა და სუნთქვა გაგიჭირდა. სულის ხუთვა კი სიკვდილის უსასტიკესი ნაირსახეობაა. ხომ ასეა, ჰარი? ხომ ასეთი ბედი გარგუნა განგებამ?

თანხმობის ნიშნად ისევ და ისევ ვუქნევდი თავს.

– ცხოვრებაზე შენეული წარმოდგენა გქონდა, აღვსილი იყავი რწმენითა და მიზნებით, თავს დასდებდი საგმირო საქმეებისათვის, არ შეეპუებოდი მსხვერპლსა და ტანჯვას მაგრამ მერე თანდათან დაინახე, რომ ამქვეყნად არავინ მოითხოვს შენგან გმირობას, მსხვერპლის გაღებასა და სხვა ამგვარებს, რომ ეს ცხოვრება გმირობითა და თავგანწირული საქმეებით აღსავსე პოემა როდია! დიახ, მიხვდი, რომ ჩვენი ცხოვრება ერთი პატარა ბიურგერული სენაკია თურმე, სადაც ადამიანები სავსებით კმაყოფილდებიან ჭამით, ყავის სმითა და წინდის ქსოვით, ბანქოს თამაშითა და რადიომუსიკის მოსმენით, და თუკი ადამიანი შენატრის გმირობასა და მშვენიერებაზე ოცნებას, თუკი პატივისცემითაა განმსჭვალული დიდი პოეტებისა თუ წმინდანების მიმართ, მას სულელად მიიჩნევენ და დონკიხოტად ნათლავენ. დიახ, ასე ხდება ხოლმე; ჰოდა, მეც იგივე დამემართა, ჩემო მეგობარო! ურიგო გოგო არ ვიყავი. ჩემი დანიშნულება ამქვეყნად ის იყო, მაღალი იდეალებით მეცხოვრა,

საკუთარი თავისთვის დიდი მოთხოვნები წამეყენებინა და ღირსეული საქმეებისათვის დამედგა თავი. მე ისიც შემეძლო, მძიმე ხვედრი მეტვირთა: ყოფილიყავი მეფის თანამეცხედრე, რევოლუციონერის სატრფო, გენიოსის და ან მწვალელების დედა. ბედმა კი, მართალია, გემოვნებიან, მაგრამ მაინც კურტიზან ქალად მაქცია მხოლოდ და ესეც დიდის დავიდარაბით მოვახერხე! აი, ასე წარიმართა ჩემი ცხოვრება. ერთხანს ნუგეშს ვერ ვპოულობდი და ყველაფერს საკუთარ თავს ვაბრალებდი. სიმართლე ხომ ყოველთვის ცხოვრების მხარეზეა და, რაკილა ცხოვრებამ ჩემს მშვენიერ ოცნებებს ასე დასცინა, ეს ოცნებები, ეტყობა, სულელური და ფუჭი ყოფილა-მეთქი, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეში იყო. სმენა და მხედველობა კარგი მქონდა, არც ცნობისმოყვარეობა მაკლდა და აი, ეგრეთ წოდებულ ცხოვრებას ახლა უკვე სხვა თვალთ შევხედე. ზედმიწევნით შევისწავლე ჩემი ნაცნობ-მეგობრები, დავაკვირდი ორმოცდაათიოდე ადამიანის ბედ-იღბალს, და იცი, რა დავინახე? თურმე სიმართლე ჩემი ოცნებების მხარეზე ყოფილა! ასეთივე მართალი ოცნებები გქონდა შენც, ხოლო ცხოვრება და სინამდვილე ტყუოდა და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ჩემისთანა ქალს სხვა გზა არ ჰქონდა, ან ვიღაც საქმოსნის ხასა უნდა გამხდარიყო, ანდა ლუკმა-პურის ძებნაში და საბეჭდი მანქანის კაკუნში უაზროდ ჩაბერებულიყო. შესაძლოა, იმ საქმოსანს ფულების გამო ცოლადაც გაჰყოლოდა, ან არადა, როსკიპობა დაეწყო. დიახ, ეს ყველაფერი ისეთივე უსამართლობა იყო, როგორც ის, რომ შენისთანა კაცს განგება სიმართლევს, შიშსა და სასოწარკვეთას არგუნებს ხვედრად და იძულებულს ხდის სამართებელს დაავლოს ხელი. ეტყობა, ჩემი გაჭირვება უფრო მატერიალური და ზნეობრივი ხასიათისა იყო, შენი კი სულიერი, მაგრამ გზა ერთნაირი განვვლეთ. ალბათ გგონია, არ მესმის, რატომ გეშინია ფოქსტროტის ცეკვა, რატომ გძულს ბარები და საცეკვაო დარბაზები, რატომ აგითვალწუნებია ჯაზური მუსიკა და მთელი ეს სისულელე? არა, ყველაფერი მშვენივრად მესმის. მე ისიც კარგად ვიცი, რატომ გეზიზღება პოლიტიკა, რატომ გაღიზიანებს პარტიისა თუ პრესის უაზრო ლაქლაქი და უპასუხისმგებლო აურზაური, მესმის, რატომ გაგდებს სასოწარკვეთილებაში წარსული თუ მომავალი ომი, ასე რატომ მოქმედებს შენზე თანამედროვე ადამიანის ფიქრის, კითხვის, შენების, მუსიკის შექმნის, ზეიმთა-ზეიმის თუ სწავლა-განათლების დაუფლების ყაიდა! ვაი, რომ მართალი ხარ... დიახ, შენს მხარეზეა სიმართლე და მაინც გარდაუვალი დაღუპვა გელის. დღევანდელი მარტივი, მცონარა და უხეში სამყაროს კვალობაზე ერთობ მომთხოვნი და ხარბი ჩანხარ. იგი თავისი სტომაქიდან უკან ამოგანთხევს და მოგისვრის, რადგან ამ სამყაროსთან შედარებით განგებამ ერთით მეტი განზომილება დაგაბედა. ჩვენისთანა ადამიანებს დღეს ცხოვრება და ამ ცხოვრებით ტკბობა არ უწერიათ. ის, ვინც წრიპინის ნაცვლად მუსიკას მოითხოვს, სიამოვნების ნაცვლად – სიხარულს, ანცობის ნაცვლად – ჭეშმარიტ ვნებათა ღელვას – ამ დიდებულ სამყაროში შინაურულად ვერ იგრძნობს თავს...

ქალმა თვალები დახარა და დაფიქრდა.

– ჰერმინე, ჩემო დაიკო! რა მშვენიერი თვალები გაქვს! – ვუთხარი ნაზად, – აკი შენ მასწავლე ფოქსტროტი, მაგრამ ისიც ამიხსენი, რას გულისხმობდი, როცა მითხარი: – ჩვენისთანა ადამიანებს, ვისაც ერთი განზომილებით მეტი აქვთ, ამ ცხოვრებით ტკბობა არ უწერიათ. გამაგებინე, რა ხდება? მხოლოდ დღესდღეობითაა ასე თუ ყოველთვის ასე იყო?

– არ ვიცი. არ მინდა ამ ცხოვრებაზე სულ მთლად ჩავიქნო ხელი, ამიტომაც ვცდილობ, ვირწმუნო, რომ ასეთი რამ მხოლოდ ჩვენს დროებაში ხდება, რომ ეს მხოლოდ მისი სენია, მისი ამჟამინდელი უბედურება. ქვეყნის მესვეურნი ჯიქურ და არცთუ უშედეგოდ ემზადებიან ახალი ომისათვის, ჩვენ კი ამასობაში ფოქსტროტს ვცეკვავთ, ფულებს ვიხვეჭთ და შოკოლადს მივირთმევთ. ამ დროს ხომ სამყარო ერთობ მარტივად უნდა გამოიყურებოდეს! მოდი, ნუ დავკარგავთ იმედს, დაე გვეგონოს, რომ არსებობდა უკეთესი ხანა და კვლავაც იარსებებს, რომ ისევ დადგება უფრო მდიდარი, ლალი და გონიერი დროება; მაგრამ ეს ჩვენთვის რა შელავათია?! ან იქნებ ყოველთვის ასე იყო...

– ყოველთვის ასე იყო, როგორც დღეს? როგორ, ნუთუ ეს ქვეყანა მუდამ პოლიტიკოსების, სპეკულანტების, ლაქიებისა და დარდიმანდების საპარპაშო სარბიელი იყო და კაცურ კაცს აქ სული ეხუთებოდა?

– შესაძლოა ასეც იყო. არ ვიცი და მაგას ვერც ვერავინ გეტყვის. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ამას? ჩემო კარგო, ახლა შენს სათაყვანო ადამიანზე, მოცარტზე ვფიქრობდი. გახსოვს, ხანდახან მიყვებოდი და წერილებსაც მიკითხავდი მასზე. იმას როგორღა წაუვიდა საქმე? განა იმ დროს ვინ განაგებდა ქვეყანას? ვინ იხვეჭდა მოსახვეჭს, ვის ეპყრა ხელთ მართვა-გამგებლობის სადავეები, მოცარტსა თუ მავან საქმოსნებს, მოცარტსა თუ გონებაჩლოუნგ კაცუნებს? აბა გაიხსენე, როგორ მოკვდა და როგორ დამარხეს? ჰოდა, როგორც ყოფილა, ისე იქნება აწ და მარადის. მოგეხსენება, სკოლებში ასწავლიან საგანს, „მსოფლიო ისტორია“-ს რომ უწოდებენ. რატომღაც ფიქრობენ, მისი ზედმიწევნით ცოდნა აუცილებელია განათლებული კაცისთვისო. არადა, ამ ისტორიის გმირები, გენიოსი ადამიანები, იქ აღწერილი საგმირო საქმეები თუ გრძნობები მოგონილია, სკოლის მასწავლებლების მონაჩმანია, ვითომ ბავშვების გასანათლებლად და მათთვის გონების გასავარჯიშებლად მოგონილი. ასე ყოფილა ათადან-ბაბადან: დრო, ქვეყნიერება, ფული და ძალაუფლება მუდამჟამს ჩლოუნგი, ჭკუათხელი ადამიანების ხვედრი იყო, ხოლო დანარჩენებს, ჭეშმარიტ ადამიანებს არაფერზე მიუწვდებოდათ ხელი... დიახ, არაფერზე, გარდა სიკვდილისა.[57]

– ნუთუ მხოლოდ ესაა მათი წილხვედრი?

– არა, მათ კიდევ მარადისობა რჩებათ.

– მომავალ თაობებში გადასულ სახელსა და დიდებას გულისხმობ?

– არა, ჩემო მგელუკავ, დიდება სულაც არ მიგულისხმია, ან კი, რა ფასი აქვს მას?! ნუთუ გგონია, ყველა ჭეშმარიტმა ადამიანმა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, სახელი გაითქვა და თაობებისთვის ცნობილი გახდა?..

– რა თქმა უნდა, არა!

– აი, ხომ ხედავ, დიდებას არ ვგულისხმობდი. დიდება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო ცნებაა და ამიტომაც მასწავლებლების საზრუნავი გახლავს. არა, დიდება არამც და არამც არ მიგულისხმია. იმას კი, რასაც მე მარადისობას ვუწოდებ, მორწმუნენი სასუფეველს ეძახიან. ჰოდა, გუნებაში მიფიქრია ხოლმე: ჩვენისთანა ადამიანები, ამ ქვეყნისგან რაღაც უფრო მეტს რომ მოვითხოვთ, კაემანი რომ გვჭამს და განგებას ერთი ზედმეტი განზომილებით

დავუჯილდოებდნენ, საერთოდ ვერ იბოგინებდნენ, ამ სამყაროს მიღმა რომ არ არსებობდეს კიდეც სხვა, ზეგარდმო სამყაროს სუნთქვა, დროის მიღმა რომ არ არსებობდეს მარადისობა. აი, სწორედ იქ დაუდვია ბინა ჭეშმარიტების საუფლოს, იგი მოიცავს მოცარტის მუსიკასა თუ შენი სათაყვანებელი პოეტების ლექსებს. ამ საუფლოს განეკუთვნებიან წმინდანებიც, სასწაულებს რომ ახდენდნენ, მოწამებრივი სიკვდილით რომ იხოცებოდნენ და ადამიანებს ბრწყინვალე მაგალითს უჩვენებდნენ. მარადისობა ხვედრია ასევე ყოველი ჭეშმარიტი ნაღვაწისა თუ გრძნობისა, თუმცა შესაძლოა, ამის თაობაზე არავის არაფერი სმენია, არავის არაფერი უნახავს, არ ჩაუწერია და არც შთამომავლობისთვის შემოუნახავს.

– მართალი ხარ, – ვუთხარი ჰერმინეს.

– ღვთისმოსავები ამაში მაინც ყველაზე უკეთ ერკვეოდნენ, – განაგრძო ჰერმინემ დაფიქრებით, – სწორედ ამიტომ მოიგონეს წმინდანთა დასი და ის, რასაც „წმინდანთა თანა შერაცხვა“ უწოდეს. წმინდანები ჭეშმარიტი ადამიანები, მაცხოვრის უმცროსი ძმები არიან. მთელი ჩვენი სიცოცხლე მათკენ მიმავალ გზაზე სვლაა, სწორედ იქით მივყავართ ყოველ კეთილ საქმეს, გაბედულ აზრსა თუ სიყვარულს.

წმინდანთა დასს, ამ მშვიდ, მშვენიერებით გაცისკროვნებულ სახეებს, მხატვრები უწინ ცის კაბადონზე გამოსახავდნენ ხოლმე. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ის, რასაც წელან „მარადისობა“ ვუწოდე. ტრამალის მგელო, სწორედ ესაა დროისა და მოჩვენებითი ხილულობის მიღმა მდებარე სამეფო, სწორედ იქაა ჩვენი ადგილსამყოფელი, ჩვენი სავანე; იქითკენ მივილტვით სულითა და გულით და, სიკვდილსაც ამიტომ შევნატრით ასე სასოებით. იქ კვლავ ჰპოვებ შენს გოეთეს, ნოვალისსა და მოცარტს, მე კი – ყველა ჩემს წმინდანს: ქრისტეფორეს, ფილიპო ნერისა და სხვებს[58]. წმინდანებს შორის ბევრი იყო ცოდვილი. ვინ იცის, იქნებ ცოდვაც გზა იყოს წმინდანობისკენ, ღიახ, ცოდვაცა და მანკიერებაც. ალბათ გაგეცინება, მაგრამ ხშირად მიფიქრია, ხომ შეიძლება ის ჩემი მეგობარი პაბლოც იდუმალი წმინდანი იყოს-მეთქი. ეჰ, ჰარი, რამდენი სიბინძურე და უაზრობა უნდა გამოვიაროთ, რომ შინ მივიდეთ! [59] არადა, კაცი არ მეგულება, შინისაკენ მიმავალი გზა მიგვანიშნოს. ამ გზაზე ჩვენი ერთადერთი მეგზური მშობლიურ კერიაზე კაეშანია.

უკანასკნელი სიტყვები ჰერმინემ კვლავ ძლივს გასაგონად წარმოთქვა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მზე ჩადიოდა. მის სხივებში კიაფობდა წიგნების ოქროსფერი ვარაყი. ჰერმინეს თავი ხელებში მოვიქციე, შუბლზე ვეამბორე და ლოყა ლოყაზე დაძმურად მივადე. ერთხანს ასე ვიყავით გაყუჩებული. ახლა იმას ვნატრობდი, რაც შეიძლება დიდხანს ვმსხდარიყავით ასე და აღარსად ვყოფილიყავით წასასვლელი, მაგრამ მარია შემპირდა, ამაღამ, დიდი მეჯლისის წინა ღამეს, შენი ვიქნებიო.

მარიასთან შესახვედრად კი მივდიოდი, მაგრამ ფიქრებით სხვაგან დავფრინავდი. ახლა მხოლოდ ჰერმინეს სიტყვებს დაეპყრო ჩემი გონება. ასე მეგონა, რაც მისგან მოვისმინე, ჩემი საკუთარი აზრებია-მეთქი. ამ ნათელმხილველმა ქალმა ჯერ იყო და ჩემს გულში ამოიკითხა, მერე საკუთარ თავს შთააგონა ეს აზრები და ყველაფერი სულ სხვა თვალთა დამანახა. იმ წუთში განსაკუთრებით მადლიერი ვიყავი

ჰერმინესი იმის გამო, რომ მარადისობაზე ჩამოაგდო სიტყვა, რადგან ეს ჩემთვის ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო. დღეს ჩემმა ცეკვის მასწავლებელმა და მეგობარმა ხელახლა დამანახა დროის მიღმა არსებული იმპვენიური წმინდა ცხოვრება, მაჩუქა მუდმივ ფასეულობათა ღვთიური სამყარო. უნებურად სიზმარში ნანახი გოეთე გამახსენდა, თვალწინ დამიდგა მოხუცი ბრძენის სახე, არაადამიანური სიცილით რომ იცინოდა და მისეულ, უკვდავ ყაიდაზე მექილიკებოდა. ახლალა მივხვდი, თუ რას ნიშნავდა გოეთეს სიცილი, უკვდავთა სიცილი! [60] ეს სიცილი ნათელი სხივივით კიაფობდა. ასეთ სხივს ასხივებს ხოლმე ჭეშმარიტი ადამიანი, როცა იგი მიწიერი ტანჯვით, ცოდვა-მადლის განკითხვით, ვნებათა ღელვით თუ გაუგებრობებით აღსავსე გზას გაივლის და სივრცეში მარადისობისაკენ გაიჭრება. ეს მარადისობა კი სხვა არაფერია, თუ არა დროის არტახებიდან განთავისუფლება, უცოდველობისკენ დაბრუნება, სივრცედ უკუქმნა.

მივათვალთ-მოვათვალთერე ის ადგილი, სადაც მე და მარია საღამოობით ვვახშობდით ხოლმე. ჯერ არ მოსულიყო. აი, მის მოლოდინში, განაპირა უბნის წყნარ სამიკიტნოში ვიჯექი და ჰერმინესთან საუბარი მიტრიალებდა თავში. წელანდელი აზრები ისეთი ნაცნობი და მშობლიური მეჩვენებოდა, თითქოს ისინი ჩემი საკუთარი მითოლოგიის, ჩემი ყველაზე სანუკვარი ხილვების სამყაროდან ამოტივტივებულიყო! საოცარია, საიდან მეცნობოდა ეს ყველაფერი? საიდან ვიცნობდი უკვდავებს, ეულად რომ სახლობდნენ დროის მიღმა არსებულ სივრცეში და ხილვებად რომ ქცეულიყვნენ? სად მენახა ეს ბროლივით გამჭვირვალე მარადისობა, ეთერივით რომ შემორტყმოდა მათ გარს. ანდა, რა მანქანებით შევიგრძნობდი არამიწიერი სამყაროს ამ ცივ, გაცისკროვნებულ სიცხადეს? ფიქრებში წასულს, ცალკეული ადგილები გამახსენდა მოცარტის „კასაციებიდან“ და ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირიდან“. მომეჩვენა, თითქოს ამ მუსიკაში ყველგან რიალებდა ის გაცისკროვნებული სიცხადე თუ ეთეროვანი სიკამკამე. დიახ, სწორედ ასე იყო, ეს მუსიკა გაქვავებულ, სივრცედ გარდაქმნილ დროდ ქცეულიყო, თავზე კი მუდმივ ათინათად დაჰნათოდა ზეადამიანური სიცხადე, მარადიული ღვთიური სიცილი. ო, სიზმარში ნანახი ჩემი მოხუცი გოეთეს საკარცხულიც ხომ სწორედ აქ იყო! უცებ ყურში ეს საოცარი სიცილი ჩამესმა, გავიგონე, როგორ იცინოდნენ უკვდავნი. მონუსხულივით ვიჯექი. მერე ჟილეტის ჯიბიდან ფანქარი ამოვიღე და ქაღალდს დავუწყე ძებნა. ხელში ღვინოების პრეისკურანტი მომხვდა, გადმოვაბრუნე და მეორე გვერდზე ლექსის წერა დავიწყე. ეს ლექსი მხოლოდ მეორე დღეს აღმოვაჩინე ჯიბეში. აი, ისიც:

უკვდავნი

მზრჩოლავ ბოლივით ნელა ირჯება

კაცთა სიმაძღრე და სილატაკე.

ჩვენკენ მოიწევს, თრთის და თახთახებს

აღვსილი ტანჯვით და მოყირჭებით.

მყრალი, მზრჩოლავი, უმი და ცხელი,

ბრბო შეპყრობილი ვნებით და შიშით,

მკვლელო, მევახშე, მლოცველი, გიჟი,
ჩვენკენ აღაპყრობს გამოწვდილ ხელებს.
მაღულად თქვლევს და სიამით ნაკვებს
უკანვე ანთხევს, რაც წელან შთანთქა.
ომი სწყურია, მშვენიერს აქებს,
და საროსკიპოს გვირგვინებს ადგამს.
სამყარო ცოდვას უმაღვე ჩარხავს.
მას აგზნებს შუღლი, სისხლი და ჯანყი.
ის ყველასათვის იქცევა ტალღად –
და მერე ყველას წუმპეში ჩაყრის.
ჩვენ კი, მომსთვლელნი სხვაგვარი სვესი,
ვისაც წილად გვზვდა ვარსკვლავთა ხვედრი,
ვართ და არ ვიცით ჟამი და სქესი,
დღე და საათი, მამრი და მდედრი.
თქვენ ცოდვილ ყოფას, ჯიჯგნას და ჯგლეთას
და წამლეკავი ვნებების სისინს,
ცის ლაჟვარდიდან დავცქერით მზისით
და ხანგრძლივია ჩვენი დღე მეტად.
ჩვენ აღვივსებით კოსმიურ ზამთრით
და წუთისოფელს ჩვენს ყოფას ვადრით
და ვარსკვლავების უდრეკ მწყობრით
მარადიული გვაბრწყენს ციმციმი.
გველეშაპია ჩვენი ძმობილი
მარადისია ჩვენი სიცილი.

მაღე მარია მოვიდა, ხალისიანად ვივახშმეთ და ჩვენს ბინაზე წავედით. იმ საღამოს
იგი ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი, თბილი და ალერსიანი იყო. ამ ქალის სინაზესა
თუ სიანცეში ისეთი ჯადო-თილისმა იყო ჩაქსოვილი, რომ საოცარმა სურვილმა
შემიპყრო, მისი მონა-მორჩილი გავმხდარიყავი.

– მარია, დღეს ღმერთივით დიდებული ხარ, მაგრამ მოდი, მეტისმეტად ნუ
გადავიქანცავთ თავს, ხვალ ხომ კარნავალია! ვინ იქნება შენი რაინდი? ეჰ, ჩემო

შრომანო, ვაითუ ზღაპრული უფლისწული გამოგეცხადოს და მოგიტაცოს, ვაითუ, აღარასოდეს დამიბრუნდე? დღეს ისე მესიყვარულები, განშორების წინ რომ სჩვევია ხოლმე ვნებიან სატრფოს, ისე მეფერები, თითქოს უკანასკნელად ვხვდებოდეთ ერთმანეთს!

ტუჩები ყურზე მომადო და წამჩურჩულა:

– ნურაფერს იტყვი, ჰარი! ჩვენი ყოველი შეხვედრა შეიძლება უკანასკნელი გამოდგეს. ჰერმინე რომ დაგეპატრონება, მერე ჩემთან მომსვლელი აღარა ხარ. სულ ადვილი შესაძლებელია, სწორედ ხვალ დადგეს ეს დღე.

და აი, მაშინ, მეჯლისის წინა ღამეს მთელი სიმძაფრით დამეუფლა იმ დღეთა ორჭოფული, ტკბილ-მწარე განცდა. ალბათ სწორედ ეს იყო ბედნიერება... ვტკბებოდი მარიას სილამაზითა და თვინიერებით, ვეხებოდი მის სხეულს, მთელი არსებით ვეძლეოდი ვნებათა ღელვის ნეტარებას, ბედმა მხოლოდ სიბერეში რომ მარგუნა. ნება-ნება მარწევდა სიყვარულის ღბილი ტალღები. მაგრამ ეს განცდები მხოლოდ საბურველი იყო ჩემთვის. სულის სიღრმეში კი ყველაფერი საოცარი აზრითა და მნიშვნელობით იყო აღსავსე. ყველაფერი დაძაბულობისა და ბედისწერის სუნთქვით აღბეჭდილიყო... და ვიდრე თავდავიწყებით ვნებივრობდი ტრფობის უკიდევანო ზღვაში, სადაც მხოლოდ ბედნიერების ტალღები დგაფუნებდა, ვგრძნობდი, რომ ბედისწერა სადღაც მიმაგელვებდა და თან დამფრთხალი ულაცივით ისროდა ტლინკებს! ვხედავდი, ელდანაკრავი და გულდაწურული ხრამ-უფსკრულებისკენ რომ მიიწევდა და სიკვდილს მამაცურად შეჰყურებდა თვალებში! ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ვერიდებოდი და ვუფრთხოდი ხორციელ ტრფობას, მაშინებდა მარიას ხან კალთამადლიანი, ხანაც აღვირაწყვეტილი სიყვარული... ახლა კი სიკვდილის შიშს შევეპყარი, მაგრამ უკვე ისიც ვიცოდი, რომ ეს შიში სულ მალე თავგანწირვად და ხსნად მომეცვლინებოდა.

ასე უხმოდ ვეძლეოდით სიყვარულის გიჟმაჟ თამაშს და უჩვეულო ძალით შევიგრძნობდით ურთიერთტკბობის ნეტარებას. ჩემი სული კი ამ დროს ეთხოვებოდა მარიას, ეთხოვებოდა ყველაფერს, რაც მისი ნიშატი იყო აღბეჭდილი. ვიდრე აღსასრული დამიდგებოდა, ამ ქალის წყალობით ერთხელ კიდევ ვეზიარე ზერელე თამაშის ბავშვურ აღფრთოვანებას, ვიგემე ხანმოკლე სიხარულით აღსავსე წუთები, შევიგრძენი ბავშვისა თუ ცხოველის უცოდველობა და სქესის უმანკოება. მსგავსი განცდა უწინ იშვიათად მქონია, რადგან ყველაფერს, რასაც ხორციელი სიყვარული ერქვა, ჩემთვის ყოველთვის ცოდვის სიმწარე დაჰკრავდა. ეს იყო ტკბილი, მაგრამ თან მწკლარტე გემო აკრძალული ხილისა, რომლის წინაშეც გონიერადამიანს დიდი სიფრთხილე მართებს. ახლა კი ჰერმინემ და მარიამ უმანკოებით გარემოცულ ედემის ბაღში მიმიწვიეს და მეც მადლიერებით მივიღე ეს მოწვევა. მაგრამ აი, ჩემი წასვლის დროც დადგა. ძალიან ლამაზი იყო ეს ედემი, ძალიან თბილოდა იქ. ჩემი ხვედრი კი ბრძოლა იყო ცხოვრების გვირგვინის მოსაპოვებლად, მე უნდა გამომესყიდა ამ ცხოვრების უთვალავი ცოდვა. იოლ სიცოცხლეს, სიყვარულსა თუ სიკვდილს ჩემს თვალში არავითარი ფასი არ ჰქონდა.

მარიამ ქარაგმებით მითხრა და მეც მივხვდი, რომ ხვალინდელ კარნავალზე თუ მისი დამთავრების შემდეგ დიდი ღრეობა უნდა გამართულიყო და ჩვენც უჩვეულო სიამოვნება გველოდა. იქნებ ეს მართლაც აღსასრულია?! იქნებ მარიას

წინათგრძნობა არ ატყუებდა და დღეს უკანასკნელად ვიყავით ერთად?! იქნებ ხვალ სულ სხვაგვარად შემოგვტრიალებოდა ბედი?! მთელი ჩემი არსება მწველმა სევდამ მოიცვა, თან სულისშემძვრელი შიშიც დამეუფლა. მარიაზე სასოწარკვეთით ჩაბლაუჭებულმა ერთხელ კიდევ ხარბად დავირბინე მისი ედემის ყველა ბილიკი თუ ბუჩქნარი, ერთხელ კიდევ გავკბიჩე სამოთხის ხის ტკბილი ნაყოფი.

იმ ღამის უძინარს, დღე მეძინა. დილით აბანოში წავედი, შინ დაღლილ-დაქანცული დავბრუნდი, საძინებელი ოთახი ჩავაბნელე და ტანზე გახდა დავიწყე. ჯიბეში ჩემი ლექსი მოვიძიე, მაგრამ მაშინვე მიმავიწყდა. ლოგინში ჩავწექი თუ არა, აღარც მარია გამხსენებია, აღარც ჰერმინე და აღარც კარნავალი. მთელი დღე მეძინა. საღამოს გავიღვიძე. პირის პარსვისას მომაგონდა, რომ კარნავალი ერთ საათში დაიწყებოდა და ფრაკის ქვეშ ჩასაცმელი პერანგი უნდა მომემზადებინა. მშვენიერ გუნებაზე ვიყავი, ჩავიცვი და სახლიდან გამოვედი, სადმე წავიხემსებ-მეთქი.

ასეთ კარნავალს პირველად ვესწრებოდი. სხვათა შორის, მსგავს გასართობ ადგილებში დროდადრო უწინაც დავდიოდი და ზოგჯერ ამ სანახაობებში თავისებურ ეშხსა და ლაზათსაც ვხედავდი, მაგრამ ცეკვით არასოდეს მიცეკვია და მხოლოდ მაყურებელი ვიყავი ხოლმე. ცოტა არ იყოს, მეცინებოდა კიდევ, ხალხი ასეთ გართობებზე აღტყინებითა და სიხარულით რომ ლაპარაკობდა. დღეს კი ამ კარნავალს თავადაც დიდ ამბად მივიჩნევდი და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ველოდი. პარტნიორი ქალი არ მყავდა, ჰოდა, ვიფიქრე, ცოტა მოგვიანებით მივალ-მეთქი. ჰერმინემაც ასე მირჩია.

უწინ „ფოლადის მუზარადში“ ვეძებდი თავშესაფარს. საღამოობით აქ ცხოვრებაზე გულაყრილი მამაკაცები კლავდნენ დროს, წრუპავდნენ ღვინოს და ბერბიჭებად ასაღებდნენ თავს. ამ ბოლო ხანს იშვიათად თუ გავივლიდი იქით, ლუდხანაში სიარული აღარ შეეფერებოდა ჩემი ახლანდელი ცხოვრების ყაიდას. დღეს საღამოს კი გულმა უნებლიეთ იქით გამიწია და, აი, ბედისწერასთან შეხლის თუ განშორების ამ სევდანარევი სიხარულის დროს ჩემი ცხოვრების ყველა მიჯნა თუ სამახსოვრო ადგილი ერთხელ კიდევ გაციკროვნდა წარსულის ათინათით... არადა ეს ათინათი ისეთი მშვენიერი იყო, გული მეტკინა. ამ სხივმა გაანათა თამბაქოს ბოლით გაჟღენთილი ლუდხანაც. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ აქ ხშირი სტუმარი ვიყავი. ამ ცოტა ხნის წინათ პატარა რამ მყოფნიდა თავდავიწყებისათვის: დავლევდი ერთ ბოთლ აქაურ ღვინოს, მერე კი შინ წავიდოდი, ჩავწვებოდი იმ ჩემს ეულ ლოგინში და ერთი დღით კიდევ შევურიგდებოდი ჩემს უსასოო ცხოვრებას. უფრო ძლიერ აღმგზნებ საშუალებებს მოგვიანებით გავუსინჯე გემო და ბლომდაც ვყლაპე ეს ტკბილი შხამი. ღიმილით გადავაბიჯე ძველი ლუდხანის ზღურბლს. დიასახლისი გულდიად შემომეგება, მუშტრებმა უხმოდ დამიქნიეს თავი. ცოტა ხანში ტაბაკა მომიტანეს. უბრალო, ნათალ ჭიქაში ჩქერად იღვრებოდა ახალი, კამკამა ელზასური ღვინო, ალერსიანად შემომცქეროდნენ ხის სუფთა თეთრი მაგიდები, ძველი ყვითელი პანელი. შევექცეოდი საჭმელს, ზედ ვაყოლებდი ღვინოს და აშკარად ვგრძნობდი, რომ ჭკნობისა და განშორების ხანა დამდგომოდა. ეს ტკბილი და თან სულში ესოდენ მტკივნეულად გამჯდარი გრძნობა ადრე ასე მკაფიოდ არასოდეს გამიჯვნია ჩემს უწინდელ ცხოვრებასთან შედუღებულ საგნებსა და ადგილებს, ახლა კი მომწიფებულისა და გამოცალკევებას ლამობდა. „თანამედროვე“ ადამიანი ამ გრძნობას სენტიმენტალობას უწოდებს. მას აღარ იტაცებს ერთ დროს აგრერიგად

საყვარელი და სანუკვარი საგნები. იგი გულგრილია თვით საკუთარი ავტომობილის მიმართაც კი და, ჩაუვარდება თუ არა ხელსაყრელი შემთხვევა, მას უკეთესი მარკის მანქანით ცვლის. თანამედროვე ადამიანი ენერგიულია და საქმიანი, თან ჯანმრთელი და გულცივია. ერთი სიტყვით, გადასარევი ვინმეა, ასე რომ, თვითონვე ნახავთ, მომავალ ომში როგორ გამოიჩენს თავს! ჩემთვის ახლა აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან არც ძველ დროებას ვეკუთვნოდი და არც ახალს. მე ერთი დროიდან ამოვარდნილი კაცი ვიყავი და უგზო-უკვლოდ მივქროდი სადღაც, სიკვდილი მსურდა და მისკენ მივილტვოდი. სენტიმენტების საწინააღმდეგო კი არაფერი მქონდა. მიხაროდა და მადლიერი ვიყავ, რომ ჩემს ჩაფერვლილ გულში კიდევ ღვიოდა გრძნობის მსგავსი რამ. ლუდხანამ მოგონებები ამიშალა: მაგონდებოდა, როგორ შეჩვეული ვიყავი ამ ძველ, გამოჩორკნილ სკამებს, საოცარი სიმძაფრით შევიგრძნობდი ბოლისა და ღვინის სუნს, მინანაკებდა ჩვეულების, სითბოს და სამშობლოს განცდის მსგავსი გრძნობა. ახლა ეს ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა. მშვენიერი რამაა გამოთხოვება! იგი ალხობს ადამიანის გულს. ახლა ეს ხმელი სკამიც მიყვარდა, ნათალი ჭიქაც, ჩაციებული ელზასური ღვინოც, ხილის გემო რომ დაჰკრავდა. ახლა ამ დარბაზში ყველა და ყველაფერი ახლობელი მეჩვენებოდა. მიყვარდა ეს მეოცნებე და თან იმედგაცრუებული ლოთი სახეები, რომელთაც რა ხანია უკვე თანამეინახედ გავხდომოდი; ვტკბებოდი ბიურგერული სენტიმენტებით, რომლის ძველებური, დარდიმანდული რომანტიკის სურნელი იმ გარდასულ ჭაბუკურ დღეებს მაგონებდა, როცა ლუდხანას, ღვინოს თუ სიგარას ჯერ კიდევ აკრძალული ხილის გემო ჰქონდა, როცა ეს ყველაფერი შეუცნობელი და დიდებული რამ იყო ჩვენთვის. მაგრამ ტრამალის მგელი არც კი შეტოკებულა, რომ კბილები დაეკრაჭუნებინა და ჩემი სენტიმენტები ლუკმა-ლუკმა ექცია. აი, ასე მშვიდად ვიჯექი, წარსულზე ფიქრით გაცისკროვნებული, და თავს იმ მნათობთა სუსტი სხივები დამკიაფებდა, უკვე რომ მოესწროთ ჩასვენება.

ლუდხანაში შემწვარი წაბლით მოვაჭრე შემოვიდა. მთელი მუჭა ვიყიდე. მერე ყვავილების გამყიდველი დედაბერი გამოჩნდა. მასაც გამოვართვი რამდენიმე მიხაკი და დიასახლისს მივართვი. მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ფრაკი მეცვა. ეს კი მაშინლა შევამჩნიე, ფულის გადახდა რომ დავაპირე და ჩვეულ ადგილას პიჯაკის ჯიბეს ხელი ველარ შევაკლე. კარნავალი! ჰერმინე!

მაგრამ ჯერ ძალიან ადრე იყო და ვერ გადამეწყვიტა, ახლავე წავსულიყავი „გლობუსში“ თუ მოგვიანებით. უკანასკნელ ხანს ასეთი დროსტარებისა თუ თავშეყრის ადგილებზე, ცოტა არ იყოს, შებოჭილი ვიყავი და თავს უხერხულად ვგრძნობდი; არ მინდოდა ხალხით გაჭედილ, დიდ, ხმაურიან დარბაზებში გამოჩენა, პატარა ბიჭვით მაშინებდა უცხო გარემო, მოზეიმეების დანახვა, ცეკვები.

ქუჩაში ხეტიალის დროს რომელიღაც კინოთეატრს ჩავუარე, თვალი შევაკლე სინათლის მოციაგე კონებს, უზარმაზარ ფერად აფიშებს და გზა განვაგრძე. მერე უკანვე მოვბრუნდი და კინოში შევედი. თერთმეტ საათამდე არხეინად შემეძლო აქ, სიბნელეში ვმჯდარიყავი. მებილეთეს დახმარებით, პატარა ფარნით გზას რომ მინათებდა, ფარდებს შორის გავძვერი, ჩაბნელებულ დარბაზში შევედი და თავისუფალი ადგილი მოვძებნე. ასე ამოვყავი თავი ძველ ალთქმაში. მსგავს ფილმებს ვითომდა კეთილშობილური, უანგარო მიზნებით უშვებენ და არა მოგების სურვილით. ასეთი სურათები მდიდრულად, დახვეწილი გემოვნებითაა

გადაღებული და მათზე საღმრთო სჯულის მასწავლებლებსაც კი დაჰყავთ ხოლმე მოსწავლეები. ამჯერად ეგვიპტეში მოსესა და ებრაელების თავგადასავალს უჩვენებდნენ. ჩვენ თვალწინ გადაიშალა უდაბნოს გავარვარებულ ქვიშაში მოლაშლაშე ზღვა ხალხი, უამრავი ცხენი და აქლემი. დიდებულად იყო ნაჩვენები ფარაონებისა და მათი სასახლეების მთელი ბრწყინვალეობა და იუდეველთა ტანჯვა-წამება. ვიხილე თეატრალურად დიდებული მოსე: თმა უოლტ უიტმენივით ჰქონდა დავარცხნილი და ხელში კვერთხი ეპყრა. ვოტანისებური გრძელი ნაბიჯით[61] მედიდურად და პირქუშად მიუძღვებოდა იუდეველებს. ვხედავდი, წითელი ზღვის პირას მდგარი, როგორ შეჰღალალებდა ღმერთს. მერე დავინახე, უცებ ზღვა როგორ გაირღვა და მრისხანედ აგორებულ ზვირთებს შორის ღარტაფი გაჩნდა (თუ რა ხრიკებით გადაიღეს ეს კადრები კინოს მესვეურებმა, ეს საკითხი ალბათ დიდხანს ექნებათ საკამათოდ კონფირმანდებს, პასტორის თაოსნობით რომ შემოსულიყვნენ ამ რელიგიურ ფილმზე). აი, თავად წინასწარმეტყველიცა და შიშით შეძრწუნებული ხალხიც ჩაუყვნენ ღარტაფისაკენ მიმავალ გზას. მალე მათ უკან ფარაონის ეტლები გამოჩნდა. გაოგნებული და შეშინებული ეგვიპტელები თავდაპირველად ზღვის ნაპირზე შედგნენ, მაგრამ მალე ისინიც გაბედულად გაიჭრნენ წინ. ოქროს ბექთარით შემოსილი ბრწყინვალე ფარაონი თავისი ამალითა და ეტლებითურთ აზვირთებულ ტალღებში შთაინთქა, მე კი ჰენდელის შესანიშნავი დუეტი გამახსენდა ორი ბანისათვის, სადაც იგივე ამბავი ბრწყინვალედაა ამღერებული. ვხედავდი სინას მთაზე ამავალ მოსეს, მერე ისიც ვიხილე, პიტალო კლდის თავზე მდგარ ამ პირქუშ გმირს იაჰვე ქარიშხლით, ჭექა-ქუხილითა და ელვის ნაპერწკლებით რომ ამცნობდა ათ მცნებას. მისი უღირსი ხალხი კი ამ დროს ოქროს კერპს აღმართავდა მთის ძირში და აღვირახსნილ ღრეობასა და ქეიფს ეძლეოდა. საკმაოდ უცნაურად მეჩვენებოდა ეს ყველაფერი. დიახ, ჩემთვის უჩვეულო იყო, საკუთარი თვალთა რომ ვხედავდი იმ რელიგიურ ამბებს თავისი გმირებითა და სასწაულებით. ერთ დროს მათი შემწეობით ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა ჩვენთვის უცხო, ზეგარდმო სამყაროზე, ახლა კი ყველაფერი ფულზე თამაშდებოდა მადლიერი მაყურებლის წინაშე, ჩუმად რომ შეექცეოდა თან მოტანილ ფუნთუშებს. ამ პატარა სურათში მთელი სიცხადით ჩანდა კულტურის უბადრუკობა, მისი გაუფასურება ჩვენს დროში. ღმერთო ჩემო! ხომ აგვცდებოდა ეს ღორობა, ეგვიპტელებთან ერთად მაშინ იუდეველებიც რომ დაღუპულიყვნენ?! ნეტა ყველა ხალხი ცეცხლითა და მახვილით მოესრათ და აღეგავათ პირისაგან მიწისა; ისინი ვაჟკაცურად დაიხოცებოდნენ, ჩვენ კი აგვცდებოდა ეს საშინელი მოჩვენებითი, ნახევრის ნახევრული სიკვდილი, ახლა რომ ჩვენი ხვედრი გამხდარა! ფილმის ნახვით გამოწვეულმა გრძნობებმა კი არ დამამშვიდა, პირიქით, უსიამოდ ამაფორიაქა და იდუმალი ძალით შემბოჭა, ახლა კიდევ უფრო მომეძალა კარნავალისადმი გაუცნობიერებელი შიში. ანაზღად ჰერმინეზე დავიწყე ფიქრი. ბოლოს მაინც ვაიძულე თავი, „გლობუსში“ წავსულიყავი. უკვე გვიანი იყო. მეჯლისი კარგა ხნის დაწყებული ჩანდა. პალტოს გახდაც ვერ მოვასწარი, რომ სრულიად ფხიზელმა და შეშინებულმა, მოყაყანე ნიღბების ბრბოში ამოვყავი თავი. მოზეიმეები მოურიდებლად მეხეთქებოდნენ და მუჯლუგუნებს მკრავდნენ. გოგოები მთხოვდნენ, შამპანურით გაგვიმასპინძლოდო, ტაკიმასხრები მხარზე მიტყაპუნებდნენ ხელს და „შენობით“ მომმართავდნენ. ყველანი თავიდან მოვიშორე, ხალხით გაჭედილ დარბაზებში რის ვაივაგლახით გავიკვლიე გზა და გასახდელთან მივედი. პალტოს ნომერი გულდაგულ შევინახე, თან გუნებაში ვიფიქრე, თუ ამ ორომტრიალს დიდხანს ვერ გავუძელი, ნომერი მალე

ისევ დამჭირდება-მეთქი.

უზარმაზარი შენობის ყველა დარბაზში საზეიმო განწყობილება სუფევდა.[62] ყველგან ცეკვავდნენ, სარდაფშიც კი. დერეფანსა და კიბეზე ნიღბების ტევა აღარ იყო, ირგვლივ სიცილ-კისკისი და გნიასი ისმოდა. გულდამძიმებული მივარღვევდი ბრბოს. ერთ ადგილას ზანგების ორკესტრი მოკალათებულიყო, ცოტა მოშორებით ხალხური მუსიკის შემსრულებლები ისხდნენ. გაჩახჩახებული მთავარი დარბაზიდან გარეთ გამოვედი. ავდიოდი და ჩავდიოდი კიბეზე, დავეხეტებოდი ბარებში, ბუფეტებში, შევდიოდი ოთახებში, სადაც შამპანურს სვამდნენ. კედლებზე თანამედროვე მხატვრების ციმციმა ტილოები გამოეკიდათ, „ფოვისტების“ მანერით შესრულებული. ვიღას არ ნახავდით ამ ზეიმზე! მხატვრებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს, საქმოსნებს და, რაღა თქმა უნდა, ქალაქის მაღალ საზოგადოებას. ერთ-ერთ ორკესტრში პაბლო იჯდა და გატაცებით აკვნესებდა თავის დაკლაკნილ საყვირს. მიცნო თუ არა, მისალმების ნიშნად საკრავი უფრო ხმამაღლა აარაკრავა. ხალხის ტალღა კი ხან ერთი დარბაზისკენ გამაქანებდა, ხან – მეორისკენ. კიბეზე ასვლა-ჩასვლით დავიღალე. სარდაფის ერთ-ერთი დერეფანი ჯოჯოხეთს განასახიერებდა. იქ ეშმაკების მუსიკალური ანსამბლი ბობოქრობდა. მინდოდა ჰერმინესა და მარიასთვის მომეკრა თვალი და მათ საძებნელად გავეშურე. რამდენჯერმე ვცადე მთავარ დარბაზში შემეღწია, მაგრამ ჩემი მეცადინეობა ამაო გამოდგა: ან თავად ვიხევდი უკან, ანდა ხალხის ტალღას ვერ ვუმკლავდებოდი. შუალაშემ მოატანა, მე კი ჯერაც ვერ ვიპოვე ვერც ერთი. ცეკვით არ მიცეკვია, მაგრამ ამასობაში ისე დამცხა და თავბრუ ისე დამეხვა, რომ სრულიად უცხო ადამიანების გვერდით სკამზე ჩამოვჯექი და ღვინო მოვითხოვე. ისიც ვიფიქრე, ასეთი ხმაურიანი დროსტარება ჩემისთანა ბებერი კაცის საქმე არ არის-მეთქი. ყურებჩამოყრილი ვწრუპავდი ღვინოს და თან ქალების გაშიშვლებულ მკლავებსა და ზურგებს შევცქეროდი. დროდადრო უცნაურ საკარნავალო ტანსაცმელში გამოწყობილი ბრბო მუჟღუგუნების კვრით ჩამიქროლებდა ხოლმე. რამდენიმე გოგო თავიდან უხმოდ მოვიცილე. ზოგმა ჩემს მუხლებზე დასკუპება მოინდომა, ზოგმა საცეკვაოდ გამიხმო. ერთმა მათგანმა „ჯაჯღანა ბებრუხანაც“ კი მიწოდა და ალბათ ღირსიც ვიყავი. ვიფიქრე, დავლევ, იქნება ცოტა გავხალისდე და გუნებაზე მოვიდე-მეთქი, მაგრამ ღვინოსაც ვერ ჩავატანე გემო და ჭიქა რის ვაივავლახით გამოვცალე. ახლა კი ვიგრძენი, რომ ზურგს უკან ხახადაფჩენილი ტრამალის მგელი ამომდგომოდა. თავს ვერაფერი მოვუხერხე, აქ საჩემო ადგილი არ იყო! გულითა და სულით მინდოდა გავმხიარულებულიყავი, მაგრამ ამაო იყო ჩემი მცდელობა; მთელი ეს ბობოქარი მხიარულება, სიცილ-კისკისი თუ შმაგი თავდავიწყება ნაძალადევ სისულელედ მეჩვენებოდა.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე, იმედგაცრუებულმა და გაბოროტებულმა კვლავ გასახდელისკენ ავიღე გეზი, რომ პალტო ჩამეცვა და შინ წავსულიყავი. ვგრძნობდი, ბრძოლა წავაგე და კვლავ ტრამალის მგელთან მომიხდებოდა დაბრუნება. გული მეუბნებოდა, ჰერმინე ამას არ გაპატიებსო, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო. რის ვაივავლახით მივარღვევდი გზას გასახდელისაკენ, თან ყურადღებით ვათვალიერებდი ყველას, იქნებ ვინმე ნაცნობი გოგო დავინახო-მეთქი. ვერავინ ვნახე. აი, უკვე გასახდელთან ვიდექი. თავაზიანმა მეგარდერობემ ნომრის ჩამოსართმევად ხელი გამომიწოდა. ჟილეტის ჯიბე მოვისინჯე, მაგრამ ნომერი აღარსად იყო! დალაზვროს ეშმაკმა, ესლა მაკლდა! წელან, მოწყენილი რომ

დავეხეტებოდი დარბაზიდან დარბაზში და მერეც, სკამზე ჩამომჯდარი უგემურ ღვინოს რომ შევექცეოდი და ვერ გადამეწყვიტა, წავსულიყავი თუ დავრჩენილიყავი, რამდენჯერაც მოვისინჯე ჯიბე, მრგვალი, ბრტყელი ჟეტონი თავის ადგილზე მედო. ახლა კი სადღაც გამქრალიყო! ყველაფერი თითქოს ჩემს ჯიბრზე ხდებოდა!

– ნომერი დაგეკარგა? – გამკივანი ხმით ჩამძახა ყურში ზიზილპიპილებიანმა ჭინკამ, – აი, მეგობარო, ჩემი ინებეთ! – მომაცხა და თავისი ნომერი გამომიწოდა. ანგარიშმიუცემლად გამოვართვი ნომერი და ხელში შევათამაშე. როცა მოვიხედე, დაგვაჯული ჭინკა სადღაც გამქრალიყო.

პატარა, მრგვალი მუყაოს ნაგლეჯი თვალებთან მივიტანე, რომ ნომერი გამერჩია, მაგრამ ციფრის ნაცვლად წვრილი, ოკრობოკრო ასოებით ნაწერი შევამჩნიე. მეგარდერობეს ვთხოვე, ერთ წუთს მაღროვე-მეთქი, იქვე ლამპიონთან მივედი და აჩნაბაჩნა ასოების კითხვას შევუდექი. ამ ნაჯღაბნიდან ბოლოს ძლივძლივობით ამოვიკითხე:

დღეს, ღამის ოთხი საათიდან მაგიური თეატრი.

მხოლოდ შემოიღოთათვის.

შესვლის საფასური – გონება.

ყველას არ შეესვლება. ჰერმინე ჯოჯოხეთშია.

ხომ გინახავთ თოჯინა – მარიონეტი? მსახიობმა წამით ხელი რომ უშვას ბაწარს, ტიკინა უსირცხვილოდ გამოეკიდება ჰაერში, მაგრამ აი, ხელის შევლება და მისი გაცოცხლება ერთია, კვლავ ამოძრავდება და თამაშსა და როკვას მოჰყვება. მეც სწორედ ასე დამემართა: საკმარისი იყო ჯადო-ბაწრისათვის ხელი გამოეკრათ, რომ ჭაბუკური ცეცხლით ანთებული უკანვე ავბრუნებულიყავი იმ ორომტრიალში, საიდანაც მიხრწნილი ბებერივით არაქათგამოცლილსა და ხალისდაკარგულს, ეს-ესაა გაქცევა მინდოდა. ასე გაშმაგებით ალბათ არც ერთი ცოდვილი არ მიილტვოდა ჯოჯოხეთისაკენ. სულ ცოტა ხნის წინათ ლაქის ფეხსაცმელიც მიჭერდა, სუნამოს სუნით გაჟღენთილი ბლანტი ჰაერიც გულს მირევდა და სიცხისგან სული მეხუთებოდა. ახლა კი უანსტეპის რიტმზე მსუბუქად და მარდად დავირბინე ყველა დარბაზი, რომ ჯოჯოხეთში ამომეყო თავი. ჰაერი თითქოს ჯადო-თილისმით გაივსო. ფრთაშესხმულს ახლა წინ მიმაქროლებდა ეს სიცხე, მოგრუხუნე მუსიკა, ფერთა ციგლიგი, ქალების მხრების სურნელი, სიცილ-კისკისი, ცეკვის რიტმი და თვალთა ელვარება. უეცრად ვიღაც მოცეკვავე ესპანელი ქალი ჩამეხვია და მთხოვა: „მეცეკვე!“ „არ შემიძლია, ჯოჯოხეთში მიმეჩქარება, მაგრამ მზადა ვარ შენი კოცნა თან წარვიტაცო“-მეთქი. ნილბიანმა ქალმა თავისი ალისფერი ტუჩები ტუჩებზე მომადო და მხოლოდ ახლა შევიცანი მარია. ხელები მაგრად შემოვხვие. სავსე ბაგე მაისის ვარდს მიუგავდა. ასე ტუჩშეწებებულები განვაგრძობდით ცეკვას. გვერდით ჩავუქროლეთ პაბლოს. მას თავისი საყვირი სატრფოსავით ჩაეკრა გულში და ნაზად აკვნესებდა. გაბრწყინებული, თითქოს არაამქვეყნიური მზერა შეგვავლო და ამ მზერამ რომელიღაც ლამაზი ცხოველი მომაგონა. ოციოდ ნაბიჯიც არ გვექნებოდა გადადგმული, რომ მუსიკა დადუმდა. მარიას სინანულით შევუშვი ხელი.

– სიამოვნებით გეცეკვებოდი კიდეც, – ვუთხარი მისი სითბოთი დამთვრალმა, –

წამოდი, ცოტაზე გამაცილე! ო, მარია, რომ იცოდე, როგორ მიყვარს შენი მშვენიერი მხრები, მომეყრდენი კიდევ ერთი წუთით! მაგრამ არა, უნდა წავიდე, ჰერმინე ჯოჯოხეთშია და თავისთან მიხმობს.

– ასეც ვიცოდი. მშვიდობით, ჰარი! მუდამ სიყვარულით მოგიგონებ!

დამემშვიდობა. შემოდგომასავით გულსავსედ, თითქოს ბედისწერის კარნახით, გაფურჩქნილიყო ეს დამატრობელი მაისის ვარდი.

სირბილით გავუყევი გრძელ დერეფანს. ყველგან იდუმალი ფაციფუცი იგრძნობოდა. კიბეზე დავეშვი და ჯოჯოხეთში ამოვყავი თავი. კუპრივით შავ კედლებზე კამკაშა ნათურები ენთო. გაშმაგებით უკრავდა ეშმაკთა ორკესტრი. ბარში, მაღალ სკამზე ფრაკში გამოწყობილი ლამაზი ყმაწვილი იჯდა უნილბოდ. დანახვისთანავე დამცინავი მზერა შემავლო. მოცეკვავეთა აზვირთებულმა ტალღამ კედელთან მიმაგდო. ძალიან ვიწრო დარბაზში ოციოდე წყვილი ცეკვავდა. ყველა ქალს შიშითა და გაფაციცებით ვაკვირდებოდი: უმრავლესობას ისევ ნილბები ეკეთა. ზოგი მათგანი მიცინოდა კიდეც, ჰერმინე კი არსად ჩანდა. დამცინავად მიყურებდა ის ლამაზ-ლამაზი ყმაწვილი, ბარში მაღალ სკამზე რომ შემომჯდარიყო. რატომღაც მეგონა, ახლა რომ ცეკვა დაიწყება, ჰერმინე გამოჩნდება და გამიწვევს-მეთქი. მაგრამ ეს ცეკვაც დამთავრდა, მოსვლით კი ჩემთან არავინ მოსულა. ბარში გავედი, დაბალჭერიანი, პატარა დარბაზის კუთხეში რომ იყო მოწყობილი. იმ ყმაწვილის სიახლოვეს გავჩერდი და სასმელი მოვითხოვე. ვწრუშავდი ვისკის და თან გვერდიდან ვაკვირდებოდი მის სახეს. უეცრად ყმაწვილი მეცნო და მისი სახეც იმ სურათივით ამაღელვებელი მომეჩვენა, გარდასულ დღეთა მტვერი რომ გადაეფარება და ასე ძვირფასი გახდება ხოლმე ჩვენთვის. აი, მაშინ კი შევკრთი, ეს ხომ ჰერმანი იყო, ჩემი სიყრმის მეგობარი!

– ჰერმან! – წარმოვთქვი გაუბედავად. ყმაწვილს გაეღიმა.

– ჰარი, მიპოვე?

ჰერმინე იყო. თმა ცოტა სხვაგვარად დაევარცხნა, მოდური საყულო ზევით აეწია. ოდნავ ფერუმარილწასმული, გონიერი სახე გაფითრებოდა, განიერსახელოებიანი შავი ფრაკის თეთრი ყოშებიდან საოცრად პაწია ხელები მოუჩანდა, ფეხზე მამაკაცის წინდები ეცვა ჟღალი აბრეშუმისა, ხოლო გრძელი შავი შარვალი კიდეც უფრო გამოკვეთდა მისი ფეხების სინატიფეს.

– ჰერმინე, მაშ ამ კოსტიუმზე მეუბნებოდი, ჩაცმულს მნახავ თუ არა, მაშინვე შეგიყვარდებიო?

თავი დამიქნია.

– ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ბანოვანი მოვხიბლე. ახლა კი შენი ჯერია. მოდი, ჯერ შამპანური დავლიოთ!

მაღალ სკამებზე შემომსხდარნი, შამპანურს შევექცეოდით, დარბაზში კი სიმებიანი ორკესტრი გრგვინავდა და ცეკვებს დასასრული არ უჩანდა. ეს იყო და ეს – ასე, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შემეყვარდა ჰერმინე. რაკი მამაკაცის ტანსაცმელი ეცვა, ვერ ვეცეკვებოდი; სინაზის გამოჩენის უფლებაც არ მქონდა და

არც ის მინდოდა, თავი შემებეზრებინა მისთვის. მართალია, ამ ტანსაცმელში ერთობ შორეული და მიუწვდომელიც მეჩვენა, მაგრამ მისი მზერა, სიტყვები თუ მიზნა-მოზრა ქალური სინაზით იყო სავსე. ჰოდა, ახლოსაც არ გავკარებივარ, ისე გავები მისი ჯადო-თილისმის მახეში. დიახ, ჰერმინეს თამაში აჯადოებდა ადამიანს, თავად ეს ჯადოქრობა კი ჰერმაფროდიტული იყო. აკი ამიტომაც მესაუბრებოდა ჰერმანზე, ჩემსა და საკუთარ ბავშვობაზე, იმ ხანაზე, სქესობრივ მოწიფულობას რომ უძღვის წინ, როცა მოზარდი მარტოოდენ ორივე სქესის არსებისადმი კი არ მიილტვის, საერთოდ ყოველივე ხორციელისა თუ სულიერისადმი სიყვარულით იმსჭვალება და ეს სიყვარული ყველაფერს იმ ხიბლით მოსავს, გარდასახვის იმ ზღაპრულ უნარს ანიჭებს, მხოლოდ რჩეულებსა და პოეტებს რომ გაჰყვებათ ხოლმე ცხოვრების მიწურულამდე! ჰერმინე მართლაც ბიჭად ქცეულიყო, ეწეოდა სიგარეტს, მესაუბრებოდა ლაღად და გონივრულად, დროდადრო დაცინვაც გამოუკრთებოდა ხმაში, მაგრამ მისი საქციელი ვნებათაღელვით იყო გაცისკროვნებული, ჩემი გრძნობებისკენ იკვალავდა გზას და წარმტაც ცდუნებად მესახებოდა.

მეგონა, ზედმიწევნით კარგად ვიცნობ-მეთქი ჰერმინეს! მაგრამ ამ ღამით იგი სრულიად ახლებურად მომეკლინა! ნაზად, შეპარვით გამხვია ვნებათაღელვის ბადეში და თავისი გრძნეული ხელით სულ თამაშ-თამაშ შემასვა ტკბილი სამსალა!

ვისხედით, ვსაუბრობდით და თან შამპანურს შევექცეოდით. მერე ფათერაკების ძებნაში დარბაზ-დარბაზ დავიწყეთ ბორიალი. ამოვიღებდით ნიშანში რომელიმე ქალ-ვაჟს და მათ სასიყვარულო თამაშს ვუთვალთვალავდით. ჰერმინე მირჩევდა, ვინ გამეწვია საცეკვაოდ, თან მარიგებდა, რა გზით უნდა მეცდუნებინა იგი. თავს ერთმანეთის მეტოქეებად ვასაღებდით, ავედევენებოდით ერთსა და იმავე ქალს, რიგრიგობით ვეცეკვებოდით და ორივენი ვცდილობდით, მოგვენადირებინა მისი გული. ეს ყველაფერი მხოლოდ ნიღბების თამაში იყო, ჩვენ ორს შორის გამართული. ეს თამაში კიდევ უფრო გვიმძაფრებდა ვნებას და გვაახლოებდა ერთმანეთს. ყველაფერს ზღაპრული იერი დაჰკრავდა, ყოველივე ერთი განზომილებით უფრო მდიდარი და ღრმა გამხდარიყო და თამაშსა და სიმბოლოს წარმოადგენდა. ერთი მშვენიერი ქალი შევამჩნიეთ, ავადმყოფური სახე ჰქონდა, ნაღვლიანი ჩანდა. ჰერმანმა საცეკვაოდ გაიხმო და გუნებაზეც მოიყვანა. მალე ისინი ფანჩატურში გაუჩინარდნენ, სადაც ხალხი შამპანურს სვამდა. ჰერმანი მერე მიყვებოდა, როგორ გამოსცადა ამ ქალზე თავისი ლესბიური ჯადოქრობის ძალა. ჩემთვის ეს აგუგუნებული დარბაზები, ეს ხმაურიანი შენობა, შეზარხოშებული ნიღბების ეს თავყრილობა თანდათანობით შემოიღო ზღაპრულ სამოთხედ გადაიქცა. ყვავილიდან ყვავილზე დავფრინავდი, უფრო და უფრო მათრობდა მათი მაცდური სურნელი, ნაყოფს სათუთად ეხებოდა და ესიყვარულებოდა ჩემი ცნობისმოყვარე თითები, ფოთლების მწვანე ფანჩატურიდან მაცდურად მიმზერდნენ გველები, შავ ჭანჭრობს ზემოდან ლოტოსის ყვავილი დაჰფარფატებდა[63], ფასკუნჯები აქოჩრილ სიმწვანეში მიხმობდნენ. ეს ყველაფერი კი მხოლოდ ერთი მიზნით, ერთი სანუკვარი სურვილით მსჭვალავდა, და ჩემი ოცნებაც მხოლოდ ამ ერთადერთს ელტვოდა. მალე ვიღაც უცნობ ქალიშვილთან მომიხდა ცეკვა. მზერაანთებული და შეჭიკჭიკებული, ვნებიანად, აღტაცებით მეწეოდა თავისკენ. ის-ის იყო, არამიწიერი ნეტარების ზღვაში ვაპირებდი ჩაძირვას, რომ უეცრად გაეცინა და მითხრა: „კაცი ველარ გიცნობს, არადა, ცოტა ხნის წინათ რა სულელი და მოსაწყენი იყავი“. ახლალა ვიცანი, ეს ის ქალი იყო, ამრამდენიმე საათის წინ რომ მომაცხა: „ოჰ, შე ბებერო ჯაჯლანა“-ო.

აღბათ იფიქრა, ახლა კი ჩაგიგდე ხელშიო, მაგრამ როგორც კი მომდევნო ცეკვა დაიწყო, სხვა ქალის მკლავებში აღმოვჩნდი და ახლა უკვე მისი სურვილი მწვავდა. ორ საათზე მეტხანს ვცეკვავდი. არც ერთი ცეკვა არ გამომიტოვებია, ისიც კი, თავის დღეში რომ არ მესწავლა. დროდადრო ჩემ შორიახლო მოდიმარე ჭაბუკი გამოჩნდებოდა. ეს ჰერმანი იყო. თავს დამიქნევდა და კვლავ ბრბოს შეერეოდა. ამ საკარნავალო ღამით ეს ორმოცდაათი წლის კაცი პირველად ვეზიარე გრძნობას, თავის დღეში რომ არ განმიცდია, თუმცა, მისი სიტკბოება აღბათ ნებისმიერ გოგონასა თუ სტუდენტს უგემია. ეს გახლდათ დღესასწაულის, საყოველთაო აღმაფრენით ტკბობის, პიროვნების ბრბოში გათქვეფის, Unio mystica-ს იდუმალი სიხარულის განცდა. ხშირად მსმენია, როგორ მსჯელობდნენ ამაზე, ამ გრძნობას ყველა მოახლე გოგო იცნობდა. ხშირად ვყოფილვარ იმის მოწმე, როგორ ანთებით თვალები ადამიანებს მსგავსი ამბების მოყოლისას, მე კი ამაზე ოდნავ მედიდურად და თან შურით ჩამცინებია. ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ მინახავს, დაბინდულ თვალებში როგორ ჩასდგომია ეს სხივი ოცნების ტალღებში შეჭრილ მარტოსულ კაცს. მინახავს საყოველთაო თრობაში გათქვეფილი ადამიანის ეს ღიმილი და შემოღიწობის ზღვარს მიღწეული თავდავიწყება. უამრავი მაგალითის მოყვანაც შემიძლია დიდსა თუ პატარა ადამიანზე. მინახავს ეს სხივნათელი ღიმილი შეზარხოშებული რეკრუტის, მეზღვაურის თუ საზეიმო სცენაზე გამოსული დიდი მსახიობის ანთებულ სახეზე, მე იგი ომში მიმავალი ახალგაზრდა ჯარისკაცის სახეზეც შემიმჩნევია. სულ ცოტა ხნის წინათ კი ეს ეული, ბედნიერი ღიმილი აღტაცებით, სიყვარულით, დაცინვითა და შურით შეპყრობილმა, ჩემი მეგობრის – პაბლოს სახეზეც ვიხილე! ორკესტრში მიმჯდარიყო, ბანგდალეულის ნეტარებით მიეხუტებინა გულზე თავისი საქსოფონი და აღტაცებულ, დაბინდულ მზერას არ აშორებდა ღირიჟორს, მედოლესა და ბანჯოზე დამკვრელს. ხანდახან მიფიქრია, ასეთი ღიმილი, ასეთი ბავშვური სხივი მხოლოდ ძალიან ახალგაზრდების, ანდა იმ ხალხების ხვედრია, რომლებიც თავს უფლებას არ აძლევენ ერის წიაღში ვინმე ინდივიდი გამოყონ და გამიჯნონ-მეთქი. ახლა კი, ამ კურთხეულ ღამეს, მე, ტრამალის მგელი – ჰარი, თავად გავეცისკროვნებინე ამ ღიმილს, ახლა თავად დავცურავდი უძირო, ბალღური, ზღაპრული ბედნიერების ტალღებში, თავად მათრობდა თანამზრახველობის, მუსიკის, რიტმის, ღვინისა და ვნებათა ღელვის ბანგი. უწინ დამცინავი ღიმილითა და უნიათო მედიდურობით მომისმენია, ვინმე სტუდენტს აღფრთოვანებით რომ გაუხსენებია მსგავსი მეჯლისები და დროსტარება. ახლა კი თვითონ აღარ ვეკუთვნოდი საკუთარ თავს, ჩემი პიროვნება წყალში გამდნარი მარილივით შერწყმოდა საზეიმო აღტყინებას. ვინმე ქალს თუ ვეცეკვებოდი, მარტო ის როდი მყავდა მომწყვდეული მკლავებში, მარტო მისი თმა როდი მეღამუნებოდა და მისი სურნელი როდი მათრობდა! არა! ახლა მე მეკუთვნოდა ყველა ქალი, ვინც ამ დარბაზს ჩემსავით ცეკვა-ცეკვით უვლიდა, ვისი მოციმციმე სახეც ჩემ თვალწინ ვეებერთელა, ზღაპრული ყვავილივით გაიკიაფებდა. არადა, მეც ასევე ყველას კუთვნილებად ვგრძნობდი თავს, ყველანი თანაზიარობის ძაფით ვიყავით გადაბმული. ასეთივე განცდა მქონდა კაცების მიმართაც, მათი თანაზიარიც ვიყავი, არც ისინი იყვნენ ჩემთვის უცხონი, მათი ღიმილი – ჩემი ღიმილი იყო, ისინი ჩემკენ მოილტვოდნენ, მე კი – მათკენ.

იმ ზამთარს მთელ მსოფლიოს მოედო ახალი ფოქსტროტი, „სიყვარულის ტანჯვის“ სახელით რომ გახდა ცნობილი. იმ ღამეს ეს ფოქსტროტი არა ერთხელ და ორჯერ

დაუკრეს ზედიზედ, მოცეკვავეები კი ისევ და ისევ მოითხოვდნენ მის განმეორებას. „სიყვარულის ტანჯვის“ ჰანგებით დამთვრალნი, ორკესტრთან ერთად ვლილინებდით. სულმოუთქმელად ვეცეკვებოდი ყველა ქალს, ვისაც კი ჩემს სიახლოვეს დავიგულებდი: წიწკვ გოგოებს, ათქვირებულ ახალგაზრდა ქალებს, შემოდგომის ნაყოფივით სიმწიფეში შესულ ბანოვნებს, საწყალობლად ჩამომჰყვნარ მანდილოსნებს. ერთნაირად აღმაფრთოვანებდა ყველა და სახეზე ბედნიერი ღიმილი დამთამაშებდა. და აი, როცა პაბლომ უეცრად გაცისკროვნებული დაინახა ადამიანი, მუდამ რომ საცოდავზე საცოდავი ეგონა, თვალები აუციმციმდა, მერე ადგილიდან წამოიჭრა, სკამზე აძვრა და უფრო გულდაგულ ჩაჰბერა საყვირს. პაბლოს ლოყები ებერებოდა და „სიყვარულის ტანჯვის“ ტაქტზე გახელებით ირწეოდა. მე და ჩემმა წყვილმა ჰაეროვანი კოცნა გავუგზავნეთ და თან ხმა ავაყოლეთ საცეკვაო ჰანგს. ეჰ, მოხდეს, რაც მოსახდენია-მეთქი, ვიფიქრე გუნებაში. ერთხელ ხომ მაინც ვიყავი ბედნიერი, მივხვდი, თუ რა არის აღფრთოვანება, ერთხელ ხომ მაინც ავყარე ბორკილები საკუთარ თავს და პატარა ბავშვად თუ პაბლოს ძმად ვიგრძენი თავი.

დროის შეგრძნების უნარი დავკარგე. უკვე აღარ ვიცი, რამდენ საათსა და წუთს გრძელდებოდა ეს დამათრობელი ბედნიერება. ისიც ვერ შევამჩნიე, რომ ზეიმი უფრო და უფრო ეშში შევიდა და ბოლოს ერთ პატარა დარბაზში გადმოინაცვლა. სტუმრების უმრავლესობა უკვე წასულ-წამოსულიყო, დერეფნები სიჩუმემ მოიცვა, სინათლე ბევრგან ჩაქრა, კიბეები დაცარიელდა. ზედა სართულის დარბაზებში თანდათანობით მიწყდა მუსიკის ხმა, ერთიმეორის მიყოლებით დაიშალა ორკესტრები. მხოლოდ მთავარ დარბაზში და ქვევით, ჯოჯოხეთში, ჯერ კიდევ ბობოქრობდა და სულ უფრო და უფრო ძალას იკრებდა ვნებააშლილი მხიარულება. ბიჭურად ჩაცმულ ჰერმინესთან ვერ ვიცეკვებდი. შესვენების დროს თუ წავაწყდებოდი შემთხვევით ერთმანეთს და თავს დავუკრავდით ხოლმე. ეგ იყო და ეგ. ბოლოს იგი მარტო თვალთა არედან კი არა, ფიქრებიდანაც გამიქრა. ტვინი აღარ მიმუშავებდა, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ცეკვის ჟინს აყოლილი მოცეკვავეების ბრბოში გავითქვიფე. შევიყნოსავდი ნაირ-ნაირ სურნელს, ჩამესმოდა უჩვეულო ხმები, სიტყვები, ოხვრა. მესალმებოდნენ და თავისკენ ვნებიანად მიხმობდნენ უცხო თვალები და სახეები, თვალწინ მიტრიალებდა ქალების ტუჩები, ლოყები, მხრები, მკერდი, მუხლები, და მუსიკის ჰანგებიც აგორებულ ტალღასავით რიტმულად მარწევდა.

მერე ერთი წამით თითქოს ბურანიდან გამოვერკვით. დავინახე უკანასკნელი სტუმრები; მათ ახლა ერთ-ერთ შორეულ, პატარა დარბაზში მოეყარათ თავი. იქ ჯერ კიდევ უკრავდა მუსიკა. ანაზღად შავ კოლომბინას მოვკარი თვალი. ამ მომნიბვლელ, კვირტივით აფეთქებულ გოგონას ფერუმარილი ესვა და სტუმრებიდან მხოლოდ მას ეკეთა ნიღაბი. მისი მშვენიერი სხეული ამ ღამით არც ერთხელ არ მომხვედრია თვალში. სხვა სტუმრებს შეხედავდი თუ არა, უმაღლ მიხვდებოდი, რომ გვიანი საათი იყო: პირისახე გასწითლებოდათ, ტანსაცმელი, საყელოები და გულისპირები დასჰმუჭნოდათ. თეთრ პირისახეზე ნიღაბაფარებულ შავ კოლომბინას კი გატკიცინებული, მარმაშებიანი კაბა ეცვა და თოვლივით ქათქათა ყოშები ეკეთა, თმა თითქოს სულ ახლახან დაევარცხნა. გულმა მისკენ გამიწია, წელზე ხელი შემოვხვით და საცეკვაოდ გავითაცე. ქალის სურნელოვანი მარმაში ნიკაპზე მიღიტილებდა, მისი თმის კულუღი ლოყაზე მელამუნებოდა. იმ ღამეს არც ერთ ქალს არ ჰქონია ასეთი ნორჩი და მკვრივი სხეული. ცეკვაში უცბად

ამყვან, ხან ნაზად და ამაღელვებლად მეკვროდა, ხან უკან დაიწევდა და კვლავ ახალ-ახალი შეხების სიამეს მპირდებოდა. და აი, შუა ცეკვის დროს უეცრად დავინახე და მის ტუჩებს დავუწყე ძებნა. ქალმა მედიდური, დიდი ხნის ნაცნობი ღიმილით გამიღიმა და მეც, ბედნიერმა, მყისვე ვიცანი ეს მკვრივი ნიკაპი, მხრები, იდაყვები, ხელები. ეს უკვე ჰერმანი კი არა, ჰერმინე იყო, ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი, – ნორჩი, ოდნავ სუნამოშეფრქვეული და შეპუდრული. ჩვენი მხურვალე ტუჩები ერთმანეთს შეეხო. რაღაც წამით, მუხლებიდან მოყოლებული მთელი სხეულით ვნებიანად და თან თვინიერად მომეკრა, მერე ტუჩები მომარიდა და გულჩათხრობილმა თავშეკავებით განაგრძო ცეკვა. მუსიკა რომ მიწყდა, ხელიხელგადახვეულები შევჩერდით. აღგზნებული წყვილები ტაშს უკრავდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ყვირილით მოითხოვდნენ, დაოსებულ ორკესტრს ერთხელაც დაეკრა „სიყვარულის ტანჯვა“. და აი, უეცრად შევამჩნიეთ, რომ გათენებულიყო. ფარდებს მიღმა მქრქალი სინათლე დავინახეთ და მივხვდით, მზიარულება დასასრულს უახლოვდებოდა. ამასობაში დაღლილობამაც შეგვახსენა თავი და ჩვენც ალაღბედზე, სიცილ-ხარხარითა და სასოწარკვეთით ერთხელ კიდევ ჩავებით ცეკვის ფერხულში, შმაგად შევიჭერთ მუსიკის რიტმში, სინათლის ნაკადში, მშფოთვარედ ვროკავდით და ასე, ერთმანეთზე გადაჰდობილებმა, ნეტარებით ერთხელ კიდევ შევიგრძენით, როგორ გადაგვეფარა თავზე უზარმაზარი ტალღა. ახლა, ცეკვის დროს, ქალს გაუქრა ის მედიდური და დამცინავი იერი. ჰერმინემ იცოდა, რომ უკვე აღარავითარი ძალისხმევა არ სჭირდებოდა, ჩემთვის თავი შეეყვარებინა. მე უკვე მას ვეკუთვნოდი. ქალი თავის თავს მთავაზობდა. მისი ცეკვა, მზერა, კოცნა და ღიმილი ამხელდა ამას. ახლა ერთმანეთს შეერწყა ყველა ქალი, ვინც კი ამ მშფოთვარე ღამეს აღმაგზნო, ანდა ჩემდამი ჟინით აინთო, შეერწყა და იმ ერთადერთ ქალად იქცა, მკლავებში რომ მყავდა მომწყვდეული.

დიდხანს გაგრძელდა ეს საქორწინო როკვა. ორჯერ თუ სამჯერ მიჩუმდა მუსიკა. მესაყვირებმა დაუშვეს საყვირები, პიანისტი სკამიდან წამოდგა, პირველი მევიოლინე დაოსებული აკანტურებდა თავს, მაგრამ ბოლოს მაინც თავიდან იწყებოდა ყველაფერი. უკანასკნელი მოცეკვავეები მავედრებელი შეძახილებით ცდილობდნენ ორკესტრის წახალისებას და მუსიკოსებიც ისევ და ისევ უკრავდნენ, უკრავდნენ უფრო სწრაფად, უფრო გაშმაგებით. მერე მუსიკა მიწყდა, ჩვენ კი ჯერ ისევ ხელიხელგადახვეულები ვიდექით და, გიჟური ცეკვით აქოშინებულებს, სული ვერ მოგვეთქვა. ხმაურით დაეშვა როიალის სახურავი. მესაყვირებთან და მევიოლინეებთან ერთად ჩვენც დავუშვით მკლავები, ფლეიტისტმა თვალი ჩავვიკრა და საკრავი ბუდეში ჩადო. კარები გაიღო და დარბაზში ცივი ჰაერი შემოიჭრა. მალე შინ წასასვლელად გამზადებული მსახურებიც გამოჩნდნენ პალტოებით ხელში. ბარმენმა შუქი გამორთო. უეცრად შემზარავი, არამქვეყნიური მომეჩვენა ეს აბანაკება. მოცეკვავეები, სულ ცოტა ხნის წინ რომ თვალანთებული როკავდნენ, ახლა შეციებულები ეხვეოდნენ პალტოებში და საყელოებს მაღლა იწევდნენ. ჰერმინე გაფითრებული იდგა, მაგრამ იღიმებოდა. მერე მკლავები ნელ-ნელა ასწია და თმა გაისწორა. დავინახე, სინათლეზე როგორ გაიკიაფა მისმა იღლიამ, წვრილმა, საოცრად ნაზმა ჩრდილმა როგორ გადაურბინა მისი კაბის დახურულ გულისპირს და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩრდილის ამ მოფარვატე ზოლმა ღიმილივით შეისრუტა ქალის მთელი მომნიბვლელობა, მისი წარმტაცი სხეულის თრთოლვა და შესაძლებლობათა უკიდევანობა.

ვიდექით და ერთმანეთს შევყურებდით. დარბაზში კაციშვილი აღარ ჩანდა და შენობაშიც ჩვენ მეტი აღარავინ იყო. გავიგონე, სადღაც ქვევით როგორ გაჯახუნდა კარი, დაიმსხვრა ჭიქა, მიწყდა ხითხითი და ყველაფერი ავტომატურად ავბედით გუგუნში შთაინთქა. მერე სადღაც შორს, ენით უთქმელ სიმაღლეზე სიცილი გაისმა. ეს უჩვეულოდ წკრიალა და მზიარული სიცილი ამავე დროს შემზარავიც იყო და უცხოც. ამ სიცილს ბროლის სიკამკამე და ყინულის სიცივე დაჰკრავდა. მართალია, ნათელი და სხივმოსილი ჩანდა, მაგრამ თან გამყინავი და დაუნდობელიც იყო. საიდან მეცნობოდა ეს საოცარი სიცილი, ვერა და ვერ გამეხსენებინა.

ასე ვიდექით გვერდიგვერდ და ერთმანეთს შევყურებდით. წამით თითქოს გონს მოვეგე და გამოვფხიზლდი. ოფლიანი და ცივი ტანსაცმელი ტანზე საზიზღრად მეკვროდა. მერე დაჭმუჭნილი, გაოფლილი ყოშებიდან გადმოშვერილი ჩემი წითელი დაძარღვული ხელები დავინახე, მაგრამ მაშინვე ისევ მომეშვა გულზე: ჰერმინეს მზერამ გააქარწყლა ყველაფერი. ასე მეგონა, მისი თვალებიდან საკუთარი სული მიმზერდა. ჩემ გარშემო მთელი სინამდვილე ინგრეოდა, არარაობად იქცეოდა ჩემი ვნებათაღელვის რეალობაც, ჰერმინესაკენ ასეთი ძალით რომ მიმაქანებდა.

– ხომ მზადა ხარ? – მკითხა ჰერმინემ და წელან მის მკერდზე ანაზდად ატორტმანებული ჩრდილივით გაუკრთა ღიმილი. სადღაც ზევით, შორს, იდუმალ სივრცეში ის საოცარი სიცილიც მიწყდა. თავი დავუქნიე; დიახ, მე მზად ვიყავი. ამ დროს დარბაზში პაბლო შემოვიდა და მზიარული მზერა შემოგვანათა. ასეთი თვალებით ცხოველები იმზირებიან, მაგრამ მათ მზერაში მუდამ სიღინჯე გამოკრთის. ამ კაცს კი თვალები მუდამ უცინოდა და სწორედ ეს სიცილი აძლევდა ადამიანურ იერს. აღტაცებული პაბლო სულითა და გულით გვიხმოვდა თავისთან. წითელყოშებიანი ჭრელი აბრეშუმის საშინაო ხალათი ეცვა. ხალათის გაოფლიანებული საყელოცა და მოქანცული ფერმკრთალი სახეც ყოშების ფონზე კიდევ უფრო დაჭმუჭნილი უჩანდა, მაგრამ პაბლოს მოციმციმე, შავი თვალების შემყურეს ყველაფერი გავიწყდებოდა; ეს თვალები უმალ გაჯადოებდა.

პაბლოს ფეხდაფეხ მივყევით. კართან მისულმა ხმადაბლა მითხრა:

– ჰარი, ძმობილო, პატარა ატრაქციონზე მინდა მიგიწვიოთ. იქ მხოლოდ შეშლილებს შეესვლებათ. შესვლის საფასური – გონება გახლავთ. მზადა ხართ?

კვლავ დავუქნიე თავი.

რა საუცხოო ყმაწვილია! მარჯვნივ ჰერმინე ედგა, მარცხნივ – მე. პაბლომ ორივეს ნაზად და მზრუნველად გამოგვდო ხელი, კიბე ჩაგვატარა და პატარა მრგვალ ოთახში შეგვიყვანა. ოთახი ზემოდან მოცისფრო შუქით იყო განათებული და შიგ პაწია, მრგვალი მაგიდისა და სამი სავარძლის მეტი არაფერი იდგა. დავსხედით.

ნეტა სად ვიყავით? ნუთუ მეძინა? ერთხანს მეგონა, შინა ვარ-მეთქი, მერე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მანქანით მივდიოდი სადღაც. მაგრამ არა! ჯერაც მოცისფრო შუქით განათებულ ოთახში ვიჯექი, გარშემო კი გაუხშოებული სივრცე და გათხიერებული სინამდვილე მეკრა. რატომ იყო ჰერმინე ასე გაფითრებული? რატომ ლაპარაკობდა ამდენს პაბლო? იქნებ მე ვაიძულებდი ლაპარაკს, იქნებ მე ვღალატებდი მისი ბაგეებით? იქნება მისი შავი თვალებიდანაც ჩემი სული – ეს თავგზააბნეული ფრინველი – ისევე მიმზერდა, როგორც ჰერმინეს მოლაღურისფერი

თვალეზიდან?!

ჩვენი მეგობარი პაბლო აქამდე მუდამ ოდნავ გადაპრანჭულად, კეთილად და მეგობრულად გვესაუბრებოდა. არც კამათი აინტერესებდა და არც ვინმეს მოსაზრებები, ის კი არა და, ზოგჯერ მიფიქრია კიდევ, ნეტავი საერთოდ თუ შესწევს აზროვნების უნარი-მეთქი. ჰოდა, ახლა ეს კაცი, სიკეთით გამთბარი ხმით, უშეცდომოდ, წყალივით არაკრაკებდა:

– მეგობრებო, მოწვეული ბრძანდებით ატრაქციონზე. ჰარი დიდი ხანია ნატრობს და ელოდება მას. ახლა საკმაოდ გვიანია და ყველანი დადლილები ვართ ალბათ. ამიტომ ჯერ მცირე ხნით აქ შევისვენოთ და ძალ-ღონე მოვიკრიბოთ.

პაბლომ კედლის ნიშიდან სამი სასმისი და პატარა სასაცილო ბოთლი გადმოიღო. მერე შეფერადებული ხის პაწია, ეგზოტიკური ზარდახშა მოიტანა, სამივე სასმისი შეავსო და ზარდახშიდან სამი წვრილი, გრძელი, ყვითელი სიგარეტი ამოიღო. აბრეშუმის ხალათის ჯიბიდან სანთებელა ამოაძვრინა და მოგვიკიდა. სავარძელში ჩაფლულები ნება-ნება ვაბოლებდით სიგარეტს, საკმეველივით სქელ ბოლს ვუშვებდით და თან ნელ-ნელა ვწრუპავდით მომწკლარტო-მოტკბო სითხეს. სასმელი უჩვეულო გემოსი იყო. ასეთი რამ ჩემს დღეში არ დამელია. მაცოცხლებელი ძალა ჰქონდა და გუნებას საოცრად ახალისებდა. სიმძიმის შეგრძნება თითქოს გამიქრა. ასე მეგონა, სხეული ჰაერით მევსება-მეთქი. ვისხედით, პატარ-პატარა ნაფაზებით ვეწეოდით და იმ უჩვეულო სასმელს ვწრუპავდით. თავს სულ უფრო და უფრო მხიარულად და მსუბუქად ვგრძნობდით. პაბლო თბილი, მოგუდული ხმით განაგრძობდა საუბარს:

– ძვირფასო ჰარი! მოხარული ვარ, რომ დღეს ცოტათი მაინც შემიძლია გიმასპინძლოთ. ცხოვრებას ბევრჯერ მოუბეზრებია თქვენთვის თავი და სურვილიც ბევრჯერ დაგბადებიათ, გასცლოდით ამ ქვეყანას, ხომ მართალია? გიოცნებიათ, განდგომოდით ამ დროებას, სამყაროსა და სინამდვილეს და ისეთ სინამდვილეში, ისეთ სამყაროში დაგედოთ ბინა, სადაც არ იარსებებდა დრო. მაშ ასე, ძვირფასო მეგობარო! ახლა შეგიძლიათ წადილი აისრულოთ. სწორედ ამისათვის მოგიწვიეთ. თქვენ იცის, სადაც არის მიმალული ის მიღმა სამყარო. იცით ისიც, რომ ეს ნანატრი სამყარო თქვენი საკუთარი სულის ნაწილია. მხოლოდ თქვენს სულში ცოცხლობს ის მეორე სინამდვილე, რომელზედაც ასე ოცნებობთ. მე ისეთს ვერაფერს შემოგთავაზებთ, რაც თქვენს ბუნებაში არაა. მე მხოლოდ თქვენივე სულის სურათ-ხატთა დარბაზში შემიძლია გაგატაროთ, ხელსაყრელი შემთხვევით ვისარგებლო და ბიძგი მოგცეთ, გასაღები ჩაგიგდოთ ხელში, ჩემი შემწეობით თქვენივე საკუთარ სამყაროს გაიცხადებთ, ესაა და ეს.

პაბლომ ჭრელი ხალათის ჯიბეში ხელი ჩაიყო და მრგვალი სარკე ამოიღო.

– აი, შეხედეთ, აქამდე როგორი გეგონათ საკუთარი თავი!

სარკე თვალეზთან მომიტანა (უეცრად საბავშვო ლექსი გამახსენდა: „ო, სარკევ, სარკევ, როცა ჩაგხედავ“ [64]). ბუნდოვნად და არეულად დავინახე შემზარავი სურათი, მშფოთვარე, ბოზოქარი და მოთუხთუხე: დიახ, ეს მე ვიყავი, ჰარი ჰალერი. ჰარის არსებაში კი ტრამალის მგელი ჩასაფრებულიყო, ველური და მშვენიერი, თუმცა მის დაბნეულ, შეშინებულ მზერაში ხან სიავე გამოკრთოდა, ხან – კაემანი.

მგლის ცვალებადი იერსახე დროდადრო ქრებოდა, მერე კი ისევ იკვეთებოდა. ხომ გინახავთ, როგორ აამღვრევს და აქოჩრავს ხოლმე მდინარეს სხვა შეფერილობის შენაკადი, როგორ ეხეთქება ერთმანეთს ორი ჩქერი, მერე ერთმანეთისკენ მიიკვალთება და მთლიან ნაკადად ქცევას ლამობს?! ზუსტად ასე ემეტოქებოდნენ ერთმანეთს ეს ორნიც. ნაღვლიანად, ძალიან ნაღვლიანად მიმზერდა ეფემერული, სანახევროდ ხორცშესხმული მგელი თავისი მშვენიერი ველური თვალებით.

– აი, როგორი გეგონათ საკუთარი თავი, – გაიმეორა პაბლომ ტკბილად და სარკე ისევ ჯიბეში ჩაიდო. თვალები მაღლიერებით დავხუჭე და ელიქსირის ყლოუპი მოვსვი.

– ახლა უკვე შევისვენეთ, ცოტა მოვმაგრდით და წავიმუსაიფეთ კიდეც. თუ დაღლილობამ მთლიანად გაგიარათ, წაგიყვანთ და ჩემს პატარა თეატრს გიჩვენებთ. თანახმა ხართ?

ფეხზე წამოვდექით. პაბლო ღიმილით გაგვიძღვა წინ, რომელიღაც კარი შეაღო და ფარდა გადასწია. თეატრის მრგვალი, ნალისებური დერეფნის შუაგულში ამოვყავით თავი. მოხვეული გასასვლელის ორივე მხარეს ერთობ ვიწრო კიბეები იყო ჩამწკრივებული და ლოჟებში გადიოდა.

– ესეც ჩვენი თეატრი! – განაცხადა პაბლომ, – მხიარული თეატრია და იმედია, სასაცილოსაც ბევრს იხილავთ აქ, – ეს თქვა და ხმამაღლა გაიცინა. ამ დროს ორიოდ ისეთი ბგერა გამოსცა, ტანში გამცრა. ეს კვლავ ის წკრიალა, უცნაური სიცილი იყო, წელან ზემოდან რომ ჩამომესმა.

– ჩემს პაწია თეატრში, რამდენიც გნებავთ, იმდენი ლოჟაა: ათი, ასი, ათასი. ყველა კარს უკან შეგიძლიათ იპოვოთ ის, რასაც ეძებთ. ძვირფასო მეგობარო, ეს შესანიშნავი სურათების გალერეა გახლავთ, მაგრამ ვერაფერს დაინახავთ და ვერაფერს გაიგებთ, თუკი როგორიც ხართ, ისეთივე დარჩებით. თქვენ სწორედ ის შეგბოჭავთ და დაგაბრმავებთ, რასაც ჩვეულების თანახმად, თქვენს პიროვნებას უწოდებთ. მაგრამ, ვფიქრობ, კარგა ხანია უნდა მიმხვდარიყავით, რომ დროის გადალახვა, სინამდვილიდან გაქცევა, ანდა, რაც გინდა ის დაუძახეთ თქვენს სევდას, სხვა არაფერია, თუ არა ეგრეთ წოდებული პიროვნებისგან განთავისუფლების სურვილი. პიროვნება ის საპყრობილეა, სადაც თქვენ ხართ გამომწყვდეული. ამიტომაც, თუ თეატრში თქვენი ახლანდელი იერსახით შეხვალთ, ყველაფერს ჰარის თვალებით, ტრამალის მგლის ძველი სათვალით დაინახავთ. აი, აქ სწორედ იმისათვის მოგიწვიეთ, რომ ეგ სათვალე მოიხსნათ, თქვენი ღრმად პატივცემული პიროვნება კი გასახდელში დატოვოთ. იცოდეთ, როცა კი მოინდომებთ, იგი კვლავ თქვენი იქნება. ნიადაგი საუცხოოდ გაქვთ შემზადებული: აგერ, მშვენიერ მეჯლისშიც მონაწილეობდით, ტრამალის მგლის ტრაქტატიც წაიკითხეთ, დაბოლოს, ეს-ესაა ცოტაოდენი აღმგზნები სასმელიც შესვით. ჰარი, როგორც კი თქვენს პატივცემულ პიროვნებას გასახდელში დატოვებთ, შეგიძლიათ თეატრის მარცხენა მხარეს დაეპატრონოთ, მარჯვენა მხარე კი ჰერმინესი იქნება. თუკი მოინდომებთ, შეგიძლიათ ერთმანეთსაც შეხვდეთ. ჰერმინე, ქენი სიკეთე და ცოტა ხნით ფარდის უკან გადი, ჯერ ჰარი მინდა შევიყვანო.

ჰერმინემ გვერდით ჩაუარა უზარმაზარ სარკეს, უკანა კედელს იატაკიდან ჰერამდე რომ ფარავდა, და ხელმარჯვნივ გაუჩინარდა.

– აბა, ჰარი, ახლა კი წამობრძანდით და შეეცადეთ, რაც შეიძლება გახალისდეთ. მთელი ჩემი ჩანაფიქრის მიზანი ისაა, კარგ გუნებაზე დაგაყენოთ და სიცილი გასწავლოთ. იმედია, ამ საქმეში თქვენც შემიწყოთ ხელს. თავს ხომ კარგად გრძნობთ? შიშით ხომ არ გეშინიათ? კეთილი და პატიოსანი. ახლა კი გაბედულად უნდა შემოაბიჯოთ ჩვენს სამყაროში, მერე, ჩვენი ადათ-წესების თანახმად, ერთი პატარა თვითმკვლელობა გაითამაშოთ, თან ამ დროს სიამოვნებაც უნდა განიცადოთ.

ჯიბიდან კვლავ ამოიღო პატარა სარკე და თვალებთან მომიტანა. იქიდან ისევ და ისევ ის შემცბარი, გონებაამღვრეული ჰარი მიმზერდა, მგლის იერსახეში გამლზვარი. ამ ერთობ ნაცნობი და მართლაც არასასიამოვნო სურათის განადგურება სულაც არ იყო ჩემთვის ძნელი და დასანანი.

– დიახ, ეს სურათი უკვე ზედმეტია თქვენთვის, ჩემო მეგობარო, აღარ გჭირდებათ და უნდა გააქროთ იგი. სრულიად საკმარისი იქნება, თუ სურათს დახედავთ და გულწრფელად გაიცინებთ, ოღონდ სათანადო გუნება-განწყობაზე უნდა ბრძანდებოდეთ. აქ იუმორის სკოლაა და სიცილი უნდა ისწავლოთ. ჯანსაღი იუმორი კი მაშინ იწყება, როცა კაცი საკუთარ თავს დიდად არაფრად აგდებს.

ჯიქურ ჩავიხედე სარკეში (კვლავ გამახსენდა, „ო, სარკევ, სარკევ, როცა ჩაგხედავ!“), იქიდან ჰარი-მგელი ემანჭებოდა. სულის სიღრმეში მხოლოდ წამით, მტკივნეულად შემიტოკდა რაღაც, ეს თითქოს მოგონება იყო, მშობლიური კერიის მონატრებისა თუ სინდისის ქენჯნის მაგვარი რამ. მერე ეს დამთრგუნველი გრძნობა ახალმა შეცვალა. მსგავსი განცდა ადამიანს მაშინ ეუფლება, როცა კოკაინით გაყუჩებული ყბიდან მტკივან კბილს ამოაძრობენ, ის კი შვებით ამოისუნთქავს და თან გაოცდება, რომ ყველაფერმა ასე უმტკივნეულოდ ჩაიარა. ამასთანავე საოცრად მხნედ ვგრძნობდი თავს, მხიარულ გუნებაზე ვიყავი და ერთი სული მქონდა გამეცინა. რაკილა საკუთარ თავთან ვერაფერი გავაწყვე და თანაც ვიცოდი, რომ მხოლოდ ამასლა შეეძლო ჩემი ხსნა, ხარხარი ამიტყდა.

სარკეში ბუნდოვანი ჩემი გამოსახულება შეტოკდა და გაქრა. პაწია სარკის მრგვალი ზედაპირი, თითქოს უეცრად ამოიწვაო, განაცრისფრდა, დაიხორკლა და გამქრქალდა. პაბლომ სიცილით მოისროლა სარკე. ისიც გაგორდა და უსასრულო დერეფანში მიიკარგა.

– რა მშვენივრად იცინოდი, ჰარი, – წამოიძახა პაბლომ, – უთუოდ ისწავლი ისეთ სიცილს, უკვდავებს რომ სჩვევიათ. ბოლოს და ბოლოს, ხომ აუგე ანდერძი ტრამალის მგელს. აქ სამართებლით ვერას გახდები. უფრთხილდი, არ გაცოცხლდეს! ახლა უკვე შეგიძლია, მიატოვო ეს სულელური სინამდვილე, ცოტა მოგვიანებით კი, შემთხვევა მოგვეცემა თუ არა, მე და შენ ძმობის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ. დღევანდელივით ჯერ არასოდეს მომწონებიხარ, ჩემო ძვირფასო. მომავალში, თუკი მოინდომებ, შეგიძლია ვიფილოსოფოსოთ, ვიკამათოთ და, რამდენიც მოგესურვება, იმდენი ვისაუბროთ მუსიკაზე, მოცარტზე, გლუკზე, პლატონსა თუ გოეთეზე. ალბათ ახლა მიხვდები, აქამდე რატომ ვერ ვახერხებდი ამას. იმედია, ბედი გაგიღიმებს და დღეს ტრამალის მგელს თავს დაადწევ. რა თქმა უნდა, შენი თვითმკვლელობა მოჩვენებითი იქნება. ალბათ იცი, რომ მაგიურ თეატრში ვიმყოფებით, აქ კი მხოლოდ გამოსახულებებია და არა სინამდვილე. შეარჩიე მშვენიერი, ხალისიანი გამოსახულებები და დაგვიმტკიცე, რომ ნამდვილად აღარ ხარ შეყვარებული შენს

ორჭოფულ პიროვნებაზე! მაგრამ, თუკი მაინც შეეცდები მის დაბრუნებას, საკმარისია კვლავ ჩაიხედო იმ სარკეში, ახლა რომ გიჩვენებ. ალბათ გახსოვს ძველებური ბრძნული შეგონება: კედელზე ორი სარკის დაკიდებას, გიჯობს ერთი გეჭიროს ხელში. ჰა! ჰა! ჰა! – და პაბლომ კვლავ იმ მშვენიერი, შემზარავი სიცილით გაიცინა. – მაშ ასე, ახლა კი ერთი პატარა მხიარული ამბავი უნდა გავითამაშოთ. რაკილა შენს პიროვნებას სათვალე ჩამოხსენი, მოდი ახლა და ნამდვილ სარკეში ჩაიხედე! ერთობ ნასიამოვნები დარჩები.

პაბლომ სიცილით, ალერსიანად დამადო მხარზე ხელი და უეცრად შემოტრიალდა. ახლა უკვე უზარმაზარი კედლის სარკის წინ ვიდექი და ჩემს თავს შევცქეროდი.

ჩემთვის ნაცნობ ჰარის მეყსეულად შევავლე თვალი. უჩვეულოდ მხიარული, ნათელი და მოღიმარი სახე ჰქონდა. ვიცანი თუ არა, დაშლა დაიწყო. ჯერ იყო და ერთი სხეული გამოუცალკევდა, შემდეგ მეორე, მესამე, მეათე, მეოცე და მალე ის უზარმაზარი სარკე უამრავი ჰარით გაივსო[65], თვალის ერთი შევლებითაც რომ შევიცნობდი. უთვალავ ჰარის შორის ჩემი ხნის ხალხიც ერია. იყვნენ ჩემზე უფროსებიც, მთლად მოხუცებიც, სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკებიც, ბიჭუნებიც და მოსწავლეებიც, მოზარდებიც და ბავშვებიც. ერთად დარბოდა და დახტოდა ორმოცდაათი და ოცი წლის, ოცდაათი და ხუთი წლის უამრავი ჰარი. ზოგი ჭკუადამჯდარი და დარბაისელი იყო, ზოგი – მხიარული და სასაცილო. ერთმანეთში ირეოდნენ მშვენივრად გამოწყობილი, ჩამოკონკილი თუ დედიშობილა, მელოტი თუ გრძელკულოლებიანი გამოსახულებები. თითოეულ მათგანში ჩემს თავს ვხედავდი. ისინი წამიერად გამიელვებდნენ თვალწინ და ვიცნობდი თუ არა, მაშინვე ქრებოდნენ, სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ, სარკის სიღრმეში იმალებოდნენ, მერე კი სარკიდან ჩემკენ მოიწევდნენ. ვიღაც კოხტა ჭაბუკი სიცილ-სიცილით ჩაეკრა პაბლოს მკერდში, ხელი გადაჰხვია და მასთან ერთად სადღაც გაიქცა. განსაკუთრებით ერთი მშვენიერი, მომხიბლავი ბიჭი მომეწონა. ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. ელვის სისწრაფით გამოვარდა დერეფანში და კარებზე გაკრულ წარწერებს გულმოდგინედ დაუწყო კითხვა. დავდევენე. ბიჭი ერთ-ერთ კართან შედგა, რომელზეც ეს წარწერა წავიკითხე:

ყველა გოგონა შენია!

ჩააგდე ნასვრეტში ერთი მარკა!

პირმშვენიერმა ბიჭმა შეიკუნტრუშა, მერე წინ გაიჭრა, ნასვრეტში შევარდა და კარს მიღმა გაუჩინარდა. აღარც პაბლო ჩანდა არსად და აღარც სარკე. მასთან ერთად ჰარის მრავალრიცხოვანი გამოსახულებებიც გამქრალიყო. უცებ მივხვდი, ამ თეატრში ახლა საკუთარი თავის ანაბარა ვიყავი და ცნობისმოყვარეობით დავიარე ყველა კარი. თან წარწერებს ვკითხულობდი, ნაირ-ნაირ ნეტარებას რომ ჰპირდებოდა ადამიანს. ჩემი ყურადღება, აი, ამ წარწერამ მიიპყრო:

მსხვილფეხა ნადირი – ავტომობილებია!

გიწვევთ მხიარულ ნადირობაზე!

ვიწრო კარი შევალე და შევედი.

მყისვე საშინელ ხმაურსა და ორომტრიალში მოვხვდი. ქუჩებში დაჯავშნული

ავტომობილები დაქროდნენ და ფეხით მოსიარულეებზე ნადირობა გაეჩაღებინათ – ბორბლებით სრესდნენ და შენობების კედლებს ზედ აჭყლეთდნენ. მაშინვე მივხვდი: ეს ბრძოლა ადამიანებსა და მანქანებს შორის გამართულიყო. დიდი ხანია ემზადებოდნენ ისინი ამ ბრძოლისათვის, დიდი ხანია მის მოლოდინში იყვნენ, ეშინოდათ მისი და ჰა, ბრძოლა ბოლოს მაინც გაჩაღებულა. ყველგან დაჩენილ-დაფლეთილი გვამები ეყარა, არემარე დამსხვრეული, მიჭყლეტილ-მოჭყლეტილი, ნახევრად გადაბუგული ავტომობილებით იყო მოფენილი. ამ შეშლილი სამყაროს თავზე თვითმფრინავები დაქროდნენ. სახლების სახურავებსა და ფანჯრებიდან მათ თოფებსა და ტყვიამფრქვევებს ესროდნენ. ყველა კედელზე დიდებული, ცეცხლოვანი პლაკატები ეკიდა და ზედ ჩირაღდნებივით კიაფობდა უზარმაზარი ასოები. პლაკატები მთელ ერს მოუწოდებდა, ადამიანების მხარე დაეჭირა, აღმდგარიყო მანქანების წინააღმდეგ, ამოეჟლიტა გაქსუებული, გადაპრანჭული, სუნამონასხურები ბობოლები, მანქანების მეშვეობით სისხლს რომ სწოვდნენ ხალხს, და ზედ მიეყოლებინა უზარმაზარი, ღრიალა, ბოროტად მოგრუხუნე, ჯოჯოხეთურად მოჭყვიტინე ავტომობილები. ბოლოს და ბოლოს, ცეცხლისთვის მიეცა ფაბრიკები და ეს წაბილწული დედამიწა ცოტათი მაინც გაეწმინდა. იქნებ მაშინ მაინც კვლავ ამობიბინებულყო ბალახი, ცემენტის მტვრით დაფარული სამყარო კვლავ ამწვანებულყო ტყეებით, მდელოებითა და მინდვრებით, კვლავ ამოჩუხჩუხებულყო ნაკადულები, ჩამდგარიყო ჭაობები. სამაგიეროდ, სხვა პლაკატებს, ვიღაცის ნიჭიერი ხელით საუცხოოდ შესრულებულს, დიდებულად სტილიზებულსა და ჭკვიანურს, სულაც არ ეტყობოდა ის ბალღური მიაშიტობა; ამ პლაკატებზე ჭყეტელა ფერები ნაზ ფერებს შეეცვალა და წარწერებიც მღელვარებით აუწყებდნენ ყველა ბობოლასა თუ კეთილგონიერ ადამიანს ანარქიით გამოწვეული ქაოსის საშიშროებას, გულისამაჩუყებლად აღწერდნენ წესრიგის, შრომის, საკუთრების, კულტურისა და სამართლის სიკეთეს და ზოტბა-დიდებას ასხამდნენ მანქანებს, ადამიანის ამ უკანასკნელ მონაპოვარს, რისი წყალობითაც მას ღმერთად ქცევა უწერია. დაფიქრებითა და აღტაცებით ვკითხოლობდი წითელ-მწვანე წარწერებს, საოცრად მომწონდა მათი მგზნებარე მჭევრმეტყველება და რკინისებური ლოგიკა; ისინი სიმართლეს ღაღადებდნენ, რწმენას მინერგავდნენ და მეც ხან ერთ, ხან მეორე პლაკატს შევცქეროდი. უცებ სროლა გახშირდა და ამან ძალიან ამაფორიაქა, თუმცა ერთი რამ აშკარა გახდა: ეს იყო ბრძოლა გააფთრებული, დიდებული და საოცრად მიმზიდველი. აქ საქმე როდი ეხებოდა, იმპერატორს, რესპუბლიკას, სახელმწიფო საზღვრებს, ბაირაღებსა და პარტიებს, ერთი სიტყვით, რაიმე დეკორატიულ თუ თეატრალურ სისუფელეს. ამ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ ადამიანები, ვისაც უჰაერობისგან სული ეხუთებოდა, ცხოვრება მობეზრებოდა და ახლა თავის უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავდა. ამ ადამიანებს ლითონის ცივილიზებული სამყაროს სრული განადგურება ეწადა. მათ თვალებში აშკარად გამოსჭვიოდა კაცთკვლისა და ქვეყნიერების შემუსვრის წყურვილი. ეს ველური, წითელი ყვავილები ჩემშიც გაიშალა და მეც სიხარულით ჩავები ბრძოლაში.

ყველაზე მეტად მაინც იმან გამახარა, რომ ჩემ გვერდით მოულოდნელად ჩემი სკოლის ამხანაგი – გუსტავი დავინახე. ათეული წლების მანძილზე აღარაფერი მსმენოდა მასზე. ჩემი ადრეული ბავშვობის მეგობრებიდან გუსტავი ყველაზე დაუდეგარი, ძლიერი და სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო. სული გამინათდა, როცა ძველებურად ჩამიპაჭუნა ცისფერი თვალები, მანიშნა, მომყევო და მეც ფეხდაფეხ

დავედევნე.

– ღმერთო ჩემო, გუსტავ, – შევძახე ალტაცებით, – შეხვედრაც ამას ჰქვია! ერთი მითხარი, რა კაცი დადგა შენგან?

გუსტავმა გაბრაზებით ჩაიცინა, ზუსტად ისე, ბიჭობაში რომ იცოდა.

– შე დოყლაპიავ, შენა, უთუოდ სულში უნდა ჩაუძვრე ადამიანს და შეკითხვებითა და ლაქლაქით თავი მოაბეზრო?! ღვთისმეტყველების პროფესორი გახლავარ, აი, რა კაცი დადგა ჩემგან! ხომ გაიგე?! ჩემო ბიჭუნავ, საბედნიეროდ ახლა ღვთისმეტყველებისთვის აღარავის სცხელა, – ომია, ომი! აბა, მომყევი!

პატარა სატვირთო მანქანა გრუხუნით გამოიჭრა ჩვენკენ. გუსტავმა შაშხანა დაუმიზნა, და მძლოლი გადმოაგდო, შემდეგ მაიმუნივით მარდად აძვრა მანქანაზე, გააჩერა, მეც შიგ ჩამისვა და ტყვიების ცეცხლში გიჟური სისწრაფით გააქროლა დამსხვრეული მანქანების გროვაზე. ქალაქი ნელ-ნელა უკან ჩამოვიტოვეთ.

– ვის მხარეზე ხარ, ფაბრიკანტებისა? – ვკითხე მეგობარს.

– აბა მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! ეგ უკვე გემოვნების საკითხია და ქალაქიდან რომ გავალთ, იქ გავარკვევთ. თუმცა არა, მოიცა, პირადად მე უფრო იმის მომხრე ვარ, ახალი პარტია შევქმნათ; ისე კი, კაცმა რომ თქვას, განა სულერთი არ არის? თეოლოგი კაცი ვარ. ჩემი წინაპარი ლუთერი თავის დროზე მთავრებსა და ბოხოლებს ედგა მხარში გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჰოდა, მისი ეს შეცდომა ცოტათი ხომ მაინც უნდა გამოვასწოროთ?! ეს რა დანჯღრეული მანქანაა, მაგრამ იმედია, რამდენიმე კილომეტრს მაინც გაივლის.

როგორც იქნა, ქალაქიდან გავაღწიეთ. ნაზი, ფრთამალი ნიავივით ჩავუქროლეთ აბიბინებულ მდელოებს, კარგა ხანს ვიარეთ უკიდევანო ველებზე, მერე კი ნელ-ნელა ცაში აზიდული მთებისკენ ავიღეთ გეზი. ყინულით მოსარკულ გზაზე შევჩერდით, ლაღად რომ ზეაჭრილიყო ჰაერში გამოკიდებულ კლდესა და დაბალ მოაჯირს შორის და სადღაც ზემოთ, ლურჯად მოკამკამე ტბისკენ მიემართებოდა.

– რა მშვენიერი მიდამოა! – აღმომხდა უნებურად.

– ჩინებულია. ამ ადგილს, ჩემო ჰარი, საღერძე გზაც შეიძლება შევარქვათ! აი, ნახავ, აქ არა ერთსა და ორ ღერძს გამოუვა წირვა.

გზის პირას დიდი იტალიური ფიჭვი იდგა. ზემოთ, მის ტოტებში, ფიცრებისგან შეკრული ჯიხურის მსგავსი სათვალთვალო კოშკი ჩაედგათ. გუსტავმა გადაიხარხარა და ეშმაკურად ჩამიპაჭუნა ცისფერი თვალი. ორივენი სწრაფად გადმოვხტით მანქანიდან, ხეზე ავცოცდით და აქოშინებულები ჯიხურში შევძვერით. იქაურობა ძალიან მოგვეწონა. რაღა არ დაგვხვდა იქ: თოფები, დამბაჩები, ტყვიით სავსე ყუთები. სულის მოთქმა და საფარში მოყუჩება ვერ მოვასწარი, რომ იქვე, მოსახვევიდან საყვირის ხრინწიანი, მბრძანებლური ხმა გაისმა. მალე უზარმაზარი, დიდებული მანქანა გამოჩნდა. უჩვეულო სისწრაფით მიქროდა მთაში გაჭრილ, ლარივით სწორ გზაზე. თოფები უკვე მოვამზადეთ. საოცარი სანახაობა იყო.

– მძლოლს დაუმიზნე! – სწრაფად მიბრძანა გუსტავმა.

მძიმე მანქანა გაგვისწორდა თუ არა, მძღოლის ლურჯ ქუდს დავუმიზნე და ვესროლე. მძღოლი საჯდომზე ჩაცურდა, მანქანა კი წინ გავარდა და კლდეს შეეხეთქა, მერე უკან დაგორდა, ვეება, გატიკნული ბზიკივით დაეტაკა დაბალ მოაჯირს, ამოტრიალდა და გრუხუნით გადაეშვა უფსკრულში.

– მაგის საქმე გათავებულია! – გაიცინა გუსტავმა, – მომდევნო მანქანა ჩემზე იყოს!

და აი, კვლავ მოქროდა ჩვენკენ მანქანა. შიგ სამი თუ ოთხი მგზავრი იჯდა. ქალის თავს მოვკარი თვალი. მისი ცისფერი ქალაღაიის წვერი გარეთ გადმოკიდებულიყო და ახლა თითქოს ჰაერში მიცურავდა. მართალი გითხრათ, ამის დანახვაზე გული შემეკუმშა. ვინ იცის, ვინ მზეთუნახავს ჰქონდა შემოხვეული ის ქალაღაია?! ღმერთო ჩემო, თუ მაინცდამაინც ყაჩაღობანას ვთამაშობდით, უფრო მართებული, უფრო ვაჟკაცური არ იქნებოდა კეთილშობილი მაგალითებისთვის მიგვება და ამ ხოცვა-ჟლეტაში მშვენიერ ბანოვნებზე ხელი არ აღგვემართა? მაგრამ გუსტავმა უკვე გაისროლა. მძღოლი შექანდა და ძირს ჩაცურდა, მანქანა კი ჯერ გადმოკიდებულ კლდესთან შეჩერდა, მერე ისევ უკან გამოვარდა, ამოყირავდა და ბორბლებამოტრიალებული გზას დაასკდა. ცოტა ხანს დაველოდეთ, მგზავრები ხაფანგში მომწყვდეულებივით უხმოდ გართხმულიყვნენ მანქანის ქვეშ. მანქანა ისევ ღმუოდ და ხროტინებდა, ბორბლები სასაცილოდ ტრიალებდა ჰაერში. უეცრად საშინელი ჭახანი გაისმა და წითელი ალი ავარდა ზევით.

– ფორდია, – თქვა გუსტავმა, – ახლა დაბლა ჩავიდეთ და გზა გავწმინდოთ.

გზაზე ჩავედით და აღმოდებულ მანქანას მივუახლოვდით. სულ მალე დაიწვა. ხის ნორჩი ტოტებისგან ძალაყინები გავაკეთეთ, დაბუგულ მანქანას ქვეშ შევუგდეთ, გზის პირას მივათრიეთ და ხრამში გადავუძახეთ. ქვემოდან კარგა ხანს ისმოდა ეკალ-ბარდების ლაწალუწი. მანქანის ამოტრიალებისას კაბინიდან ორი გვამი გადმოვარდნილიყო და ახლა გზაზე ეგდო; ტანისამოსი ორივეს შემომწვარი ჰქონდა. ერთ-ერთ მათგანს ტანზე პიჯაკის ნაგლეჯებიღა შემორჩენოდა. ჯიბეები გავუჩხრიკე, იქნება რაიმე საბუთი აქვს და მისი ვინაობა შევიტყო-მეთქი. ტყავის საფულე ვუპოვე, შიგ სავიზიტო ბარათები ეწყო. ერთი ცალი ავიღე და წავიკითხე: „ტატ ტვამ ასი[66]“.

– ხედავ, რა ჭკვიანურია, – თქვა გუსტავმა, – მართლაცდა, განა სულ ერთი არ არის, რა ჰქვიათ ამ ადამიანებს, ახლა რომ ვხოცავთ? აბა, რაში გვეკითხება ამ საცოდავი ხალხის ვინაობა. იმედია, ჩვენს ვინაობასაც არავინ იკითხავს. ეს სამყარო უნდა მოისრას და ჩვენც მას უნდა მივყვეთ.

გვამები მანქანას მივაყოლეთ და ხრამში გადავუძახეთ. უკვე ახალი მანქანა გვიახლოვდებოდა პიპინ-პიპინით. გზიდან არ გადავსულვართ, ისე დავცხრილეთ ტყვიებით. მანქანამ მთვრალივით წაიფორხილა, ოდნავ წინ გაიჭრა, მერე კი ხროტინით გაჩერდა. შიგ მჯდომი მგზავრი არც განძრეულა, ერთხანს ასე გაშეშებული იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ კი მანქანიდან ვიღაც მშვენიერი გოგო საღ-სალამათი გადმოვიდა, თუმცა გაფითრებული ჩანდა და მთელი ტანით ცახცახებდა. თავაზიანად მივესალმეთ და დახმარება შევთავაზეთ. ძალიან შეშინებული იყო, ხმას ვერ იღებდა და ერთხანს შეშლილივით მოგვჩერებოდა.

– აბა ახლა კი ვნახოთ, როგორ არის ამ ბებრუხუნა ვაჟბატონის საქმე? – თქვა

გუსტავმა და მგზავრს მიუტრიალდა, მოკლული მძღოლის უკან საჯდომზე რომ იყო მისვენებული. მოკლე ჭაღარა თმა ჰქონდა, ჭროლა, გონიერი თვალები ფართოდ დაეღო, მაგრამ, ეტყობა, კარგა გვარიანად უნდა ყოფილიყო დასახიჩრებული. ასეა თუ ისე, პირიდან სისხლი მოსდიოდა, კისერი ავისმომასწავებლად მოღრეცოდა და გვერდზე ჰქონდა გადაგდებული.

– ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ: გუსტავს მეძახიან. ჩვენს თავს უფლება მივეცით, თქვენი მძღოლი დაგვეცხრილა. თუ შეიძლება გვითხარით, ვინ ბრძანდებით?

მოხუცი ცივად და სევდიანად შემოგვყურებდა წვრილი, ჭროლა თვალებით.

– მთავარი პროკურორი ლოერინგი ვარ, – ძლივს ამოღერღა მან, – თქვენ არა მარტო ჩემი საბრალო მძღოლი მოკალით, მეც მომიღეთ ბოლო! ვგრძნობ, ჩემი აღსასრულის ჟამი დადგა. კი მაგრამ, რატომ გვესროლეთ?

– ერთობ დიდი სიჩქარით მოქროდით.

– არა, ჩვეულებრივი სიჩქარით მოვდიოდით.

– ბატონო მთავარო პროკურორო! ის, რაც გუშინ ჩვეულებრივად მიგვაჩნდა, დღეისათვის უკვე არაჩვეულებრივად ითვლება. ჩვენი აზრით, ნებისმიერი სიჩქარე, რომელსაც დღეს მანქანა ავითარებს, ძალიან დიდია. ჩვენ ყველა მანქანის დამტვრევას ვაპირებთ, დიახ, უკლებლივ ყველა მანქანისა და მექანიზმისა.

– ამ თქვენს თოფებსაც დაამტვრევთ?

– მაგის ჯერიც დადგება, თუკი საამისო დრო დაგვრჩა. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ხვალ თუ ზეგ ყველას დაღუპვა გველის. ისიც გეცოდინებათ, დედამიწის ეს კუთხე მეტისმეტად მჭიდროდ რომაა დასახლებული. ეს აღსრულდება და კაცი თავისუფლად ამოისუნთქავს.

– განურჩევლად ესვრით ყველას?

– დიახ, დიახ. ზოგი ადამიანი, რა თქმა უნდა, გვებრალება. აი, მაგალითად, ძალიან დასანანი ეს ლამაზი ახალგაზრდა ქალი. ალბათ თქვენი ქალიშვილია, არა?

– არა, ჩემი სტენოგრაფისტი გახლავთ.

– მით უკეთესი. ახლა კი გთხოვთ, თავად გადმობრძანდეთ, ანდა ნება დაგვრთოთ, გადმოგაბრძანოთ. მანქანა უნდა მოვსპოთ.

– მირჩევნია, მეც ზედ მიმაყოლოთ!

– ნება თქვენია. თუ შეიძლება, კიდევ ერთ შეკითხვას მოგცემთ! წელან ბრძანეთ, პროკურორი ვარო. ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლება ადამიანი პროკურორად მუშაობდეს. რამდენადაც ვიცი, თქვენ მსჯავრს სდებთ და განაჩენი გამოგაქვთ ადამიანებისათვის, მეტწილად ღარიბებისათვის და ამით ცხოვრობთ. ასეა, ხომ?

– დიახ, ასეა. მე ჩემი მოვალეობა მაკისრია და კიდევაც ვასრულებ მას. ზუსტად ასეა

ჯალათიც, ისიც ვალდებულია სიცოცხლეს გამოასალმოს ყველა, ვისაც მე სასიკვდილო განაჩენს გამოვუტან. განა თქვენც იგივე ხელობა არ გირჩევიათ? თქვენც ხომ ხოცავთ!

– მართალი ბრძანებაა, ოღონდ ჩვენ იმიტომ კი არ ვხოცავთ, რომ ასეთი მოვალეობა გვაკისრია, არამედ იმიტომ, რომ სიამოვნება განვიცადოთ. უფრო მეტსაც გეტყვით: ამას იმიტომ ჩავდივართ, რომ ეს ქვეყანა ჩვენთვის უსიამოვნებისა და სასოწარკვეთილების ბუდეა. აი, სწორედ ამიტომ გვანიჭებს სიამოვნებას მკვლელობა. თქვენ კი არ გსიამოვნებთ, როცა ვინმეს კლავთ?

– იცით, რას გეტყვით, უკვე თავი მომაბეზრეთ. კეთილი ინებეთ და აღასრულეთ თქვენი განზრახვა. რაკილა არ გცოდნიათ, თუ რა არის მოვალეობის გრძნობა...

იგი დადუმდა და ტუჩები ისე მოპრუწა, იფიქრებდით, გადმოფურთხება უნდაო, მაგრამ პირიდან მხოლოდ ცოტაოდენი სისხლი გადმოუვიდა და ნიკაპზე შეახმა.

– მოითმინეთ! – უთხრა გუსტავმა თავაზიანად, – მოვალეობის გრძნობა ღიახაც რომ აღარა მაქვს, ერთ დროს კი იძულებული ვიყავი, ამ გრძნობისთვის ანგარიში გამეწია: მე ხომ ღვთისმეტყველების პროფესორი ვარ. ამას გარდა, ომშიც ვიყავი ჯარისკაცად. უწინ ვფიქრობდი, რასაც უფროსობა მიბრძანებს, უსიტყვოდ უნდა შევასრულო-მეთქი. დიახ, ბრძანების შესრულება მოვალეობად მიმაჩნდა. მაგრამ რა ხეირი ვნახე ამაში? ისე, ჩემთვის რომ გეკითხათ, მერჩივნა, რასაც მიბრძანებდნენ, იმის საწინააღმდეგო მეკეთებინა ხოლმე. ახლა მოვალეობის გრძნობა უცხო ხილია ჩემთვის, სამაგიეროდ, კარგად ვხვდები, რა არის დანაშაული. თუმცა, ვინ იცის, ეგებ ეს ერთი და იგივეც იყოს?! დედის საშოდან რომ ვიშვი, ამით ხომ უკვე ჩავიდიხე დანაშაული. დიახ, რაკილა განგებამ სიცოცხლის განაჩენი გამომიიტანა, ვალდებული ვარ, ვითვლებოდე ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომად, ვიყო ჯარისკაცი, ვხოცო ადამიანები, ვიხადო გადასახადები, რომ ხელი შევუწყო შეიარაღების ზრდას. და აი, ახლაც, ამ წუთშიც, ისევე როგორც ოდესღაც, ომის დროს, ჩემი ამქვეყნად არსებობის დანაშაულმა ხელახლა მაიძულა მკვლელობა ჩამედინა. მაგრამ ამჯერად დავძლიე ზიზღის გრძნობა და თავიან-ფეხიანად გავეხვიე დანაშაულის ქსელში. არაფერი მექნება საწინააღმდეგო, თუკი ეს სულელი, დახშული სამყარო ნანგრევებად იქცევა და, კიდევაც გამიხარდება, როცა მეცოდინება, ამ საქმეში ჩემი ხელიც ურევია-მეთქი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ სამყაროსთან ერთად მეც სიამოვნებით დავიღუპებოდი.

პროკურორმა სისხლშემხმარი ტუჩები რის ვაივაგლახით შეარხია, თითქოს ჩაიღიმო. მართალია, ღიმილი დიდი ვერაფერი მოსაწონი გამოუვიდა, მაგრამ ამით თავისი კეთილგანწყობა გვაგრძნობინა.

– კეთილი, – თქვა მან, – მაშ, გამოდის, კოლეგები ვყოფილვართ. ბატონო კოლეგა, გთხოვთ, აღასრულოთ თქვენი ვალი.

ლამაზ გოგონას, გზის პირას რომ იდგა, გული შეუღონდა და იქვე ჩაიკეცა.

ამასობაში გრუხუნი შემოგვესმა; გზაზე კვლავ მთელი სისწრაფით მოჰქროდა მანქანა. გოგონა განზე გავათრიეთ, კლდეს ავეკარით და დავაცადეთ, ვიდრე ახალი მსხვერპლი დამსხვრეულ მანქანას შეასკდებოდა. მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა, მანქანა ყალყზე შედგა, მაგრამ არაფერი დაშავებია. სასწრაფოდ დავავლეთ თოფებს

ხელი და ახალი მგზავრები ნიშანში ამოვიღეთ.

– გადმოდიო! – გასცა ბრძანება გუსტავმა, – ხელები მაღლა!

მანქანიდან სამი კაცი გადმოძვრა და ხელები მორჩილად ასწია.

– ექიმი თუა ვინმე თქვენში? – იკითხა გუსტავმა. სამივემ უარი თქვა.

– მაშინ ჩემი თხოვნაა: აი, ეს კაცი, მანქანაში რომაა გაჩხირული, ფრთხილად გადმოსვით, მძიმედაა დაშავებული. მერე კი თქვენთან ჩაისვით და უახლოეს ქალაქამდე მიიყვანეთ. აბა, შევუდგეთ საქმეს!

მალე მგზავრებმა ბერიკაცი თავიანთ მანქანაში გადაიყვანეს. გუსტავმა ნიშანი მისცა და მანქანა დაიძრა.

სტენოგრაფისტი გოგონა ამასობაში გონს მოსულიყო და თვალყურს ადევნებდა მომხდარი ამბებს, ჩვენ კი ერთობ ნასიამოვნები ვიყავით, ასეთი ძვირფასი ნადავლი რომ ჩავიგდეთ ხელში.

– გოგონი, – უთხრა გუსტავმა, – როგორც ხედავთ, პატრონი აღარა გყავთ. იმედია, ამ ბერიკაცთან სხვა რამ სიახლოვე არ გქონიათ. ამიერიდან მე გაგიწევთ მფარველობას და სამსახურში მიგიღებთ. ვფიქრობ, კეთილად ვითანამშრომლებთ. მაშ ასე, უნდა ვიჩქაროთ. აქ ეს სიწყნარე დიდხანს არ გასტანს. ცოცვა თუ შეგიძლიათ? ზემოთ უნდა ავძვრეთ.

დრო აღარ დაგვიკარგავს, სამივენი ხეზე ავფოფხდით, ჩვენს ჯიხურში. უეცრად გოგონა ცუდად გახდა, მაგრამ კონიაკი ჩავაყლაპეთ და მალე იმდენად გამოკეთდა, აღფრთოვანება ვერ დამალა, ეს რა დიდებული ხედი იშლებაო. მერე თავიც გაგვაცნო და გვითხრა, დორას მეძახიანო.

ამ დროს ქვევით კვლავ გამოჩნდა ავტომობილი. არ შეჩერებულა. ფრთხილად აუარა გვერდი შარაზე დაგდებულ მანქანას და მერე უცებ წინ დიდი სისწრაფით გაიჭრა.

– თავის დაძვრენა უნდა! – გაეცინა გუსტავს და ტყვიით მოცელა მძღოლი. მანქანა ხტუნვა-ხტუნვით მიიჭრა მოაჯირთან, გაანგრია და უფსკრულის თავზე გადაეკიდა.

– დორა! თოფის ხმარება თუ შეგიძლიათ? – ვკითხე ქალს. დორას ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ შაშხანის დატენვა სულ მალე ისწავლა. თავდაპირველად ძალიან მოუხერხებლად ირჯებოდა და თითოც კი გაიფუჭა. ასეთი მარცხი რომ მოუვიდა, ღრიალი მორთო და ინგლისური სალბუნის მოგვთხოვა, მაგრამ გუსტავმა აუხსნა, ახლა ომია და შენი გამბედაობა და სიმამაცე უნდა დაგვიმტკიცო. ეს იყო და, მერე საქმე მშვენივრად აეწყო.

– ჩვენ რაღა გვეშველება? – იკითხა დორამ მოგვიანებით.

– არ ვიცი, – მიუგო გუსტავმა, – ჩემს მეგობარ ჰარის ლამაზი ქალები უყვარს. ალბათ ის გაგიწევს პატრონობას.

– ჰო, მაგრამ ის ხალხი პოლიციასა და ჯარისკაცებს რომ მოგვაყენებს და ყველას ამოგვხოცავენ?

– პოლიცია და მისთანები უკვე აღარ არსებობს! ორში ერთი უნდა ავირჩიოთ, დორა! ან წყნარად უნდა ვისხდეთ აქ, ზევით, და ყველა მანქანა დავცხრილოთ, ან არადა, თავად უნდა ჩავსხდეთ მანქანაში, გავიდეთ აქედან და სხვებს მივცეთ საშუალება გვესროლონ. ვის მხარეზედაც არ უნდა ვიყოთ, სულერთია. მე, მაგალითად, აქ ყოფნა მირჩევნია.

ქვემოთ ისევ გამოჩნდა ავტომობილი. ჩვენამდე მოაღწია მისმა პიპინმა. თვალის დახამხამებაში მოვუღეთ ბოლო და ჰა, იგი უკვე შარაზე ეგდო.

– ვერც კი წარმომედგინა, სროლა თუ ასეთ სიამოვნებას მომანიჭებდა! არადა, უწინ ომის წინააღმდეგი ვიყავი.

გუსტავს გაელიმა.

– უბედურება ისაა, რომ ქვეყანაზე ხალხი ჭიანჭველებივით მომრავლდა. უწინ ეს ამბავი მაინცდამაინც არ გეცემოდა თვალში, ახლა კი ადამიანი მარტო ჰაერის ჩასუნთქვით კი არ კმაყოფილდება, მანქანაც ნებავს. თქმა არ უნდა, ჩვენი ახლანდელი საქციელი არაგონივრულია, მე ვიტყოდი, ბავშვური თამაშია, მაგრამ განა ომიც ბავშვურ თამაშს არ ჰგავს!? გაივლის დრო და კაცობრიობა ალბათ გამონახავს ისეთ გონივრულ გზას, ადამის მოდგმის გამრავლებას რომ შეაფერხებს. ჯერჯერობით კი ძნელია ამ საშინელი მდგომარეობიდან თავის დაღწევა, თუმცა ჩვენს საქმეს მაინც ვაკეთებთ: ადამიანების რიცხვს ნელ-ნელა ვამცირებთ!

– მართალია, – მხარი ავუბი გუსტავს, – ჩვენი საქციელი, ალბათ, სიგიჟეა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ საჭიროა და აუცილებელი. ძალიან ცუდია, როცა კაცობრიობა მეტისმეტად ძაბავს გონებას და ცდილობს წესრიგში მოიყვანოს ისეთი საგნები და მოვლენები, რაც გონების ჩარჩოებში ვერ თავსდება. სწორედ ამ დროს წარმოიშვება იდეალიზმი, აი, მაგალითად ისეთი, ამერიკელებსა და ბოლშევიკებს რომ სჩვევიათ. ეს იდეალები ერთობ გონივრულია, მაგრამ ძალმომრეობითია და ყაჩაღური, რადგან ძალიან ამარტივებენ ცხოვრებას. ადამიანის ხატს, ოდესღაც მაღალ იდეალს რომ წარმოადგენდა, ახლა სტერეოტიპად გადაქცევის საფრთხე ემუქრება. იქნებ ჩვენ, შეშლილებმა შევძლოთ მისი ხელახლა გაკეთილშობილება?!

– ეჰ, შე ძველო, შენა! – სიცილით მომიგო გუსტავმა, – მინდა გითხრა, რომ ჭკვიანურად მსჯელობ! სიბრძნის წყაროს მოსმენა სასარგებლოა და გულსაც უხარია ხოლმე. შესაძლოა, მართალიც ხარ, მაგრამ პატივი დამდე და ახლა თოფი დატენე! მგონი, მეტისმეტად წაგიღო ოცნებამ, არადა, ყოველ წუთს მოსალოდნელია „ჯიხვების“ გამოჩენა. იმათთან კი, ხომ იცი, ფილოსოფიით ფონს ვერ გახვალ, ტყვიები უნდა გელაგოს ლულაში.

ამასობაში კიდევ ერთი მანქანა გამოჩნდა და იქვე გადაყირავდა. გზა მთლიანად ჩაიხერგა. ვიღაც ჟღალთმიანი ზონზრობა კაცი, ცოცხალი რომ გადარჩენილიყო და ახლა დამტვრეულ მანქანასთან იდგა, ხელებს შეშლილივით იქნევდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ეტყობა ჩვენს ადგილსამყოფელს ეძებდა. ბოლოს შეგვნიშნა, ბრდღვინვა-ბრდღვინვით ჩვენკენ გამოქანდა და რევოლვერი რამდენჯერმე გვესროლა.

– დაგვეკარგე აქედან, თორემ გაგათავეთ! – ჩასძახა გუსტავმა.

ჟღალთმიანმა გუსტავი მიზანში ამოიღო და ერთხელ კიდევ ესროლა. მერე ჩვენ დავუმიზნეთ და ორი გასროლით ძირს დავანარცხეთ.

მალე ორი მანქანა მოგვიახლოვდა. იმათაც გამოვუყვანეთ წირვა. გზაზე სიჩუმემ და სიცარიელემ დაისადგურა. ეტყობა, ხმა გავარდა, აქ გავლა სახიფათოაო. დრო ვიხელთეთ და მშვენიერ მიდამოს დავუწყეთ თვალიერება. ტბის გადაღმა, ღარტაფში, პატარა ქალაქი მოჩანდა. ახლა იგი მთლიანად კვამლში იყო გახვეული. მალე ცეცხლის ენებიც შევნიშნეთ, სახურავიდან სახურავზე რომ გადადიოდა. აქა-იქ სროლის ხმა ისმოდა. დორამ წაისლუკუნა. ცრემლიანი ლოყები შევუმშრალე.

– ნუთუ ყველანი უნდა დავიხოცოთ? – იკითხა მან. პასუხი არ გაგვიცია. ამასობაში ქვევით, გზაზე ვიღაც კაცი გამოჩნდა. დამსხვრეული მანქანების გროვა რომ დაინახა, ჯერ გარშემო შემოუარა, მერე დაიხარა და ერთ-ერთ მანქანაში შეძვრა. იქიდან ჭრელი ქოლგა, ქალის ტყავის ჩანთა და ერთი ბოთლი ღვინო გამოათრია და გზისპირა მოაჯირზე დინჯად ჩამოჯდა. ბოთლი მოიყუდა და მოსვა. მერე ჩანთიდან ვერცხლის ქაღალდში გახვეული რაღაც ამოიღო და შეჭამა. ბოთლი რომ გამოცალა, ქოლგა იღლიაში ამოიჩარა და მზიარულად განაგრძო გზა. წყნარად მიაბიჯებდა.

– ნუთუ შეგიძლია ასეთ საუცხოო ყმაწვილს ესროლო და თავი გაუხვრიტო? – ვკითხე გუსტავს, – ღმერთია მოწამე, ამის გამკეთებელი მე არა ვარ.

– არც არის საჭირო, – წაიბურტყუნა ჩემმა მეგობარმა. შემცბარი ჩანდა. საკმარისი იყო ეს უწყინარი, მშვიდი და ჯერაც უცოდველი კაცი დაგვენახა, რომ იმ ჩვენი ნაქებარი, უცდომელი საქციელისათვის ეჭვის თვალით შეგვეხედა და საზიზღრად მოგვეჩვენებოდა. ფუი, დალახვროს ეშმაკმა! რამდენი სისხლია ირგვლივ! შეგვრცხვა. მაგრამ ამბობენ, ომში ხანდახან გენერლებსაც ეუფლებათ მსგავსი გრძნობაო.

– წავიდეთ აქედან, – დაიწუწუნა დორამ, – დაბლა ჩავიდეთ. მანქანებში ალბათ მოიძებნება ცოტაოდენი საჭმელი. ნუთუ არ მოგშივდათ?!

ქვემოთ, აღმოდებულ ქალაქში მშფოთვარედ და შიშით ჩამორეკეს ზარები. ნელ-ნელა დავეშვით ქვემოთ. დორას ხერგილზე გადაძრომაში რომ ვეხმარებოდი, დავიხარე და მუხლებზე ვაკოცე. გოგონამ გადაიკისკისა, მაგრამ სწორედ ამ დროს ფიცრებმა ვეღარ გაუძლო ჩვენს სიმძიმეს და ორივენი სადღაც უფსკრულში გადავეშვით...

* * *

ახლა კვლავ მრგვალ დერეფანში ვიმყოფებოდი. უჩვეულოდ ავეღელვებინე განცდილსა და ნანახს. ყოველი მხრიდან მიხმობდა კარებებზე გაკრული წარწერები:

Mutabor[67]

ნებისმიერ ცხოველად ან მცენარედ გადაქცევა

კამასუტრა[68]

სიყვარულის ინდური ხელოვნება;

კურსი დამწყებთათვის:

სიყვარულის დაუფლების 42 საშუალება

ტკბობა თვითმკვლელობით!

საკუთარი სიცილი მოგიღებს ბოლოს!

გნებავთ სულად გადაქცევა?

აღმოსავლური სიბრძნე

ო, ნეტა ათასი ენა მქონდეს!

მხოლოდ მამაკაცებისათვის

ევროპის აღსასრული.[69]

ფასდაკლებით.

ჯერჯერობით ბადალი არ ჰყავს

ხელოვნების იდეალი

დროის გადაქცევა სივრცედ

მუსიკის საშუალებით.

მცინარე ცრემლი

იუმორის ოთახი

განდეგილის თამაშობანი

სავსებით გასწევს ნებისმიერი ურთიერთობის მაგივრობას.

წარწერათა რიგს დასასრული არ უჩანდა. ერთ-ერთი მათგანი გვამცნობდა:

პიროვნების აგების გაკვეთილი

წარმატება განაღდებული გაქვთ

ბოლო წარწერა რატომღაც საყურადღებო მეჩვენა და ეს კარი შევაღე. ჩაბნელებულ წყნარ ოთახში მოვხვდი. სკამის ხსენება არსად იყო. იატაკზე ვიღაც კაცი იჯდა, აღმოსავლურ ყაიდაზე ფეხმორთხმული. წინ ჭადრაკის დაფისმაგვარი ფიცარი დაედო. თავდაპირველად ვიფიქრე, ჩემი მეგობარი პაბლო-მეთქი, რადგან მასაც აბრეშუმის ხალათი ეცვა და ისეთივე მუქი მოციმციმე თვალები ჰქონდა.

– ნუთუ პაბლო ხართ? – ვკითხე დამხვდურს.

– არავინაც არა ვარ, – მომიგო ალერსიანად, – აქ არავის არა აქვს სახელი. ჩვენთან პიროვნებები არ არსებობენ. მე მოჭადრაკე გახლავარ. გნებავთ, ჩაგიტარებთ გაკვეთილს, თუ როგორ ხდება პიროვნების აგება?

- დიან, დიდად დამავალეთ.
- მაშ გთხოვთ, თქვენი ფიგურებიდან რამდენიმე ათეული ცალი გადმომცეთ.
- როგორ თუ ჩემი ფიგურებიდან?
- დიან, სწორედ ის ფიგურები მჭირდება, თქვენი პიროვნების დაშლის შედეგად რომ მიიღეთ. მათ გარეშე აბა, როგორ შევძლებ თამაშს?!

სარკე თვალებთან მომიტანა და კვლავ დავინახე, როგორ დაიყო და დაიშალა მთელი ჩემი არსება უთვალავ „მედ“. ეტყობა, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილიყო, მაგრამ ახლა ფიგურები ძალიან პატარა ჩანდა, ჩვეულებრივი ჭადრაკის ზომისა. თითების ნელი, დამაჯერებელი მოძრაობით მოთამაშემ რამდენიმე ათეული ფიგურა აარჩია და იატაკზე, ჭადრაკის დაფის გვერდით დააწყო, თან გაბმით, თითქოს კარგად დაზუთხულ მოხსენებას ან ლექციას იმეორებსო, წარმოთქვა:

– მოგეხსენებათ, რომ არსებობს მცდარი და ავბედითი მოსაზრება, თითქოს ადამიანი მარადიულ მთლიანობას წარმოადგენდეს. იცით ისიც, რომ ადამიანი სულთა სიმრავლის ჯამს შეადგენს და უთვალავ „მეს“ მოიცავს. პიროვნების ამ მოჩვენებითი მთლიანობის ფიგურებად დანაწევრება შეშლილობად ითვლება. მეცნიერებამ მას სახელიც გამოუნახა და შიზოფრენია შეარქვა. მეცნიერება იმ მხრივაც მართალია, რომ სიმრავლეთა ერთად თავმოყრა არაფრით არ ხერხდება მათი წესრიგში მოყვანის, მართვისა და დაწყობა-დალაგების გარეშე. მაგრამ მეცნიერება ცდება, როდესაც ჰგონია, თითქოს არსებობს „მეს“ ქვესახეთა სიმრავლის ერთჯერადი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი უცვლელი წესრიგი. მეცნიერების ამ შეცდომას უამრავი არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა. მისი ერთადერთი ღირსება ისაა, რომ სახელმწიფო სამსახურში მყოფ მასწავლებლებსა და აღმზრდელებს შრომას უმარტივებს და თავიდან აშორებს ცდების ჩატარებისა თუ ტვინის განძრევის აუცილებლობას. ამ შეცდომის შედეგი ის გახლავთ, რომ სოციალურად სრულყოფილ, „ნორმალურ“ ადამიანებად ხშირად განუკურნავი შეშლილები ითვლებიან, ხოლო ნორმალურ ადამიანებს გიჟებად შერაცხავენ. ამიტომ ეს არასრულფასოვანი მეცნიერული ფსიქოლოგია გვინდა განვავრცოთ ცნებით, რომელსაც აგების ხელოვნებას ვუწოდებთ. ადამიანს, რომელმაც იცის, თუ რას ნიშნავს საკუთარი „მეს“ დაშლა, გვინდა დავანახოთ, რომ ყოველთვის შეუძლია ნებისმიერი თანამიმდევრობით დააწყოს და დაალაგოს ეს ნაწილები და ამგვარად, ცხოვრებისეულ თამაშში უსასრულო მრავალფეროვნებას მიაღწიოს. როგორც მწერალი ქმნის ხოლმე დრამას ფიგურათა გროვიდან, ასევე ჩვენც ჩვენივე გახლეჩილი „მეს“ ფიგურებიდან ვქმნით ახალ-ახალ ჯგუფებს, ახალ-ახალ თამაშობებს, მუდამ გაურკვეველსა და დაძაბულ ვითარებებს. აი შეხედეთ!

მან მშვიდად, დაფიქრებით აიღო ხელში ფიგურები. მათგან ზოგი ნაღვლიანი იყო, ზოგიც ძლიერი, ზოგი ნაზი, ზოგიც მოუქნელი. მოხუცებად, ჭაბუკებად, ბავშვებად და ქალებად გარდასახული ეს ფიგურები, დაფაზე დაალაგა და სწრაფად გააწყო პარტია. ისინიც მაშინვე განლაგდნენ ჯგუფებად თუ მწკრივებად, მოემზადნენ სათამაშოდ და საბრძოლველად, სამეგობროდ და სამტროდ და ერთი ციდა სამყარო შექმნეს. მერე კი, ეს რა იხილა ჩემმა თვალებმა?! ამ პაწია, ცოცხალი, მაგრამ მოწესრიგებული სამყაროს ფიგურები მოთამაშემ აიძულა ამოძრავებულიყვნენ,

თამაშსა და ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ, ერთმანეთს დაახლოებოდნენ, ერთმანეთი შეჰყვარებოდათ, ექორწინათ და გამრავლებულიყვნენ. ეს მართლაც რომ მრავალგმირიანი დრამა იყო, ბოხოქარი და თვალწარმტაცი!

მერე მოთამაშემ მხიარულად გადაუსვა ხელი დაფას და ფიგურები გვერდზე ფრთხილად მიყარა. იმავე წუთს ისევ ერთად მოხვეტა და დაფიქრებით, როგორც ეს საქმეში ჩახედულ ადამიანებს სჩვევიათ, იმავე ფიგურებიდან სრულიად ახალი პარტია გააწყო, ერთმანეთს ახლა ფიგურების სულ სხვა ჯგუფები დაუპირისპირა და დაუკავშირა. მეორე პარტია პირველს კიდევ ჰგავდა და არც ჰგავდა: ეს იმავე მასალისგან ნაგები სამყარო იყო, ოღონდ სხვა ტონალობისა და ტემპის, სხვა მანვილებისა და ვითარებების წყალობით სახეშეცვლილი. და აი, ეს გონიერი ხუროთმოძღვარი ფიგურებიდან პარტიას პარტიაზე აწყობდა. თითოეული მათგანი ჩემი ნაწილი იყო. ყველანი თითქოს წააგავდნენ ერთმანეთს, აშკარად ერთსა და იმავე სამყაროს განეკუთვნებოდნენ და ერთი ბუდისანი იყვნენ. და მაინც, ყოველ მათგანს სულ სხვა სურნელი დაჰკრავდა.

– ცხოვრების ხელოვნება სწორედ ამას ჰქვია! – თქვა მოთამაშემ დამრიგებლური კილოთი, – შემდგომ, თუკი მოისურვებთ, თავადაც შეგიძლიათ გააცოცხლოთ, გაართულოთ, განავრცოთ და გაამდიდროთ საკუთარი ცხოვრების თამაში, ეს ყველაფერი თქვენს ხელთაა. ისევე, როგორც სიგიჟე, ამ სიტყვის უზენაესი გაგებით, ყოველგვარი სიბრძნის დასაბამს წარმოადგენს, ასევე შიზოფრენიაც ყველანაირი ხელოვნებისა და წარმოსახვის საწყისად უნდა მივიჩნიოთ. ეს ნაწილობრივ თავად მეცნიერებმაც კი აღიარეს. მაგალითად, მსგავსი რამ შეიძლება ამოიკითხოთ „უფლისწულის ჯადოსნურ ბუკში“ [70]. ეს მშვენიერი წიგნი მოგვითხრობს, თუ როგორ გაუკეთილშობილებია მეცნიერის რუდუნებით აღსავსე, მუყაითი შრომა ბრწყინვალე ერთობას რამდენიმე შეშლილ მხატვართან, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში რომ არიან მოთავსებულნი. აჰა, ახლა კი თან წაიღეთ თქვენი ფიგურები, ეს თამაში კიდევ არა ერთხელ და ორჯერ მოგანიჭებთ სიამოვნებას! აი, შეხედეთ! ეს ფიგურა, მოჩვენებასავით რომ მოგვევლინათ აქ და მთელ პარტიას გიუშნოებთ, ხვალ დაკნინდება და უვნებელი გახდება. აი, აქ, ამ საბრალო, კეთილ ფიგურას განგებამ ჯერჯერობით მხოლოდ უბედობა არგუნა წილად, სამაგიეროდ მომდევნო პარტიაში დედოფლად გადაიქცევა. მაშ, ასე, სიამოვნებაში მოგახმართო, ბატონო ჩემო!

მადლიერების გრძნობით შეჰყრობილმა, მდაბლად დავუკარი თავი ამ ნიჭიერ მოჭადრაკეს, ფიგურები ჯიბეში ჩავიწყვე და ვიწრო კარით გარეთ გამოვედი.

ასე მეგონა, ახლავე, აქვე, დერეფანში, იატაკზე დავჯდები და ამ ფიგურებით უსასრულოდ ვითამაშებ-მეთქი. მაგრამ თეატრის მრგვალ, ნათელ დერეფანში გამოვედი თუ არა, ახალმა დინებამ წამიღო. იგი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. თვალწინ ასეთმა წარწერამ გამიკიაფა:

სასწაული ტრამალის მგლის მოთვინიერებისა

წარწერა წავიკითხე და ათასნაირი გრძნობა ამეშალა: ჩემი წარსულიდან, გარდასული სინამდვილიდან შემოჭრილმა შიშმა და სიმძიმეილმა გული ჩამითუთქა. აკანკალებული ხელით შევალე კარი და თავი საბაზრო ბალაგანში ამოვყავი.

უბადრუკი არენა რკინის გისოსებით შემოეფარგლათ. არენაზე მომთვინიერებელი იდგა. თავი ერთობ ყოყოჩურად ეჭირა და რატომღაც თაღლითის შთაბეჭდილებას ტოვებდა. უზარმაზარი უღვაშები და დაკუნთული მკლავები ჰქონდა. ჰყეტელა საცირკო ტანისამოსში გამოწყობილიყო, მაგრამ მაინც ყოვლად უსირცხვილო და შემზარავი ასლი იყო ჩემი. უეცრად თვალწინ ისეთი სანახაობა გადამეშალა, ადამიანს გული მოუკვდებოდა! ამ ჯან-ღონით სავსე კაცმა ძაღლივით საბელშებმული, ვეებერთელა, ლამაზი, თუმცა კი გაძვალტყავებული მგელი გამოიყვანა. მხეცის მზერაში მონური შიში გამოკრთოდა. საზიზღარი და ამაზრზენი, მაგრამ თან მალულად საცქერი იყო, ეს სასტიკი მომთვინიერებელი თავის ჰკუაზე როგორ ატარებდა ამ კეთილშობილსა და ამავე დროს სამარცხვინოდ დაბეჩავებულ მხეცს, როგორ აიძულებდა შეესრულებინა განსაცვიფრებლად რთული ილეთები. რაღა მეთქმოდა! ამ ჩემს დაწყევლილ ტყუპისცალს მართლაც რომ უზადოდ გაეწვრთნა თავისი მგელი. პატრონს ის უდრტვინველად, ძაღლური ერთგულებით მორჩილებდა. ყველა მის შეძახილსა თუ მათრახის გატკაცუნებაზე მუხლებზე ეცემოდა, თავს იმკვდარუნებდა, მომთვინიერებელს თვლებში შესცივინებდა, თვინიერად მიურბენინებდა ხოლმე კბილებში გაჩრილ კვერცხს, ხორცის ნაჭერსა თუ კალათას. დაინახავდა თუ არა, მომთვინიერებელს ხელიდან მათრახი გაუვარდაო, მგელი მყისვე მიუძუნძულებდა, თან მონური ლაციცით აჭიცინებდა კუდს. ცოტა ხნის შემდეგ არენაზე ჯერ ბოცვერი გამოიყვანეს, მერე თეთრი ბატკანი მოაყოლეს. მგელმა კბილები დააკრაჭუნა და უსაშველო სიხარბისგან ნერწყვიც კი წამოუვიდა, მაგრამ პირი არც ერთისთვის არ დაუკარებია. მომთვინიერებელმა უბრძანა თუ არა, მხეცმა კამარა შეკრა და ბოცვერსა და ბატკანს თავზე ნარნარად გადაევლო. აკანკალებული პირუტყვები მიწას განერთხნენ, მგელი კი მათ შორის გაწვა, წინა თათები ზურგზე დააწყო და სამივემ ერთად ოჯახური იდილიის გულისამაჩუყებელი სურათი წარმოგვიდგინა. კმაყოფილმა მომთვინიერებელმა მგელს თავისი ხელით შეაჭამა ერთი ფილა შოკოლადი. ცოდვის სახილავი იყო, თუ რა შესაშური ოსტატობით ახერხებდა მგელი, უარი ეთქვა თავის ჰეშმარიტ ბუნებაზე. ამის შემყურეს თმა ყალყზე დამიდგა.

მაგრამ წარმოდგენის მეორე ნაწილში აღელვებულ მაყურებელს და თავად მგელსაც ამ ტანჯვის საზღაურად ჯილდო ხვდა წილად. ეს უზადო ხელოვნებით შედგენილი პროგრამა მალე დამთავრდა. მომთვინიერებელი საზეიმო სახით, ნეტარი ღიმილით მიეხუტა მგელსა და ბატკანს და, აი, უეცრად როლები შეიცვალა. ჰარის ტყუპისცალმა თავის დაბლა დაკვრით მათრახი მგლის ფეხებთან დააგდო, მერე კანკალი აუვარდა, მოიბუზა და ისეთივე შესაბრალოსი სანახავი გახდა, მგელი რომ იყო წელან. მხეცი კი უკვე დრუნჩის ილოკავდა, გაუქრა წელანდელი დაძაბულობა და სიყალბე, თვალებაელვარებულმა ახლა სხეული შემართა და კვლავ დაიბრუნა ის თავისი ნანინანატრი ველური ბუნება.

ამჯერად უკვე მგელი მბრძანებლობდა, ადამიანი კი მისი მონა-მორჩილი გამზდარიყო. მგლის ბრძანებაზე მუხლებზე ეცემოდა, მგელს ბაძავდა, ენას გადმოაგდებდა და დაბჯენილი კბილებით ტანზე სამოსს იგლეჯდა. ადამიანთა მომთვინიერებლის ნებას აყოლილი, ხან ორ ფეხზე, ხან კი ოთხზე დადიოდა, ელაჭუცებოდა მბრძანებელს, თავს იმკვდარუნებდა, მგელს ზურგზე შეისვამდა და ასეირნებდა, მათრახს აწოდებდა, ოსტატური მორჩილებით იტანდა ამ საშინელ დამცირებასა და უკუღმართობას. არენაზე ვიღაც ლამაზი გოგო გამოვიდა,

გაწვრთნილ კაცს მიუახლოვდა, ნიკაპზე ხელი მოუთათუნა და ლოყა ლოყაზე მიადო. კაცი კი კვლავ ოთხზე განაგრძობდა ფორთხვას, მხეცად რჩებოდა და თავს აკანტურებდა. მერე ლამაზმანს კბილები დაუკრაჭუნა და ისე შეუღრინა, ქალი უკანმოუხედავად გაიქცა. ამის შემდეგ გაწვრთნილ კაცს შოკოლადი შესთავაზეს, მან კი მხოლოდ ზიზღით შეავლო თვალი და შოკოლადიც გვერდზე მოისროლა. ბოლოს ისევ შემოიყვანეს ის თეთრი ბატკანი და მსუქანი ბოცვერი. გაწვრთნილმა კაცმა უკანასკნელი ნომერი შეასრულა და ისე ოსტატურად გადაიქცა მგლად, სახტად დარჩებოდა. ხელებითა და კბილებით ეკვეთა ცხოველებს, ბეწვს ბლუჯა-ბლუჯა აცლიდა, ღიმილით ფლეთდა ცოცხალ ხორცს, თვალებს ბანგდალეულივით ნაბავდა და თბილ სისხლს თავდავიწყებით ეწაფებოდა.

შეძრწუნებული გარეთ გამოვვარდი. დავრწმუნდი, რომ ეს მაგიური თეატრი სულაც არ ყოფილა სამოთხე, რომ მისი გარეგნული სილამაზის მიღმა ჯოჯოხეთის ყველა ტანჯვა იმალებოდა. ო, ღმერთო ჩემო, ნუთუ აქაც არსაით ჩანდა ხსნა?!

შეშინებული ადგილს ვერ ვპოულობდი, პირში სისხლისა და შოკოლადის ამაზრზენი გემო მქონდა, სულითა და გულით მეწადა თავი დამედწია ამ მღვრიე ტალღისათვის, ნაკლებად შემზარავი, უფრო გასახარი სურათები წარმომედგინა. „ო, მეგობრებო, ნუ გამაგონებთ ამ ხმებს“ [71], – მოსთქვამდა გული. უეცრად შევძრწუნდი, ის საშინელი ფოტოები გამახსენდა, ომის დროს ფრონტიდან რომ აგზავნიდნენ ხანდახან. მიწაზე დაყრილ გვამებს სახეზე შერჩენილი აირწინალები სატანისეულ იერს აძლევდა. ვაი, თურმე რა სულელი და მიამიტი ვყოფილვარ, მოყვასის სიყვარულს რომ დავატარებდი გულით, ომის წინააღმდეგ გამოვდიოდი და ამ ფოტოებს შეძრწუნებული შევცქეროდი!

დღესდღეობით უკვე მივხვდი: არ შეიძლება ამქვეყნად ვინმეს ისეთი ამაზრზენი, მხეცური და ბოროტი აზრი მოსვლოდა თავში, – მომთვინიერებელი იქნებოდა ეს, მინისტრი, გენერალი თუ შეშლილი, – რომ იგი ჩემი წარმოსახვისათვის უცხო ყოფილიყო.

შვებით ამოვისუნთქე, როდესაც გამახსენდა წარწერა, წარმოდგენის დაწყებისას ასე რომ აღაფრთოვანა ის პირმშვენიერი ჭაბუკი. წარწერა იუწყებოდა:

ყველა გოგონა შენია

უცებ გავიფიქრე, ადამიანის ყველაზე სანუკვარი ნატვრა ალბათ მართლაც ესაა-მეთქი. გულს მომეფონა, რაკილა კვლავ მომეცა საშუალება, გავქცეოდი იმ წყეულ მგლურ სამყაროს და, შიგნით შევედი.

შევედი და, ჰოი, საოცრებაჲ! მყისვე დამეუფლა ზღაპრული და თან საოცრად ნაცნობი გრძნობა: სახეზე ჩემი ყმაწვილკაცობის დროინდელი სურნელი მომელამუნა, პატარა ბიჭობისა და სიჭაბუკის განცდა დამეუფლა და ძარღვებში ჭაბუკურად ამიჩქროლდა სისხლი. სულ ცოტა ხნის წინანდელი აზრები თუ საქციელი, მთელი არსება უეცრად სადღაც შთაინთქა და მე კვლავ ჭაბუკად ვიგრძენი თავი. რაღაც ერთი საათის, რამდენიმე წუთის წინ ვფიქრობდი, ვიცი, რას ნიშნავს სიყვარული, სურვილი და ლტოლვა-მეთქი. ახლა კი მივხვდი, რომ ეს ხანდაზმული კაცის სიყვარული და ლტოლვა იყო და აი, კვლავ ახალგაზრდა ვიყავი, სხეულში კვლავ ცეცხლი მიგიზგიზებდა. ჭაბუკური იყო ეს ძლიერად მქროლავი ლტოლვა, მარტის ქარივით

ფრთამალი, ნარუქი და ნაღდი. ჰა, კვლავ აბრიალდა წარსულის მინავლული ჭიკოკონა, კვლავ ძალუმად და ხმასავსედ აჟღერდა გარდასულ დღეთა მუსიკა, ამიჩუხჩუხა სისხლი, შეეხმიანა ჩემს სულს და აამღერა იგი!

ახლა მე თხუთმეტი თუ თექვსმეტიოდე წლის ყმაწვილი ვიყავი. თავი ბერძნულ-ლათინური და ბრწყინვალე პოეტთა ლექსებით მქონდა გამოტენილი, ათასნაირი პატივმოყვრული მიზანსწრაფვა მოსვენებას არ მაძლევდა, წარმოსახვა დამძიმებული მქონდა ხელოვანი კაცის ოცნებებით, მაგრამ ყველა ამ მოციმციმე სხივზე ძლიერად და შემზარავად ჩემში სიყვარულის ცეცხლი, სქესის ყივილი და ვნების მომთენთავი წინათგრძნობა ენთო და კიაფობდა.

იმ დღეს ჩემს პატარა, მშობლიურ ქალაქს ქარაფიდან გადმოვცქეროდი. ჰაერში ნოტიო ქარისა და პირველი იების სურნელი ტრიალებდა. ქვევით, ქალაქში, მდინარე მილივლივებდა, მშობლიური სახლის ფანჯრებში შუქი გამოკრთოდა. ჩემ ირგვლივ ყველაფერს, ამ ხმებსა თუ სურნელს, საოცრად მათრობელა სისავსე და სიახლე ჰქონდა. ყველაფერში სინარუქის ჯადო-თილისმა და ფერების გაბადრული სიუხვე იგრძნობოდა; გაზაფხულის ქარში ეს ყოველივე ისეთი არამიწიერი სისპეტაკით სუნთქავდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ადრეული, ჭაბუკური აღმაფრენის ყველაზე სისხლსავსე პოეტურ წუთებში რომ მეხილა. ვიდექი გორაკზე, ქარი მიწეწავდა გრძელ თმას. ტრფობის საოცნებო კაემნით შეპყრობილმა, ოდნავ დაკვირტულ მწვანე ბუჩქს ნორჩი, ახალაფეთქებული ბუტკო წავაწყვითე, ახლოს მივიტანე და დავყნოსე (მისმა სურნელმა კვლავ ამიშალა წარსულის მოგონებები). მწვანე კვირტს ძენძვა დავუწყე ტუჩებით, ჯერაც რომ არ ეგემათ ქალის კოცნა, და როგორც კი კვირტის მომწარო-მომწკლარტო გემო შევიგრძენი, მყისვე მივხვდი, რაც ხდებოდა ჩემს თავს. გვიანი სიჭაბუკის დროინდელი გაზაფხულის ერთი კვირადღე მომელამუნა. გამახსენდა: ერთხელ, სეირნობისას, როზა კრაისლერს შევეფეთე და მოწიწებით მივესალმე. ო, რა თავდავიწყებით მიყვარდა!

შიშნარევი მოლოდინით შევყურებდი ამ მშვენიერ ქალიშვილს. მას ჯერ კიდევ არ ვყავდი შემჩნეული და ოცნებაში წასული, მარტო მოემართებოდა ჩემკენ. ზურგზე მსხვილი ნაწნავები ეყარა. ლოყებთან თმა ჩამოშლოდა და ქარი კულულებს უწეწავდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი, რამ მშვენიერი იყო ეს ქალიშვილი, შევყურებდი, რა ლამაზად, რა ზღაპრულად უნანავებდა ქარი მის ნაზ თმას, რა ამაღელვებლად შემოტმასნოდა ნორჩ სხეულზე ჰაეროვანი ლურჯი კაბა. ზუსტად ისევე, როგორც იმ გაღეჭილი კვირტის მომწარო და თან სასიამოვნო გემომ გამიმძაფრა გაზაფხულის მთელი სიტკბოება და ავბედითი სიხარული, ასევე ამ გოგონას დანახვაზეც ვიგრძენი, როგორ შემიპყრო სიყვარულის მომაკვდინებელმა განცდამ. ეს ქალი დაეუფლა ჩემს წარმოსახვას და შემძრა უზარმაზარი შესაძლებლობების, დაპირებებისა თუ უსახელო წადილის, წარმოუდგენელი ძრწოლის, შიშისა თუ ტანჯვის, შინაგანი ხსნისა თუ უღრმესი დანაშაულის უსაშველო წინათგრძნობამ!

ო, როგორ მწვავდა ენას გაზაფხულის ეს მწკლარტე გემო! როგორ ეანცებოდა და უნანავებდა ქარი მის ვარდისფერ ლოყებზე ჩამოშლილ თმას! მერე მომიახლოვდა, შემომხედა და მიცნო. სახეზე ერთი წამით აღმურმა გადაჰკრა და თვალი ამარიდა. მე კონფირმანდის ქუდი მოვიხადე და მივესალმე. როზა მაშინვე გონს მოეგო, გამიღიმა, მერე თავი ზევით ასწია, სალამზე დარბაისელი ქალის სალამითვე მიპასუხა

და მტკიცე, ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა. ო, რამდენი სასიყვარულო ნატვრა, წადილი და აღფრთოვანება დავადევნე მაშინ კვალდაკვალ!

ეს ამბავი ერთ კვირა დღეს, ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ მოხდა. ახლა კი ყველაფერი ისევ მეორდება და თვალწინ მედგა ის გორაკიც და ქალაქიც, კვლავ უბერავდა მარტის ქარი, ჰაერშიც კვირტის სურნელი ტრიალებდა და წაბლისფერთმიანი როზაც აქვე იყო. ჩემში მომძლავრებულიყო იმდროინდელი ლტოლვა და კვლავ იმ ნეტარ, სულისშემბუთველ შიშს შევეპყარი. ყველაფერი ძველებურად იყო და ასე მეგონა, იმ დღის მერე როზასავით აღარავინ მყვარებია-მეთქი. მაგრამ ამჯერად სხვაგვარი შეხვედრა მეწერა მასთან. ეტყობა, მიცნო და სახე შეეფაკლა. მერე შეეცადა სიწითლე დაემალა და მაშინვე მივხვდი, რომ გულგრილი ვერ იყო ჩემდამი. ამ შეხვედრას ორივესთვის ერთნაირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. წესით ახლა კვლავ უნდა მომეხადა ქუდი და ასე ქუდით ხელში, საზეიმოდ გაჯგომული უნდა ვმდგარიყავი მის წინ, სანამ გვერდით არ ჩამივლიდა. მაგრამ შიშისა და ძრწოლის მიუხედავად, ამჯერად ისე მოვიქეცი, როგორც სისხლმა მიკარნახა და შევძახე: „როზა, ჩემო მშვენიერო, მშვენიერო გოგონავ, მაღლობა ღმერთს, რომ მოხვედი; რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!“

იმ წუთში დიდად მოსწრებული ნათქვამი ვერ გამომივიდა, მაგრამ აქ უკვე გონიერებას არც ერთი აღარ დაგიდევდით და, ჩემმა სიტყვამ გაჭრა. როზამ მაშინდელივით დარბაისელი ქალის ნაბიჯით როდი ჩამიარა! შეჩერდა, შემომხედა, კიდევ უფრო შეეფაკლა ლოყები და მითხრა:

– გამარჯობა, ჰარი, ნუთუ მართლა მოგწონვარ?!

ჯანსაღი სახე და მუქი თვალები ერთიანად უციმციმებდა. მაშინლა მივხვდი, თურმე როგორ გამმრუდებია ცხოვრების გზა და რა ბედუკუდმართი ვყოფილვარ სიყვარულში. არადა, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ მაშინ, იმ კვირადღეს, როზას წასვლის საშუალება მივეცი. მაგრამ ჩემი იმდღევანდელი შეცდომა უკვე გამოსწორებული იყო. გარშემო ყველაფერს სხვა ელფერი დასდებოდა და მშვენიერ გუნებაზე ვიყავი.

ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და ასე ხელიხელჩაკიდებულები, ნელ-ნელა გავუყევით გზას; თავს უსაზღვროდ ბედნიერად ვგრძნობდით, მაგრამ ერთობ დარცხვენილი ვიყავით, არ ვიცოდით, რა გვექნა და მოგვემოქმედა. უხერხულად აწურულებმა, უეცრად სირბილი დავიწყეთ. ასე გავრბოდით, ვიდრე დადლილობისგან სუნთქვა არ შეგვეკრა. მერე გავჩერდით, მაგრამ ერთმანეთისთვის ხელი არ გაგვიშვია. ჯერ კიდევ ბავშვები გვეთქმოდა და არ ვიცოდით, რა გვეღონა. ამიტომ იყო, რომ იმ კვირას უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავით, თუმცა ისიც კი ვერ მოვახერხეთ, რომ ერთმანეთისთვის პირველი კოცნა მიგვეძღვნა. ერთხანს ასე აქოშინებული ვიდექით, მერე ბალახზე დავსხედით. როზას ხელზე მოფერება დავუწყე, ის კი მეორე ხელს დარცხვენით მისვამდა თმაზე. ფეხზე რომ წამოვდექით, ერთმანეთს დავეტოლეთ, ოდნავ თუ ვიქნებოდი მასზე მაღალი, მაგრამ რატომღაც არ მინდოდა ამის თქმა და ვუთხარი, ტოლები ვართ, ღმერთმა ერთმანეთისთვის გაგვაჩინა და მოგვიანებით უნდა დავქორწინდე-მეთქი. როზამ ამაზე მომიგო, იების სუნი მცემსო. ჩავიმუხლეთ, ახლად ამობიბინებულ ბალახში ერთი-ორი მოკლეღეროიანი ია ვიპოვეთ და ერთმანეთს ვაჩუქეთ. მერე, როცა აგრილდა და ქარაფებზე მზის შუქი

ირიბ ზოლებად გაწვა, როზამ განაცხადა, შინ წასვლის დრო დადგაო. ორივემ საოცრად მოვიწყინეთ. გაცილება ვერ შევბედე, მაგრამ უკვე ერთ საერთო საიდუმლოს ვიყავით ნაზიარები და ეს ჩვენთვის უდიდესი სასწაული იყო. ერთხანს ასე ვიდექი ზევით, ქარაფებთან, და როზას ნაჩუქარ იებს ვყნოსავდი. მერე მიწაზე გავწექი. ჩემ წინ უფსკრულს დაედო ხახა, გაღმა კი ქალაქი გადაშლილიყო. მანამდე ვიყურებოდი ქვევით, ვიდრე შორს როზას მოხდენილ პატარა ტანს არ შევამჩნევდი. როზამ ჭას ჩაუარა და ხიდზე გადაირბინა. ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე შინაც იქნებოდა მისული. წარმოვიდგინე, როგორ გადი-გამოდიოდა ოთახიდან ოთახში. მე კი აქ, ზემოთ, ვიწექი და, თუმცა ძალიან შორს ვიყავი მისგან, ჩვენ შორის უხილავი ძაფები გაბმულიყო, ერთნაირი ძალით ვიყავით დამუხტულნი, ჩვენ შორის საიდუმლო ქროდა.

იმ გაზაფხულზე, სადაც მოვახეტებდით, იქ ვხვდებოდით ერთმანეთს: ქარაფებთან თუ ბაღის ღობესთან. მალე იასამანი აყვავდა და ჩვენც ერთმანეთს პირველი შემცბარი კოცნა ვუძღვენით. ბავშვები ვიყავით და დიდად ვერაფრით გავაკვირვებდით ერთმანეთს: ჩვენს კოცნას ჯერ არც სიმბურვალე ახლდა და არც თავდავიწყება. ისღა მოვახერხე, ყურებს უკან ჩამოშლილ კულულებზე მივფერებოდი ფრთხილად. სამაგიეროდ, ეს სიყვარული და აღფრთოვანება მთლიანად ჩვენი იყო და ჩვენს საკუთრებას შეადგენდა. მორცხვი შეხებით, უმწიფარი სატრფიალო სიტყვებითა თუ მოკრძალებული ლოღინით ვსწავლობდით, როგორ შეგვეგრძნო ახალი ბედნიერება და სიყვარულის კიბეს ზევით ნელინელ მივუყვებოდით.

ასე და ამრიგად, როზათი და იებით დაწყებული, ერთხელ კიდევ განვიცადე ჭაბუკური ტრფობის დღეები. მაგრამ აი, ჩემი ცის კაბადონზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავები ამობრწყინდა და როზა თვალს მიეფარა. გამოჩნდა ირმგარდი. მზემ უფრო ცხოველმყოფელად გამოანათა, ცაზე ვარსკვლავები აბორიალდნენ, მაგრამ არც როზა და არც ირმგარდი არ გამხდარა ჩემი. ასე საფეხურ-საფეხურ მომიხდა ზესვლა ცხოვრების კიბეზე, ბევრი რამ გადამხდა თავს, ბევრი რამეც ვისწავლე, ხელახლა დავკარგე ირმგარდიცა და ანაც. კვლავ შევტრფოდი ყველა ქალს, ოდესღაც, სიჭაბუკეში რომ მიყვარდა, მაგრამ ახლა უკვე შემწევდა ძალა, ყველა მათგანი სიყვარულს მეზიარებინა, რაღაცით დამესაჩუქრებინა და მათგანაც მიმეღო საპასუხო ნობათი. სინამდვილედ ქცეულიყო სურვილები, ოცნებები თუ შესაძლებლობანი, ერთ დროს მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში რომ მოკალათებულიყვნენ. ო, ჩემი ცხოვრების წარმტაცო ყვავილებო, – იდა იყავი თუ ლორე! ვინც კი ოდესმე მყვარებიხართ, თუნდაც ეს სიყვარული ერთი ზაფხულის, ერთი თვისა, ერთი დღისა ყოფილიყო!

ვგრძნობდი, რომ ახლა ისევ ის ცეცხლოვანი ჭაბუკი ვიყავი, ჯიქურ რომ მიილტვოდა სიყვარულის კარიბჭისკენ. ვგრძნობდი, სასიცოცხლოდ სულს რომ შთავებერავდი და გასახარი ნერგივით შევფოფინებდი ჩემს ბუნებაში ჩაგვირისტებულ ნიჭსა და უნარს, რისიც მხოლოდ უბადრუკი ნამცეცები მქონდა ნაგემი. ახლა ლოღივით აღარ მაწვა გულზე საკუთარი „მე“-ს სახემრავლობა, ხელს აღარ მიშლიდა ფიქრებს შეჭირვებული მოაზროვნე, სულს არ მიწამლავდა ტრამალის მგელი, იერიში აღარ მოჰქონდა ჩემზე პოეტს, ფანტასტსა თუ მორალისტს. არა, ახლა მე მხოლოდ სიყვარულით, ბედნიერებითა და ტანჯვით ვსუნთქავდი. ირმგარდმა ცეკვა

მასწავლა, იდამ კოცნის ხელოვნებას მაზიარა, ხოლო მათ შორის უმშვენიერესმა – ემამ შემოდგომის ერთ საღამოს, თელის მოშრიალე ფოთლებქვეშ პირველად გამომიწოდა საკოცნელად თავისი თავთუხისფერი მკერდი და ნეტარების ფიალა შემასვა.

პაბლოს პატარა თეატრში ბევრი რამ განვიცადე. სიტყვებით ძნელია ყველაფრის გადმოცემა. თუკი ოდესმე ვინმე ქალი მყვარებია, ახლა ყველა ჩემად მეგულვოდა. ყოველი მათგანი იმას მაზიარებდა, რაც მხოლოდ მას შეეძლო მოეცა ჩემთვის და თითოეულს მხოლოდ იმით ვასაჩუქრებდი, რაც მხოლოდ მას შეეძლო მიეღო ჩემგან. საკმაოდ მიგემია სიყვარულიც, ბედნიერებაცა და ნეტარებაც, მაგრამ გზაკვალაბნეულიც ბევრჯერ ვყოფილვარ და ტანჯვაც არანაკლები განმიცდია. ახლა, ამ ზღაპრულ საათს, ჩემი ცხოვრების წალკოტში ჯადოსნურად ყვაოდა სიყვარული, ბევრჯერ ხელიდან რომ გამიშვია. ჩემ ირგვლივ გაფურჩქნილიყვნენ ნაზი, უბიწო, ჩახჩახა, მოლივლივე თუ მრუმე, მყისჭკნობადი ყვავილები, აღზევებული მოემართებოდა ჩემკენ ფრთამალი ვნება, მიყუჩებული ზმანებები, მწველი ნალველი, შემდრკალი კვდომა, გასხივოსნებული განახლება. ვხედავდი ქალებს, რომელთა ხელში მოგდება სწრაფად, იერიშის მიტანით შეიძლებოდა. იყვნენ ისეთებიც, დიდხანს, თმენით რომ დავდევდი. ჰოი, რა ბედნიერებას მანიჭებდა მაშინ ეს დევნა! ისევ გაციკროვნდა სინათლის სხივით ჩემი ცხოვრების ბნელით მოცულიკუთხე-კუნჭული, სადაც ოდესღაც, თუნდ ერთი წუთით, მაინც მივუხმივარ სქესის ყივილს, აღვუნთივარ ქალის მზერას, მივუზიდივარ მისი ხავერდოვანი კანის ელვარებას. ყველაფერი, რაშიც ოდესღაც ხელი მომცარვოდა, ახლა ჩემი იყო. ჩემი იყო ყველა ქალი. ყველა მათგანი თავის განუმეორებელ სურნელს ტოვებდა. აი, ის ქალიც გამოჩნდა, თავთუხისფერი კულულების ქვეშ უჩვეულოდ მუქი თვალები რომ მოუჩანდა. ოდესღაც, ალბათ სულ რაღაც მეოთხედი საათი ვიდექი ჩქარი მატარებლის დერეფანში ამ ქალის გვერდით. მერე, ხმა რომ არ გაუცია ჩემთვის, ისე მაზიარა სიყვარულის ხელოვნებას. აი, კიდევ: წყნარი, ხავერდისკანიანი ჩინელი ქალი, ღიმილი რომ შეხმობოდა პირზე. იგი მარსელის ნავსადგურში ვნახე. სწორი, კუპრივით შავი თმა და მოლივლივე თვალები ჰქონდა. მანაც მაგრძნობინა სიყვარულის სიტკბოება, ჯერ გაუგონარი და უჩვეულო. ყველა ქალს მისეული იდუმალება, მისეული მიწიერი საუფლოს სურნელი ჰქონდა, ყველამ თავისებური კოცნა და სიცილი იცოდა, ყველა თავისებური კდემამოსილებითა თუ ურცხვობით გამოირჩეოდა. ამ ქალებს ტალღა ხან შორს წაიღებდა, ხან ნაპირზე გამორიყავდა, მეც ნაფოტივით მაქანავებდა, მაახლოვებდა და მაშორებდა მათ. ეს იყო ანცი, ბაღღური ნავარდი ხორციელი სიყვარულის ზღვაში; იგი აღსავსე იყო მშვენიერებით, ხიფათითა და მოულოდნელობით. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა! თურმე რა მდიდარი ცხოვრება მქონია გამოვლილი! რამდენი სატრფიალო თავგადასავალი, საამური შემთხვევა და ცდუნება ყოფილა ამ ჩემს, ერთი შეხედვით უბადრუკსა და უსიყვარულო, მგლოურ ცხოვრებაში. თავის დროზე თითქმის ყველა შემთხვევა ხელიდან გავუშვი, ყველა ცდუნებას დავაღწიე თავი. თუკი ზოგჯერ მაინც გავეხვეოდი ხოლმე ამ ცდუნებათა ბადეში, ვცდილობდი, რაც შეიძლება, მალე დამევიწყებინა ყველაფერი. აქ კი, აქ უკლებლივ ყველა შემთხვევა იყო შემონახული. ვხედავდი ჩემს განვლილ ცხოვრებას, ხელახლა ვიხსენებდი და განვიცდიდი ყველაფერს, ნელ-ნელა ვიძირებოდი გარდასულ დღეთა დაისისფერ ბინდბუნდში. პაბლო რომ ჩემს ცდუნებას შეეცადა, ის შემთხვევაც გავიხსენე. მერე სხვა, უფრო

ადრინდელი ამბებიც ამომიტივტივდა გონებაში. თავის დროზე მათი არაფერი გამეგებოდა. ეს იყო სამი თუ ოთხი ადამიანის განსაცვიფრებელი თამაში. ახლა მათ ღიმილით მეც ჩამაბეს თავიანთ ფერხულში და უეცრად ისეთი ამბებისა და თამაშების მოწმე გავხდი, კაცის ენა ვერ აღწერს. მერე ისევ ამოვყვინთე ცდუნებების, მანკიერებებისა და შეხლა-შემოხლის ამ უკიდეგანო მორევიდან. ახლა უკვე ერთი წყნარი, ჩუმი, ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული, დაბრძენებული კაცი ვიყავი, კაცი, ჰერმინესათვის მომწიფებული; ჩემი მრავალსახოვანი მითოლოგიის უკანასკნელი მოქმედი პირი ახლა ჰერმინე იყო. მისი სახელი სულ ბოლოს ამოტივტივდა სახელების უსასრულო რიგიდან. მყისვე გონს მოვეგე და სიყვარულის ზღაპარიც დამთავრდა, რადგან აქ, ჯადოსნური სარკის ბინდბუნდში, არ მინდოდა ჰერმინესთან შეხვედრა. ახლა ჰარი მთლიანად ამ ქალის კუთვნილებად ქცეულიყო და ჭადრაკის დაფაზე ისე უნდა განმელაგებინა ჩემი ფიგურები, რომ ჰერმინეს გარშემო მოეყარათ თავი და ისე აღსრულებულიყო ყველაფერი.

ტალღამ ნაპირზე გამომრიყა... და აი, კვლავ თეატრის მიყრუებულ გასასვლელში ვიდექი. აღარ ვიცოდი, რა მეღონა! ჯიბიდან ფიგურების ამოღება დავაპირე, მაგრამ ეს სურვილიც უმაღვე გამიქრა. გარს შემომრტყმოდა კართა, წარწერათა და ჯადოსნურ სარკეთა უკიდეგანო სამყარო. იქვე წარწერა შევნიშნე. უნებურად წავიკითხე:

როგორ კლავენ სიყვარულით

ანაზღად შევკრთი. ჩემს ცნობიერებაში წამით გაიკიაფა სურათმა: ჰერმინე რესტორანში ზის მაგიდასთან, უეცრად თავს ანებებს ჭამა-სმას და ავბედიტ საუბარს იწყებს. აი, სწორედ მაშინ მესროლა ის შემზარავი, დინჯი მზერა და მითხრა: მარტო იმიტომ შეგაყვარებ თავს, რომ შენი ხელით მოვკვდეო. შიშის მძიმე, შავი ტალღა გადამეფარა გულზე. უეცრად კვლავ დამიდგა თვალწინ ყოველივე, ხელახლა ვიგრძენი, რომ ეს უბედურების განაჩენი თავად განგებას გამოეტანა ჩემთვის. სასოწარკვეთილმა ჯიბეში მოვიფათურე ხელი, რომ ჭადრაკის ფიგურები ამომეღო და ცოტა წამეთამაშა. მინდოდა მთლიანად შემეცვალა ჩემი საჭადრაკო პარტიის პირვანდელი განლაგება, მაგრამ ფიგურები ჯიბეში აღარ აღმომაჩნდა და მათ ნაცვლად ხელში დანა შემრჩა. შეშინებული დერეფანში გავვარდი და კარებს ჩავუქროლე, მერე ანაზღად უზარმაზარი სარკის წინ შევჩერდი და შიგ ჩავიხედე. სარკიდან ჩემ სიმაღლე, უზარმაზარი, მშვენიერი მგელი შემომცქეროდა; იდგა და დაფეთებული მოუსვენრად აცეცებდა თვალებს. მერე თვალი რომ ჩამიკრა და ჩაეცინა, წამით ლაშები მოერღვა და ალისფერი ენა გამოუჩნდა.

სად იყო პაბლო? სად იყო ჰერმინე? ან ის გონიერი ყმაწვილი სად გამქრალიყო, ასე მშვენივრად რომ მემუსაიფა პიროვნების აგებაზე? ერთხელ კიდეც ჩავიხედე სარკეში. ვიფიქრე, ნამდვილად გავგიჟდი-მეთქი. მაღალი სარკის მიღმა აღარ ჩანდა ენაგადმოგდებული მგელი, დიახ, არავითარი მგლის ხსენება არ იყო და შიგ ჩემი გამოსახულება ირეკლებოდა. ეს მე მოვჩანდი სარკეში, სახეგანაცრისფერებული და ყველა თამაშწილნაყარი ჰარი. ბიწიერებას ამ სახეზე თავისი დაღი დაესვა. დაღლილი და გაფითრებული ჩანდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ამ კაცთან, ამ პიროვნებასთან ლაპარაკი შეიძლებოდა.

– ჰარი, რას აკეთებ აქ? – ვკითხე მე.

– არაფერს, – შემეხშიანა სარკიდან, – უბრალოდ ვუცდი. სიკვდილს ვუცდი.

– მერედა, სად არის სიკვდილი? – ჩავეკითხე ისევ.

– მოვა, – მომიგო მან.

თეატრის შიგნით, ცარიელ ოთახებში მუსიკის ხმა გაისმა. ეს მშვენიერი და თან შემზარავი მუსიკა „დონ ჟუანიდან“ იყო და ქვის სტუმრის გამოჩენას გვაუწყებდა. ყინულის ცივმა ხმებმა ავბედითი გუგუნით გაავსო იდუმალი შენობა. ეს იმქვეყნიური ხმები იყო და უკვდავთაგან მოდიოდა.

– მოცარტი! – გავიფიქრე გულში და ამ სიტყვა-თილისმით ჩემი სულიერი ცხოვრების ყველაზე სანუკვარსა და ამაღლებულ ხატებს მოვუხმე.

ამ დროს ჩემს ზურგს უკან გამყინავი ხმით ხმამაღლა გაიცინა ვიღაცამ. ეს სიცილი ჩვეულებრივი მოკვდავისათვის შეუცნობელი, მხოლოდ იმქვეყნიურ ტანჯვას ნაზიარები და იმქვეყნიური ღვთაებრივი იუმორის პირმშო იყო.

ამ სიცილით მონუსხული და გაბედნიერებული შემოვტრიალდი და აი, მოცარტიც გამოჩნდა. სიცილით ჩამიარა გვერდით და მშვიდად გაეშურა ერთ-ერთი კარისაკენ, ლოჟაში რომ გადიოდა. გააღო და შევიდა. გულამომჟღარი დავედევნე ჩემი სიჭაბუკის კერპს, ჩემი ტრფობისა და ოცნების მარადიულ საწადელს. კვლავ გაისმა მუსიკა. მოცარტი ლოჟის მოაჯირთან იდგა. თეატრში არაფერი ჩანდა, მთელი ეს უკიდევანო სივრცე ბნელში შთანთქმულიყო.

– ხედავთ, – თქვა მოცარტმა, – თურმე უსაქსოფონოდაც შეიძლება იოლას გავიდეს კაცი. თუმცა, რა თქმა უნდა, ამით სრულიადაც არ მინდა დავცე ამ შესანიშნავი საკრავის ღირსება.

– სადა ვართ ამჟამად? – ვკითხე მე.

– „დონ ჟუანის“ უკანასკნელ მოქმედებაზე ვიმყოფებით. ლეპორელო უკვე მუხლებზეა დამხობილი. შესანიშნავი სცენაა და, ღმერთმანი, მუსიკასაც არა უშავს რა. ამ მუსიკაში ჯერ კიდევ ბევრი რამ ადამიანური გამოსჰყვის, მაგრამ მაინც უკვე იგრძნობა რაღაც იმქვეყნიური, აი, თუნდაც ეს სიცილი. ხომ ასეა?

– ესაა უკანასკნელი დიდი მუსიკა, რომელიც კი დაწერილა, – წარმოვთქვი სკოლის მასწავლებელივით საზეიმოდ, – რასაკვირველია, მოგვიანებით შუბერტი და ჰუგო ვოლფიც მოვიდნენ ქვეყნად. ვერც საბრალო ღვთაებრივ შოპენს დაივიწყებს კაცი. მაესტრო, ვხედავ, კოპები შეჰყარეთ. დიახ, არის კიდევ ბეთჰოვენი და ისიც შესანიშნავია. მაგრამ, რარიგ მშვენიერიც არ უნდა იყოს ეს ყველაფერი, მაინც დანაწევრებულ-დაქუცმაცებულია. ისეთი სრულყოფილი და მთლიანი ნაწარმოები, როგორიც „დონ ჟუანია“, კაცის გონებას აღარ შეუქმნია.

– ნუ ხართ ასე დაძაბული! – მითხრა მოცარტმა და საოცრად სარკასტულად გაიცინა, – გეტყობათ, თქვენც მუსიკოსი ბრძანდებით, არა? მე კი გადავწყვიტე, ყოველგვარ საქმიანობას შევეშვა და დავისვენო. დროდადრო, გართობის მიზნით თუღა შევავლებ ხოლმე თვალს ამ რია-რიას.

ხელები მაღლა ასწია, თითქოს ღირიჟორობსო. სადღაც შორს მთვარე თუ სხვა

რომელიღაც გაცრეცილი ცდომილი ამოგორდა. მოაჯირთან ვიდექი და გავცქეროდი უკიდევანო სივრცეს. ნისლში ტაატით მიცურავდა ღრუბლები. სადღაც, დასალიერში ძლივს ილანდებოდა მთები და ზღვები, ჩვენ ქვემოთ კი უდაბნოსმაგვარი ვრცელი ველი გადაშლილიყო. ველზე დარბაისლური შესახედაობის, გრძელწვერება მოხუცი ნაღვლიანი სახით მოუძლოდა წინ შაოსანი მამაკაცების უზარმაზარ ამაღას. მოხუცი ერთობ შეწუხებული და ნაღვლიანი ჩანდა. მოცარტმა თქვა:

– აი, შეხედეთ, ეს ბრამსია. იგი გათავისუფლებას ლამობს, მაგრამ მის გათავისუფლებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

მერე შევიტყვე, რომ ის შაოსანი მამაკაცები იმ ბგერებისა და ნოტების შემსრულებლები არიან, რომლებიც ღვთაებრივის თვალსაზრისით ზედმეტი იყო მის პარტიტურებში.

– მუსიკა მეტისმეტად რთული დაუწერია და მასალაც უამრავი დაუხარჯავს, – თავი გააქნია მოცარტმა.

მალე რიჰარდ ვაგნერი დავინახეთ. ისიც მუსიკოსთა ჯარს მოუძლოდა წინ. ვიგრძენით, რა უზარმაზარ ტვირთად აწვა მხრებზე მათი სიმძიმე. მერე თვალი გავადევნეთ, დაღლილი ნაბიჯით, ტანჯულებით ნელ-ნელა როგორ წალასლასდა.

– ჩემს ყმაწვილკაცობაში ორივე ერთობ ურთიერთსაპირისპირო მუსიკოსად მიაჩნდათ, – ჩავურთე სიტყვა.

მოცარტს გაეცინა.

– დიახ, ეს ასეა ხოლმე, მაგრამ გარკვეული მანძილიდან რომ შეხედავ, ურთიერთდაპირისპირებულობანი საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. ისე, კაცმა რომ თქვას, რთული მუსიკა ვაგნერისა და ბრამსის პირადი შეცდომა კი არა, მათი დროების შეცდომა იყო.

– როგორ? მერედა, ასე მკაცრად ამის გამო უნდა აგონ პასუხი? – წამოვიძახე გამკიცხავად.

– რა თქმა უნდა, ყველაფერი გათვალისწინებულია. მოგვიანებით, როცა ორივენი გაისტუმრებენ თავიანთი დროების ვალს, მერედა გაირკვევა, დარჩათ კი თვითონ იმდენი პირადი ვალი, რომ ღირდეს მათგან ამ ვალის მოთხოვნა.

– კი მაგრამ, განა ეს მათი ბრალია?

– რა თქმა უნდა, არა! განა მაგათი ბრალია, რომ ადამმა სამოთხის ვაშლი გაკბიჩა, მაგრამ მაინც უნდა ზღონ მისი დანაშაული!

– ეს ხომ საშინელებაა!

– ცხადია, მაგრამ თავად ცხოვრებაც ხომ საშინელებაა?! ბრალი არაფერში მიგიძღვის და პასუხი კი უნდა აგო! რაკილა მოევლინე ქვეყნიერებას, ამით უკვე ჩაიდიწე დანაშაული. ეტყობა, ცუდად უსწავლებიათ თქვენთვის საღმრთო სჯული, თუკი ეს არ იცით.

თავი ძალიან უბედურად ვიგრძენი.

უცებ ისევ იმქვეყნიურ უდაბნოში მოხეტიალე ვიღაც ქანცგაწყვეტილ მგზავრს მოვკარი თვალი. ეს მგზავრი თვითონ მე ვიყავი, ხელში ჩემივე დაწერილი აუარება უსარგებლო წიგნი, თხზულება თუ ფელეტონი მქონდა ჩაბღუჯული. უკან ასოთამწყობების მთელი ლაშქარი მომდევდა, ამდენი შრომა რომ დაეხარჯა ჩემი წიგნების აწყობაზე. მათ უკან ზღვა მკითხველი მოაბიჯებდა და ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა. მაგრამ ღმერთო ჩემო! ხომ არსებობდა კიდეც ადამი, სამოთხის ვაშლი, და ის პირველქმნილი ცოდვაც! მაშასადამე, ადამიანმა უნდა ზღოს ყველა ეს დანაშაული, გაიაროს უსასრულო სალხინებელი და მხოლოდ შემდეგ ჰკითხოს თავის თავს, ამის მიღმა არსებობს კი რაიმე პირადული, საკუთარი, თუ მთელი ჩემი მცდელობა თავისი შედეგებით მართოდენ ზღვის ზედაპირზე მოგდებული ქაფი და მოვლენათა ნაკადში უაზრო თამაშიაო მხოლოდ!

მოცარტმა ჩემი ჩამოგრძელებული სახე რომ დაინახა, გულიანად გადაიხარხარა, ჰაერში შეხტა, ფეხები ააბაკუნა, თან დამძახოდა:

– რაო, ბიჭუნო, აგეწვა კუჭი, აგტკივდა ტყლიპი?[72] მაშ, გაგახსენდა ის გაიძვერა, უბადრუკი და სისხლისმსმელი შენი მკითხველი? გაგახსენდა ასოთამწყობნი, მწვალებელნი, თითლიბაზნი და წყეული მოშურნენი შენნი? გულიანად კი გამაცინე, შე გველეშაპო, ისე მაამე და მიმასავათე, საცაა შარვალს გავავსებ! ჰაიტ, შე გულუბრყვილო, სტამბის საღებავით შეთხიპნილო კაცო! შენს კაემნიან გულს სანთელს დავუნთებ საპამპულაოდ! მაშ იზლოუქუნე და იწუწუნე, იპამპულე, იშაყირე, კუდი აქიცინე, ტყუილები ჩმახე! ღმერთი ინებებს, ტანჯვას გაგემებს, მაგ ჯღაბნის საზღაურად ჯოჯოხეთს მოგიზღავს, იმიტომ რომ უხეირო და არანაღდია ყველაფერი, რაც რომ შეგითხზავს!

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ისეთმა სიბრაზემ შემიპყრო, სევდა და ნაღველი უმაღლესად გადამაღვიწყდა! მოცარტს ნაწნავში ვწვდი. იგი ჰაერში აფრინდა, ნაწნავი თანდათან დაუგრძელდა და ბოლო კომეტის კუდივით გაეწელა. მე კი, ნაწნავს ჩაფრენილი, სამყაროს თავზე დავქროდი. დასწყევლოს ღმერთმა! როგორ ციოდა აქ, ზემოთ. მაინც როგორ უძლებდნენ უკვდავნი ამ ყინულისვით ცივ ჰაერს! თუმცა ეს გაუხშობებული, ცივი ჰაერი რაღაცნაირად მაინც გამოგაცოცხლებდა ადამიანს. ერთი-ორი წამით მეც შევიგრძენი მისი ცხოველმყოფელი ძალა, მერე კი გონება წამერთვა. უეცრად მთელი ჩემი არსება ორლესული ფოლადივით ბასრმა, ყინულისვით ცივმა, მხიარულმა განწყობამ მოიცვა. სურვილმა ამიტანა, მოცარტივით წკრიალა, ბობოქარი და არამიწიერი სიცილით მეცინა. მაგრამ ამ დროს სუნთქვა შემეკრა და გრძნობა დავკარგე.

გონს რომ მოვეგე, საშინლად დაბნეული ვიყავი და ტანში მამტვრევდა. დერეფნის თეთრი სინათლე მოსარკულ იატაკზე ირეკლებოდა. ვერა და ვერ გავერიე უკვდავთა დასში, ჯერაც ვერ შევძელი იქ დამკვიდრება, ისევ და ისევ ამქვეყნიური გაუგებრობის, ტანჯვის, ტრამალის მგლების ჯოჯოხეთურ, რთულ მიწიერ სამყაროში ვიმყოფებოდი! მართალი გითხრათ, ვერაფერი სახარბეილო ადგილი იყო! საოცრად მიჭირდა იქ ყოფნა. არა, ყოველივე ამას უსათუოდ უნდა მოღებოდა ბოლო!

კედლის დიდ სარკეში ჩემ პირდაპირ ჰარი იდგა. თვალტანადობით დიდად ვერ დაიკვებნიდა და დაახლოებით იმ ჰარის ჩამოჰგავდა, ჯერ პროფესორთან სტუმრობის ღამეს, მერე კი „შავ არწივში“ მეჯლისის შემდეგ რომ ვიხილეთ. მაგრამ

მას მერე დიდი დრო გასულიყო; მრავალი, მრავალი ასეული წელი! ჰარი გაზრდილიყო, ცეკვაც ესწავლა და მაგიური თეატრების სტუმარიც გამხდარიყო. უკვე მოესმინა მოცარტის სიცილი, აღარც ცეკვებისა და ქალების შიში ჰქონდა და აღარც დანების. ბოლოს და ბოლოს, საშუალო ნიჭის პატრონი კაციც კი მომწიფდება, თუკი საუკუნეებს გამოივლის! ჰარის კარგა ხანს ვუყურებდი სარკეში. რა თქმა უნდა, მისი ცნობა დიდად არ გამჭირვებია. რაღაცით მაინც წააგავდა იმ თხუთმეტი წლის ბიჭს, მარტის ერთ კვირა დღეს ქარაფებთან რომ შეხვდა როზას და კონფირმანდის ქუდი მოუხადა. მაგრამ იმის მერე რამდენიმე ასეული წელი მომატებოდა და მუსიკასა და ფილოსოფიაში გადავარდნილს, ყველაფერი მოყირჭებოდა. ეს ჰარი „ფოლადის მუზარადში“ შეექცეოდა ელზასურ ღვინოს, კრიშნაზე ეკამათებოდა დარბაისელ მეცნიერებს, უკვე გამოევლო ერიკასა და მარიას ტრფობის ხანა, გამხდარიყო ჰერმინეს მეგობარი; ამ ჰარის უკვე დაეცხრილა ავტომობილები და ღამეც გაეთია ხავერდისკანიან ჩინელ ქალთან. უკვე შეხვედროდა გოეთესა და მოცარტს, ზოგ-ზოგ ადგილას გაერღვია დროისა და მოჩვენებითი სინამდვილის ბაღე, რომელსაც ხელ-ფეხი შეებოჭა მისთვის. განა რა დაშავდა ისეთი, რომ ის მშვენიერი საჭადრაკო ფიგურები დაკარგა?! სამაგიეროდ ახლა ჯიბეში ჩინებული დანა ედო! წინ, წინ გასწი, ბებერო ჰარი, შე ძველო, დამაშვრალო ბიჭო! ფუი, დალახვროს ეშმაკმა, თურმე რა მწარე გემო ჰქონია ცხოვრებას! ჰარის მივაფურთხე, მერე სარკეს წიხლი ვკარი და ნამსხვრევებად ვაქციე.

ნელ-ნელა გავუყევი აგუგუნებულ დერეფანს. ყურადღებით ვათვალიერებდი კარებს, სულ მცირე ხნის წინათ ამდენ სიკეთეს რომ მპირდებოდა. ახლა არც ერთზე აღარ იყო წარწერა. მშვიდად დავუარე მაგიური თეატრის ასობით კარს! განა დღეს არ იყო, კარნავალზე რომ ვიყავი?! მას შემდეგ ასი წელი გასულიყო. სულ მალე საერთოდ აღარ იარსებებდა არავითარი დრო. ერთი რამ კიდევ მრჩებოდა გასაკეთებელი: ჰერმინე უნდა მენახა. იგი ისევ და ისევ მელოდა. ალბათ ძალიან უცნაური იქნებოდა ეს ქორწილი! მღვრიე ტალღა სწორედ იქით მიმაქანებდა. მე კი, ტრამალის მგელი, თვინიერად, პირქუშად მივყვებოდი დინებას. ფუი, დალახვროს ეშმაკმა!

ბოლო კართან შევდექი. იმ მღვრიე ტალღამ სწორედ აქეთ გადმომისროლა! ო, როზა! ო, ჩემო შორეულო სიჭაბუკევ! გოეთევ და მოცარტო! კარი შევალე და ერთი ჩვეულებრივი, თუმცა კი საამო სურათი გადამეშალა თვალწინ. იატაკზე გაშლილ ხალიჩაზე გვერდიგვერდ მშვენიერი შიშველი ქალ-ვაჟი იწვა. ჰერმინე და პაბლო შევიცანი. ღრმა ძილში იყვნენ წასული; თან იმ ვნებათაღელვისგან ქანცგამოცლილი ჩანდნენ, ასე დაუოკებელი რომ ჰგონია ადამიანს, სინამდვილეში კი სწრაფად მოყირჭდება ხოლმე. მართლაც თვალწარმტაცი სურათი იყო! ხალიჩაზე კაცთა მოდგმის ორი მშვენიერი ნაშეირის უზადო სხეული გართხმულიყო. ჰერმინეს მარჯვენა ძუძუს ქვეშ მოლურჯო-მოწითალო მრგვალი ლაქა მოუჩანდა. ეს ვნებიანი ნაკბენი პაბლოს ბროლის კბილების ნაკვალევი გახლდათ. დანა ტარამდე პირდაპირ იმ ნაკბენში ჩავასვე. ჰერმინეს ნაზ თეთრ კანზე სისხლი გადმოწანწკარდა. საქმე სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ალბათ სისხლს კოცნით შევუშრობდი, ახლა კი არ შემეძლო ამის გაკეთება. ვხედავდი, როგორ გადმოდიოდა ჭრილობიდან სისხლი, ისიც დავინახე, ჰერმინემ წამით თვალები რომ გაახილა და მის მზერაში მწარე ტკივილი დაუსაზღვრო გაოცება ამოვიკითხე. „ნეტავ ასე რამ გაოცა-მეთქი“,

გავიფიქრე. მერე მინდოდა თვალები მაინც დამეხუჭა მისთვის, მაგრამ ესეც აღარ დამჭირვებია, თავისთავად დაეხუჭა. ასე აღსრულდა ყოველივე. ჰერმინე ოდნავ შებრუნდა გვერდზე; უცებ ილლიიდან მკერდისკენ მსუბუქი, ნაზი ჩრდილი გაცურდა. ამ ჩრდილმა თითქოს რაღაცა მომაგონა, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი გავიხსენე. ეს იყო და ეს. ჰერმინე აღარ განძრეულა! კარგა ხანს დავყურებდი ასე. ბოლოს, თითქოს ბურანიდან გამოვერკვით და წასვლა დავაპირე. სწორედ ამ დროს პაბლომ თვალები გაახილა, გაიზმორა და გასწორდა. მერე უსულო ქალისაკენ გადაიხარა და ჩაეღიმა. არა, ამ ბიჭის დაბრძენებას არა და არ დაადგა საშველი, ყველაფერზე ეღიმება-მეთქი, გავიფიქრე გულში. პაბლომ ფრთხილად გადაკეცა ხალიჩის კუთხე, ჰერმინეს მკერდზე წააფარა, ისე რომ, ჭრილობა დაემალა და უხმოდ გავიდა ლოჟიდან. ნეტა სად წავიდა? ნუთუ ყველამ მიმატოვა? მარტოდმარტო ვიყავი ახლა ხალიჩაწაფარებულ მიცვალებულთან. ეს ქალი მიყვარდა და მშურდა მისი. ფერმიხდილ შუბლზე თმის კულულის ჩამოშლოდა, გაცრეცილ სახეზე ოდნავ გახსნილი ბაგე ალისფრად უელავდა, ნაზსა და სურნელოვან თმაში კი პატარა, ნაქანდაკარი ყური გამოკრთოდა.

ჰერმინემ საწადელი აღისრულა. სატრფო მანამდე მოვკალი, ვიდრე ჩემი გახდებოდა. ვგრძნობდი, საოცრება ჩავიდინე. მუხლებზე დამხობილი ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ შემეფასებინა ჩემი საქციელი. ვერ გამეგო, სწორად მოვიქეცი, თუ პირიქით. ნეტავ რას მეტყოდა ამაზე ის ბრძენი მოჭადრაკე, რას მეტყოდა პაბლო? არ ვიცოდი და არც ფიქრის თავი მქონდა. ჰერმინეს მიმქრალ სახეზე უფრო და უფრო ალისფრად უელავდა ბაგე. ეს გაცრეცილი პირისახე ჩემს ცხოვრებას, ჩემს მისხალ-მისხალ გამოწონილ სიყვარულსა და ბედნიერებას მაგონებდა. ამ გაქვავებული სახის, თეთრი მხრებისა და ხელების შემყურეს საშინელი შიში მიპყრობდა, ვგრძნობდი, როგორ მოიპარებოდა ჩემკენ ზამთრის სიცივე და სიმარტოვე, თანდათან როგორ მეყინებოდა თითები და ტუჩები. ნუთუ საკუთარი ხელით ჩავაქრე მზე? ნუთუ თავად სიცოცხლეს ამოვგლიჯე მკერდიდან გული? ნუთუ კოსმოსის მომაკვდინებელი სიცივე იჭრებოდა ახლა სივრციდან? ძრწოლით შევყურებდი ქალის გაქვავებულ შუბლს, ჩამოშლილ კულულს, ყურის ნიჟარის გაცრეცილ კრთომას. ეს სიცივე მომაკვდინებელი, მაგრამ მაინც მშვენიერი იყო: წკრიალებდა, ნება-ნება ჟღერდა და მუსიკასავით ხმიანობდა.

ოდესღაც, წარსულში ერთხელ ხომ უკვე ვიგრძენი ეს ძრწოლა, ასე რომ ჰგავდა ბედნიერებას! ერთხელ ხომ უკვე მომესმინა ეს მუსიკა! დიახ, ეს მოცარტისა და უკვდავთა მუსიკა იყო!

უცებ სადღაც ამოკითხული ლექსი გამახსენდა:

ჩვენ კი, მომსთვლელნი სხვადასხვა სვესი,

ვისაც წილად გვხვდა ვარსკვლავთა ხვედრი,

ვართ და არ ვიცით ჟამი და სქესი,

დღე და საათი, მამრი და მდედრი.

და ვარსკვლავების უდრეკ მწყობრით

მარადიული გვაბრწყენს ციმციმი,

გველუშაპია ჩვენი ძმობილი,

მარადისია ჩვენი სიცილი...

სწორედ ამ დროს ლოჟის კარი გაიღო და მოცარტი შემოვიდა. ხელმეორედ რომ შევხედე, მაშინლა ვიცანი. ნაწნავი აღარ ჰქონდა, აღარც მუხლებამდე შარვალის და აბზინდიანი ფეხსაცმელი ეცვა. თანამედროვე ტანსაცმელში გამოწყობილიყო. ისე ახლოს მომიჯდა, კინაღამ ვუთხარი, ფრთხილად, ჰერმინეს სისხლით არ დაისვაროთ-მეთქი. დაჯდა თუ არა, მოცარტმა გულისყურით დაუწყო კირკიტი გარშემო დადგმულ პატარა ხელსაწყოებს. აღტაცებით შევყურებდი მის მოქნილ, მარდ თითებს და ისიც ვიფიქრე, ამ თითებს რა სიამოვნებით ვიხილავდი-მეთქი კლავიშებზე. დაფიქრებული, უფრო სწორად, ოცნებაში წასული, ვათვალიერებდი მის მშვენიერ, ჭკვიან ხელებს, მისი სიახლოვე მათბობდა და, ცოტა არ იყოს, მაშინებდა კიდეც. სულაც არ მაინტერესებდა ის ამბავი, რა ჭანჭიკ-ხრახნებით იყო გართული და რას საქმიანობდა.

მოცარტმა რადიომიმღები ააწყო, მერე ჩართო და თქვა:

– ჰენდელის ფა-მაჟორის „კონჩერტო გროსო“ გადმოსცემენ მიუნხენიდან.

მართლაც, ჩემდა გასაკვირად და თავზარდასაცემად, თუნუქის ძაბრიდან ბრონქიალური ხველებისა და აჭრაჭუნებული რეზინის ხმები შემომესმა, გრამოფონის პატრონები და რადიომსმენელები მუსიკას რომ უწოდებდნენ. მაგრამ ამ ლორწოდან და ხრიწინიდან მალე ჭუჭყისგან გაწმენდილი, ძველი, დიდებული სურათივით ამოიმართა ღვთაებრივი მუსიკის კეთილშობილი ჰანგები, ყურში ჩამესმა მისი მეფური კილო, ცივი, ღრმა სუნთქვა და სიმების სრულხმოვანება.

– ღმერთო ჩემო, მოცარტ! – წამოვიძახე შეძრწუნებულმა, – რას სჩადიხართ? ნუთუ მართლა აპირებთ ამ სისაძაგლეში გამრიოთ მეცა და საკუთარი თავიც? ნუთუ მართლა გინდათ, თავზე დაგვამხოთ ეს საძულველი ყუთი, ხელოვნებასთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩვენი დროების გამარჯვება რომ გვაუწყა და უკანასკნელ ძლევამოსილ იარაღად იქცა?

ო, რომ იცოდეთ, როგორ გაიცინა ჩემმა საშინელმა მოსაუბრემ! რა ცივი, იდუმალი, უხმო და ამავე დროს გამანადგურებელი იყო ეს სიცილი! ნეტარებით შევყურებდა ჩემს ტანჯვას, ატრიალებდა წყეულ ხრახნებს, თუნუქის ძაბრს, ცდილობდა დასახიჩრებული, უსულგულოდ მოწამლული მუსიკა სიცილით როგორმე გარეთ გამოედენა. მერე ისევ სიცილით მიჰასუხა:

– მეზობელო! აღტყინება რა საჭიროა?! აბა ერთი ყურადღება მიაქციეთ ამ რიტარდანდოს! სწორედ რომ აღმოჩენაა, არა? სულწასულო ადამიანო! შეეცადეთ თავში შეუშვათ ამ რიტარდანდოს იდეა! გესმით ბანის ხმები? ღმერთებივით არ მოაბიჯებენ? დაე, მოხუცი ჰენდელის ამ აღმოჩენამ შეარხიოს და დააშოშმინოს თქვენი მშფოთვარე გულის სიმები! კაცუნავ! აბა ერთი ყოველგვარი პათეტიკისა და დაცინვის გარეშე მოუსმინეთ ამ სასაცილო ყუთს და დაინახავთ, მის მართლაც სულელურ საფარქვეშ როგორ კიაფობს ამ ღვთაებრივი მუსიკის შორეული ხატი. ყური მიუგდეთ! აქ შეიძლება რაღაც-რაღაცეები ისწავლოს კაცმა! ეს დამთხვეული ღოროტოტო ამქვეყნად თითქოს ყველაზე უგუნურ, უსარგებლო და აკრძალულ

საქმეს აკეთებს. ალაღბედზე, სულელურად, უბეზად და თავზებელაღებით გამოუხმობს გარეთ სადღაც შესრულებულ მუსიკას, თან ყველაზე გაურკვეველ, ყველაზე უადგილო ადგილას ამახინჯებს მას, მაგრამ მაინც არ ძალუძს ჩაკლას ამ მუსიკის პირველქმნილი სული და ჩვენ მხოლოდ მისი ტექნიკური უილაჯობისა და უსულგულო საქმიანობის მოწმენი ვხდებით. აბა კარგად მოუსმინეთ, კაცუნავ! ეს საჭიროა თქვენთვის! დაცქვითეთ ყურები! აი, ასე. თქვენ ისმენთ არამართო რადიომიმღების მეოხებით პატივყრილ ჰენდელს, რომელიც ამ საზიზღარ ვითარებაშიაც კი ღვთაებრივად ჟღერს; ჩემო ძვირფასო, ამასთან ერთად თქვენ ისმენთ და ხედავთ ჩვენი ცხოვრების შესანიშნავ სიმბოლოს. რადიოს მოსმენისას შეიტყობთ, რომ წარმოებს მუდმივი ბრძოლა იდეასა და მის განხორციელებას, დროსა და მარადისობას, ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის. ჩემო ძვირფასო, მოგეხსენებათ, რადიოს შეუძლია ამქვეყნიური ბრწყინვალე მუსიკის ჰანგები ათი წუთის განმავლობაში აფრქვიოს ყველაზე წარმოუდგენელ ადგილებშიც კი, ბიურგერულ სალონებში თუ სახლის სხვენზე. რადიოს შეუძლია თავზე დაამხოს ეს ჰანგები მსმენელებს, ლაქლაქით რომ იქცევენ თავს, საჭმელს თქვლეფენ, ამოქნარებენ, ანდა სძინავთ. რადიო ძარცვავს მუსიკას, ჰპარავს მას ვნებას და მგრძნობიარობას, ასახიჩრებს, დორბლავს და ბილწავს მის სილამაზეს, მაგრამ მისი სულის ჩაკვლა მაინც არ ძალუძს. ცხოვრება, ეგრეთ წოდებული სინამდვილე, ზუსტად ასევე თამაშ-თამაშით ფანტავს სამყაროს სურათთა ბრწყინვალე დასს, ჰენდელის მუსიკას კვალდაკვალ მოაყოლებს მოხსენებას საშუალო სამრეწველო საწარმოებში ბალანსის გასწორების თაობაზე, ბგერათა გულისამრევ ლორწოდ აქცევს ორკესტრის ჯადოსნურ ჰანგებს, ცდილობს იდეასა და სინამდვილეს, ორკესტრსა და სმენას შორის ჩაჩურთოს ტექნიკა თუ საქმოსნობა, ყოველგვარი გაჭირვება და ამაოება. ჩემო პატარავ, მთელი ცხოვრება ასეა მოწყობილი და ჩვენ აქ ვერაფერს გავაწყობთ. ერთი კია, ვირები თუ არა ვართ, სიცოცხლის-კისკისში უნდა გავატაროთ ეს ყველაფერი. თქვენისთანა ადამიანს სულაც არ შეშვენიის რადიოსა თუ ცხოვრების გაკრიტიკება. უმჯობესია, ჯერ მოსმენა ისწავლოთ! ისწავლეთ დინჯად შეხედოთ ყველაფერს, რაც სერიოზულ მოპყრობას იმსახურებს. დანარჩენზე კი შეგიძლიათ იცინოთ! მაგრამ განა თავად უკეთ იქცეოდით?! განა თქვენი საქციელი კი უფრო მეტი კეთილშობილებით, გონივრულობითა თუ გემოვნებით გამოირჩეოდა?! არა და რა, ბატონო ჰარი! თქვენივე ცხოვრებიდან საზიზღარი ავადმყოფობის ისტორია შეითითხნეთ და საკუთარი ნიჭიერება უბედურებად აქციეთ. ახლა კი, როგორც ვხედავ, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ და ამ მომნიბლავ, წარმტაც გოგონას დანა ჩაეცით გულში, სიცოცხლეს გამოასალმეთ. თქვენი აზრით, სწორია ეს?

– რაო, სწორიაო? რა თქმა უნდა, არა! – წამოვიძახე სასოწარკვეთილმა. – ღმერთო ჩემო, ეს ყველაფერი ხომ სიყალბე, არნახული სისულელე და საძაგლობაა! მოცარტ! მე პირუტყვი ვარ, უგუნური, გაავებული, დავრდომილი პირუტყვი. ამაში სავსებით მართალი ბრძანდებით. ხოლო რაც შეეხება გოგონას, ყველაფერი მისი თანხმობით მოხდა, მე მხოლოდ სურვილი აღვუსრულე.

მოცარტმა უხმოდ გაიცინა, მაგრამ მაინც მოიღო წყალობა და რადიო გამორთო. თავის მართლება უეცრად რატომღაც სისულელედ მომეჩვენა, თუმცა კი იმ წუთში გულწრფელად მჯეროდა ჩემი სიმართლისა. მერე გამახსენდა: ერთხელ, როდესაც ჰერმინემ დროსა და მარადისობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, მზად ვიყავი მისი აზრები ჩემი საკუთარი აზრების ანარეკლად ჩამეთვალა, ხოლო როცა მან მამცნო, შენი

ხელით უნდა მოგკვდეთ, არც კი მიცდია ეს აზრი გადამეთქმევინებინა. კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ეს შემზარავი, უცნაური ამბავი არამც თუ მარტო დავუშვი და ვირწმუნე, წინდაწინ გამოვიცანი კიდეც?! იქნებ მიზეზი ის იყო, რომ მეც ამასვე ვფიქრობდი? რაღა სწორედ იმ დროს მოგკალი ჰერმინე, როცა იგი სხვის მკლავებში შიშველი ვიხილე?

მოცარტმა მრავლისმცოდნე კაცის სიცილით გაიცინა, დამცინავად და უხმოდ:

– რა ხუმარა ყოფილხართ, ჰარი! – მითხრა შემდგომ, – ნუთუ ამ ლამაზ გოგოს გულში დანის ჩაცემის მეტი არაფერი უნდოდა თქვენგან? ჩემო კარგო! ეგ საკენკი სხვებს დაუყარეთ! ისე კი, მარჯვედ გაგიყრიათ დანა, საბრალო გოგო მაშინვე გათავებულა. სხვათა შორის, ვგონებ, დროა დავუფიქრდეთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თქვენს საქციელს ამ ქალბატონის მიმართ! ან იქნებ აპირებთ სასჯელს დაუძვრეთ?

– არა და არა, – წამოვიძახე მე, – ნუთუ არ გესმით? რაო, სასჯელს დავუძვრეო? ამქვეყნად ახლა უკვე ერთი სურვილიღა მამოძრავებს: მინდა დანაშაული გამოვისყიდო, დიახ, გამოვისყიდო! დაე, მომკლან, მომსპონ, ახლა მე ყველაფრის ღირსი ვარ!

მოცარტმა საოცრად დამცინავი მზერა მესროლა.

– ერთობ მაღალფარდოვნად კი მსჯელობთ! მაგრამ იმეღია, იუმორს ეზიარებით. ჩვეულებრივ იგი სახრჩობელამისჯილი კაცის იარაღია, ჰოდა, სწორედ სახრჩობელაზე გაიგებთ მის ფასს. მზად ხართ კი ამისთვის? ჰო? კეთილი და პატიოსანი, რაკი ასეა, მიბრძანდით პროკურორთან და შეეცადეთ, როგორმე გაუძლოთ სასამართლოს მთელ დავიდარებას, რადგან იქ იუმორის ნატამალსაც ვერსად წააწყდებით. მერე კი მოემზადეთ, რომ ერთ სისხამ დილას, ციხის ეზოში უშფოთველად მოგკვეთონ თავი. ამისთვისაც მზად ხართ?

უცებ ჩემ წინ წარწერა აკიაფდა:

ჰარის სიკვდილით დასჯა

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და აი, მოულოდნელად ციხის ეზოში აღმოვჩნდი, ეზოს გალავანში გისოსიანი ფანჯრები იყო ჩატანებული. იქვე გაკრიალებული გილიოტინა მოჩანდა. ეზოში მოსასხამებსა და სერთუკებში გამოწყობილი ათიოდე კაცი იდგა. მეც გამიყვანეს. ადრიანი დილის სუსხით გათოშილს, გული შიშნარევი დარდით მქონდა შეკუმშული, მაგრამ ყველაფერზე ყაბულს ვიყავი, ყველაფერს მომზადებული ვხვდებოდი.

ბრძანება გასცეს თუ არა, რამდენიმე ნაბიჯი წინ გადმოვდგი და მუხლებზე დავეცი. პროკურორმა ქუდი მოიხადა და ჩაახველა. დანარჩენებმაც ჩაახველეს. პროკურორმა გრაგნილი გაშალა და კითხვა დაიწყო:

– ბატონებო! თქვენ წინაშეა ჰარი ჰალერი. მას ბრალად ედება მაგიური თეატრის ბოროტად გამოყენება. როცა მან ჩვენი მშვენიერი სურათების გალერეა ეგრეთ წოდებულ სინამდვილესთან გააიგივა და გათქვიფა, ხოლო სარკეში არეკლილი გოგონა ასეთივე არეკლილი დანით სასიკვდილოდ განგმირა, ამ საქციელით მან მარტოოდენ ჩვენი მაღალი ხელოვნება როდი შეურაცხყო! იგი არაიუმორისტული

გზით შეეცადა ჩვენი თეატრი თვითმკვლელობის იარაღად გამოეყენებინა! ამიტომაც სასამართლომ ჰალერს მარადიული სიცოცხლის განაჩენი გამოუტანა. შემდგომ ამისა, მას თორმეტი საათის განმავლობაში ეკრძალება ჩვენს თეატრში შემოსვლა. ამასთან ერთად ძალაში რჩება ბრალდებულისათვის გამოტანილი ერთჯერადი დაცივნის განაჩენიც. ბატონებო! გთხოვთ, აღასრულოთ! ერთი, ორი, სამი!

მესამე თვლაზე ყველა იქ მყოფი თვინიერად ახარხარდა, ეს ციური დასის სიცილი იყო, ადამიანის ყურისათვის აუტანელი, არამქვეყნიური და შემზარავი.

გონს რომ მოვეგე, მოცარტი ისევ ჩემ გვერდით იჯდა. მან მხარზე ხელი უწინდებურად მომიტათუნა და მითხრა:

– ხომ გაიგეთ, რა განაჩენიც გამოგიტანეს? თავს ძალა უნდა დაატანოთ და მომავალში შესძლოთ ცხოვრების რადიომუსიკის მოსმენა. ეს სასარგებლო იქნება თქვენთვის! ჩემო საყვარელო, სულელო ბიჭო! დიდი ნიჭიერებით ვერ დაიკვებნით, მაგრამ, ვფიქრობ, თანდათანობით მიხვდებით, რას მოითხოვენ თქვენგან. სიცილი უნდა ისწავლოთ, სწორედ ეს მოგეთხოვებათ! უნდა მიხვდეთ, რას ნიშნავს ცხოვრების სახრჩობელაზე ასული კაცის იუმორი. რა თქმა უნდა, ამქვეყნად ყველაფრისთვის ხარტ მზად, გარდა იმისა, რასაც თქვენგან მოითხოვენ! მზად ხარტ მკერდში დანა ჩასცეთ გოგონას და ზეიმით შეხვდეთ სიკვდილს. ალბათ ასევე მზადა ხარტ ასი წლის მანძილზე ამათრახოთ და დათრგუნოთ საკუთარი ხორცი, ასეა თუ არა?

– დიახ, დიახ, რასაკვირველია, სულითა და გულით მზადა ვარ! – შევძახე გამწარებულმა.

– ო, რა თქმა უნდა, დიდბუნებოვანი ადამიანი ბრძანდებით და კაცმა შეიძლება ნებისმიერი უგუნური და იუმორს მოკლებული საქციელი ჩაგადენინოთ, ყველაფერი გაგაკეთებინოთ, რაც პათეტიკური და გონებამახვილობას მოკლებულია. მაგრამ ჩემი გაბიაბრუება არც ისე ადვილია. ვფიქრობ, ეგ თქვენი რომანტიკული ცოდვების მონანიება გახვრეტილ გროშადაც არა ღირს. დაუდეგარო ადამიანო! სიკვდილით დასჯასა და თავის მოკვეთას ელტვით! ამ სულელური იდეალისთვის მზადა ხარტ კიდევ ათობით მკვლელობა ჩაიდინოთ! დალახვროს ეშმაკმა! სიკვდილი კი გინდათ, მაგრამ სწორედაც რომ უნდა იცოცხლოთ! ისე კი, ახია თქვენზე, უმკაცრესი სასჯელის ღირსი ხარტ!

– მაინც რა სასჯელია ასეთი?

– მაგალითად, ეს გოგონა გავაცოცხლოთ და ცოლად შეგროთო.

– არა, ამისთვის შემზადებული არა ვარ. შეიძლება დიდი ცოდვა დატრიალდეს.

– განა ცოტა ცოდვა გაქვთ ჩადენილი?! ახლა ბოლო უნდა მოეღოს ამ პათეტიკასა და კაცისკვლას! ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგეთ! თქვენ უნდა იცოცხლოთ, ისწავლოთ სიცილი და ცხოვრების წყეული რადიომუსიკის მოსმენა! აი, მაშინ კი შეძლებთ, მოწიწებით მოეპყრათ მის მიღმა მიმალულ სულს. უნდა შეძლოთ დასცინოთ მუსიკის ამ გნიასს. ეს არის და ეს. ამის მეტი არაფერი მოგეთხოვებათ.

დანა პირს არ მიხსნიდა, კბილებშუა ძლივს გამოვცერი:

- კი, მაგრამ, ბატონო მოცარტი, ვთქვათ და უარი განვაცხადე? ვთქვათ, არ მოგეცით ნება, ტრამალის მგელი თქვენს ჭკუაზე ატაროთ და მის ბედ-იღბალში ჩაერიოთ?
- მაშინ გირჩევდით, ერთხელაც მოგეწიათ ეს მშვენიერი სიგარეტი, – მშვიდად მომიგო მოცარტმა.

ვიდრე ამას იტყოდა და ჟილეტის ჯიბიდან ჯამბაზის სიმარჯვით დააძვრენდა სიგარეტს, იგი მოცარტი აღარ იყო. მუქი და უჩვეულო თვალებით ახლა უკვე გულთბილად შემომცქეროდა ჩემი მეგობარი პაბლო და ტყუპისცალივით ჰგავდა იმ კაცს, ფიგურებით თამაში რომ მასწავლა.

– პაბლო! – წამოვიძახე შემკრთალმა, – პაბლო, სადა ვართ?

პაბლომ სიგარეტი მომაწოდა და მომიკიდა.

– ახლა ჩემს მაგიურ თეატრში ვიმყოფებით. შეგიძლია ინატრო, რაც გინდა: ტანგოს სწავლა იქნება ეს, გენერლობა თუ ალექსანდრე დიდთან გასაუბრება. მოკლე ხანში ყველა სურვილი აგისრულდება. მაგრამ, ჰარი, ისიც უნდა გითხრა, რომ, ცოტა არ იყოს, იმედი გამიცრუე. თავგზა მთლად აგებნა, ჩემი პაწია თეატრის იუმორი ხელჰყავი და საშინელი უმსგავსობა ჩაიდინე, დანა იხმარე და ჩვენი სურათ-ხატების წარმტაცი სამყარო სინამდვილის ლაქებით წაბილწე. ნამდვილად არ გეკადრებოდა ასეთი საქციელი. იმედია, ეს ყველაფერი ეჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინე, რაკილა მე და ჰერმინე ერთად დაწოლილი დაგვინახე. სამწუხაროდ, არ გცოდნია, როგორ უნდა მოჰყრობოდი აი ამ ფიგურას. მე კი მეგონა, თამაშს უკეთ იყავი დაუფლებული. არა უშავს... ამ საქმეს მოევლება.

პაბლომ ჰერმინე ხელში აიყვანა. ქალი მის თითებში უეცრად დაჰატარავდა და საჭადრაკო ფიგურის ოდენა გახდა. მერე პაბლომ იგი იმ ჯიბეში ჩაისვა, საიდანაც წელან სიგარეტი ამოიღო.

ირგვლივ სასიამოვნოდ იფრქვეოდა სქელი კვამლის მოტკბო სურნელი. თავი გამოცარიელებული მქონდა და მზად ვიყავი, თუნდაც მთელი წელი გამეტარებინა ძილში. დიახ, ახლა კი მივხვდი ყველაფერს. პაბლოსიც გავიგე და მოცარტისაც. სადღაც, უკნიდან მისი შემზარავი სიცილი შემომესმა. ვიცოდი, ახლა ჯიბეში მეწყო ყველა ის ფიგურა, ასე ათასი ცხოვრების ასაწყობად რომ იკმარებოდა. გაოგნებული ვცდილობდი ჩავწვდომოდი თამაშის არსს, მეწადა ხელახლა განმეცადა ამ თამაშით მოგვრილი ტანჯვა, ერთხელ კიდევ შევძრწუნებულიყავი მისი უაზრობით. დიახ, დაუოკებელი სურვილი მქონდა, ისევ და ისევ გამევლო საკუთარი თვითარსის ჯოჯოხეთი.

გუნებაში გავიფიქრე, ერთხელაც იქნება შევძლებ უკეთესად თამაშს, ერთხელაც იქნება ვისწავლი-მეთქი სიცილს. ახლა კი პაბლო მელოდა, მელოდა მოცარტი.

ავტორის ბოლოთქმა

ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებზე მკითხველს შეიძლება სწორი აზრიც შეექმნას და უმართებულოც, მწერალს კი უმეტესწილად არ ძალუძს, წინასწარ განსაჯოს, მისი ჩანაფიქრი როდის გახდება ხელმისაწვდომი მკითხველისათვის და როდის – არა.

ისიც ხდება, რომ ნაწარმოებში მკითხველი თვით ავტორზე მეტ აზრობრივ შრეებს აღმოაჩენს, მაგრამ საგულისხმოა, რომ მწერლის საზრისის ასეთი არაერთმნიშვნელოვანი აღქმა ზოგ შემთხვევაში სასარგებლოც კი გამოდგება ხოლმე.

„ტრამალის მგელს“ ჩემს შემოქმედებაში ყოველთვის იმ ნაწარმოებთა რიცხვს მივაკუთვნებდი, უფრო ხშირად არასწორად რომ ესმოდათ. ამ წიგნით აღფრთოვანებულ ზოგ მკითხველს ჩემი თვალსაზრისის საწინააღმდეგო აზრიც კი გამოუთქვამს. ეს ამბავი ნაწილობრივ, დიახ, მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ორმოცდაათი წლის კაცის ხელით დაწერილ ამ წიგნს, რომელიც, სახელდობრ, ამ ასაკთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება, უფრო ხშირად სრულიად ახალგაზრდა მკითხველები ეტანებოდნენ ხოლმე. მაგრამ ჩემი ხნის მკითხველთა შორისაც მინახავს ისეთები, რომლებზედაც ამ წიგნს შთაბეჭდილება კი მოუხდენია, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მის არსს მხოლოდ მიახლოებით თუ ჩასწვდომიან. რატომღაც მგონია, ეს მკითხველები ტრამალის მგელში მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ თავს ხედავენ და მას საკუთარ „მესთან“ აიგივებენ. მის სატკივარს განიცდიან და აზრებსაც იზიარებენ, მაგრამ სავსებით ავიწყდებათ, რომ ამ წიგნს ჰარი ჰალერის სიძნელეებთან ერთად სხვა საზრუნავიც გააჩნია და სათქმელი სხვაც ბევრი აქვს. ეს მკითხველები ვერ ხედავენ ტრამალის მგლისა და მისეული პრობლემებით აღსავსე ცხოვრების მიღმა აღმართულ ზეგარდმო, უჭკნობ სამყაროს, ვერ მიმხვდარან, რომ „ტრაქტატზე“ იქნება ეს, სულზე თუ ხელოვნებასა და „უკვდავთა დასზე“ მსჯელობისას, ტრამალის მგლის დუხჭირ ცხოვრებას უპირისპირდება ზეპიროვნული და ზედროითი – ხალისიანი რწმენით გამსჭვალული ჭეშმარიტი სამყარო... და თუმცა წიგნი სულიერ ტანჯვაზე მოგვითხრობს, იგი მაინც სასოწარკვეთილი კი არა, რწმენასთან წილნაყარი კაცის ნაღვაწია.

რა თქმა უნდა, არ შემიძლია და არც სურვილი მაქვს, მკითხველს საკუთარი ჩანაფიქრი წინასწარ მოვახვიო თავს. დაე, თითოეულმა მათგანმა თავის წარმოსახვაში შექმნას მისთვის ხელსაპყრობი და გამორჩეული სამყარო. მაგრამ მაინც დიდად მეამებოდა, თუ მკითხველთა უმრავლესობა გაითვალისწინებდა ჩემს შეგონებას და ირწმუნებდა, რომ მართალია, ტრამალის მგელზე დაწერილი ეს წიგნი მის სულიერ სენსა და შინაგან ხელმოცარულობას აღწერს, მაგრამ ეს ის სატკივარია, რომელიც სიკვდილს კი არა, განკურნებას ელტვის.

[1] მარტოსულობის, ველურობის, გაუცხოების შთაბეჭდილება აახლოებს ჰალერს რომანტიკული გმირის ტრადიციულ სახესთან. ჰესე განგებ უსვამს ხაზს მის ამ თვისებას, რადგან მისი აზრით, რომანტიზმის ფუძემდებლურ განწყობას განდეგილობის, მიუსაფრობისა და მარტოსულობის შეგრძნება განაპირობებს.

[2] სავარაუდოა, რომ ჰესემ თავის გმირს შვეიცარიელი მოქანდაკის, ჰერმან ჰალერის გვარი შეურჩია, რომელთანაც მას მეგობრობა აკავშირებდა. ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს გმირისა და ავტორის ინიციალების დამთხვევა. სახელების ამგვარი შერჩევა ჰესეს ადრეც ახასიათებდა, რაც აშკარად მიუთითებს მწერლის ავტობიოგრაფიულ მონაცემებზე.

[3] ჰესეს მხედველობაში აქვს ნიციშეს ცალკეული შეგონებები, რომელთა თანახმადაც, ტანჯვა აუცილებელ პირობას წარმოადგენს «ზეადამიანის» ჩამოყალიბებისთვის.

[4] 20-იან წლებში ჰესე ინტენსიურად იყო დაკავებული ფერწერით. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ციურიხში.

[5] იგულისხმება «ლამის» სკულპტურული გამოსახულება ჯულიანო მედიჩის სარკოფაგზე, ფლორენციაში, რომლის ავტორია ადორძინების ხანის უდიდესი მოქანდაკე და ფერმწერი მიქელანჯელო ბუონაროტი (1475-1564)

[6] ლუთერანი პასტორის, იოჰან ტიმოთეუს ჰერმესის (1738-1821) ეპისტოლარული რომანი.

[7] ჟან-პოლ რიხტერი (1763-1825) – გერმანელი მწერალი, რომელსაც ჰესე გოეთესთან ერთად, თავის შეუცვლელ და საყვარელ საუნჯეს უწოდებდა. «ჟან-პაული, – წერდა ჰესე, – გენიალური ადამიანის ნიმუშს წარმოადგენს, რომლის იდეალიც სულიერი ძალების თავისუფალი თამაში იყო, რომელსაც ეწადა, ყველაფერზე თავისი დასტური ეთქვა, ყველაფერი გამოეცადა, ყველა ყვარებოდა და ყველაფერი განეცადა». ჟან-პაულის ესთეტიკურმა მსოფლხედვამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჰესეს იუმორის კონცეფციის ფორმირებაზე.

ნოვალისი – ადრეული გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგის (1772-1801) ფსევდონიმი. მისი რომანის «ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის გავლენა გარკვეულწილად აისახა «ტრამალის მგლის» ავტორის შემოქმედებაზე.

[8] ეს და მომდევნო ციტატები ჰესეს ნასესხები აქვს ნოვალისის «ფრაგმენტებიდან».

არ ნებავთ ცურვა, რადგან მათი დანიშნულება ხმელეთზე ყოფნაა... – იუნგის «სილრმისეულ ფსიქოლოგიაში» წყალი არაცნობიერის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოთაგანია. ჰალერის ინტერპრეტაციით ნოვალისის გამონათქვამი იძენს შემდეგ აზრს: ადამიანები არ არიან გაჩენილი არაცნობიერის ოკეანეში «საცურაოდ».

[9] მაქს რეგერი (1873-1916), ნეორომანტიკოსი კომპოზიტორი, ორგანისტი და ღირიჟორი; ვარიაციების ავტორი ბახის, მოცარტის და ბეთჰოვენის თემებზე.

[10] მერწყულის ნიშანი უშუალო კავშირშია «წყალთან» და «სარკესთან», რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანი სიმბოლოა ჰესეს რომანში. სიმბოლოურია აგრეთვე რომანში მოხსენიებული ყოველი ყვავილი: კამელია, ორქიდეა, მიხაკი და ა.შ.

[11] «შეშლილებად» ჰესე ირონიულად მოიხსენიებს იმათ, ვინც უპირისპირდება «ნორმალურ», ჩვეულებრივ ადამიანებს; ადამიანის ამ ტიპს დოსტოევსკი «იდიოტს» უწოდებს, ხოლო ნიციშე – «სულელს». ჰესე ამტკიცებს, რომ ამ ადამიანებს შესწევთ უნარი, იცხოვრონ რაღაც «მიღმა რეალობაში», რომელშიც მოხსნილია წინააღმდეგობები და შესაძლებელია სინამდვილის ე.წ. «მაგიური აღქმა».

[12] მინიშნება ავსტრიელი მწერლის, ადალბერტ შტიფტერის (1805-1868) თვითმკვლელობაზე; იგი დაავადებული იყო უკუურნებელი სენით და თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე ერთ-ერთი ძლიერი შეტევის დროს.

- [13] ამ სახელით აღწერს ჰესე ბაზელში, ფიშერმარკეტზე მოთავსებულ პატარა რესტორანს, რომლის ხშირი სტუმარიც ის იყო.
- [14] სიმბოლურია, რომ «ქვის გაღვანია», რომელიც შემდგომში მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს, აღმართულია ეკლესიასა და საავადმყოფოს, ე.ი. სულისა და სხეულის სამკურნალო დაწესებულებებს შორის, რომლებიც ჰალერის მიერ უარყოფილი კულტურის გამოვლინებას წარმოადგენენ.
- [15] რომანის ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი, რომელიც სულის ჯადოსნურ სარკეს ასახიერებს. ჰესეს აზრით, ამ თეატრში მაყურებელს შეუძლია მოხვდეს «მაგიის» საშუალებით, რომელიც გულისხმობს წინააღმდეგობების მოხსნას «შინაგანსა» და «გარეგანს» შორის, ე.ი. შეუძლია გმირის სულიერი ცხოვრების შინაგანი პროცესების გარდაქმნა ხილულად აღქმად მოვლენებად.
- [16] იგულისხმება აღორძინების ხანის უდიდესი მხატვრის, ჯოტოს (1266-1337) მიერ პადუაში, დელ არენას ეკლესიაში მოხატული ანგელოზთა ფრესკები.
- [17] ჟან-პაულის ნაწარმოების, «ჰაერნოსანი ჯანოცოს მოგზაურობის წიგნის» (1801) პერსონაჟი.
- [18] პერსონაჟი ჟან-პაულის მოთხრობისა «ქადაგი შმელცეს მოგზაურობა ფლეტცში» (1809).
- [19] ბუდისტური არქიტექტურის მონუმენტური ძეგლი, აგებული 800 წელს.
- [20] ადგილი იტალიის პროვინცია პერუჯაში.
- [21] ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, ავსტრიელია კომპოზიტორი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჰესეს ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მის რომანში მოცარტის სახე იმ სულიერ სიმშვიდეს გამოხატავს, რომლის გადმოცემაც სიტყვებით შეუძლებელია, მაგრამ აშკარად შეიგრძნობა მისი უკვდავი მუსიკის «ღვთაებრივ მხიარულებაში».
- [22] კლასიკურ მუსიკას ჰესე განიხილავდა, როგორც ადამიანის თვითსრულყოფასა და მის ცენტრთან, ყოფის იდუმალებასთან მიახლოების მაგიურ ძალას. ჯაზურ მუსიკაში, მწერლის აზრით, წინა პლანზე წამოწეულია გრძნობითი, სენტიმენტალური მხარე, რითაც დარღვეულია კლასიკური, ე.ი. «ჭეშმარიტი მუსიკისთვის» დამახასიათებელი თანაზომიერება. ჰესე მუსიკის ამ სახეობის არსებობას სამი ასწლეულით შემოსაზღვრავს (1500-1800). აქედან გამომდინარე, ჯაზურ მუსიკას იგი ეპოქის დაცემის და «აღსასრულის მაუწყებელ მუსიკად» მიიჩნევს.
- [23] აქ ჰესე მიმართავს პიროვნების გახლეჩის ფსიქოლოგიურ ფენომენს და ამით ავითარებს «ორეულის მოტივს», რომელიც გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ მოტივს წარმოადგენს. რომანტიკული ხელოვანის სახე, რომელიც სინამდვილის მიმართ შეურიგებელ ოპოზიციამ იმყოფება და მყუდრო, გამოწონილი კეთილზნეობრივი სამყაროსგან ხსნას აღვირახსნილ ან საზოგადოებისგან განდგომილ ცხოვრებაში ხედავს, დოსტოევსკიმ შექმნა თავის ნაწარმოებებში. ჰარი ჰალერის მხატვრული სახე, რომელიც გახლეჩილია ადამიანად და მგლად, თავისი სულიერი მშფოთვარებით აშკარად უკავშირდება დოსტოევსკის

გმირებს.

[24] სად აზრს (ფრანგ.).

[25] ჰესეს იუმორის თეორია უთუოდ დაკავშირებულია გერმანული რომანტიზმის «რომანტიკული ირონიის» ცნებასთან, განსაკუთრებით კი, ჟან-პაულის ცალკეულ მოსაზრებებთან. ჰესე იუმორს განიხილავს, როგორც იდეალისა და სინამდვილის უფსკრულს შორის გადებულ ხიდს, როგორც დაპირისპირებულობათა შერიგების ერთ-ერთ საშუალებას.

[26] «სარკე» – რომანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო – დაკავშირებული «მინისა» და «წყლის» ცნებებთან, რომელთაც არეკვლის უნარი გააჩნიათ. ამიტომ სარკე «ტრამალის მგელში» – ჯადოსნური მაგიური სარკეა და თვითშემეცნების საშუალებას წარმოადგენს, რომელიც გონების მიღმა არსებული სულის დაფარულ სფეროს აირეკლავს. იგი ასევე იმ «სიმრავლის» შემეცნების საშუალებაცაა, რომელიც პიროვნების «ერთიანობის» ხილული გამოვლინების მიღმა იმალება.

[27] «უკვდავნი» ჰესეს წარმოდგენილი ჰყავს გოეთესა და მოცარტის სახით; ისინი ჰარი ჰალერის სულიერი მთლიანობის ერთგვარ პროექციად გვევლინებიან.

[28] ჰესე გულისხმობს მრავალრიცხოვან «ავატარებს» – ღმერთების, ბრძენებისა და დემონების გარდასახვას ძველინდურ ეპოსში.

[29] იგულისხმება ჯვარცმის წინა ღამით, გეთსიმანის ბაღში განმარტოების სახარებისეული ეპიზოდი, რომელიც ადამიანის უკიდურეს მარტოობას გვამცნობს.

[30] თითქმის სიტყვასიტყვით განმეორება სიმღერის ტექსტისა ალბერტ გუსტავ ლორტცინგის ოპერიდან «მეფე და ხურო».

[31] ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ადამიანი უკვე დაბადების მომენტში აღბეჭდილია პირველქმნილი ცოდვის ნიშნით.

[32] რომანში ჩართული ლექსები ამოღებულია მწერლის მიერ 1926 წელს გამოცემული ლექსების კრებულიდან «კრიზისი». ზემოხსენებული ლექსის სახელწოდებაა «ტრამალის მგელი».

[33] ლექსები თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ.

[34] ჰესესთვის ჩვეული მინიშნება ავტობიოგრაფიულ მომენტზე. იგულისხმება მწერლის პირველი ცოლი, მარია ბერნელი, რომელიც 1919 წელს ფსიქიატრიულ კლინიკაში იქნა მოთავსებული.

[35] იგულისხმება ნიცშეს ლექსი «ეული».

[36] ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარე უბანი ქალაქ ბაზელში, სადაც ხდება მოქმედება.

[37] ჰესეს ცხოვრების ეს რეალური ეპიზოდი მწერალს აღწერილი აქვს 1926 წელს გამოცემული «ლირიკული დღიურის» მეექვსე ლექსში.

[38] გოეთეს პორტრეტის აღსაწერად ჰესემ გამოიყენა კარლ ბაუერის გრავიურა,

რომელიც მე-20 ს. 20-იან წლებში საფოსტო ღია ბარათებზე იყო გამოხატული.

[39] ციურიხში რეალურად არსებული რესტორნის სახელწოდება. ასევე რეალურია რომანში ხსენებული რესტორნის – «ოდეონია», სასტუმრო «ბალანსისა» და სხვათა სახელები.

[40] დამჭკნარი კამელიის ხანმოკლე სიცოცხლე ჰერმინეს განწირულობაზე მიაწინებს.

[41] ფრიდრიჰ მატისონი (1761-1831) – სენტიმენტალურ-კლასიციზტური მიმართულების გერმანელი ლირიკოსი.

გოტფრიდ ავგუსტ ბიურგერი (1747-1794) – გერმანელი პოეტი, ბალადის ჟანრის ფუძემდებელი; იმყოფებოდა მეორე ქორწინებაში პირველი ცოლის დასთან, ავგუსტა ანუ მოლი ლეონჰარტთან, რომელსაც მრავალი ლექსი მიუძღვნა. ძნელია ასოციაციური კავშირის დადგენა მატისონსა და ბიურგერს შორის.

[42] ვულპიუსი გოეთეს ცოლის, ქრისტინეს (1765-1816) ქალიშვილობის გვარია. რომანში მისი ხსენება, შესაძლოა, იყოს მინიშნება მგლის მითოლოგიზებულ ანალოგზე – მელაზე; «მგლის» მნიშვნელობა იშიფრება ამ გვარის ლათინური სიტყვის ფუძეში.

[43] ჰესე მთელი სიცოცხლის მანძილზე დაინტერესებული იყო გოეთეს პიროვნებით, უძღვნიდა მას სტატიებს, რეცენზიებს და ცალკეულ ნაწყვეტებს მხატვრულ ნაწარმოებებში. მწერლისთვის გოეთე «სრულქმნილი ადამიანის» იდეალი, პიროვნებად ჩამოყალიბების ხანგრძლივ გზაზე საბოლოო მიღწევის განხორციელების ეტალონი; გოეთესთან და მოცარტთან ერთად, მას «სრულქმნილი» და «უკვდავი» ადამიანის იდეალად წარმოედგინა: ბუდა, ლეონარდო და ვინჩი და სხვ.

[44] გოეთეს შედარება ყორანთან შემთხვევითი არ არის, რადგან მითოლოგიასა და ფოლკლორში ყორანი ეშმაკის პერსონიფიკაციასა და ბოროტი დემონების განსახიერებას წარმოადგენს და ფრინველთა სამეფოში იგივე ადგილი უკავია, რაც მგელს – ცხოველთა სამყაროში. ამრიგად, შედარება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ «მოკვდავნი» ნათელ, აპოლონისეულ თვისებებთან ერთად, დიონისურ, ბნელ, მგლურ თვისებებსაც აერთიანებენ საკუთარ თავში.

[45] გოეთეს ყოველთვის კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა თავისი სახელოვანი თანამედროვეების, კლაისტის (1777-1811) და ბეთჰოვენის (1770-1827) მიმართ, მიუხედავად მათი ნიჭისადმი უდიდესი პატივისცემისა. გოეთეს ჯანსაღი და ჰარმონიული პიროვნებისთვის მიუღებელი იყო ამ ხელოვანთა ერთმნიშვნელოვანი, დაუცხრომელი, უკომპრომისო, ტრაგიკული და ავადმყოფური ბუნება.

[46] მოცარტის ოპერა, ჰესეს უსაყვარლესი ნაწარმოები. «მათეს ვნებანი» – იოჰან სებასტიან ბახის ორატორია.

[47] ჰესეს მხედველობაში აქვს ბეთჰოვენის, შუბერტის, შუმანისა და სხვათა მიერ გოეთეს ლექსებზე შექმნილი მრავალი სიმღერა.

[48] ჰალერის სულიერ ავტორიტეტებს და მასწავლებლებს – გოეთესა და მოცარტს – ჰერმინე უპირისპირებს წმინდანებს, რომლებსაც იგი სულიერების სფეროს განსახიერებად მიიჩნევს.

[49] წმინდა ფრანცისკ ასიზელი (1182-1226) – გვიანდელი შუასაუკუნეების რელიგიური მოღვაწე და ფილოსოფოსი. ჰადაგებდა სიყვარულს ადამიანებისა და ბუნების მიმართ; ჰესეს ერთ-ერთი საყვარელი პიროვნება, რომელსაც მიუძღვნა ორი ნაწარმოები: «ფრანცისკ ასიზელი» (1904), «ფრანცისკ ასიზელის ბავშვობა» (1919).

[50] ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე (დაახლ. 1170-1230) – გერმანელი პოეტი, მინეზაგის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი.

[51] ორქიდეა აღმოსავლურ რელიგიებში ღვთაებრივის სიმბოლოს წარმოდგენს; ამავდროულად, ორქიდეა, ტრადიციულად, კურტიზანი ქალების ყვავილადაა მიჩნეული. ამ ორი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორქიდეის ყვავილი რომანში სიმბოლოდ გადაიქცევა და ჰალერისა და ჰერმინეს ურთიერთობათა ბუნებაზე მიუთითებს.

[52] ქალის ეს სახელი გერმანული მამაკაცის სახელის, «ჰერმანის» სახეშეცვლილი ფორმაა და მიუთითებს მის სიახლოვეზე როგორც ავტორთან, ასევე რომანის გმირთან. ამასთან, იგი ასოციაციურად დაკავშირებულია ღმერთ ჰერმესთან – სულთა მეგზურთან და მაგიის მფარველთან. ანტიკური ღმერთის ეს ფუნქციები შემდგომ, მთავარი გმირის გარდა, გადანაწილდება სამ პერსონაზე: ჰერმინეზე, პაბლოსა და მარიაზე.

[53] «ტანჯვა», «ვალენსია» – მე-19 საუკუნის 20-იანი წლების პოპულარული საცეკვაო მელოდიები ევროპაში.

[54] დიტრიხ ბუკსტეჰუდე (1637-1707) – გერმანელი კომპოზიტორი და ორგანისტი. საორგანო მუსიკაში ახალი მიმართულების ფუძემდებელი.

[55] იოჰან პახელბელი (1653-1706) – გერმანელი კომპოზიტორი და ორგანისტი.

[56] გერმანელების მუსიკისადმი დამოკიდებულებაზე ჰალერის მსჯელობა ეხმიანება თომას მანის აზრებს მუსიკაზე რომანში «დოქტორი ფაუსტუსი» (1947)

[57] ამ დროს ჰერმინე გულისხმობს არა ფიზიკურ სიკვდილს, არამედ ადამიანის მიერ მთლიანობის მოპოვებას, პიროვნებად გარდაქმნას, რაც, ბიურგერული იდეალების თვალსაზრისით, სიკვდილს ნიშნავს.

[58] ქრისტეფორე – კათოლიკეთა პოპულარული წმინდანი, რომელმაც, ლეგენდის თანახმად, ყრმა ქრისტე მდინარეზე გადაიყვანა.

ფილიპო ნერი – მეტსახელად «პიპო კეთილი» (1515-1595) – კათოლიკეთა წმინდანი, ორატორიანული ორდენის ფუძემდებელი; ცოდვილთა მოსაქცევად გამოიყენებდა მუსიკასა და საგალობლებს.

[59] ნოვალისის ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზი: «საით მივდივართ? ყოველთვის შინისაკენ». აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვებს წარმოთქვამს ჰერმინე, რომელსაც კრიტიკოსები ხშირად ადარებენ მათილდეს, ნოვალისის

დაუმთავრებელი რომანის, «ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის» პერსონაჟს.

[60] სიცილის მოტივი უშუალოდ გამომდინარეობს იუმორის ჰესესეული კონცეფციიდან.

[61] ჭეჭა-ჭუხილის, ომის, ჯადოქრობისა და პოეზიის ღმერთი ძველგერმანულ მითოლოგიაში.

[62] მასკარადის ატმოსფერო უდავოდ იწვევს ვალპურგის ღამის ასოციაციას გოეთეს «ფაუსტიდან». ეს მსგავსება ვლინდება არა მხოლოდ გარეგნულ დეტალებში, როგორცაა: ემბაკები, ჯადოქრები, ჯოჯოხეთი, მოქმედების დრო – შუალამე, არამედ ძილ-ღვიძილისა და წარმოსახვის საზღვარზე გათამაშებული ეპიზოდის გააზრებაშიც, რომელიც ჰესესთანაც და გოეთესთანაც, გრძნობადის პირველ საფუძვლებამდე ჩაძირვას და საყოველთაო ეროსში ინდივიდუალობის გაღწობას გამოხატავს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ შემდგომში მთელი სცენა სარდაფში «ჯოჯოხეთად» წოდებულ სულ დაბლა სართულზე გათამაშდება, სადაც მუსიკა ემბაკების აკომპანემენტით სრულდება.

[63] ინდოეთში ოტოსი რელიგიური სიმბოლოა; ლოტოსის პოზაში იმყოფება იოგა მედიტაციის დროს, რომლის მიზანია ღვთაებრივი ერთიანობის ჭვრეტა საკუთარ შინაგან სამყაროში ჩაღრმავების გზით. ამასთან, ლოტოსის ყვავილი უკავშირდება ეროტიკულ სიმბოლიკას.

[64] ოდნავ სახეშეცვლილი სტრიქონი გერმანული ზღაპრიდან «ფიფქია».

[65] პიროვნების უამრავ «მედ» გახლეჩის შესახებ თვალსაზრისი ჯერ კიდევ გერმანული რომანტიზმისთვის იყო ცნობილი. ე.თ.ა ჰოფმანი 1809 წელს თავის დღიურში წერდა: ჩემს «მეს» წარმოვიდგენ ხოლმე გამამრავლებელ მინაში ჩასმულს და ვხედავ, რომ ყველა ფიგურა, რომელიც ჩემ გარშემო მოძრაობს, მე ვარ და მაბრაზებს მათი საქციელი». მსგავსი აზრი მეორდება ნოვალისთანაც: «რამდენიმე პიროვნებად გახლეჩილ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად ამისა, შესწევს უნარი, ერთ მთლიან პიროვნებად დარჩეს».

[66] ეს შენ ხარ (სანსკრ.).

[67] მე გარდავიქმნები (ლათ.) – ჯადოსნური სიტყვა ვილჰელმ ჰაუფის ზღაპრიდან «ხალიფა-ყარყატის ამბავი», რომელშიც ამ სიტყვის ძალით ხდებოდა ადამიანის ცხოველებად და ფრინველებად გადაქცევა.

[68] კამასუტრა – სიყვარულის ხელოვნების ძველინდური სახელმძღვანელო.

[69] „ევროპის აღსასრული“ – სათაური კულტურის ფილოსოფოსის ო. შპენგლერის (1880-1936) ნაშრომისა, რომლის რეცენზიაც ჰესემ 1924 წელს დაწერა. უნდა აღინიშნოს, რომ ჰესე «აღსასრულის» ცნებას, შპენგლერისგან განსხვავებით, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებს, როგორც ადამიანის განსაზღვრული ფსიქოლოგიური ტიპის აღსასრულს, რაც მისი რწმენით, ახალი ადამიანის დაბადების წინაპირობა უნდა გახდეს.

[70] სახელწოდება წარმოადგენს ი. არნიმისა და კ. ბრენტანოს რომანტიკული კრებულის, «ყმაწვილის ჯადოსნური ბუკის» ანალოგიას (გერმანულად Des Knaben

Wunderhorn). ჰესეს სათაურში იშიფრება ჰაიდელბერგელი ექიმის, პრინცჰორნის გვარი; იგი იყო ავტორი ნაშრომისა – «სულით დაავადებულთა ფერწერა. ფორმათშემოქმედების ფსიქოლოგია და ფსიქოპათოლოგია» (1923).

[71] რეჩიტატივი, რომელიც წინ უძღვის ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის დასკვნით გუნდს.

[72] აქ ჰესე, კომიკური ეფექტის მიღწევის მიზნით, მიჰყვება ჟან-პაულის რჩევას, რომლის თანახმადაც მგრძნობელობა წარმოადგენს იუმორის აუცილებელ ელემენტს. იგი მოცარტის სიტყვებს აგებს ჟან-პაულის მიერ მოყვანილი ნიმუშების მიხედვით, რომელიც რაბლეს და ფიშარტის ენობრივ სტრუქტურებს იმეორებს.

